

გლობალი ვალდებულებებითი სამართალი

კაზუსების კრებული

თბილისი, 2020

წინამდებარე გამოცემა შექმნილია GIZ-ის (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) ფინანსური მხარდაჭერით. 1993 წლიდან GIZ-ი საქართველოში ხელს უწყობს სამართლისა და იუსტიციის რეფორმების გატარებას. სხვა ლონს-ძიებებთან ერთად GIZ-ი ზრუნავს იურიდიული ლიტერატურის შექმნასა და სამართლის პოპულარიზაციაზე. GIZ-ი არ იღებს პასუხისმგებლობას ნაშრომის შინაარსობრივი მხარის სისწორეზე.



გერმანიის
თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

giz Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

ავტორები:

გიორგი რუსიაშვილი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

თორნიკე დარჯანია – GIZ-ის სამართლის პროგრამის სამართლებრივი მრჩეველი, ადვოკატი

დავით მაისურაძე – თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონვეული ლექტორი

შინაარსობრივი რედაქტორი:

შალვა პაპუაშვილი – GIZ-ის სამართლის პროგრამის საქართველოს ჯგუფის ხელმძღვანელი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ენობრივი რედაქტორი **თამარ გაბელაია**

ტექნიკური რედაქტორი **გვანცა მახათაძე**

ISBN 978-9941-8-2051-9

© შესაბამისი კაზუსების ავტორები, 2020

© გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2020

გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე:

lawlibrary.info/ge

სარჩევი

კაზუსი 1. ნუგზარი და სახურავი	7
(წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევა; კონკურენცია ნაკლისათვის პასუხისმგებლობასთან; falsa demonstratio non nocet – პრინციპი)	
კაზუსი 2. ჩაშლილი მოლაპარაკებები	15
(ზიანის ანაზღაურება წინასახელშეკრულებო ბრალის გამო, სკ-ის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 316-ე მუხლის თანახმად)	
კაზუსი 3. აკო, თაკო, ცხვირი და ლევანი	23
წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმომდგარი დამცავი ვალდებულებები; დაზარალებულის თანაბრალებულობა ზიანის დადგომაში; შოკის ზიანი; ამო დანახარჯების ანაზღაურება; „წინასწარგანწყობილი“ პირის დაზიანება; ზიანის ანაზღაურება ამოვად გაცდენილი დროისათვის	
კაზუსი 4. ინვესტორი	39
მესამე პირის პასუხისმგებლობა წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან; ხელშეკრულება მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით	
კაზუსი 5. სასმელი წყალი	46
(ძირითადი და დამატებითი ვალდებულებები, პირველადი და მეორეული მოთხოვნები)	
კაზუსი 6. საქორწინო საჩუქარი	54
(მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების დარღვევა, მესამე პირის მეორეული მოთხოვნები)	
კაზუსი 7. დამტვრეული „მერსედესი“	59
(ვალდებულების შესრულების ფაქტობრივი შეუძლებლობა, მოთხოვნის შეწყვეტა შეუძლებლობის გამო, საპასუხო მოთხოვნის შეწყვეტა, გვაროვნული ნივთი, ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთი)	
კაზუსი 8. კატალოგიდან შერჩეული მობილური	68
(ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, გვაროვნული ნივთი, გვაროვნული ნივთის დაკონკრეტება)	

კაზუსი 9. მაცივრის ამონურული მარაგი	75
(ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, გვაროვნული ნივთის დაკონკრეტება)	
კაზუსი 10. დიდთოვლობა ბაკურიანში	78
(მიზნის თავისით მიღწევა, მიზნის გაქრობა, ვალდებულების შესრულების ნაწილობრივი შეუძლებლობა)	
კაზუსი 11. ყურძენი ალაზნის ველიდან	86
(ვალდებულების შესრულების სამართლებრივი შეუძლებლობა)	
კაზუსი 12. ლაშას საქორწინო ბეჭედი	91
(ვალდებულების შესრულების პრაქტიკული შეუძლებლობა, ეკონომიკური შეუძლებლობა, ზიანის ანაზღაურება ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისას, ზიანის ანაზღაურების საფუძველი)	
კაზუსი 13. საქართველოში პროფესიონალიზმს არ აფასებენ	100
(ვალდებულების შესრულების პიროვნული შეუძლებლობა, პირადად შესასრულებელი ვალდებულება, ზიანის ანაზღაურება პიროვნული შეუძლებლობისას)	
კაზუსი 14. ბუთხუზი და გოგი	109
(diligentia quam in suis; გასვლის შემდეგ ნივთის დაბრუნების შეუძლებლობა, როგორც ვალდებულების დარღვევა; ორმხრივი ბრალით გამონეული გასვლის საფუძველი; გასვლიდან წარმოშობილი რესტიტუციის ვალდებულების წინმსწრებად დარღვევა)	
კაზუსი 15. დიზაინერი მიშკა პ. და ლორის თავი	122
(შესრულებისა და ფასის რისკის გადასვლა; გაგზავნის ვალდებულება; რისკის გადასვლა გაგზავნის ვალდებულებისას 482 II მუხლის მიხედვით; მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის წინაპირობები)	
კაზუსი 16. რეპუტაცია თუ ტორტი?	135
(ფასის რისკის გადასვლა 482 II მუხლის მიხედვით; დამხმარე პირის ბრალის შერაცხვა 396-ე მუხლის მიხედვით)	
კაზუსი 17. რუსეთი-პორტუგალია = შავი ეკრანი	140
(საწარმოს გაჩერებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება; ზიანის ანაზღაურება შესრულებასთან ერთად და გამიჯვნა შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებისაგან; ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანი)	

კაზუსი 18. არაშემსრულებელი	149
(მოვალის მიერ შესრულების ვადის გადაცილება; ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება; შესრულებისა და საპირისპირო შესრულების მოთხოვნების გაქარწყლება; ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად და ზიანის ანაზღაურება შესრულების მოთხოვნასთან ერთად)	
კაზუსი 19. მოტომომლოცველები	157
(მოვალის მიერ ვადის გადაცილება; მოვალის პასუხისმგებლობა შემთხვევითობისთვის; ზიანის ანაზღაურება)	
კაზუსი 20. საქორწინო ესკორტი	167
(მოვალის მიერ ვადის გადაცილება, ვადის გადაცილებით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება)	
კაზუსი 21. საოფისე ფართი	174
(მოვალის მიერ ვადის გადაცილება, ხელშეკრულებიდან გასვლა და შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება, ზიანის ოდენობის დათვლა)	
კაზუსი 22. მეტალოდურგალი ლეო შპს „ჯემალის“ სამსახურში	184
(მოვალის მიერ ვადის გადაცილება ფულადი ვალდებულების დროს; გაფრთხილების არასავალდებულოობა; პროცენტის მოთხოვნის უფლება)	
კაზუსი 23. ათასად კაცი დაფასდა, ორი ათასად – ორასი ლიტრი	191
(კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება; მოვალის მიერ გაღებული შენახვის ხარჯების ანაზღაურება; კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება (წინაპირობები)	
კაზუსი 24. ღვინო და ზიანი	201
(კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება, ნივთის დაღუპვის რისკი, მოვალის პასუხისმგებლობა 392-ე მუხლის მიხედვით; განზრახვა და უხეში გაუფრთხილებლობა; კრედიტორის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება; ზიანის ანაზღაურება საკუთარი გადახდისუუნარობის შესახებ დროულად შეუტყობინებლობისათვის)	
კაზუსი 25. ბონდო ვასო	212
(ვალდებულების შეწყვეტა; კრედიტორისა და მესამე პირის წინაშე შესრულება, შესრულების ეფექტი)	

კაზუსი 26. გიგიშა და მარგო 218
(ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილ გარემოებებთან და ხელშეკრულებიდან გასვლა მისი შეუძლებლობის გამო; კონკურენცია მიზნის ჩაშლის კონდიქციასთან (977); მეუღლეთა შორის ჩუქება)

კაზუსი 27. „უნლოვანს ფულს ნუ ანდობ, იქნებ არასრულწლოვანიო“ 225
(არასრულწლოვნის მიმართ ვალდებულების შესრულება; შესრულების თეორიები; დეპონირება)

კაზუსი 28. აჭარკარაქი 233
(მოთხოვნის დათმობა; მოთხოვნის ნასყიდობა და მოთხოვნის განკარგვის გარიგება; მოვალის შესაგებლები ცესიონერის წინააღმდეგ; მოთხოვნის დათმობის დაუშვებლობა; ხელშეკრულების დათმობა)

კაზუსი 29. მარჯვე კოტე 243
(ნამდვილი და არანამდვილი სოლიდარული ვალდებულება; „ვალის დაფარვის ერთიანი ეფექტი“)

კაზუსი 30. ვაჟიკო, რომელსაც სხვისი ბედი არასოდეს ანადვლებდა . . 249
(დელიქტით მიყენებული ზიანი; პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა; შეუსაბამო ხარჯების ანაზღაურება; არაქონებრივი ზიანი; სარგებლის გამოქვითვა; ოთხსაფეხურიანი სქემა დაზიანებული ავტომანქანისათვის ზიანის ანაზღაურებისას; დაზოგილი ცვეთა)

ბიბლიოგრაფია 261

კაზუსი 1. ნუგზარი და სახურავი

(წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევა; კონკურენცია ნაკლისათვის პასუხისმგებლობასთან; *falsa demonstratio non nocet* – პრინციპი)

ქალბატონ მარინას, რომელიც 33-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, როგორც იქნა, გაშორდა ქმარს, მყარად აქვს გადანყვეტილი ახალი ქმრის შოვნა, ამისათვის კი, ასაკიდან გამომდინარე, უკვე საკმაო ფული სჭირდება. ამ ფულის საშოვნელად გადანყვეტს, გაყიდოს თავისი ერთ-ერთი ბინა და მიჰყიდის მას ქალბატონ ნანას, თავის ბავშვობის მეგობარს, რომელსაც უკვე 30 წელია, აღარ ელაპარაკება. სწორედ ამიტომ ნანასთან ნასყიდობასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების წარმოებას მარინას ყოფილი ქმარი, ნუგზარი, იკისრებს. ნუგზარი უკვე დაქორწინდა თავისზე 28 წლით უმცროს ანუკაზე და ახლა, თავისი კეთილი ბუნებიდან გამომდინარე, ყველანაირად ეხმარება ყოფილ ცოლს იმავეს გაკეთებაში. ბინა, რომლის ფართობიც 120 კვ.მ.-ია, მდებარეობს ბოლო სართულზე და სახურავიც „დამტკიცებული“ აქვს დაშენების უფლებით. ეს დაშენების სამუშაოები ნაწილობრივ უკვე დაწყებულია კიდეც, რაზეც მიანიშნებს გადახდილი სახურავი და მასზე აღმართული ლითონის კონსტრუქციები. ვიზუალურად იქმნება შთაბეჭდილება, რომ დაშენება, ქვედა ბინის პროპორციულად, მთლიან ფართობზე მიმდინარეობს. ასევე ნუგზარიც ნანასთან საუბრისას არაერთხელ ახსენებს, რომ „რაც ქვევითაა, ერთი იმდენი ზევითაა“ და მის დუბლექსად გადაკეთებას მხოლოდ „თავის მობმა სჭირდება“, რადგან მზიდი კონსტრუქციები უკვე დადგმულია. ნუგზარს, რომელსაც, ყოფილი ცოლის ბინის გაყიდვის გარდა, სხვა უამრავი საქმე აქვს, ავიწყდება იმის ხსენება, რომ დაშორებამდე, როდესაც ბინა ჯერ კიდევ მის საკუთრებაში იყო, მარინას გასამწარებლად დამტკიცებული სახურავიდან 15 კვადრატული მეტრი მეზობელს აჩუქა, რომელსაც, კარგა ხანია, აივნის გაფართოება სურდა და სახურავზე დადგმული კონსტრუქციების ნაწილი სწორედ მას ეკუთვნის. მართალია, გარედან დამკვირვებლისათვის ამის შემჩნევა შეუძლებელია, თუმცა ეს ყველაფერი ნათლად ჩანს აზომვით ნახაზზე, რომელიც ერთ-ერთია იმ 540-ფურცლიან საქალაქდგეში, რომელიც ნუგზარმა ნანას ხელშეკრულების დადებამდე გადასცა და რომელზეც უთითებს ნასყიდობის ნოტარიულად დამონმბული ხელშეკრულება.

ნასყიდობის დადებისა და ნანას მესაკუთრედ რეგისტრაციის შემდეგ ყველაფერი გამჟღავნდება, მეზობელი უარს აცხადებს ამ 15 კვ. მ.-ის რაიმე ფორმით ნანასთვის გადაცემაზე, რის შემდეგაც ნანა უკვე მარინასგან ითხოვს ზიანის ანაზღაურებას.

შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა!

A. შესრულების მოთხოვნა

ნანას შეიძლება ჰქონდეს მარინას მიმართ მეზობლის კუთვნილ 15 კვ.მ. ფართობის სახურავის ნაწილზეც საკუთრებისა და მფლობელობის გადაცემის მოთხოვნის უფლება 477 I მუხლის მიხედვით.

ნოტარიულად დამოწმებული ნასყიდობა დაიდო აზომვით ნახაზზე დატანილ ფართობზე, რომელზეც გადასცა კიდეც მარინამ ნანას საკუთრება. რაც შეეხება დამატებით, 15 კვ. მ. ფართობს, რომელიც მყიდველმა ასევე მიათვალა ნასყიდობის საგანს, მხარეებს ის არ გაუთვალისწინებიათ ნოტარიულად დამოწმებულ გარიგებაში. თუმცა ეს არ გამორიცხავს მის ჩართვას ამ ნასყიდობაში *falsa demonstratio non nocet*-პრინციპის მეშვეობით¹, როდესაც ორმხრივად ნაგულისხმევი, თუმცა გარიგებით პირდაპირ არგათვალისწინებული, მაინც ექცევა გარიგების შინაარსში. ამ პრინციპის გამოყენება, ერთი (სადავო) მოსაზრების მიხედვით,² შეიძლება ასევე ფორმასავალდებულო გარიგებების შემთხვევაშიც იმგვარად, რომ არა დამოწმებული ტექსტი, არამედ ორმხრივად ნასურვები ხდება გარიგების შინაარსი.

თუმცა *falsa demonstratio*-ს პრინციპის გამოყენებისათვის აუცილებელია მხარეთა ურთიერთმფარავი ნების დადგენა. ამ შემთხვევაში კი არც თავად გამყიდველს და არც მის წარმომადგენელს არ ჰქონია განზრახვა, ნახაზზე აღნიშნულის გარდა, დამატებით, ასევე 15 კვ. მ.-ის მიყიდვისა. ის ფაქტი, რომ გამყიდველის წარმომადგენელმა მყიდველს გადასცა დოკუმენტები, სადაც ზუსტად იყო აღნიშნული მიყიდული სახურავის ნაწილის ზომა, ცალსახად მეტყველებს ამ განზრახვის საწინააღმდეგოდ.

ამგვარად, ნასყიდობის საფუძველზე მარინას არ უკისრია დამატებითი ფართის მიყიდვა და უმნიშვნელოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული ფართი მეზობელს ეკუთვნის, რომელიც სულაც არ აპირებს მის გაყიდვას.

B. ზიანის ანაზღაურება წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან

ნანას შეიძლება ჰქონდეს მარინას წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან (394 I, 317 II, 316 II, *culpa in contrahendo*).

¹ რუსიაშვილი, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 165.

² *Ellenberger*, in Palandt BGB, § 133 Rn. 8, 19.

I. კონკურენცია ნაკლიდან წარმოშობილ პასუხისმგებლობასთან

ამისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია, რომ ხსენებული დანაწესები, სადაც მოწესრიგებულია წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები, არ განიდევენოს ნაკლოვანი შესრულებიდან წარმომდგარ მოთხოვნასთან კონკურენციისას.

ნასყიდობის ნაკლოვანი შესრულებიდან წარმოშობილი მოთხოვნები კონკურენციისას გამორიცხავენ წინასახელშეკრულებო ურთიერთობის მომწესრიგებელი დანაწესების გამოყენებას. სრულებით ცალსახაა, რომ არასწორი ცნობები მიყიდული ნივთის თვისებებთან დაკავშირებით არ წარმოადგენს გამყიდველისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების საფუძველს *culpa in contahendo*-დან. ამის მიზეზია გამყიდველისათვის ჯეროვანი შესრულების მეორე შანსის შენარჩუნება, ეს კი არ იქნებოდა უზრუნველყოფილი, თუ მიყიდველს დაუყოვნებლივ შეეძლებოდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევიდან. გამონაკლისის სახით, გამყიდველი პასუხს აგებს ასევე *culpa in contahendo*-დან, თუ ის არაკეთილსინდისიერად იქცეოდა³.

თუმცა მოცემულ შემთხვევაში საქმე არ ეხება გამყიდველის ვალდებულებას ნივთის თვისებებთან დაკავშირებით. მიყიდული სახურავის ნაწილის თვისება არ შეიძლება იყოს ის, რომ მოიცვას მეზობლის ფართიც. ეს შეიძლება წარმოადგენდეს თვითონ ნასყიდობის საგანს და არა ნასყიდობის საგნის თვისებას. თუ ეს დამატებითი 15 კვ. მ. არ არის მიყიდული საგნის ნაწილი, ის ვერ იქნება, რა თქმა უნდა, ვერც მისი თვისება. შესაბამისად, *culpa in contahendo*-ს გამოყენება არ არის გამორიცხული ნაკლიდან წარმოშობილ პასუხისმგებლობასთან კონკურენციისას.

II. წინასახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობა და შინაარსი

გარდა ამისა, საკითხავია, წარმოიშვა თუ არა მარინასა და ნანას შორის წინასახელშეკრულებო ურთიერთობა 317 II, 316 II მუხლების შესაბამისად და თუ წარმოიშვა, რა შინაარსით.

³ BGH NJW 2009, 2120.

1. წარმოშობა

ხელშეკრულების მომზადება, როგორც წინასახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი, პირდაპირ არის გათვალისწინებული გერმანულ და ქართულ დანაწესებში, რადგან ამ შემთხვევაში მხარეები ერთმანეთს თავიანთ სიკეთეებზე უფრო ინტენსიური ზემოქმედების საშუალებას ანიჭებენ. მომზადების ეტაპზე წარმოშობილი ვალდებულება არ ქარწყლდება არც ხელშეკრულების დადებით. პირიქით, დადების შემდეგ მას დამატებითი ვალდებულებები ემატება.

ამგვარად, ნანასა და წარმომადგენელ ნუგზარის მიერ წარმოდგენილ მარინას შორის წარმოიშვა წინასახელშეკრულებო ურთიერთობა.

2. შინაარსი

საკითხავია, იყო თუ არა გამყიდველი ვალდებული, ეცნობებინა მყიდველისათვის, რომ სახურავის ნაწილი არ განეკუთვნებოდა მიყიდული ბინის ფართს და ის შეცდომით იყო მოქცეული ერთიანი დაშენების კონსტრუქციის ფარგლებში.

გერმანიის ფედერალური სასამართლოს⁴ პრაქტიკის მიხედვით, სახელშეკრულებო მოლაპარაკებების წარმოებისას, მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს ურთიერთდაპირისპირებული ინტერესები ამოძრავებთ, მათ ეკისრებათ ვალდებულება, ხელშეკრულების მეორე მხარეს აცნობონ ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებიც მყიდველისათვის, ჩვეულებრივ, მნიშვნელოვანია ხელშეკრულების დადება-არდადების გადაწყვეტილების მიღებისას, თუ მათი გამხელა მოსალოდნელია სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული წესების შესაბამისად.

მოცემულ შემთხვევაში ერთიანი დაშენების კონსტრუქცია ქმნიდა ილუზიას, რომ საქმე გვექონდა ერთიან ფართთან, რომელიც მთლიანად ეკუთვნოდა მარინას. ამ წარმოდგენას გამყიდველის წარმომადგენლის, ნუგზარის, მითითება სახურავზე დადგმულ კონსტრუქციებზე მხოლოდ ამძაფრებდა, რის გამოც გამყიდველი ვალდებული იყო, ცალსახად გაერკვია მყიდველი საქმის რეალურ მდგომარეობაში – იმაში, თუ რა ფართობს მოიცავდა მიყიდული ბინა.

⁴ BGH NJW 2010, 858.

III. წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევა

მართალია, მარინას, წარმოდგენილს ნუგზარის მეშვეობით, ეკისრებოდა ნანასათვის სახურავის ნამდვილ ფართობთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, თუმცა მას შეეძლო, ეს ვალდებულება შეესრულებინა უკვე დამატებით საქალაქო მოთავსებული დოკუმენტების გადაცემით, რომლებიც, სხვა აუცილებელ საბუთებთან ერთად, შეიცავდა სახურავის აზომვით ნახაზს და, ამგვარად, მის ზუსტ ფართობსაც. გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით⁵, მხოლოდ დოკუმენტების გადაცემა საკმარისია, თუ გამყიდველს (ცალკეული გარემოებებიდან გამომდინარე) შეუძლია, დარწმუნებული იყოს, რომ მყიდველი არ აღიქვამს მას მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის შემცველად და გულდასმით გაეცნობა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული ცნობების მოპოვების მიზნით (მაგ., უნაკლოობასთან დაკავშირებული დასკვნა).

გონიერ და კეთილსინდისიერ გამყიდველსაც კი არ შეიძლება ჰქონდეს იმის მოლოდინი, რომ პირობების განხილვის შემდეგ გადაცემულ 540-ფურცლიან საქალაქო მყიდველი გადაქეპავს იმ მიზნით, რომ მოიპოვოს ზუსტი ინფორმაცია სახურავის ფართობთან დაკავშირებით. ეს კონტრარგუმენტი განსაკუთრებით დამაჯერებელია, ვინაიდან სახურავის მთლიან ფართობზე დადგმული კონსტრუქცია მყიდველს არ აძლევდა იმის ფიქრის საფუძველს, რომ ამ კონსტრუქციების ქვეშ მუშობლის კუთვნილი ფართობიც იქნებოდა მოქცეული და ეს ცალკე გადამოწმებას საჭიროებდა.

კაზუსის თანახმად, ასევე უნდა გამოვრიცხოთ გამყიდველის მხრიდან მყიდველის საქმის რეალურ მდგომარეობაში გარკვევის ვალდებულების სხვაგვარად შესრულება.

ამგვარად, მარინამ დაარღვია თავისი წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან (394 I, 317 II, 316 II) წარმოშობილი ვალდებულება 394 I მუხლის მიხედვით.

IV. ბრალი

ვალდებულების დარღვევის გარდა, აუცილებელია, რომ მოვალეს მიუძღოდეს ბრალი ამ ვალდებულების დარღვევაში, თუმცა, 394 I მუხლის ფორმულირებიდან გამომდინარე, ეს ბრალი ივარაუდება და მისი გაქარ-

⁵ BGHZ 188, 43.

წყლების ვალდებულება მოვალეს აწევს. მოცემულ შემთხვევაში მარინა ვერ მიუთითებს მისი ბრალის გამაქარწყლებელს გარემოებებზე, რის გამოც მას უხეში გაუფრთხილებლობა უნდა მივანეროთ. ბრალს არ გამო-რიცხავს არც მისი წარმომადგენლის, ნუგზარის, მოქმედებაზე მითითება, რადგან მოვალეს შესრულების დამხმარის მოქმედება შეეარაცხება ისე, როგორც საკუთარი ბრალი (396).

V. ანაზღაურებადი ზიანის ოდენობა

394 | მუხლის სამართლებრივ შედეგს წარმოადგენს ზიანის ანაზღაურება, რომლის მოცულობაც განისაზღვრება 408 | ნაწილში გამყარებული დიფერენციაციის ჰიპოთეზის მიხედვით. ამ ჰიპოთეზის თანახმად, ერთმანეთს უნდა შევუპირისპიროთ ამჟამინდელი მდგომარეობა, როდესაც მოვალემ ვალდებულება უკვე დაარღვია და ჰიპოთეზური მდგომარეობა ამ დარღვევის გარეშე. ფინანსური სხვაობა ამ ორ მდგომარეობას შორის შეადგენს ანაზღაურებადი ზიანის ოდენობას.

ზიანად დამატებითი ფართობის ღირებულების მიჩნევა არასწორია, რადგან სწორი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაშიც მეზობელი არ იქნებოდა თანახმა მის მიყიდვაზე და მყიდველი მას მაინც ვერ შეიძენდა. ამის საპირისპიროდ, უნდა ვივარაუდოთ, რომ სახურავის რეალური ფართობის შესახებ შეტყობის შემთხვევაში მყიდველი ფასის შემცირებას მოითხოვდა (როგორც კაზუსიდან გამომდინარეობს, მას მაინც სურს ნასყიდობის საგნის შენარჩუნება) და მიაღწევდა კიდევ ამას. გამყიდველის მტკიცება, რომ ის ამ ფასის შემცირებას არ დაყაბულდებოდა, გერმანული სასამართლოს მიხედვით, აქ უმნიშვნელოა⁶.

A. შესრულების მოთხოვნა (-)
B. ზიანის ანაზღაურება წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან (+)
<p>I. კონკურენცია ნაკლისთვის პასუხისმგებლობასთან (-)</p> <p>II. წინასახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობა და შინაარსი (+)</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ წარმოშობა (+) ➢ შინაარსი (+) ➢ ვალდებულების დარღვევა (+) ➢ ბრალი (+) ➢ ანაზღაურებადი ზიანის ოდენობა <p>შედეგი: ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (+)</p>

⁶ BGH NJW 2001, 2877.

ის, თუ რამდენით მოახერხებდა მყიდველი ფასის შემცირებას, სასამართლომ საკუთარი შინაგანი რწმენიდან გამომდინარე უნდა გადაწყვიტოს.

ეს თანხა წარმოადგენს იმ ზიანს, რაც მიადგა ნანას წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევიდან.

შედეგი: ნანას აქვს მარინასაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

სამახსოვრო!

- ნასყიდობის ნაკლოვანი შესრულებიდან წარმოშობილი მოთხოვნები კონკურენციისას გამორიცხავენ წინასახელშეკრულებო ურთიერთობის მონესრიგებელი დანაწესების გამოყენებას.
- მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს ურთიერთდაპირისპირებული ინტერესები ამოძრავებთ, მათ ეკისრებათ ვალდებულება, ხელშეკრულების მეორე მხარეს აცნობონ ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებიც მყიდველისათვის, ჩვეულებრივ, მნიშვნელოვანია ხელშეკრულების დადებარდადების გადაწყვეტილების მიღებისას, თუ მათი გამხელა მოსალოდნელია სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული წესების შესაბამისად.
- გონიერ და კეთილსინდისიერ გამყიდველსაც კი არ შეიძლება ჰქონდეს იმის მოლოდინი, რომ პირობების განხილვის შემდეგ გადაცემულ 540-ფურცლიან საქალაქო მყიდველი გადაქეჟავს იმ მიზნით, რომ მოიპოვოს ზუსტი ინფორმაცია სახურავის ფართობთან დაკავშირებით.

კაზუსი 2. ჩაშლილი მოლაპარაკებები⁷

(ზიანის ანაზღაურება წინასახელშეკრულებო ბრალის გამო, სკ-ის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 316-ე მუხლის თანახმად)

შპს „მენარმე“ 2013 წლის 1 მაისს შპს „ქართული მეურნეობისაგან“ შეიძინა სათესლე კარტოფილი, რომელიც მან დათესა წალკის რაიონში. სათესლე კარტოფილის თანხა 20 000 \$-ის ოდენობით მას უნდა გადაეხადა 3 თვის ვადაში, 2013 წლის 31 ივლისამდე. ვინაიდან შპს „მენარმე“ თანხის გადახდას ვერ ასწრებდა დადგენილ ვადაში, მან 30 ივნისს მიმართა სს „ქართული ბანკის“ კრედიტ-ოფიცერს, გიორგის, სესხის მიღების თხოვნით. გიორგიმ შეამონმა შპს „მენარმის“ გადახდისუუნარობა, სესხის მიზნობრიობა და გაუგზავნა ელექტრონული ფოსტა, სადაც შპს „მენარმეს“ სთხოვდა, სესხისთვის წარედგინა უზრუნველყოფა, კერძოდ, 15 ივლისამდე იპოთეკით დაეტვირთა წალკაში მდებარე ოფისი ბანკის სასარგებლოდ და ასევე რეგისტრირებული გირავნობა წარედგინა საწარმოს დამატებით საშუალებებზე. გიორგი წერილში უთითებდა, რომ „აღნიშნული პირობების დაკმაყოფილება საკმარისი იქნებოდა სესხის მისაღებად“. შპს „მენარმე“ დადგენილ ვადაში (15 ივლისამდე) წარადგინა უზრუნველყოფა. მიუხედავად ამისა, მან 1 აგვისტოს გიორგისგან მიიღო წერილი, სადაც ის აღნიშნავდა, რომ „ბანკს გაუჩნდა საფუძვლიანი ეჭვი მის გადახდისუუნარობასთან დაკავშირებით“ და სს „ქართული ბანკი“ აღარ გასცემდა სესხს მასზე. ამის გამო შპს „მენარმეს“ მოუწია სხვა ბანკში სესხის დაჩქარებული წესით აღება უფრო მაღალი პროცენტით, რის გამოც მას მიადგა ზიანი 1000 \$-ის ოდენობით; გარდა ამისა, მას მოუწია შპს „ქართული მეურნეობისთვის“ პირგასამტეხლოს, 500 \$-ის, გადახდა, ვინაიდან მან 31 ივლისამდე ვერ მოასწრო თანხის (20 000 \$) დაფარვა. აქედან გამომდინარე, შპს „მენარმე“ ითხოვს „ქართული ბანკისგან“ 1000 \$-ს, ვინაიდან, ბანკს რომ გაეცა სესხი, მას არ მოუწევდა სხვაგან უფრო მაღალპროცენტიანი სესხის აღება, ასევე ითხოვს 500 \$-ს, რომლის გადახდაც მას მოუწია პირგასამტეხლოს სახით და 200 ლარს, რომელიც გასწია იპოთეკისა და გირავნობის რეგისტრაციისას.

⁷ კაზუსი შედგენილია უზენაესი სასამართლოს მიერ 2003 წლის 21 მარტს გამოტანილი გადაწყვეტილების მიხედვით, საქმეზე – 3კ-1156-02.

A. შპს „მენარმე“ – მოთხოვნა „ქართული ბანკის“ მიმართ

I. მოთხოვნის წარმოშობა

1. ხელშეკრულების დადება

იმისათვის, რომ ერთმა მხარემ მეორეს წარუდგინოს მოთხოვნა, როგორც წესი, მათ შორის უნდა არსებობდეს ვალდებულებითი ურთიერთობა. ჩვენს შემთხვევაში კაზუსიდან ცალსახად გამომდინარეობს, რომ შპს „მენარმესა“ და „ქართულ ბანკს“ შორის ვერ გაფორმდა სესხის ხელშეკრულება. „ქართულმა ბანკმა“ მოლაპარაკებების ბოლო ეტაპზე უარი თქვა სესხის გაცემაზე. შესაბამისად, ისმის კითხვა, თუ რის საფუძველზე შეუძლია შპს „მენარმეს“, მოსთხოვოს „ქართულ ბანკს“ ზიანის ანაზღაურება?

2. წინარე ხელშეკრულება მთავარი ხელშეკრულების დადების ვალდებულებით?

საკითხავია, ხომ არ არის მოცემული წინარე ხელშეკრულება, რომლითაც „ქართულმა ბანკმა“ აიღო ვალდებულება მოგვიანებით სესხის მთავარი ხელშეკრულების დადებაზე? როგორც წესი, კერძო ავტონომია მხარეებს აძლევს უფლებას, თვითონ განსაზღვრონ, რა სახის შეთავაზებას გააკეთებენ, ან მიიღებენ თუ არა მეორე მხარის შეთავაზებას. შესაბამისად, „ქართული ბანკიც“, ზოგადი თვალსაზრისით, თავისუფალია ხელშეკრულების დადების არჩევანში. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შესაძლოა იყოს მხარე ვალდებული, სახელშეკრულებო ოფერტზე გააკეთოს აქცეპტი. ხელშეკრულების დადების ამგვარი ვალდებულება შესაძლოა გამომდინარეობდეს წინარე ხელშეკრულებიდან, რომლითაც ერთი ან ორივე მხარე წინარე ხელშეკრულებით იღებს ვალდებულებას, რომ მოგვიანებით გააფორმებს (მაგ., სესხის) მთავარ ხელშეკრულებას. გიორგის განცხადება, რომ უზრუნველყოფის წარდგენა „საკმარისი იქნებოდა სესხის მისაღებად“, არ შეიძლება ჩაითვალოს წინარე ხელშეკრულებად, რომელიც მოგვიანებით მთავარი ხელშეკრულების დადებას ისახავს მიზნად. იგი შეიცავს მხოლოდ ხელშეკრულების დადების პირობის განმარტებას, რომ აუცილებელია უზრუნველყოფის წარდგენა, და განცხადება ასევე ვერ ჩაითვლება სესხის შეპირებად, ვინაიდან სესხის შეპირებისთვის წერილობითი ფორმაა საჭირო (სკ-ის 628-ე მუხლის მე-2 წინადადება).

3. წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე მოთხოვნა (სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის, 317-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 316-ე მუხლის მიხედვით)

შპს „მენარმის“ მოთხოვნა „ქართული ბანკის“ მიმართ შესაძლოა გამომდინარეობდეს წინასახელშეკრულებო კანონისმიერი ვალდებულებების დარღვევიდან (C.i.c., ბრალი წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში, სკ-ის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილი). იმისათვის, რომ ერთმა მხარემ მეორეს მოსთხოვოს წინასახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში:

ა. წინასახელშეკრულებო ვალდებულებითი ურთიერთობა

საკითხის გადრმავებისთვის: 317-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 316-ე მუხლით განსაზღვრული პასუხისმგებლობა ეხება ხელშეკრულების სტადიაზე დარღვეულ ვალდებულებას. აქ, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება გულისხმიერების ვალდებულებები, რომლებიც დარეგულირებულია სკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილში. ზიანის ანაზღაურების მიზანია, უფლებადარღვეულ მხარეს აუნაზღაუროს ზიანი, რომელიც წარმოიშვა იმით, რომ იგი ხელშეკრულების მომზადების სტადიაზე ნდობაზე დამყარებულ ურთიერთობაში შევიდა მეორე მხარესთან, რითაც მეორე მხარეს წარმოეშვა მის ქონებაზე, სამართლებრივ სიკეთეებსა თუ ინტერესებზე ზემოქმედების შესაძლებლობა. შესაბამისად, ანაზღაურებას ექვემდებარება „ნდობის გაცრუების“ შედეგად წარმოშობილი ზიანი. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მეორე მხარე თავისი ქმედებით წარმოშობს ხელშეკრულების დადების მოლოდინს, ხოლო მხარე ენდობა ამას. მამსადაამე, წინასახელშეკრულებო ეტაპზე წარმოიშობა სახელშეკრულებო ურთიერთობის მსგავსი ნდობითი ურთიერთობა, რომელიც ავალდებულებს მხარეებს 316-ე მუხლის მე-2 ნაწილში განსაზღვრული გულისხმიერების ვალდებულებების დაცვას. ხელშეკრულების მომზადების სტადია უნდა განიმარტოს ფართოდ, კერძოდ, ის მოიცავს მხარეების მიერ მოლაპარაკებების დაწყებას, ხელშეკრულების მომზადებას, რომლითაც, შესაძლოა, სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის მხედველობაში მიღებით ერთი მხარე მეორე მხარეს აძლევს თავის უფლებებზე, ქონებრივ სიკეთესა და ინტერესებზე ზემოქმედების შესაძლებლობას, ან ანდობს მათ ამ მხარეს, ან მხარეთა შორის არსებობს სხვა მსგავსი საქმიანი ურთიერთობები.

კაზუსიდან ირკვევა, რომ შპს „მენარმესა“ და გიორგის შორის შედგა მოლაპარაკებები, სადაც გიორგი წარდგა როგორც „ქართული ბანკის“ კრედიტ-ოფიცერი. შესაბამისად, შპს „მენარმეს“ შეეძლო, ევარაუდა, რომ

საქმე ჰქონდა სს „ქართული ბანკის“ წარმომადგენელთან, რომელიც მოქმედებდა ბანკის სახელით და უფლებამოსილი იყო ასევე ხელშეკრულების მომზადებაზე. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შპს „მენარმესა“ და „ქართულ ბანკს“ შორის დაწყებული მოლაპარაკებების შედეგად ჩამოყალიბდა წინასახელშეკრულებო ურთიერთობა სესხის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.

ბ. მოვალის პასუხისმგებლობა წარმომადგენლის მოქმედებისთვის

საკითხავია, რამდენად შეერაცხება ბანკს იმ პირების მოქმედებები, რომლებიც მოქმედებენ როგორც მისი წარმომადგენლები, ან რომელთაც იგი იყენებს საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად. სკ-ის 396-ე მუხლის თანახმად, „მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს“. როგორც ზემოთ აღინიშნა, გიორგი წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში მოქმედებდა როგორც ბანკის კრედიტ-ოფიცერი, შესაბამისად, „ქართული ბანკი“ პასუხს აგებს გიორგის მიერ განხორციელებული ყველა მოქმედებისთვის, რომელიც დაკავშირებულია გიორგის, როგორც კრედიტ-ოფიცრის, საქმიანობასთან.

გ. ვალდებულების დარღვევა

იმისათვის, რომ დადგეს სს „ქართული ბანკის“ პასუხისმგებლობა, სახეზე უნდა იყოს ბანკის (ჩვენს შემთხვევაში წარმომადგენლის) მიერ ვალდებულების დარღვევა, რომელიც გამომდინარეობს კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობიდან. ვინაიდან წინასახელშეკრულებო ურთიერთობაზე არ არსებობს ხელშეკრულება, შესაბამისად, არ არსებობს ძირითადი ვალდებულებები. სკ-ის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილი უთითებს სკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და მასში დარეგულირებულ გულისხმიერების ვალდებულებებზე. სკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილი უთითებს კონკრეტული ვალდებულების „შინაარსსა და ხასიათზე და ამით ადგენს, რომ გულისხმიერების ზოგადი ვალდებულებები არსებობს ვალდებულებითი ურთიერთობის ფარგლებში, გულისხმიერების ვალდებულებების კონკრეტული შინაარსი კი დაკავშირებულია კონკრეტულ შემთხვევასთან.

საკითხის გაღრმავებისთვის: ხელშეკრულების მოლაპარაკების მხარეების ვალდებულებები არსად არ არის განწერილი. ისინი დამოკიდებულია ცალკეულ შემთხვევებსა და კონკრეტულ გარემოებებზე. ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე მხარეთა მნიშვნელოვანი (გულისხმიერების) ვალდებულებებია:

1. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც ხელშეკრულებისა და მისი შედეგებისათვის ცალსახად მნიშვნელოვანია. რაც უფრო გამოუცდელია მოლაპარაკების ერთი მხარე და რაც უფრო მეტად გათვითცნობიერებულია მეორე მხარე ხელშეკრულების შინაარსსა და შედეგებთან დაკავშირებით, მით უფრო მეტი მოთხოვნები უნესდება ინფორმაციის (განმარტების) ვალდებულებას. ცალკეულ შემთხვევებში ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება შესაძლოა, რჩევების მიცემის ვალდებულებით გამოიხატოს. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ერთი მხარის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებამ სრულად არ გამოირიცხოს მეორე მხარის პირადი პასუხისმგებლობა იმასთან დაკავშირებით, რომ მან ინფორმაციის მიღება სრულად მეორე მხარეზე დამოკიდებული გახადოს. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა აიწინონ-დაიწინოს, თუ და რა მასშტაბით ეკისრება მოლაპარაკების ერთ მხარეს მეორისთვის ინფორმაციის (ან რჩევის) მიწოდების ვალდებულება.

2. მოლაპარაკებების დანეგება, როგორც წესი, არ ავალდებულებს მხარეს, რომ გააფორმოს ხელშეკრულება. მოლაპარაკებები არ წარმოშობს გარიგების დადების ვალდებულებას. მხარეს შეუძლია, არ დაეთანხმოს ხელშეკრულების პირობებს და არ მოაწეროს ხელი მასზე. თუმცა იმ მხარემ, რომელიც დასაბუთებულ ნდობას და მოლოდინს წარმოშობს მეორე მხარესთან მიმართებით, რომ ხელშეკრულება აუცილებლად დაიდება, პასუხი უნდა აგოს მოლაპარაკებების დაუსაბუთებლად შეწყვეტისა და ხელშეკრულების არდადების გამო. ეს არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ პასუხისმგებლობა ეხება თითქოს მხოლოდ იმას, რომ ხელშეკრულება არ დაიდო, არამედ აქ პასუხისმგებლობის საფუძველია ინფორმაციის მიწოდებისა და გაფრთხილების ვალდებულების დარღვევა, რომლითაც მხარეს ადგება ზიანი, ვინაიდან ენდო „პარტნიორის სიტყვას“. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ის, რომ მხარის მიერ ხელშეკრულების დადების მოლოდინით გაწეულ დანახარჯებს მნიშვნელობა აქვს ზიანის დადგენისას და იგი უმნიშვნელოა ვალდებულების დარღვევის განსაზღვრისას.

3. ყველა მხარეს ეკისრება ვალდებულება, იზრუნოს, რომ დადებული ხელშეკრულების ნამდვილობა ეჭვქვეშ არ დადგეს. ის, ვინც დადებული გარიგების ფორმის ნაკლს გამოიწვევს, ლიცენზიის მოპოვებას დააყოვნებს და ა.შ., პასუხს აგებს წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის გამო.

4. დაცვის ვალდებულებები წარმოიშობა იმის შედეგად, რომ სახელშეკრულებო მოლაპარაკებების დაწყებით ორივე მხარეს ეძლევა შესაძლებლობა, ზემოქმედება მოახდინონ (როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად) ერთმანეთის უფლებებსა და სამართლებრივ სიკეთეებზე. შესაბამისად, ყველა მხარეს ეკისრება ვალდებულება, რომ გულისხმიერად მოეპყროს მეორე მხარის ქონებას, სამართლებრივ სიკეთეებსა თუ სხვა ინტერესებს, რათა არ მიადგეთ მათ ზიანი.

ჩვენს შემთხვევაში შესაძლოა, სახეზე იყოს გულისხმიერების ვალდებულების დარღვევა წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში, რომელიც ზემოაღნიშნულ შემთხვევათა მეორე ჯგუფში ხვდება. სახელშეკრულებო მოლაპარაკებების უსაფუძვლო შეწყვეტა არღვევს გულისხმიერების ვალდებულებას, თუ მანამდე ერთი მხარე წარმოშობს მოლოდინს, რომ ხელშეკრულება ნამდვილად დაიდება. გიორგიმ, როგორც სს „ქართული ბანკის“ წარმომადგენელმა, შპს „მენარმეს“ გაუჩინა მოლოდინი, რომ ხელშეკრულება ნამდვილად დაიდებოდა, თუ იგი მას უზრუნველყოფას (იპოთეკა, გირავნობა) წარუდგენდა. გიორგის უნდა გაეთვალისწინებინა, რომ შპს „მენარმე“ გასწევდა შესაბამის დანახარჯს უზრუნველყოფის წარსადგენად. გარდა ამისა, გიორგის უნდა გაეთვალისწინებინა, რომ შპს „მენარმეს“ შპს „ქართული მეურნეობისათვის“ 31 ივლისამდე გადასახდელი ჰქონდა მიღებული სათესლე კარტოფილის თანხა 20 000 \$-ის ოდენობით და ის, რომ გადახდის დაგვიანება წარმოშობდა შპს „მენარმის“ პასუხისმგებლობას და მას მოუწევდა სხვაგან დაჩქარებული წესით სესხის აღება. სახეზე არ არის ასევე მოლაპარაკებების შეწყვეტისა და ხელშეკრულების დაუდებლობის საფუძვლიანი მიზეზი. გიორგის მოქმედება გაუმართლებელია და, შესაბამისად, სს „ქართული ბანკი“ აგებს პასუხს თავისი წარმომადგენლის ქმედებისთვის (სკ-ის 396-ე მუხლი). მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სს „ქართული ბანკის“ მიერ დარღვეული იქნა გულისხმიერების ვალდებულება წინასახელშეკრულებო ეტაპზე, რაც გამოიხატა მოლაპარაკებების დაუსაბუთებელი შეწყვეტით და ხელშეკრულების დაუდებლობით.

დ. ანაზღაურებადი ზიანი

პასუხისმგებლობა სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის, 317-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 316-ე მუხლის მიხედვით გულისხმობს ნეგატიური ინტერესის, ე.წ. „ნდობის გაუმართლებლობიდან წარმოშობილი ზიანის“,

ანაზღაურებას. დაზარალებული პირი უნდა ჩადგეს ისეთ მდგომარეობაში, პასუხისმგებლობის წარმომშობი ვალდებულების დარღვევა რომ არ მომხდარიყო, ანუ მოლაპარაკებები საერთოდ რომ არ გამართულიყო (სკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილი). ხელშეკრულების დადების ვალდებულება ყველა შემთხვევაში გამორიცხულია, ვინაიდან ეს უხეში ჩარევა იქნებოდა მხარის კერძო ავტონომიაში. ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილ პირს უნდა აუნაზღაურდეს ის დანახარჯი, რაც მან გასწია ხელშეკრულების დადების მოლოდინით და ასევე ის ზიანი, რაც მას ამის შედეგად მიაღწია. საკითხავია ის, თუ რამდენად არის შესაძლებელი სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის, 317-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 316-ე მუხლის მიხედვით პოზიტიური ზიანის მოთხოვნა (მაგ., მიუღებელი სარგებელი და ა.შ.). ზოგადი თვალსაზრისით, წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში ვალდებულების დარღვევისას მოიაზრება ნეგატიური ზიანის ანაზღაურება, თუმცა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უნდა იყოს შესაძლებელი პოზიტიური ზიანის ანაზღაურებაც, იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული პირი შეძლებს იმის დამტკიცებას, რომ ვალდებულების დარღვევა რომ არა, ის შეძლებდა უფრო ხელსაყრელი ხელშეკრულების დადებას. კაზუსის მიხედვით, შპს „მენარმემ“ იმის მოლოდინით, რომ დაიდებოდა ხელშეკრულება, გასწია უზრუნველყოფისათვის (იპოთეკა, გირავნობა) საჭირო თანხები 200 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, იმის გამო, რომ არ გაფორმდა ხელშეკრულება, მას მოუწია სხვა საკრედიტო დაწესებულებაში სესხის უფრო მაღალი პროცენტით აღება, ვინაიდან აგვიანებდა შპს „ქართული მეურნეობისათვის“ თანხის გადახდას. ამის შედეგად მისმა ზიანმა შეადგინა 1000 \$. პირგასამტეხლოს ზიანმა კი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შპს „ქართულ მეურნეობასთან“ შეადგინა 500 \$. მაშასადამე, შპს „მენარმის“ მიერ განცდილი საერთო ზიანია 1500 \$ და 200 ლარი.

ე. საბოლოო შედეგი

საბოლოო შედეგის სახით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შპს „მე-

A. მოთხოვნა 394 I, 317 II და 316-ე მუხლების მიხედვით (+)
I. ხელშეკრულება (-)
II. წინარე ხელშეკრულება (-)
III. წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნა (+)
1. წინასახელშეკრულებო ურთიერთობა (+)
2. მოვალის პასუხისმგებლობა წარმომადგენლის მოქმედებისთვის (+)
3. ვალდებულების დარღვევა (+)
შედეგი: 394 I, 317 II და 316-ე მუხლების მიხედვით (+)

ნარმეს“, სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის, 317-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 316-ე მუხლის მიხედვით, აქვს წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე მოთხოვნა ზიანის 1500 \$-ისა და 200 ლარის ოდენობით ანაზღაურების თაობაზე სს „ქართული ბანკის“ მიმართ.

სამასსოვრო!

- წინარე ხელშეკრულებიდან, რომლითაც ერთი ან ორივე მხარე კისრულობს ვალდებულებას, რომ მოგვიანებით გააფორმებს (მაგ., სესხის) მთავარ ხელშეკრულებას, გამომდინარეობს ამ მთავარი ხელშეკრულების დადების მოთხოვნა, რომელიც განხორციელებადია ასევე იძულების წესით.
- პირის პასუხისმგებლობა შესაძლოა გამომდინარეობდეს წინასახელშეკრულებო კანონისმიერი ვალდებულებების დარღვევიდან (C.i.C., ბრალი წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში, სკ-ის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილი).
- წინასახელშეკრულებო ეტაპზე წარმოიშობა სახელშეკრულებო ურთიერთობის მსგავსი ნდობითი ურთიერთობა, რომელიც ავალდებულებს მხარეებს 316-ე მუხლის მე-2 ნაწილში განსაზღვრული გულისხმიერების ვალდებულებების დაცვას.

კაზუსი 3. აკო, თაკო, ცხვირი და ლევანი

წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმომდგარი დამცავი ვალდებულებები; დაზრალებულის თანაბრალეულობა ზიანის დადგომაში; შოკის ზიანი; ამოო დანახარჯების ანაზღაურება; „წინასწარგანწყობილი“ პირის დაზიანება; ზიანის ანაზღაურება ამოოდ გაცდენილი დროისათვის

აკო და თაკო ახალდაქორწინებული წყვილია, იმდენად ახალდაქორწინებული, რომ თაკოს შეკითხვაზე, თუ რა მოსწონს მასში ყველაზე მეტად, აკო უპასუხებს – ცხვირი. აკომ არ იცის, რომ თაკოს ცხვირი ყოველთვის ასე პატარა და საყვარელი არ ყოფილა. როგორც ყველა ნორმალურ ახალდაქორწინებულ წყვილს, აკოსაც და თაკოსაც, რა თქმა უნდა, სჭირდებათ მშობლების ფულით ნაყიდი საკუთარი სახლი ქალაქგარეთ, ამიტომაც ორშაბათ საღამოს ლისზე არიან ამოსულები ნუგზარის სახლისა და ნაკვეთის დასათვალიერებლად, რომლის შესახებაც ონლაინგანცხადებიდან შეიტყვეს. მაშინ, როდესაც აკო, მამის დარიგებისამებრ, მარნის ფართობით არის დაინტერესებული, თაკოს ეს ყველაფერი მობეზრდა და სიგარეტის მოსაწვევად გარეთ გამოვიდა, თან გალიაში დამწყვედულ დიდ ნაგაზს ელლიცინება... თუმცა ყველაფერი ცუდად დამთავრდება: ნაგაზს, სახელად ლევანს, სპეციალურად ასეთი შემთხვევებისთვის რკინის ბადის ორი უჯრა აქვს გაფართოებული, საიდანაც გამოყოფს დრუნჩს და თაკოს ცხვირის ნაწილს მსუბუქად მოაჭამს.

ამის შემდეგ ატყდება დიდი აურზაური. აკო, დასისხლიანებული მეუღლის დანახვაზე შოკირებული, ცალკე სასწრაფოთი ხდება წასაყვანი და დასჭირდება საკმაოდ ძვირადღირებული მკურნალობა. რამდენიმე კვირის განმავლობაში დასჩემდება უაზრო კივილის შემოტევები, რაც ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ აკოს ბიპოლარული აშლილობა სჭირს და ნებისმიერი ფსიქიკური ტრავმა მასზე განსაკუთრებით მძიმედ აისახება ხოლმე.

შემთხვევის დეტალების ზუსტად აღდგენა, საბოლოო ჯამში, შეუძლებელია. ცალსახაა, რომ ანზორს დაავიწყდა ლევანის მიერ გაფართოებული რკინის ბადის დავიწროება ან სტუმრების მოსვლამდე მისი დაბმა. თუმცა, ანზორი მიიჩნევს, ეს თაკომ გააღიზიანა ლევანი იმით, რომ პირდაპირ სახეში აბოლებდა და, საერთოდაც, მისი ლისზე ამოსვლის არანაირი საჭიროება არ არსებობდა, სახლს ხომ აკო ყიდულობდა და ტელეფონზეც მხოლოდ მასთან ჰქონდა მანამდე ნასაუბრევი.

ახალდაქორწინებულ ცოლ-ქმარს მომხდარის შემდეგ სახლის ყიდვის სურვილი აღარ აქვს. ყველაფერთან ერთად აკო ითხოვს ანაზღაურებას ლისზე უშედეგოდ ამოსვლისა და „ამაოდ გაცდენილი არასამუშაო დღისათვისაც“.

შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა!

A. თაკოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა

I. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 394 I, 317 II, 316 II მუხლებისა და მესამე პირის მიმართ დამცავეფექტიანი ხელშეკრულების ურთიერთკავშირის საფუძველზე

თაკოს შეიძლება ჰქონდეს მოთხოვნის უფლება ანზორის მიმართ 394 I, 317 II, 316 II მუხლებისა და მესამე პირის მიმართ დამცავეფექტიანი ხელშეკრულების ურთიერთკავშირის საფუძველზე.

ამ შემთხვევაში მოთხოვნის საფუძველი ვერ იქნება რაიმე სახელშეკრულებო მოთხოვნა, – რადგან ხელშეკრულება აქ საერთოდ არ დადებულა, – და ვერც მხოლოდ 394 I, 317 II, 316 II მუხლები, რადგან ამ დანაწესების გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ დაზარალებული ჩართული უნდა იყოს წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში, როგორც სამომავლო კონტრაქტის. გამომდინარე იქიდან, რომ თაკოს აქ არ ჰქონია ნასყიდობის დადების არანაირი განზრახვა, 394 I, 317 II, 316 II მუხლები მოცემულ შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ მესამე პირის მიმართ დამცავეფექტიან ხელშეკრულებასთან ურთიერთკავშირში. ამ კონსტრუქციის შედეგად ხელშეკრულებას ენიჭება ასევე მესამე პირთა მიმართ შესაბამისი ეფექტი.

მესამე პირის მიმართ დამცავეფექტიანი ხელშეკრულების წინაპირობებია: კრედიტორის სიახლოვე – თაკოს ისევე უნდა ეხებოდეს ხელშეკრულებიდან წარმოშობილი საფრთხეები, როგორც ეს ეხება უშუალოდ კრედიტორს; ამ მესამე პირთა წრე უნდა იყოს შეზღუდული; მოვალეს უნდა ჰქონდეს ამ ორი ელემენტის შეცნობის საშუალება და მესამე პირი უნდა საჭიროებდეს დაცვას, ანუ არ უნდა ჰქონდეს მოვალის მიმართ საკუთარი დამოუკიდებელი სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლება (იხ. კაზუსი 4: „ინვესტორი“). აქ ოთხივე ელემენტი სახეზეა: თაკო იყო აკოს მეუღლე, რომელიც თან ახლდა მას სახლის დათვალიერებისას, ეს ცნობილი იყო ასევე ანზორისათვისაც და თაკოს არ აქვს საკუთარი სახელშეკრულებო მოთხოვნა მის მიმართ.

ამგვარად, სახეზეა მესამე პირის მიმართ დამცავეფექტიანი ხელშეკრულების წინაპირობები.

1. ვალდებულების დარღვევა

ანზორს უნდა დაერღვია 317 II, 316 II მუხლებით გათვალისწინებული (დამცავი) ვალდებულება.

ვალდებულების ეს დარღვევა მოცემულ შემთხვევაში შეიძლება გამოხატული იყოს როგორც მოქმედებაში (ძალის ყოლა), ასევე უმოქმედობაში (ავი ძალის დაუბმელად/ალიკაპის გარეშე დატოვება). ავი ძალის ყოლა ქალაქგარეთ, საკუთარ სახლში არა მხოლოდ ჩვეულებრივი მოვლენაა, არამედ ხანდახან აუცილებელიც კია სახლის დასაცავად, რის გამოც ანზორს, ზოგადად, ძალის ყოლა ვალდებულების დარღვევად ვერ ჩაეთვლება. შესაბამისად, მას შეიძლება შეერაცხებოდეს მხოლოდ ძალის დაუბმელად – უმოქმედობა – დატოვება როგორც ვალდებულების დარღვევა.

უმოქმედობა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს პასუხისმგებლობის საფუძველი, თუ არსებობდა მოქმედების სამართლებრივი ვალდებულება. ეს ვალდებულება აქ გამომდინარეობს უკვე მანამდე წარმოშობილი წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან და, გარდა ამისა, წინარე ეტაპზე საფრთხის შექმნიდან, კერძოდ, ავი ძალის ყოლიდან. ამით ანზორმა სამოქალაქო ბრუნვაში წარმოშვა საფრთხე და მას ეკისრებოდა სხვა პირების ამ საფრთხისაგან დაცვა (ე. წ. ბრუნვის უსაფრთხოების (უზრუნველყოფის) ვალდებულება⁸). ამგვარად, მას ეკისრებოდა ბრუნვის უსაფრთხოების ვალდებულება და მაქსიმალურად განეიტრალება იმ საფრთხეებისა, რაც მომდინარეობდა მისი „ინსტრუმენტისაგან“, ძალისაგან. გარდა ამისა, მოცემულ შემთხვევაში დამცავი ვალდებულების დასასაბუთებლად შესაძლებელია ასევე 1003-ე მუხლში გამყარებულ პრინციპზე მითითებაც.

ანზორის უმოქმედობა, კერძოდ ძალის გალიის დაზიანების უყურადღებოდ დატოვება, რამაც საშუალება მისცა ცხოველს, თავს დასხმოდა სტუმარს, წარმოადგენს ვალდებულების დარღვევას, რომელიც იყო კაუზალური დამდგარი დაზიანებისათვის და მის შედეგად წარმოშობილი მკურნალობის ხარჯებისათვის.

ვალდებულების დარღვევა ანზორს შეერაცხება იმ შემთხვევაშიც კი, თუ დამტკიცდება მისი ვარაუდი, რომ თაკომ ძალის გააღიზიანა სიგარეტის შებოღებით. ეს შეიძლება, ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაციის გაგებით, ცხოველის მიმართ უპატივცემულო მოპყრობა იყო, თუმცა ანზორს ისე უნდა დაემწყვდია ძალის, რომ მას პროვოცირების შემთხვევაშიც არ ჰქონოდა პროვოკატორისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა. ანზორმა გამოაქვეყნა ონლაინგანცხადება კერძო სახლის

⁸ რუსიაშვილი/ევნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 203.

გაყიდვასთან დაკავშირებით და უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ ამ სახლის საყიდლად შეიძლება მოსულიყვნენ ისეთი სტუმრები, რომელთა ქცევაც ძალისთვის გამაღიზიანებელი იქნებოდა.

2. ბრალი

გარდა ვალდებულების დარღვევისა, ანზორს უნდა შეერაცხებოდეს ასევე ბრალი (395 I), რომლის არსებობაც 394 I 2 მუხლის მიხედვით ივარაუდება. გამომდინარე იქიდან, რომ აკოს და თაკოს ვიზიტი წინასწარ იყო დაგეგმილი, ანზორმა დაარღვია სამოქალაქო ბრუნვაში გამოსაჩენი გულისხმიერების წესები, როდესაც არ გადაამონმა ლევანის გალის მდგომარეობა – როგორც კაზუსიდან ჩანს, ბადის დაზიანება მას მანამდეც ჰქონდა შემჩნეული, – ან არ დააბა ის.

ამგვარად, ანზორი ვერ მოახერხებს თავისი ბრალის ვარაუდის გაქარწყლებას.

3. ზიანის ანაზღაურების ფარგლები

ზიანს განეკუთვნება ნებისმიერი არანებაყოფლობითი ქონებრივი და ნაკლისი, რომელიც რაიმე შემთხვევის შედეგად პირს ადგება.

ა. კაუზალური ზიანი

მოთხოვნილი ზიანი უნდა გამომდინარეობდეს კაუზალურად ვალდებულების დარღვევიდან.

ანზორმა დაარღვია წინარე სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე დამცავი ვალდებულება, საიდანაც ადეკვატურად და ეკვივალენტურად (412) გამომდინარეობდა თაკოს დაზიანება. დამცავი ვალდებულების (317 II, 316 II) მიზანი ასევე მოიცავდა თაკოს ამ ზიანისაგან დაცვასაც. შესაბამისად, ამ ვალდებულების ბრალეული დარღვევის გამო ანზორმა თაკოს უნდა აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი, რომლის რაოდენობაც განისაზღვრება მკურნალობის ხარჯების მიხედვით (408 I, III). გამომდინარე იქიდან, რომ თაკომ მიიღო სხეულის დაზიანება, მას შეიძლება ეკუთვნოდეს ასევე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 413 I მუხლის შესაბამისად.

ბ. თანაბრალეულობა

თუმცა ზიანის ანაზღაურების ფარგლები შეიძლება შემცირდეს თაკოს თანაბრალეულობის შესაბამისად 415-ე მუხლის მიხედვით.

საკითხის გაღრმავებისათვის: 415-ე მუხლი თანაბრალეულობის განმაპირობებელ ფაქტორად მიიჩნევს არა წინდაუხედობას, არამედ „საკუთარი თავის წინაშე არსებული ვალდებულების“ დარღვევას. მხოლოდ დაზარალებულის საქმეა, მიიღებს თუ არა ის ზომებს საკუთარი სიკეთეების დასაცავად, თუმცა, თუ ამის გაკეთებაზე უარს იტყვის, უნდა შეეგუოს ამ შემთხვევაში საკუთარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების შეკვეცას ან სრულ დაკარგვას. ამგვარად, 415-ე მუხლის ფარგლებში „საკუთარი თავის წინაშე არსებული ვალდებულების“ დარღვევა არის საპირწონე დამზიანებლის პასუხისმგებლობის განმაპირობებელი მართლსაწინააღმდეგობისა.

415-ე მუხლზე მითითებისათვის ფაქტობრივი წინაპირობების დონეზე აუცილებელია, რომ დაზარალებულმაც თავისი ბრალეული მოქმედებით ხელი შეუწყოს ზიანის დადგომას. დაზარალებულს უნდა მიუძღოდეს ბრალი ზიანის დადგომაში, რაც 395-ე მუხლის ანალოგიით განისაზღვრება.⁹ ამ შემთხვევაშიც ძალაშია ე. წ. გაუფრთხილებლობის ობიექტური მასშტაბი. გაუფრთხილებლობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რას გააკეთებდა სამოქალაქო ბრუნვის მოცემული წრის საშუალო სტატისტიკური, გონიერი და პატიოსანი წარმომადგენელი მოსალოდნელი ზიანის წინასწარგანჭვრეტისა და მისი თავიდან აცილებისათვის.¹⁰ ანაზღაურებადი ზიანის ოდენობის შემცირება ხდება ბრალთა თანაფარდობის მიხედვით.

შენიშვნა: ორმხრივი განზრახვის შემთხვევაში მხარეთა ბრალი ერთმანეთს ანეიტრალებს და ზიანის ანაზღაურების ბედი სხვა, 415-ე, მუხლის ფარგლებში მნიშვნელოვანი კრიტერიუმების საფუძველზე უნდა გადაწყდეს;¹¹ ხოლო ორმხრივი გაუფრთხილებლობისას, ჩვეულებრივ, ზიანი მხარეთა შორის უნდა გადანაწილდეს, თუმცა, თუ ერთი მხარის გაუფრთხილებლობის ხარისხი მრავალჯერ გადაწონის მეორისას, მთლიანი ზიანი მას შეერაცხება.¹²

⁹ მაგალითად, დაზარალებულის მხრიდან ჩხუბის ან ძალადობის პროვოცირება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 ივლისის № 28/1977-11 გადაწყვეტილება (2.2.).

¹⁰ *Grüneberg*, in Palandt BGB, § 276 Rn. 15; *Looschelders*, Schuldrecht AT⁹, 352.

¹¹ *Oetker*, in Münchener Kommentar zum BGB, § 254 Rn. 112.

¹² BGH, NJW-RR 1991, 1240.

ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: თაკომ, მართალია, გააღიზიანა ძალლი საკუთარი საქციელით, თუმცა ეს ძალლი მისი პოზიციიდან იყო გალიაში გამოკეტილი და გაღიზიანების შემთხვევაშიც სრულებით უვნებელი, ამიტომაც მისი ქმედება, მაქსიმუმ, მსუბუქი გაუფრთხილებლობით ჩადენილად უნდა შეფასდეს, მაშინ, როდესაც ანზორმა უხეშად დაარღვია წინდახედულობის ნორმები, როდესაც მიივიწყა გაფართოებული (მანამდე შემჩნეული) ბადე. მოცემულ სიტუაციაში, როდესაც დაზარალებულს, მაქსიმუმ, მსუბუქი გაუფრთხილებლობა შეერაცხება, ხოლო მეორეს უხეში, ყველაზე გამართლებულია, რომ დამზიანებელს 415-ე მუხლის მიხედვით მთლიანი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისროს.

შედეგი: თაკოს შეუძლია, მოსთხოვოს ანზორს მატერიალური და არამატერიალური ზიანის სრული ოდენობით ანაზღაურება 394 I, 317 II, 316 II მუხლებისა და დამცავეფექტიანი ხელშეკრულების ურთიერთკავშირის საფუძველზე.

II. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 992-ე და 1003-ე მუხლების საფუძველზე

გარდა ზემოთ აღნიშნული მოთხოვნისა, თაკოს შეიძლება ჰქონდეს ანზორის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 992-ე მუხლის მიხედვით. ამ დელიქტური დანაწესის წინაპირობები, კერძოდ, ზიანი, ზიანის გამომწვევი მიზეზშედეგობრივი ქმედება, მართლსაწინააღმდეგობა და ბრალი აქ სახეზეა – ანზორმა ბრალეული უმოქმედობით – მაშინ, როდესაც მას ანვა მოქმედების ვალდებულება – დააზიანა თაკოს სხეული და მიაყენა ამით ზიანი.

992-ე მუხლის მიხედვით ზიანი ანაზღაურდება ზემოთ მოყვანილი ოდენობით.

გარდა აღნიშნულისა, თაკოს აქვს ასევე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება 1003-ე მუხლის მიხედვით, რადგან ანზორს მესამე პირთა დასაცავად აუცილებელი ზომები არ მიუღია.

B. აკოს მოთხოვნა „შოკის ზიანის“ ანაზღაურებასთან დაკავშირებით

I. მოთხოვნა 394 I, 317 II, 316 II მუხლების მიხედვით

აკოს შეიძლება ჰქონდეს ანზორის მიმართ შოკით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (ე. წ. „შოკის ზიანი“¹³) 394 I, 317 II, 316 II მუხლების მიხედვით.

1. ვალდებულების ბრალეული დარღვევა

სახელშეკრულებო მოლაპარაკებების დაწყებით აკოსა და ანზორს შორის წარმოიშვა წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, საიდანაც წარმომდგარი დამცავი ვალდებულება ანზორმა – იმით, რომ არ მიიღო ზომები ძალისგან მომდინარე საფრთხის გასანიჭრალეზლად – ბრალეულად დაარღვია.

2. შოკით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

ამ შემთხვევაშიც, რა თქმა უნდა, პრობლემურია ანაზღაურებადი ზიანის ოდენობის განსაზღვრა. ანაზღაურებადი ზიანის ქვეშ აქ განსახილველია ანაზღაურება შოკისთვის და ექიმის ხარჯების ანაზღაურება.

ა. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება

ფსიქიკური შოკი, ცალკე აღებული, არის არაქონებრივი ზიანი, რომელიც მხოლოდ 413-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში ანაზღაურდება.

ანზორს აკოსთვის, მართალია, პირდაპირ არ დაუზიანებია ჯანმრთელობა, თუმცა თაკოს სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად აკო ჩავარდა შოკში. თუ შოკს ჩავთვლიდით ჯანმრთელობის დაზიანებად, მაშინ ეს დაზიანება გაშუალეზულად გამოწვეული იქნებოდა ანზორის ქმედებით (ბრალეული უმოქმედობით). ჯანმრთელობის დაზიანება გულისხმობს სამედიცინო მნიშვნელობის მქონე დარღვევას სხეულებრივი, გონებრივი თუ სულიერი სასიცოცხლო პროცესებისას. ნერვული შოკი (და, ზოგადად, ფსიქიკური დარღვევა) მხოლოდ მაშინ ითვლება ჯანმრთელობის დაზიანებად, თუ მას რჩება სამედიცინო გზით დადგენადი თანმდევი შედეგები, რომლებიც მნიშვნელოვნად სცდება იმ შედეგებს, რაც „ჩვეულებრივი“ (უკვალოდ ჩავლილი) შოკის შედეგადაა მოსალოდნე-

¹³ იხ. დეტალურად: რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხ. 412, ველი 19.

ლი. ანუ შოკის შედეგად გამოწვეული დაზიანება თავისი სიმძიმით უნდა უთანაბრდებოდეს ნამდვილი ავადმყოფობის სიმძიმეს, რომელიც გამოწვეულია სხეულისა თუ ჯანმრთელობის სხვა დაზიანების შედეგად.¹⁴ თუ შოკს ორგანული დარღვევა მოჰყვა შედეგად, ივარაუდება, რომ ის თავისი სიმძიმით ჯანმრთელობის დარღვევას უთანაბრდებოდა.

მოცემულ შემთხვევაში აკოს დასჭირდა სამედიცინო დახმარება და კივილის შემოტყევებით სახეზე იყო ასევე ორგანული დარღვევა, რაც ცალსახად მეტყველებს შოკის ჯანმრთელობის დაზიანებად (413 II) მიჩნევის სასარგებლოდ.

აა. ეკვივალენტური და ადეკვატური მიზეზშედეგობრიობა

სიკეთის ხელყოფა მოცემულ შემთხვევაში გამოწვეულია ანზორის მიზეზშედეგობრივი მოქმედებით. მიზეზშედეგობრიობა, ეკვივალენტურობის თეორიის თანახმად (*conditiosinequanon*), სახეზეა. რაც შეეხება ადეკვატურობის თეორიის მიხედვით მიზეზშედეგობრიობას, ობიექტური დამკვირვებლის პოზიციიდან, ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებით, მეუღლემ შეიძლება მიიღოს შოკი დაზიანებული მეუღლის დანახვისას.

ბბ. ნორმის დაცვითი მიზანი

საკითხავია, არის თუ არა 317 II, 316 II მუხლებში გათვალისწინებული დამცავი ვალდებულების მიზანი უშუალოდ სამომავლო კონტრაჰენტის დაცვა შოკით მიყენებული ზიანისაგან. გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, ე.წ. „ფსიქიკური გზით გადაცემადი მიზეზშედეგობრიობიდან“ გამომდინარე ზიანი ამ ნორმის მიზნით მოცული არ არის. სხვა პირის დაზიანების შედეგად მიღებული ფსიქიკური ტრავმა არის ყოველდღიური რისკის რეალიზება, რომლის შედეგებიც თითოეულმა პირმა თავად უნდა ატაროს და რომლისაგან დაცვასაც არ ისახავს მიზნად მოცემული დელიქტური დანაწესი. მაგალითად, ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევი არ არის ვალდებული, აუნაზღაუროს ნებისმიერ პირს, რომელიც ამ ავტოსაგზაო შემთხვევას შეესწრება და შოკს მიიღებს, ზიანი. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც გაშუალებულად დაზიანებულ პირს დაზიანებულთან ახლო ნათესაური კავშირი აკავშირებს. მოცემულ შემთხვევაში აკო იყო დაზიანებული თაკოს მეუღლე და ხსენებული ნორმა იცავს მას მეუღლის დაზიანებით გამოწვეული ფსიქიკური ტრავმისაგან.

¹⁴ BGHZ 56, 165 f.; BGHZ 132, 344; Kötz/Wagner, Deliktsrecht, Rn. 137.

გგ. პასუხისმგებლობის მოცულობის განმსაზღვრავი მიზეზშედეგობრიობა

სამართლებრივი სიკეთის დაზიანებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზშედეგობრიობის დადგენისას პრობლემურია ასევე ის გარემოება, რომ აკო, მისი ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, წინასწარ იყო განწყობილი ამ ტიპის დაზიანებისადმი. სხვა, ჯანმრთელი ფსიქიკის მქონე, პირს შეიძლება არც კი მიეღო ასეთი მძიმე ფსიქიკური ტრავმა მეუღლის დაზიანების გამო. საკითხავია, მოცულია, თუ არა ნორმის დამცავი მიზნით აკოს დაცვა ასევე ამ ზიანისაგან. თუმცა ამგვარი „წინასწარგანწყობა“, სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, არ წარმოადგენს საბოლოო ჯამში მიზეზშედეგობრიობის გამორიცხვის საფუძველს, რადგან, ვინც „წინასწარ განწყობილ“ დაზიანებს, უნდა ზღოს კიდევ სრული ოდენობით ამის შედეგები – „მსხვერპლი უნდა მივიღოთ ისეთი, როგორც არის“.¹⁵

ამგვარად, აკოს აქვს ანზორისაგან შოკით მიყენებული არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის უფლება.

ბ. მკურნალობის ხარჯები

მიღებული შოკიდან გამომდინარე, აკოს დასჭირდა ასევე მკურნალობა, რომლის ანაზღაურებასაც ის ითხოვს ანზორისაგან ზემოხსენებული საფუძველით.

მკურნალობის ხარჯები წარმოადგენს აკოს დაზიანებით გამოწვეულ ადეკვატურ და კაუზალურ მატერიალურ ზიანს, რომელიც ნორმის დაცვითი მიზნიდან გამომდინარე შეერაცხება (იხ. ზემოთ) ანზორს. ამ ზიანის ფულადი ფორმით ანაზღაურებაუნარიანობა გამომდინარეობს 408 I, III მუხლიდან.¹⁶

ამგვარად, აკოს აქვს ანზორისაგან შოკით მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 394 I, 317 II, 316 II მუხლის მიხედვით.

II. 992-ე და 1003-ე მუხლებიდან გამომდინარე მოთხოვნები

აკოს შეიძლება ჰქონდეს ანზორის მიმართ ასევე 992-ე და 1003-ე მუხლებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

¹⁵ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხ. 412, ველი 14.

¹⁶ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხ. 408, ველი 20.

ორივე დელიქტური დანაწესის, როგორც ბრალზე დამოკიდებული, ისე ბრალისაგან დამოუკიდებელი დელიქტური პასუხისმგებლობის, წინაპირობები (მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, ბრალი) მოცემულია, ერთადერთ პრობლემურ საკითხს შეიძლება წარმოადგენდეს იმის დადგენა, მდგომარეობს თუ არა ამ დანაწესების მიზანი არა უშუალოდ დაზიანებული პირის, არამედ ასევე მისი მეუღლის შოკისაგან დაცვაში, რაც ამ შემთხვევაშიც ქმედებასა და ზიანს შორის კაუზალობის სიბრტყეში განსახილველი საკითხია. თუმცა ზუსტად ისე, როგორც ზემოთ, 394 I, 317 II 316 II მუხლებით პასუხისმგებლისას, მეუღლის ფსიქიკური შოკი არ განეკუთვნება ზოგად ცხოვრებისეულ რისკს, რომლის შედეგებიც მხოლოდ მისი სატარებელია. ამგვარად, ანზორს შეეცალება აკოს დაზიანება ასევე 992-ე და 1003-ე მუხლების მიხედვით.

აქაც, ისევე როგორც ზემოთ მოყვანილი საფუძვლით პასუხისმგებლისას, ანაზღაურდება როგორც არაქონებრივი, ისე ქონებრივი ზიანი.

C. აკოს მოთხოვნა მგზავრობის ხარჯებისა და გაცდენილი დროის ანაზღაურებასთან დაკავშირებით

გარდა შოკით მიყენებული ზიანისა, აკო ითხოვს ანაზღაურებას ასევე წინ და უკან მგზავრობის ხარჯებისა და „გაცდენილი“ დროისათვის.

I. სახელშეკრულებო მოთხოვნები

აკოს სახელშეკრულებო მოთხოვნები ანზორის მიმართ გამორიცხულია, რადგან ონლაინგანცხადება წარმოადგენდა მხოლოდ მონვევას ოფერტზე (*invitatio ad offerendum*) და, ამგვარად, ხელშეკრულება მხარეებს შორის ჯერ საერთოდ არ დადებულია.

II. მოთხოვნა 394 I, 371 II, 316 II მუხლების მიხედვით

1. ვალდებულების ბრალეული დარღვევა

ანზორს უნდა დაერღვია 317 II, 316 II მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულება ასევე აკოს წინაშეც.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ანზორის უმოქმედობა, კერძოდ, ძაღლის გალიის დაზიანების უყურადღებოდ დატოვება, რამაც საშუალება მისცა ძაღლს, თავს დასხმოდა სტუმარს, არის ვალდებულების დარღვევა, რომე-

ლიც იყო კაუზალური არა მხოლოდ თაკოს, არამედ ასევე აკოს და ზიანებისათვისაც და რამაც საბოლოო ჯამში ჩაშალა ხელშეკრულება.

ანზორს არ გაუქარწყლებია არც თავისი ბრალის ვარაუდი (394 | 2).

2. ანაზღაურებადი ზიანი

ზიანს განეკუთვნება ნებისმიერი არანებაყოფლობითი ქონებრივი და-ნაკლისი, რომელიც რაიმე შემთხვევის შედეგად პირს ადგება. მოთხოვნილი ზიანი უნდა გამომდინარეობდეს კაუზალურად ვალდებულების დარღვევიდან.

ზიანის ანაზღაურების სახით აქ აკო ითხოვს მგზავრობის ხარჯებს და ასევე ანაზღაურებას გაცდენილი დროისათვის.

ა. მისვლის ხარჯები

გამომდინარე იქიდან, რომ ანზორის სახლამდე მისვლისა და უკან წამოსვლის ხარჯები დროის განსხვავებულ მომენტშია წარმოშობილი, მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა ჩანს მიზანშეწონილი.

მისვლის ხარჯები წარმოიშვა ანზორის მიერ ვალდებულების დარღვევამდე, რის გამოც აქ უკვე სახეზე არ არის კაუზალობა ვალდებულების დარღვევასა და დამდგარ ზიანს შორის. შესაბამისად, მისი ანაზღაურება უკვე ამ საფუძვლით არის გამორიცხული და ის საკითხი, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი დანახარჯების, ნებაყოფლობითი ქონებრივი მსხვერპლის, გათანაბრება არანებაყოფლობით ქონებრივ მსხვერპლთან, ანუ ზიანთან, შეგვიძლია, განუხილველი დავტოვოთ.

ბ. უკან დაბრუნების ხარჯები

ასევე უკან დაბრუნების ხარჯების შემთხვევაშიც არ გვაქვს სახეზე კაუზალობა, რადგან ასევე ისიც არ არის წარმოშობილი ვალდებულების დარღვევის შედეგად. ანზორს ეს ზიანი არ შეეარაცხება, რადგან „მართლზომიერი ალტერნატიული ქცევის შემთხვევაშიც“ ისინი მაინც წარმოიშობოდა – ვალდებულების დარღვევის გარეშეც აკოს დასჭირდებოდა უკან დაბრუნება.

ის ზიანი, რომელიც მართლზომიერი (ვალდებულების დარღვევის გარეშე) ქცევის გარეშეც წარმოიშობოდა, ვალდებულების დაცვითი მიზნით მოცული არ არის.

გ. ამაოდ გაცდენილი ორშაბათი

საკამათოა გაცდენილი თავისუფალი დროის ანაზღაურების საკითხი. კერძოდ ის ფაქტი, დასაშვებია თუ არა ამ შემთხვევაში ხელყოფილი ინტერესის 414-ე მუხლის მიხედვით ფულადი კვანტიფიცირება.¹⁷

ერთი მოსაზრების მიხედვით, მაგალითად,¹⁸ გამომდინარე იქიდან, რომ დასასვენებელ კურორტზე დროის გატარების შესაძლებლობის მოპოვებას, ჩვეულებრივ, ქონებრივი დანახარჯების გაღება სჭირდება, ის ამგვარად წარმოადგენს კომერციულიზებულ დროს და მისი დაკარგვაც მატერიალურ ზიანად უნდა დაკვალიფიცირდეს; საწინააღმდეგო მოსაზრება¹⁹ უთითებს იმ ფაქტზე, რომ დასვენებით მიღებული სიამოვნება არამატერიალურ ხასიათს ატარებს, განპირობებულია კონკრეტული პიროვნების ინდივიდუალური თვისებებით და, შესაბამისად, მისი ჩაშლის შემთხვევაშიც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ 413-ე მუხლის მიხედვით არის შესაძლებელი.

ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში ჩაშლილი შვებულებისათვის კომპენსაციის მოთხოვნის სპეციალურ წესს აწესრიგებს 662 II მუხლი.

საკითხის გაღრმავებისათვის: 662 II მუხლის ადგილი ზიანის ანაზღაურების სამართლის დოგმატიკის ფარგლებში საკამაოდ საკამათოა. ერთი მოსაზრების თანახმად,²⁰ ის წარმოადგენდა სწორედ ხსენებული კომერციულიზაციის პრინციპის ნორმატიულ კონსტანტაციას, თუმცა დღესდღეობით გაბატონებულია საწინააღმდეგო მოსაზრება,²¹ რომლის მიხედვითაც ეს დანაწესი არამატერიალური ზიანის ანაზღაურებას ემსახურება და არღვევს ამგვარად 413 I მუხლში გამყარებულ პრინციპს. ეს ნორმა არ მოქმედებს დელიქტურ სამართალში, რის გამოც ავტოავარიაში დაზიანებული პირი ვერ მოითხოვს დამზიანებლისაგან შეუმდგარი შვებულებისათვის ზიანის ანაზღაურებას.²² ეს უკანასკნელი გარემოება შეიძლება მხოლოდ 413 II მუხლის მიხედვით არამატერიალური ზიანის გამოთვლისას იქნეს გათვალისწინებული.

¹⁷ იხ. დეტალურად *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხ. 414, მე-19 და მომდევნო ველები.

¹⁸ BGH NJW 1956, 1234.

¹⁹ Larenz, Schuldrecht I, § 29 Ild.

²⁰ BGHZ 76, 185; BGHZ 77, 120.

²¹ BGH NJW 2005, 1050.

²² BGHZ 86, 212.

დასაშვებია 662 II მუხლის ანალოგიით გამოყენება სხვა ხელშეკრულებების ფარგლებშიც, რის წინაპირობაც არის ის გარემოება, რომ შვებულებით ტკობის შესაძლებლობა სახელშეკრულებო შეთანხმების (არამთავარ) ნაწილს შეადგენდეს,²³ როგორც არის, მაგალითად, დასასვენებელი სახლის ქირაობა.²⁴

საკითხის გაღრმავებისათვის: პრობლემურია შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულების საგანს სწორედ რომ უფლებამოსილი პირის მიერ დროის სასიამოვნოდ გატარება წარმოადგენდა. მაგალითად, გერმანულმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადანწყვეტილებაში,²⁵ ორგანიზატორის ბრალით გაცდენილი კონცერტის შემთხვევაში,²⁶ ბილეთის ღირებულების დაბრუნების გარდა, ანაზღაურებადად მიიჩნია ასევე დაკარგული დრო. მოუწია რა დაზარალებულს ამ ღონისძიებაზე დასწრებისათვის ხარჯების განევა, ის ვერ ჩაითვლებოდა მხოლოდ არამატერიალური ღირებულების მქონედ. სასამართლომ ამ შემთხვევაშიც კომერციალიზაციის პრინციპით იხელმძღვანელა. ეს გადანწყვეტა, საბოლოო ჯამში, სამართლიანად არის უკუგდებული.²⁷

ამ გამონაკლისის გარდა, ყველა სხვა შემთხვევაში, კომერციალიზაციის პრინციპი არასაკმარისია იმისათვის, რათა განსაზღვრული არამატერიალური სიამოვნების მიღება ქონებრივ სიკეთედ დაკვალიფიცირდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში თითქმის ყველა ცხოვრებისეული სიამოვნება ასეთად უნდა ჩაგვეთვალა, რაც ზედმეტად აქცევდა 413 I მუხლის დანაწესს. ამგვარად, დაკარგული დრო არ უნდა ჩაითვალოს არამატერიალურ ზიანად, რომელიც არაანაზღაურებადია.²⁸ განსხვავდება რა დაკარგული თავისუფალი დრო საშვებულებო მოგზაურობისაგან, 662 II მუხლის ანალოგიით გამოყენება დაუშვებელია.²⁹

მოცემულ შემთხვევაში ის საგამონაკლისო შემთხვევაც კი არ გვაქვს სახეზე, რომელიც, არაგაბატონებული მოსაზრების თანახმად, ამოდგაცდენილ დროს ჩათვლიდა ზიანად კომერციალიზაციის პრინციპის სა-

²³ BGHZ 86, 212.

²⁴ BGHZ 80, 368.

²⁵ AG Herne-Wanne, NJW 1998, 3651.

²⁶ კონცერტის გაცდენა გამოწვეული იყო იმით, რომ ორგანიზატორმა ბილეთის მფლობელს (კუთვნილი) დასაჯდომი ადგილის მაგივრად ფეხზე დადგომა შესთავაზა.

²⁷ Looschelders, Schuldrecht AT⁹, 344.

²⁸ Larenz, Schuldrecht I, § 29 Ild.

²⁹ AG Herne-Wanne, NJW 1998, 3652.

ფუძველზე. შესაბამისად, აკოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გაცდენილი ორშაბათისათვის უნდა გამოირიცხოს.

აკოს არ აქვს ანზორისაგან მგზავრობისათვის გაღებული ხარჯებისა და დაკარგული დროისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება 394 I, 317 II, 316 II მუხლების მიხედვით.

III. მოთხოვნა 317 III მუხლის მიხედვით

აკოს შეიძლება ჰქონდეს მგზავრობის დანახარჯების, როგორც ხელშეკრულების დასადავად გაწეული ხარჯების ანაზღაურების, მოთხოვნის უფლება 317 III მუხლის მიხედვით.

საკითხავია, მოცულია თუ არა ამ დანაწესით ასევე ის ხარჯები, რომელთა განევაც წინასახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობამდე მოხდა. ზოგადად, მხარე, რომელიც ცალმხრივად დგამს ნაბიჯს და იღებს ხარჯებს იმ ხელშეკრულების დადების იმედით (მაგ., საგაზეთო განცხადების წაკითხვის შემდეგ პირდაპირ გასაყიდი სახლის მისამართზე მისვლა), ვერ მოსთხოვს მეორე მხარეს ამ ხარჯების ანაზღაურებას, ამ უკანასკნელის მიერ ხელშეკრულების ბრალეულად ჩაშლის შემდეგაც. ეს ნათლად ჩანს თავად ამ დანაწესის ფორმულირებიდან, რომელიც საუბრობს უკვე გარკვეულ ეტაპზე მისული მოლაპარაკებების ჩაშლაზე (და მის ფარგლებში განხორციელებულ დანახარჯებზე) და არა ამ მოლაპარაკებებამდე გაწეულ ხარჯებზე.

A. თაკოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა
<p>I. მოთხოვნა 394 I, 317 II, 316 II მუხლებით + დამცავეფექტიანი ხელშეკრულება (+)</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ დამცავეფექტიანი ხელშეკრულება (+) ➤ ვალდებულების დარღვევა (+) ➤ ბრალი (+) ➤ ზიანის ანაზღაურების ფარგლები <ul style="list-style-type: none"> ○ კაუზალური ზიანი (+) ○ თანაბრალეულობა (-) <p>II. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 992-ე და 1003-ე მუხლებით (+)</p>
B. აკოს „შოკის ზიანის“ მოთხოვნა
<p>I. მოთხოვნა 394 I, 317 II, 316 II მუხლებით (+)</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ვალდებულების ბრალეული დარღვევა (+) ➤ შოკით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (+) <ul style="list-style-type: none"> ○ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება (+) <ul style="list-style-type: none"> ▪ ეკვივალენტური და ადეკვატური მიზეზშედეგობრიობა (+) ▪ ნორმის დაცვითი მიზანი (+) ➤ მკურნალობის ხარჯები (+) <p>II. მოთხოვნა 992-ე და 1003-ე მუხლებით (+)</p>

თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, აკოსა და ანზორს შორის უკვე ლისში ასვლამდე არსებობდა გარკვეული მოლაპარაკებები, რის საფუძველზეც გაემართა აკო ადგილზე სახლის დასათვალიერებლად და რის გამოც გასნია მგზავრობის ხარჯები.

ანზორის მხრიდან ვალდებულების ბრალეულმა დარღვევამ ხელშეკრულება ჩაშალა. ამგვარად, სახეზეა მოცემული დანაწესით პასუხისმგების ყველა წინაპირობა.

აკოს შეუძლია მოსთხოვოს ანზორს მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება 317 III მუხლის მიხედვით.

C. ხარჯებისა და გაცდენილი დროის ანაზღაურების მოთხოვნა

I. სახელშეკრულებო მოთხოვნები (-)

II. მოთხოვნა 394 I, 371 II, 316 II მუხლებით (-)

- ვალდებულების ბრალეული დარღვევა (+)
- ანაზღაურებადი ზიანი (-)
 - მისვლის ხარჯები (-)
 - უკან დაბრუნების ხარჯები (-)
 - ამაოდ გაცდენილი ორშაბათი (-)

III. მოთხოვნა 317 III მუხლით (+)

შედეგი: თაკოს ზიანი (+); აკოს „შოკის ზიანი“ (+), ხარჯები (+), გაცდენილი დრო (-).

სამახსოვრო!

- უმოქმედობა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს პასუხისმგებლობის საფუძველი, თუ არსებობდა მოქმედების სამართლებრივი ვალდებულება.
- 415-ე მუხლი თანაბრალეულობის განმაპირობებელ ფაქტორად მიიჩნევა არა წინდაუხედაობას, არამედ „საკუთარი თავის წინაშე არსებული ვალდებულების“ დარღვევას.
- ნერვული შოკი (და, ზოგადად, ფსიქიკური დარღვევა) მხოლოდ მაშინ ითვლება ჯანმრთელობის დაზიანებად, თუ მას რჩება სამედიცინო გზით დადგენადი თანმდევი შედეგები, რომლებიც მნიშვნელოვნად სცდება იმ შედეგებს, რაც „ჩვეულებრივი“ (უკვალოდ ჩავლილი) შოკის შედეგადაა მოსალოდნელი.
- გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, ე. წ. „ფსიქიკური გზით გადაცემადი მიზეზშედეგობრიობიდან“ გამომდინარე, ზიანი ამ ნორმის მიზნით მოცული არ არის. სხვა პირის დაზიანების შედეგად მიღებული ფსიქიკური ტრავმა წარმოადგენს ყოველდღიური რისკის რეალიზებას, რომლის შედეგებიც თითოეულმა პირმა თავად უნდა ატაროს და რომლისაგან დაცვასაც არ ისახავს მიზნად მოცემული დელიქტური დანაწესი.
- გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც გაშუალებულად დაზიანებულ პირს დაზიანებულთან ახლო ნათესაური კავშირი აკავშირებს.
- გამონაკლისის სახით, ე. წ. კომერციალიზაციის პრინციპის საფუძველზე, ანაზღაურებადია ასევე ამაოდ დაკარგული დროც.

კაზუსი 4. ინვესტორი

მესამე პირის პასუხისმგებლობა წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან; ხელშეკრულება მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით

ადვოკატმა პაკომ ჯერ ცოტა ფული იშოვა, მერე კი ძალიან ბევრი ფული, რის შემდეგაც გადანყვეტილი აქვს, თავად გახდეს ის, „ვისაც დღედაღამ ჰნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი“, ანუ ინვესტორი. პირველი ინვესტიციის სახით გადანყვეტილი აქვს, იყიდოს ქალაქის ძველ უბანში ბინები, გაარემონტოს და შემდეგ ორმაგ ფასად გაყიდოს ან გააქიროს.

პირველ სამსართულიან საკუთარ სახლს იყიდის ნოდარისაგან, რომელიც, ნოდარის დაკვეთით არქიტექტორ აკაკის მიერ შესრულებული დასკვნის თანახმად, არის სრულიად დაუზიანებელ მდგომარეობაში და ბზარები აქვს მხოლოდ ფასადზე, ხოლო შენობის ფუნდამენტს არაფერი ემუქრება. სახლის ყიდვის შემდეგ პაკო მას ჩაუტარებს საფუძვლიან რემონტს და მის გაყიდვას, სულ მცირე, 400 000 ლარად გეგმავს. თუმცა პირველივე კლიენტის მიერ დაქირავებული არქიტექტორი შენობის მდგომარეობას შეაფასებს როგორც „კატასტროფულს“. შენობა არის ავარიული და საძირკველამდე ჩასული ბზარების გამო უკვე აღარ ექვემდებარება არც გამაგრებას და არც რაიმე სხვა ტიპის რესტავრაციას. მისი ღირებულება მიმდინარე მომენტისათვის შეიძლება იყო მხოლოდ ოდნავ მეტი, ვიდრე იმ მიწის ფასი, რომელზეც დგას – მაქსიმუმ, 100 000 ლარი.

პაკო სრული თანხის ამოღებას ისევ არქიტექტორ აკაკისაგან აპირებს, რადგან ნოდარმა ამასობაში მთლიანი ქონება უკვე გაფლანგა და სოფელში გადასახლდა, მამიდასთან.

ვარიანტი: პირველმა წარუმატებელმა ინვესტიციამ პაკო ვერ გატეხა – არც სტივ ჯობსი შობილა მილიარდერად. ამჯერად მას გადანყვეტილი აქვს საკუთარი, მეზობლებისაგან გამოსყიდული და კიდევ რამდენიმე სახლის მიწასთან გასწორება და მათ ადგილზე თექვსმეტსართულიანი კორპუსის წამომართვა. ამისათვის მას მეუღლესთან ერთად დროებით ნაქირავებ ბინაში გადასახლება უნევს. სწორედ ამ ნაქირავებ ბინაში შეემთხვევა მეორე უსიამოვნება. კედლის დეკორაცია – „მოლიმარი ამური“ – თავზე დაეცემა მის მეუღლეს, ნათელას და მნიშვნელოვნად დააზიანებს.

პაკოს აინტერესებს, აქვს თუ არა აკაკისაგან, ხოლო ნათელას – გამქირავებელ კოკისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მაშინაც კი, თუ ეს უკანასკნელი მოახერხებს იმის დამტკიცებას, რომ მას „ამურის“ ჩამოვარდნაში ბრალი არ მიუძღვის.

A. პაკოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა აკაკის მიმართ

პაკოს შეიძლება ჰქონდეს აკაკისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 394 | მუხლის შესაბამისად.

I. ვალდებულების დარღვევა – 317 II, 316 II მუხლების ანალოგია

ამისათვის აუცილებელია პაკოსა და აკაკის შორის არსებული ვალდებულებითი ურთიერთობა, რომლიდან წარმოშობილ ვალდებულებასაც აკაკი ბრალეულად დაარღვევდა. დასკვნის მომზადება არქიტექტორ აკაკის შეუკვეთა არა პაკომ, არამედ გამყიდველმა ნოდარმა. თუმცა, მიუხედავად ამისა, პაკოსა და აკაკის შორის შეიძლება წარმოშობილიყო დამოუკიდებელი ვალდებულებითი ურთიერთობა 317 II, 316 II მუხლების ანალოგიის საფუძველზე (შდრ. გსკ-ის 311 III 2 პარაგრაფი), როგორც იმ პირებს შორის, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ არ ხდებიან ხელშეკრულების მხარეები, ანუ რჩებიან მესამე პირებად, სარგებლობენ მაღალი ნდობით ერთმანეთის მიმართ და ამ ნდობის საფუძველზე იდება ხელშეკრულება. მოცემულ შემთხვევაშიც არქიტექტორმა აკაკიმ, სარგებლობდა რა საკუთარი პროფესიული სტატუსიდან გამომდინარე მაღალი ნდობით, მნიშვნელოვანწილად განაპირობა ხელშეკრულების ამ ფასად დადება.

საკითხის გაღრმავებისათვის: მიუხედავად იმისა, რომ გსკ-ში მესამე პირის პასუხისმგებლობა ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიმართ პირდაპირ არის გათვალისწინებული 311 III პარაგრაფში, გერმანული სასამართლო, ზემოთ მოცემული შემთხვევების მსგავს კონსტელაციებშიც (მაგ. დასკვნის მომზადება), მაინც მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით ხელშეკრულების პრინციპებს იყენებს, შემდეგი ორი არგუმენტით:

1. დასკვნის შემდგენელსა და შემკვეთს შორის წარმოშობილი ურთიერთობის გათვალისწინება იძლევა, განმარტებისა (52) და ნდობისა და კეთილსინდისიერების (8 III) საფუძველზე, ყოველი კონკრეტული შემთხვევის თავისებურებებისათვის ანგარიშის გაწევის საშუალებას.
2. მხოლოდ ამ დროს არის შესაძლებელი დასკვნის შემდგენლის პასუხისმგებლობის შემოფარგვლა და მესამე პირის მიმართ შესაბამისი შესაგებლის მინიჭება (შდრ. 349-ე მუხლი: შემპირებელს, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოვალის შესაგებელი აქვს ასევე მესამე პირის მიმართაც).

გსკ-ის 311 III პარაგრაფის გამოყენების სფეროდ რჩება მხოლოდ ისეთი შემთხვევები, როდესაც მესამე პირი სარგებლობს განსაკუთრებით მაღალი ნდობით, მაგრამ არ არის სახეზე ხელშეკრულება მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით, ან როდესაც მესამე პირს აქვს საკუთარი ინტერესი ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით.

თუმცა ის რეგულატორული ვაკუუმი, რომლის ამოცნობაც 317 II, 316 II მუხლების ანალოგიით იქნებოდა აუცილებელი, არ არსებობს, თუ მოცემული შემთხვევა მესამე პირის მიმართ დამცავეფექტიანი ხელშეკრულების-სამართლებრივი ფიგურის³⁰ გამოყენების სფეროს წარმოადგენს.

II. „ხელშეკრულება მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით“

ეს ინსტიტუტი თავდაპირველად განავითარეს 349-ე მუხლზე დაყრდნობით, თუმცა ამ ორ ინსტიტუტს შორის არსებითი განსხვავებაა – მესამე პირს დამცავეფექტიანი გარიგებისას არ აქვს მოვალის მიმართ შესრულების მოთხოვნა. დღესდღეობით ეს ინსტიტუტი ეფუძნება ხელშეკრულების შემავსებელ განმარტებასა და კეთილსინდისიერების პრინციპს (8 III).

საკითხის გაღრმავებისათვის: გერმანიაში ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შემდეგ მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით ხელშეკრულების ნორმატიულ საფუძვლად გსკ-ის 311 III 1 პარაგრაფსაც მიიჩნევენ.

თუმცა დამოუკიდებლად კონკრეტული ნორმატიული საფუძვლისა, ამ ინსტიტუტის წინაპირობები სამივე მოსაზრების მიხედვით ერთი და იგივეა და შემდეგში მდგომარეობს:

1. კრედიტორის სიახლოვე, მესამე პირთა შეცნობადობა

კრედიტორის სიახლოვე – პაკოს ისევე უნდა ეხებოდეს არასწორი დასკვნიდან წარმოშობილი საფრთხეები, როგორც ეს ეხება უშუალოდ კრედიტორს; ამ მესამე პირთა წრე უნდა იყოს შეზღუდული; მოვალეს უნდა ჰქონდეს ამ ორი ელემენტის შეცნობის საშუალება და მესამე პირი უნდა საჭიროებდეს დაცვას, ანუ არ უნდა ჰქონდეს მოვალის მიმართ საკუთარი დამოუკიდებელი სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლება.

³⁰ რუსიაშვილი/ალადაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხ. 349, 37-ე და მომდევნო ველები.

აქ ეს სამივე ელემენტი სახეზეა.

დასკვნის შემკვეთსა და მის კონტრაჰენტზე, ვისაც უნდა წარუდგინოს მან ეს დასკვნა, თანაბრად ვრცელდება დასკვნის ნაკლოვანებიდან წარმოშობილი რისკები. შემკვეთს აქვს ინტერესი კონტრაჰენტისათვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდებისა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოუწევს მის წინაშე ნაკლის გამო პასუხისგება.

შენიშვნა: კონკრეტულ შემთხვევაში შემკვეთის რეალური საპირისპირო ინტერესი – როდესაც მას აწყობს მის სასარგებლოდ შედგენილი დასკვნით კონტრაჰენტის შეცდომაში შეყვანა – ამ ნორმატიულ-შეფასებით მსჯელობას, რომ ასევე დამკვეთის ინტერესებშიც შედის კონტრაჰენტისათვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდება, ვერ ცვლის.

ამგვარად, მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით ხელშეკრულებების სამი წინაპირობა – კრედიტორის სიახლოვე, კრედიტორის ინტერესი მესამე პირის დაცვასთან დაკავშირებით და შეცნობადობა მოვალისათვის – სახეზეა.

2. მესამე პირის დაცვის საჭიროება

მოცემულ შემთხვევაში პრობლემური შეიძლება იყოს ამ ინსტიტუტის მხოლოდ მეოთხე წინაპირობა – გამორიცხავს თუ არა უშუალოდ გამყიდველის ნაკლიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობა პაკოსათვის, როგორც მესამე პირისათვის, აკაკის მიმართ მოთხოვნის უფლების მინიჭების აუცილებლობას. პაკოს აქვს აკაკის მიმართ თავისი დამოუკიდებელი მოთხოვნები ნაკლოვანი შესრულების გამო. თუმცა მესამე პირი დაცვას საჭიროებს მაშინაც, როდესაც ამ სხვა მოთხოვნას – რომელიც უშუალოდ კონტრაჰენტის წინააღმდეგ არის მიმართული – სხვა წინაპირობები აქვს³¹. გამყიდველის ნაკლიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობა მიმართულია ნაკლის გასწორებისაკენ (წყალშემდგარი საძირკვლის მდგომარეობის გამოსწორება), ხოლო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა აკაკის მიმართ – ნივთის ძვირად გაყიდვის გაშვებული შანსის კომპენსირებისაკენ.

ზემოთ ხსენებულის გამო პაკოს აქვს აკაკის მიმართ თავისი დამოუკიდებელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული მომსახურების ხელშეკრულებიდან.

³¹ BGH NJW 2004, 3630, 3632.

შედეგი: პაკოს აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

B. ვარიანტის ამოხსნა – ნათელას ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა

ნათელას შეიძლება ჰქონდეს კოკის მიმართ ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 537-ე და 413 II მუხლის შესაბამისად. ამისათვის აუცილებელია, რომ ნათელასა და კოკის შორის წარმომოხილველ ვალდებულებითი ურთიერთობა. ნათელა ცხოვრობს კოკის ბინაში, მაგრამ ბინას ქირაობს მისი მეუღლე, რომელიც არის კიდევ ამ ქირავნობის ხელშეკრულების მხარე.

თუმცა ნათელას მოთხოვნის საფუძველი შესაძლებელია იყოს „მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით ხელშეკრულების“ ინსტიტუტი.

იმისათვის, რომ პაკოსა და გამქირავებელს შორის დადებული ხელშეკრულება იყოს მესამე პირის – ნათელას – მიმართ დამცავი ეფექტიანი ხელშეკრულება, აუცილებელია: კრედიტორის სიახლოვე – ნათელას ისევე უნდა ეხებოდეს ხელშეკრულებიდან წარმომოხილველ საფრთხეები, როგორც ეს ეხება უშუალოდ კრედიტორს; ამ მესამე პირთა წრე უნდა იყოს შეზღუდული; მოვალეს უნდა ჰქონდეს ამ ორი ელემენტის შეცნობის საშუალება და მესამე პირი უნდა საჭიროებდეს დაცვას, ანუ არ უნდა ჰქონდეს მოვალის მიმართ საკუთარი დამოუკიდებელი სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლება. აქ ოთხივე ელემენტი სახეზეა. ქმარსა და ცოლზე ერთ ჭერქვეშ თანაცხოვრებისას თანაბრად ვრცელდება გაქირავებული ბინის ნაკლოვანებებიდან წარმომოხილველ რისკები. ქმარს აქვს ინტერესი ცოლის ამ რისკისაგან დაცვის მიმართ, ეს შეცნობადია ასევე მოვალისათვისაც. შეცნობადობისათვის არ არის აუცილებელი, რომ ქირავნობის ხელშეკრულებით დაშვებული და შეთანხმებული იყოს მესამე პირთა ცხოვრება ამ გაქირავებულ ბინაში. ქირავნობა არის ხანგრძლივი დროით დადებული ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულების შემავსებელი განმარტებით დგინდება (თუ დამქირავებელი თავიდანვე სხვა რამეს არ განაცხადებს), რომ ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში დასაშვებია ბინაში იცხოვროს არა მხოლოდ დამქირავებელმა. მესამე პირი – ნათელა – საჭიროებს დაცვას, რადგან მას არ აქვს საკუთარი, ბრალისაგან დამოუკიდებელი, მოთხოვნის უფლება – მას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ბრალზე დამოკიდებული დელიქტური მოთხოვნა, რითაც მისი დაცვა ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილი არ არის.

საკითხის გაღრმავებისათვის: გარდა ამისა, დელიქტური პასუხისმგებლობისას, განსხვავებით სახელშეკრულებოსაგან, ბრალი არ ივარაუდება. ასევე, დელიქტური მოთხოვნა ამ დროს, ზოგადად, ვერ უზრუნველყოფს პირის სრულად დაცვას. მაგალითად, მოცემულ შემთხვევაში, თუ არ დაუშვებთ მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით დადებულ ხელშეკრულებას, მაშინ არ არის მართლსაწინააღმდეგო, რომ ვილაცას, რომელიც დამქირავებლის ნებისაგან დამოუკიდებლად ბინაში შემოვიდა, თავზე დაეცა სარკე – აქტიური ქმედებით სხვისი აბსოლუტური სიკეთის დაზიანებისას მართლსაწინააღმდეგოობა ივარაუდება, მაგრამ მართლსაწინააღმდეგოობა არ ივარაუდება უმოქმედობით სხვისი სიკეთის დაზიანებისას. უმოქმედობა მხოლოდ მაშინ არის მართლსაწინააღმდეგო, თუ არსებობს მოქმედების ვალდებულება. ეს მოქმედების ვალდებულება კი, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა – არ არსებობს ვალდებულება სარკის მყარად დამაგრებისა იმისათვის, რომ თავზე არ დაეცეს დაუპატიჟებელ სტუმარს და მეუღლე მასზე, როგორც მესამე პირზე, დამცავი ვალდებულებების გავრცელების გარეშე, სწორედ „დაუპატიჟებელი სტუმრის“ სტატუსით სარგებლობს.

მოთხოვნის დანარჩენი წინაპირობებიც სახეზეა. ნივთი იყო ნაკლოვანი 535-ე მუხლის შესაბამისად – კედელზე არამყარად დამაგრებული „ამური“ ამცირებდა მის ვარგისიანობასა და გამოუსადეგარს ხდიდა ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. ამ ნაკლმა მიაყენა კიდევ ნათელას ზიანი.

შედეგი: ნათელას აქვს გამქირავებლის მიმართ ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 537-ე და 413 II მუხლების მიხედვით.

A. პაკოს მოთხოვნა (+)

I. ვალდებულების დარღვევა –317 II, 316 II (-)

II. „დამცავეფექტიანი“ ხელშეკრულება (+)

- კრედიტორის სიახლოვე, მესამე პირთა შეცნობადობა (+)
- მესამე პირის დაცვის საჭიროება (+)

B. ნათელას მოთხოვნა „დამცავეფექტიანი“ ხელშეკრულებიდან (+)

სამახსოვრო!

- 317 II, 316 II მუხლების ანალოგიის საფუძველზე დასაშვებია, რომ იმ პირებს შორის, რომლებიც, თუმცა არ ხდებიან ხელშეკრულების მხარეები, ანუ რჩებიან მესამე პირებად, სარგებლობენ მაღალი ნდობით ერთმანეთის მიმართ და ამ ნდობის საფუძველზე იდება ხელშეკრულება, წარმოიშვას დამოუკიდებელი ვალდებულებითი ურთიერთობა.
- მესამე პირებზე სახელშეკრულებო (დამცავი) ვალდებულებითი პროგრამის გავრცელების ხერხია ასევე „მესამე პირის მიმართ დამცავეფექტიანი“ ხელშეკრულების-სამართლებრივი ფიგურა.
- მესამე პირის მიმართ დამცავეფექტიან ხელშეკრულებას სამი წინაპირობა აქვს: კრედიტორის სიახლოვე, კრედიტორის ინტერესი მესამე პირის დაცვასთან დაკავშირებით; შეცნობადობა მოვალისათვის; მესამე პირის დაცვის საჭიროება.

კაზუსი 5. სასმელი წყალი

(ძირითადი და დამატებითი ვალდებულებები, პირველადი და მეორეული მოთხოვნები)

სასმელი წყლის დეფიციტის გამო ახალციხის მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა, მოიძიოს სასმელი წყლის ახალი წყაროები. მუნიციპალიტეტის შესაბამისმა სამსახურებმა ახლო მდებარე სოფელში მიაგნეს წყაროს, სადაც შესაძლებელია, დამონტაჟდეს წყლის ამოსაქაჩი მოწყობილობა, იმ შემთხვევაში, თუ წყლის სასმელად ვარგისიანობა დადგინდება. ამ მიზნით მუნიციპალიტეტმა კომპანია შპს „წყალს“ დაუკვეთა წყლის მცირე ანალიზი, რომელიც წყლის ფართო ანალიზისგან განსხვავდება იმით, რომ მის ფარგლებში დგინდება მხოლოდ წყლის შემადგენელი ნივთიერებები, თუმცა არ იზომება მათი რაოდენობა წყლის შემადგენლობაში.

შპს „წყალმა“ ერთ კვირაში წარადგინა დასკვნა, სადაც იგი მიუთითებდა წყალში სულფატის არსებობაზე, თუმცა, დასკვნის მიხედვით, წყალში არ დგინდებოდა რკინისა და მაგნიუმის არსებობა. მუნიციპალიტეტი დაეყრდნო რა დასკვნას, შეიძინა მიწის ნაკვეთი, სადაც მდებარეობდა წყარო და დაამონტაჟა წყლის ამოსაქაჩი მოწყობილობა. მოგვიანებით დადგინდა, რომ წყალი დაშვებულ ნორმაზე მეტ სულფატს შეიცავს, რის გამოც წყალი დასაღვევად უვარგისია. გარდა ამისა, ასევე დადგინდა, რომ წყალი შეიცავს რკინასა და მაგნიუმს, თუმცა ეს გავლენას არ ახდენს წყლის ხარისხზე.

მუნიციპალიტეტი შპს „წყლისგან“ ითხოვს უსარგებლოდ განუული დანახარჯების (წყლის ამოსაქაჩი მოწყობილობის ხარჯების) ანაზღაურებას.

A. მუნიციპალიტეტის მოთხოვნა 494 I, 644-ე, 405-ე მუხლების საფუძველზე

მუნიციპალიტეტის მოთხოვნა შპს „წყლის“ მიმართ წყლის ამოსაქაჩი ნაგებობისთვის განეული თანხების მოთხოვნის თაობაზე შესაძლოა გამომდინარეობდეს სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 644-ე და 405-ე მუხლებიდან.

ამოსაქაჩი ნაგებობისთვის განეული თანხების ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლოა, გამომდინარეობდეს ნაკლის გამო პასუხისმგებლობიდან, იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა დასკვნის ნაკლი. ნაკლის გამო წარმოშობილი მოთხოვნა არის მეორეული ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა პირველადი ვალდებულების დარღვევიდან. პირველადი ვალდებულება, ჩვენს შემთხვევაში, არის შემკვეთის უფლება – მიიღოს უნაკლო ნაკეთობა.

ერთმანეთისგან განასხვავებენ პირველად და მეორეულ ვალდებულებებს (მოთხოვნებს). პირველადი (მოთხოვნის) ვალდებულებების მიზანია ხელშეკრულების შესრულება. კაზუსის მიხედვით, შპს „წყლის“ პირველადი ვალდებულება, ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში, არის უნაკლო დასკვნის შედგენა კომპეტენტური გამოკვლევის საფუძველზე. ხოლო მუნიციპალიტეტის პირველადი ვალდებულებაა შპს „წყლისთვის“ შეთანხმებული საზღაურის გადახდა (სკ-ის 629-ის 1-ლი ნაწილი).

მეორეული ვალდებულებები წარმოიშობა პირველადი ვალდებულებების დარღვევის შედეგად. ასეთებია, მაგალითად, ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე (394-ე და მომდევნო მუხლები), ნაკლის გამო პასუხისმგებლობა (მაგ., ნასყიდობის სამართალში – 490-ე და შემდგომი მუხლები, ნარდობის სამართალში – 642-ე და შემდგომი მუხლები), ხელშეკრულებიდან გასვლა (352-ე და შემდგომი მუხლები). მეორეული ვალდებულებები ანაცვლებენ პირველად ვალდებულებებს (მაგ., შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება, სკ-ის 394-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით), ან ავრცობენ დარღვეულ პირველად ვალდებულებებს და წინაპირობად აწესებენ (როგორც წესი) მოვალის ბრალეულობას (მაგ., მოვალის მიერ ვადის გადაცილებით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება სკ-ის 404-ე მუხლის მიხედვით).

I. ნარდობის ხელშეკრულება (სკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილი)

ხელშეკრულების მიხედვით, შპს „წყლის“ ვალდებულებაა წყლის ანალიზის გაკეთება და შედეგების დასკვნის სახით წარმოდგენა. მაშასადამე, ხელშეკრულების მიზანი არის დასკვნის შედგენა, ანუ განსაზღვრული მიზნის მიღწევა და არა რაიმე მომსახურების განწევა. შესაბამისად, სახეზეა ნარდობის ხელშეკრულება (და არა მომსახურებისა). სკ-ის 629-ე მუხლში მოხსენიებული „ნაკეთობის დამზადება“ უფრო ფართოდ განიშარტება და ის მოიცავს არა მარტო რაიმე მატერიალურ შედეგს, არამედ ასევე ნებისმიერ სამუშაოს, რომელიც კონკრეტული პროდუქტის შექმნას ისახავს მიზნად. შესაბამისად, საექსპერტო დასკვნა სკ-ის 629-ის ფარგლებში შესაძლებელია შეფასდეს როგორც ნაკეთობა. ძირითად შემთხვევებში ხელშეკრულებები დასკვნის შედგენის თაობაზე მიიჩნევა ნარდობის ხელშეკრულებებად³². მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახეზეა ნარდობის ხელშეკრულება მუნიციპალიტეტსა და შპს „წყალს“ შორის.

II. პასუხისმგებლობა დასკვნის ნაკლის გამო

სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 644-ე და 405-ე მუხლების თანახმად, მენარდე ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი იმ შემთხვევაში, თუ დასკვნა 641-ე მუხლის გაგებით ნაკლიანია და ნაკლიც მისი ბრალით არის გამოწვეული.

1. რკინისა და მანგანუმის შემცველობის დაუდგენლობა როგორც ნაკლი

შპს „წყლის“ მიერ წარმოდგენილი დასკვნა შესაძლოა იყოს ნაკლიანი სკ-ის 641-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ვინაიდან დასკვნაში შეცდომით მიეთითა, რომ წყალი არ შეიცავდა რკინას და მანგანუმს. სკ-ის 641-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ნაკეთობა (ჩვენს შემთხვევაში დასკვნა) ნაკლიანია მაშინ, როდესაც იგი არ შეესაბამება შეთანხმებულ პირობებს. ნარდობის ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ შპს „წყალს“ უნდა გამოეკვლია, თუ რა მინერალებს შეიცავდა წყალი. შესაბამისად, ის გარემოება, რომ დასკვნა არ შეიცავს ინფორმაციას წყალში რკინისა და მანგანუმის არსებობის შესახებ, შესაძლებელია შეფასდეს როგორც ნაკეთობის ნაკლი, სკ-ის 641-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით. თუმცა უნდა

³² Thomas, in Palandt BGB, vor § 631 Anm.5.

აღინიშნოს, რომ დასკვნის ნაკლი რკინისა და მანგანუმის ნაწილში გავლენას არ ახდენს წყლის ხარისხის შეფასებაზე და, შესაბამისად, იგი არ არის მიზეზობრივ კავშირში იმ დანახარჯებთან (ზიანთან), რაც მუნიციპალიტეტს მიადგა წყლის ამოსაქაჩი მოწყობილობის აშენების შედეგად.

2. სულფატის შემადგენლობის შესახებ მცდარი ინფორმაციის მიწოდება როგორც ნაკლი

თუმცა მუნიციპალიტეტისთვის დამდგარ ზიანთან შესაძლოა, მიზეზობრივ კავშირში იყოს დასკვნის ის ნაწილი, სადაც მითითებულია წყალში სულფატის არსებობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ დასკვნაში მითითებულ იქნა სულფატის არსებობის შესახებ, არ იქნა გამოკვლეული წყალში მისი რაოდენობა (პროცენტული შემცველობა), რაც (როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა) საკმაოდ მაღალია, რის გამოც წყალი სასმელად უვარგისია. რისი დადგენა ეკისრებოდა შპს „წყალს“ ანალიზით, უნდა გაირკვეს ნარდობის ხელშეკრულების განმარტების საფუძველზე. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, შპს „წყლის“ ვალდებულება არ იყო წყლის სასმელად ვარგისიანობის შემოწმება (შესაბამისად სულფატის ოდენობის გაზომვაც). მას დაევალა მხოლოდ მცირე ანალიზის გაკეთება. იმაზე მეტის დადგენა, ვიდრე, უბრალოდ, წყალში სულფატის არსებობაა, მუნიციპალიტეტს არ შეეძლო მოეთხოვა შპს „წყლისგან“ და, შესაძლოა, არც ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე ჰქონოდა ამის მოლოდინი. მაშასადამე, სულფატის ნაწილში არ არის მოცემული დასკვნის ნაკლი სკ-ის 641-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით.

3. დასკვნის ნაკლი ინფორმირების ვალდებულების შეუსრულებლობის გამო

საკითხის გადრმავებისთვის: გარდა იმისა, რომ ვალდებულებების კლასიფიკაცია ხდება ძირითად და მეორეულ ვალდებულებებად, ვალდებულებები შესაძლოა ასევე იყოს ძირითადი და დამატებითი. ძირითადი ვალდებულებები არის ვალდებულებითი ურთიერთობის ტიპური ვალდებულებები, რომლებიც სამართალბრუნვაში რომელიმე კონკრეტულ ვალდებულებით ურთიერთობას მიეკუთვნებიან (მაგ.: ნასყიდობა – მყიდველის მიერ ნასყიდობის ფასის გადახდის ვალდებულება; ქირავნობის ურთიერთობაში – დამქირავებლის მიერ ქირის გადახდის ვალდებულება). დამატებითი ვალდებულებები კი არ ქმნიან რომელიმე ვალდებულებითი ურთიერთობის სახეს. თუმცა ისინი დაკავშირებულნი არიან ძირითადი ვალდებულების შესრულებასთან, გააჩნიათ

ე.წ. დახმარების ფუნქცია. მათი მიზანია ვალდებულების შესრულებისა და შედეგის დადგომის ხელშეწყობა. ისინი ემსახურებიან ვალდებულებითი ურთიერთობის სამართალბრუნვაში დამკვიდრებული გულისხმიერებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საფუძველზე შესრულებას. დამატებითი ვალდებულებების არსებობა და შინაარსი დამოკიდებულია ძირითადი ვალდებულებების არსებობაზე. დამატებითი ვალდებულებების საკანონმდებლო საფუძველია სკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილში დარეგულირებული „გულისხმიერების პრინციპი“, რომელიც მხარეებს აკისრებს დამატებით, ვალდებულებების გულისხმიერად შესრულების ვალდებულებას. დამატებითი ვალდებულება მოიცავს ინფორმაციის მიწოდების, ახსნა-განმარტების, მითითების, გაფრთხილების, მზრუნველობის და ა.შ. ვალდებულებებს. გულისხმიერების პრინციპიდან გამომდინარეობს ასევე დაცვის ვალდებულებები, რომლებიც ხელშეკრულების მხარეებს აკისრებენ ურთიერთინტერესების, უფლებებისა და სამართლებრივი სიკეთეების დაცვას. ეს ვალდებულებები შესაძლოა, წინასახელშეკრულებო ეტაპზეც წარმოიშვას (სკ-ის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ვინაიდან სახელშეკრულებო და შემდგომ ეტაპებზეც მხარეებს შორის ფუნქცია მჭიდრო სოციალური, საქმიანი კონტაქტი, რაც შესაძლებლობას აძლევს ერთ მხარეს, მოახდინოს გავლენა მეორე მხარის ქონებრივ თუ სხვა სამართლებრივ სიკეთეებზე. ამიტომაც კანონი მხარეებს ავალდებულებს, თავიანთი ვალდებულებები შეასრულონ გულისხმიერების პრინციპის გათვალისწინებით და საფუძველზე. რაც ყველაზე მთავარია, გულისხმიერების ვალდებულების დარღვევისათვის პირს შესაძლოა, დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

დასკვნა შესაძლოა იმის გამო იყოს ნაკლიანი, რომ შპს „წყალმა“ მუნიციპალიტეტს არ მიუთითა, რომ წყლის მცირე ანალიზი გამოუსადეგარი იქნებოდა. თუმცა ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაკლის გამო პასუხისმგებლობის ნორმები ამ შემთხვევაში მხოლოდ მაშინ გამოიყენება, თუ მითითების ვალდებულება უნაკლო დასკვნის შექმნისთვის იქნებოდა აუცილებელი. მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩაითვლებოდა მითითების ვალდებულება ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირითად ვალდებულებად, რომლის არასათანადოდ შესრულებაც ნაკლის არსებობის წინაპირობა იქნებოდა.

უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ ძირითადი და დამატებითი ვალდებულების დარღვევის შედეგები. ვალდებულება, რომ მითითებულ იქნეს წყლის ფართო ანალიზის საჭიროებაზე, შესაძლოა, მიჩნეულ იქნეს მხოლოდ როგორც ნარდობის ხელშეკრულების და-

მატებითი ვალდებულება. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, ასევე (საფრთხეებზე) მითითების ვალდებულება, ისევე, როგორც მოვალის სხვა ვალდებულებები, რომლებიც ხელს უწყობენ ძირითადი ვალდებულების ჯეროვან შესრულებას, ითვლებიან დამატებით ვალდებულებებად.

ჩვენს შემთხვევაში საკითხავია, შპს „წყალს“ თუ ეკისრებოდა ინფორმაციის მიწოდების დამატებითი ვალდებულება, და, საერთოდ, თუ ეხებოდა იგი ნარდობის ხელშეკრულების ძირითად ვალდებულებას. ამის დადგენა იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც მხოლოდ ამ შემთხვევაში შესაძლოა, მითითების ვალდებულების შეუსრულებლობა არღვევდეს მუნიციპალიტეტის ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირითად მოთხოვნას უნაკლო დასკვნის მიღების თაობაზე.

ფაბულიდან გამომდინარეობს, რომ დასკვნა ნაკლიანი იყო რკინისა და მანგანუმის დადგენის ნაწილში, თუმცა იგი სწორია სულფატთან მიმართებით. მითითების შესაძლო ვალდებულება სულფატის ოდენობის შემოწმებასთან დაკავშირებით არ არის დაკავშირებული დასკვნის ნაკლთან, ვინაიდან დასკვნა მხოლოდ რკინისა და მანგანუმის ნაწილში იყო ნაკლიანი. ის, რომ შპს „წყალმა“ არ მიუთითა მუნიციპალიტეტს, რომ წყლის მცირე ანალიზი შედეგის მომტანი არ იქნებოდა, არ ნარმოშობს სულფატის დადგენის ნაწილში დასკვნის ნაკლოვანებას. მაშასადამე, დამატებითი ვალდებულების გამო ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გამოირიცხება.

III. შედეგი

მუნიციპალიტეტს ვერ ექნება მოთხოვნა შპს „წყლის“ მიმართ წყლის ამოსაქაჩი ნაგებობისთვის განუხლები თანხების მოთხოვნის თაობაზე, სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 644-ე და 405-ე მუხლების თანახმად.

B. მოთხოვნა სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 629-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით

მუნიციპალიტეტის მოთხოვნა შპს „წყლის“ მიმართ წყლის ამოსაქაჩი ნაგებობისთვის განუხლები თანხების მოთხოვნის თაობაზე სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 629-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევის თაობაზე

მოთხოვნის წინაპირობაა ის, რომ ვალდებულების დარღვევა გამოწვეული იყოს შპს „წყლის“ მიერ.

I. სახელშეკრულებო დამატებითი ვალდებულების დარღვევა

შპს „წყლის“ მიერ შესაძლოა, დარღვეულ იქნა ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დამატებითი ვალდებულება, რადგან მან დასკვნაში სულფატის არსებობაზე მიუთითა, თუმცა მუნიციპალიტეტს არ მიაწოდა ინფორმაცია სრული (ფართო) ანალიზის ჩატარების აუცილებლობაზე. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება არის ხელშეკრულების ტიპური დამატებით ვალდებულება. *ხელშეკრულების მხარე ვალდებულია, მეორე მხარეს მიუთითოს (ინფორმაცია მიაწოდოს) იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც ხელშეკრულების დადებისთვის მნიშვნელოვანია*, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარეს აღნიშნულზე ინფორმაცია უკვე აქვს.

მუნიციპალიტეტმა შპს „წყალს“ შეუკვეთა წყლის მცირე ანალიზი. აქედან გამომდინარე, შპს „წყალს“ შეეძლო, მხოლოდ ევარაუდა, რომ მუნიციპალიტეტს გარკვეული ინფორმაცია მცირე ანალიზის შესახებ ჰქონდა და იცოდა, რომ მცირე ანალიზის დასკვნა გამოუსადეგარი იქნებოდა იმის განსასაზღვრავად, წყალი სასმელი მიზნებისთვის ვარგისია თუ არა. შპს „წყალი“ მხოლოდ იმ შემთხვევაში დაარღვევდა ინფორმაციის მიწოდების დამატებით ვალდებულებას, როდესაც მას დასაბუთებული ეჭვი ექნებოდა იმის თაობაზე, რომ წყლის შემონმების მიზანია მისი სასმელი მიზნებისთვის გამოყენება, ან თავისი ანალიზის საფუძველზე წარმოეშობოდა ამგვარი ეჭვი. ეს ორივე პირობა არ არის მოცემული ჩვენს შემთხვევაში.

II. შედეგი

ვინაიდან სახეზე არ არის შპს „წყლის“ მიერ დარღვეული მითითებისა და გაფრთხილების დამატები-

A. მოთხოვნა 394 I, 494 I, 644-ე, 405-ე მუხლების მიხედვით (-)
I. ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა ნარდობის ხელშეკრულების სახით (+)
II. ვალდებულების კაუზალური დარღვევა (-)
<ul style="list-style-type: none"> o რკინისა და მანგანუმის შემცველობის დაუდგენლობის გამო (-) <ul style="list-style-type: none"> ▪ დადგენის ვალდებულება (+) ▪ მიზეზობრივი კავშირი (-) o სულფატის რაოდენობის გაუზომლობის გამო (-) o ინფორმირების ვალდებულების შეუსრულებლობის გამო (-)
შედეგი: მოთხოვნა 394 I, 494 I, 644-ე, 405-ე მუხლების მიხედვით (-)

თი ვალდებულება, შპს „წყალს“ არ დაეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დამატებითი ვალდებულების დარღვევის თაობაზე სკ-ის 394-ე მუხლის მიხედვით.

B. მოთხოვნა 394 I, 629 I მუხლის მიხედვით (-)

საბოლოო შედეგი: ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (-)

სამასსოვრო!

- სკ-ის 629-ე მუხლში მოხსენიებული „ნაკეთობის დამზადება“ უფრო ფართოდ განიმარტება და ის მოიცავს არა მარტო რაიმე მატერიალურ შედეგს, არამედ ასევე ნებისმიერ სამუშაოს, რომელიც კონკრეტული პროდუქტის შექმნას ისახავს მიზნად.
- ძირითადი ვალდებულებები არის ვალდებულებითი ურთიერთობის ტიპური ვალდებულებები, რომლებიც სამართალბრუნვაში რომელიმე კონკრეტულ ვალდებულებით ურთიერთობას მიეკუთვნებიან.
- დამატებითი ვალდებულებები კი არ ქმნიან რომელიმე ვალდებულებითი ურთიერთობის სახეს, თუმცა ისინი დაკავშირებულნი არიან ძირითადი ვალდებულების შესრულებასთან, აქვთ ე.წ. დახმარების ფუნქცია.
- დამატებითი ვალდებულებების საკანონმდებლო საფუძველია სკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილში დარეგულირებული „გულისხმიერების პრინციპი“. დამატებითი ვალდებულება მოიცავს ინფორმაციის მიწოდების, ახსნა-განმარტების, მითითების, გაფრთხილების, მზრუნველობისა და ა.შ. ვალდებულებებს.

კაზუსი 6. საქორწინო საჩუქარი

(მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების დარღვევა, მესამე პირის მეორეული მოთხოვნები)

გიორგი და მაია ახალდაქორწინებული წყვილია. მაიას ნათლია გადწყვეტს, გაუკეთოს საჩუქარი და დაეხმაროს მათ ახალშექმნილი ბინის მონყობაში. ამ მიზნით იგი ინდ. მენარმე შალვას სალონში ყიდულობს საძინებლის სრულ კომპლექტს (საწოლი, კარადა, ტუმბოები), რისთვისაც მზად არის, გადაიხადოს 2000 ლარი. თუმცა მოდელი და კომპლექტის ცალკეული ნაწილები თვითონ მაიამ უნდა შეარჩიოს. ნათლია ამის შესახებ შეატყობინებს მას. მაიას მიერ ამორჩეულ მოდელ „ავანგარდს“ შალვა მიიტანს მაიასა და გიორგის ბინაში და დაამონტაჟებს. ნათლია გადაიხდის ნასყიდობის ფასს, 1800 ლარს.

ცოტა ხნის შემდგომ აღმოჩნდება, რომ საწოლი არ არის მყარი და ჭრი-ალებს, ასევე კარადის კარები არ იხურება და ტუმბოს ზედაპირები ექერცლება. ამ ყველაფრის გამოცვლა 800 ლარი ღირს. მაიას აინტერესებს, შეუძლია თუ არა გამყიდველისაგან, რომელსაც არც ქმრისგან და არც ცოლისგან არაფრის გაგონება არ სურს, ამ თანხის მოთხოვნა.

A. მაიას მოთხოვნა შალვას მიმართ საძინებელი კომპლექტის გადაცემის სანაცვლოდ ნასყიდობის ფასის დაბრუნების თაობაზე სკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის, 491-ე მუხლის პირველი ნაწილის, 405-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 349-ე მუხლის თანახმად

I. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება

ნაკლიანი ნივთის შემძენს უფლება აქვს, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გავიდეს (სკ-ის 491-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 405-ე მუხლის მიხედვით). ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობაა დამატებითი შესრულებისთვის განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლა, ხოლო ნაკლიანი ნივთის მიწოდების შემთხვევაში – ნაკლის გამოსწორებისათვის განსაზღვრულ ვადაშიც ნაკლის გამოუსწორებლობა. მას შემდეგ, რაც შალვამ, დამატებითი მცდელობის მიუხედავად, ვერ გამოასწორა ნაკლი, დამატებითი შესრულება წარუმატებელი აღმოჩნდა და ამ შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლისთვის რაიმე ვადის დაწესება ზედმეტია. მაიას შეუძლია, ხელშეკრულებიდან გავიდეს, თუ ნასყიდობის ხელშეკრულება მას და შალვას შორის არის გაფორმებული. თუმცა, კაზუსის მიხედვით, საძინებლის კომპლექტის შემძენი იყო არა მაია, არამედ მისი ნათლია. ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო ნათლიასა და შალვას შორის საძინებლის კომპლექტის შემძენის თაობაზე, სადაც ნასყიდობის საგანი განსაზღვრადი იყო, ხოლო ნასყიდობის ფასის ზედა ზღვარი მითითებული.

ნათლიასა და ინდ. მენარმე შალვას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით სარგებელი მიიღო ნათლულმა მაიამ. ხელშეკრულების დადების გარემოებების გათვალისწინებით (სკ-ის 350-ე მუხლი), შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მაიას ხელშეკრულებით, გარდა იმისა, რომ მიიღო ნასყიდობის საგნის განსაზღვრის უფლება, მიენიჭა დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება მესამე პირის (შალვას) მიმართ ნივთის მიწოდების თაობაზე (სკ-ის 349-ე მუხლი). მაია მოთხოვნის მფლობელია და არამხოლოდ როგორც მესამე პირი სკ-ის 325-ე მუხლის გაგებით, რომელსაც ამ შემთხვევაში მხოლოდ შესასრულებელი ვალდებულების განსაზღვრის უფლება ექნებოდა. მას შემდეგ, რაც მაიამ გამოიყენა თავისი არჩევანის უფლება, საძინებლის კომპლექტი „ავანგარდის“ მიწოდება ჩაითვლება როგორც სანყისი მომენტიდან შეთანხმებული ვალდებულება (სკ-ის 376-ე მუხლი).

II. ნაკლის გამო წარმოშობილი მეორეული მოთხოვნების განხორციელება მესამე პირის მიერ

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეები მხოლოდ შალვა და მაიას ნათლია არიან, მაია მაინც იძენს ხელშეკრულებიდან პირდაპირ უფლებას, შალვასგან მოითხოვოს ნასყიდობის საგნის მიწოდება. თუმცა საკითხავია, რამდენად შესაძლებელია, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში მესამე პირის (მაია) სამართლებრივი მდგომარეობა გაუტოლდეს მყიდველის მდგომარეობას და მას მიენიჭოს ნაკლის გამო წარმოშობილი მოთხოვნების განხორციელების უფლება.

1. შეპირების მიმღებისა და მესამე პირის მიერ მეორეული მოთხოვნის განხორციელების შესაძლებლობა

მესამე პირს (მაია), რომელიც სარგებელს იღებს ხელშეკრულებიდან, აქვს დამოუკიდებელი მოთხოვნა შესრულებაზე შეპირების მიმცემის (ინდ. მენარმე შალვა) მიმართ. შეპირების მიმღებსაც (ნათლია), თავის მხრივ, შეუძლია, შეპირების მიმცემის (ინდ. მენარმე შალვა) მიმართ განახორციელოს მოთხოვნა მესამე პირისათვის (მაიასთვის) შესრულების განხორციელებასთან დაკავშირებით. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაშიც მეორეული მოთხოვნების განხორციელების უფლება აქვს როგორც მესამე პირს (მაიას), ასევე შეპირების მიმღებს (ნათლიას), რომელსაც მხოლოდ შესრულების მესამე პირის (მაიას) სასარგებლოდ მოთხოვნის უფლება აქვს.

2. შეპირების მიმღების მეორეული მოთხოვნის უფლებები, რომლებიც ეხება ხელშეკრულების არსებობას

მესამე პირის მეორეული მოთხოვნების საკითხი შემდეგნაირად წყდება:³³ მესამე პირს აქვს ყველა ის მეორეული მოთხოვნა, რომლებიც ეფუძნება მინიჭებული მოთხოვნის ფლობას. მაგ., შეუძლია, გაფრთხილების შედეგად მოვალე აქციოს ვადაგადაცილებულად (მე-400 მუხლი); მოითხოვოს ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება (404-ე მუხლი); მოითხოვოს დამატებითი შესრულება (490-ე მუხლი). ამისაგან განსხვავებით, მეორეული მოთხოვნები, რომლებიც გარდაქმნიან მხარის სტატუსს, აქვს მხოლოდ ხელშეკრულების მხარეს: მაგ., ხელშეკრულებიდან გასვლა (405, 352).

³³ *Kannowski/Zeller, Jus 2006, 983.*

რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას 494-ე I, 394-ე მუხლების მიხედვით, გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ შეუძლია მხოლოდ ხელშეკრულების მხარეს, რადგან ამ მოთხოვნის წარმომშობი თვისების შეთანხმება ხდება მხარეებს შორის.

ამ მოსაზრებას უპირისპირდება არაგაბატონებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც მესამე პირს, როგორც შესრულების მიმღებს, აქვს შესრულების ნაკლიდან წარმოშობილი ყველა მეორეული მოთხოვნა, რადგან ზიანიც ადგება უშუალოდ მესამე პირს და თვითონ შეპირების მიმღების სურვილს შეესატყვისება, რომ მესამე პირმა სრული მოცულობით ისარგებლოს ხელშეკრულებიდან წარმოშობილი პირველადი და მეორეული მოთხოვნებით. არსებობს შემარიგებელი მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, მესამე პირს აქვს შესრულებასთან ერთად ზიანის მოთხოვნის უფლება, ხოლო შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ შეპირების მიმღების თანხმობით. ეს უკანასკნელი მოსაზრება ყველაზე დამაჯერებელია. მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება შესრულებასთან ერთად ზიანის ანაზღაურებას და ამ მოთხოვნის განხორციელება შეუძლია მესამე პირს – მაიას – კრედიტორის თანხმობისგან დამოუკიდებლად.

შედეგი: მაიას აქვს გამყიდველისაგან 800 ლარის, როგორც ზიანის, ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

A. მოთხოვნა 352 I, 491, 405 I, 349-ე მუხლების მიხედვით

I. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება (+)

II. ნაკლის გამო წარმოშობილი მეორეული მოთხოვნების განხორციელება მესამე პირის მიერ (+)

o მესამე პირის მიერ მეორეული მოთხოვნის განხორციელების შესაძლებლობა (+)

o მეორეული მოთხოვნის უფლებები, რომლებიც ეხება ხელშეკრულების არსებობას (+)

შედეგი: მაიას მოთხოვნა (+)

სამახსოვრო!

- მესამე პირის სასარგებლოდ დადებული „ნამდვილი“ ხელშეკრულებიდან მესამე პირს, რომელიც სარგებელს იღებს ხელშეკრულებიდან, აქვს დამოუკიდებელი მოთხოვნა შესრულებაზე შეპირების მიმცემის მიმართ.

- შეპირების მიმღებსაც, თავის მხრივ, შეუძლია, შეპირების მიმცემის მიმართ განახორციელოს მოთხოვნა მესამე პირისათვის შესრულების განხორციელებასთან დაკავშირებით.
- ვალდებულების დარღვევის შემთხვევაშიც მეორეული მოთხოვნების, რომლებიც არ ეხება ხელშეკრულების არსებობას, განხორციელების უფლება აქვს როგორც მესამე პირს, ასევე შეპირების მიმღებს.
- ყველა სხვა მეორეული მოთხოვნის განხორციელება მესამე პირს შეუძლია მხოლოდ შეპირების მიმღების თანხმობით.

კაზუსი 7. დამძვრეული „მერსედესი“

(ვალდებულების შესრულების ფაქტობრივი შეუძლებლობა, მოთხოვნის შეწყვეტა შეუძლებლობის გამო, საპასუხო მოთხოვნის შეწყვეტა, გვაროვნული ნივთი, ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთი)

რატის გერმანიიდან გასაყიდად ჩამოჰყავს 2003 წლის ნახმარი „მერსედეს ბენცი“ E320. ავტომობილი ჯერ კიდევ არ იყო ჩამოსული ფოთის პორტში, როცა უკვე მყიდველიც გამოჩნდა: 15 სექტემბერს რატიმ ნასყიდობის ხელშეკრულება დადო ლაშასთან. მხარეები 3500 დოლარზე შეთანხმდნენ, ავტომობილის გადაცემა კი სექტემბრის ბოლოს უნდა მომხდარიყო, მას შემდეგ, რაც რატი მას ფოთიდან თბილისში ჩამოიყვანდა. ავტომობილი საქართველოში 28 სექტემბერს ჩამოვიდა. იმავე დღეს რატის ფოთიდან თბილისისაკენ მიმავალ გზაზე საპირისპირო მიმართულებით მოძრავი ავტომობილი შეეჯახა. გამოუცდელი მძღოლის – გიორგის ბრალით გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად რატის „მერსედეს ბენცი“ მთლიანად დაიმტვრა.

შეუძლია თუ არა ლაშას, მოითხოვოს რატისაგან ავტომობილის გადაცემა?

შეუძლია თუ არა რატის, მოითხოვოს ლაშასგან შეთანხმებული საფასურის გადახდა?

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის მომწესრიგებელი ნორმები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, ფაქტობრივად, არ არსებობს. მართალია, სსკ-ის 401-ე მუხლის სათაური „ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა“, მაგრამ მისი შინაარსი ლიტერატურაში ამ სახელწოდებით ცნობილ ინსტიტუტთან ნაკლებ კავშირშია.³⁴ ქართულენოვანი ლიტერატურა ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ მწირია, თუმცა, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსი დიდწილად გერმანიის სამოქალაქო კოდექსის რეცეფციას წარმოადგენს, შესრულების შეუძლებლობის მოწესრიგების გერმანული მოდელი ქართულ სამართალშიც მისაღები და აღიარებულია.

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა პირველადი მოთხოვნის შეწყვეტის საფუძველია. ამავე დროს, მნიშვნელობა არ ენიჭება მოვალის ბრალეულობას. ასეთი მიდგომა ეფუძნება დებულებას, რომ შეუძლებელი მოქმედების მოთხოვნას აზრი, უბრალოდ, არ აქვს, რის და ვის გამოც არ უნდა იყოს ეს შეუძლებლობა გამონეწული.³⁵ თუმცა გასათვალისწინებელია, რომ პირველადი მოთხოვნის შეწყვეტა არ ნიშნავს მოვალის გათავისუფლებას ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან: მოვალის ბრალეულობის შემთხვევაში კრედიტორს მისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ექნება.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ ვალდებულების შესრულების **ნამდვილ** და **არანამდვილ შეუძლებლობას**.³⁶

ნამდვილი შეუძლებლობა სახეზეა მაშინ, როცა შესრულება აბსოლუტურად შეუძლებელია ყველასთვის (**ობიექტური შეუძლებლობა**) ან, სულ მცირე, მოვალისთვის (**სუბიექტური შეუძლებლობა**). გამოყოფენ ნამდვილი შეუძლებლობის ორ ძირითად ჯგუფს:³⁷

1. **ფაქტობრივი შეუძლებლობა** ის შემთხვევაა, როცა ვალდებულების შესრულება, ბუნების კანონებიდან გამომდინარე, წარმოუდგენელია; მაგალითად, როდესაც შესრულების საგანი სრულიად განადგურდება და აღარ არსებობს, ან არც არასდროს არსებულა.³⁸

³⁴ თუმცა იხ. *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხ. 401, ველი 4 და შემდგომნი.

³⁵ იქვე, ველი 5.

³⁶ *Looschelders*, Schuldrecht AT, § 21 Rn. 1 ff.

³⁷ შდრ. შეუძლებლობის სახეების მცირედ განსხვავებული კატეგორიები: *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხ. 401, ველი 11 და შემდგომნი.

³⁸ *Looschelders*, Schuldrecht AT, § 21 Rn. 3.

2. სამართლებრივი შეუძლებლობა კი სახეზეა მაშინ, როცა ვალდებულების შესრულების შედეგის დადგომას სამართლებრივი საფუძვლები უშლის ხელს. მაგალითად, სხვისი ნივთის გაყიდვისას მოვალისთვის შეუძლებელია ნივთის გადაცემა; ასევე შეუძლებელია, კრედიტორს საკუთარი ნივთი მიჰყიდო.³⁹

სახელშეკრულებო მოთხოვნების შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა წყვეტს ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ იმ კონკრეტულ მოთხოვნას, რომლის შესრულებაც შეუძლებელია და არა თავად ხელშეკრულებას. ეს ერთ-ერთი ყველაზე ხშირად დაშვებული შეცდომაა სტუდენტების მიერ კაზუსის ამოხსნისას. შესრულების შეუძლებლობა ხელშეკრულებას არც აბათილებს, არც წყვეტს და არც მოშლის.

A. ლამას მოთხოვნა რატისაგან ავტომობილის გადაცემის თაობაზე სკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე

ლამას შესაძლოა, ჰქონდეს რატისაგან ავტომობილის გადაცემის მოთხოვნის უფლება სკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა იყოს წარმოშობილი, არ შეწყდეს და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა

აღნიშნული მოთხოვნის წარმოშობისათვის საჭიროა, მხარეთა შორის დადებული იყოს ნასყიდობის ხელშეკრულება სკ-ის 477-ე მუხლის შესაბამისად. რატიმ და ლამამ ასეთი ხელშეკრულება დადეს 15 სექტემბერს. შესაბამისად, მოთხოვნა წარმოიშვა.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

თუმცა მოთხოვნა შესაძლოა შემწყდარიყო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის გამო. ამდენად, საკითხავია, გახდა თუ არა რატის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი.

³⁹ *Looschelders, Schuldrecht AT, § 21, Rn. 8.*

1. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა

ვალდებულების შესრულება შეუძლებელია, როცა შესრულება არავის (ობიექტური შეუძლებლობა) ან მოვალეს (სუბიექტური შეუძლებლობა) არ შეუძლია. სკ-ის 382-ე მუხლის თანახმად კი, ასეთი შეუძლებლობა მხოლოდ მაშინ შეიძლება გვექონდეს სახეზე, როდესაც შესრულების საგანი გვაროვნული ნივთი არაა.

გვაროვნული და ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთი

კანონმდებლობა ერთმანეთისაგან მიჯნავს გვაროვნულ და ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრულ ნივთებს. სსკ-ის 382-ე მუხლის მიხედვით, თუ შესრულების საგანი გვაროვნული ნივთია, მოვალემ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გვაროვნული ნივთის შემთხვევაში ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, ფაქტობრივად, არ დადგება: მოვალემ ვალდებულება მაშინაც უნდა შეასრულოს, როცა მის ხელთ არსებული გვაროვნული ნივთი განადგურდება.⁴⁰ ამიტომ საჭირო ხდება გვაროვნული და ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთების ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯვნა.

მკაფიო გამიჯვნა ცალკეულ შემთხვევებში მარტივი არაა. მთავარი კრიტერიუმი, რაზეც სსკ-ის 382-ე მუხლიც მიუთითებს, არის ნივთის შეცვლადობა. თუმცა თავად „შეცვლადობის“ ცნებაც ბუნდოვანია, რადგან კანონმდებელი არ აკონკრეტებს, თუ რა მასშტაბით უნდა შეფასდეს ნივთის ეს მახასიათებელი.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ **გვაროვნულია** ისეთი ნივთი, რომელიც თავისი თვისებებით რაიმე გვარს, სახეობას მიეკუთვნება და ერთადერთი არაა ბუნებაში.⁴¹ მაგალითად, რომელიმე მოდელის ახალი სმარტფონი ამ გაგებით გვაროვნული ნივთია, რადგან მწარმოებელი ასეთსავე სმარტფონებს დიდი რაოდენობით აწარმოებს. გვაროვნულია, აგრეთვე, ისეთი ჩანაცვლებადი საგნები, როგორებიცაა: ერთი კილო ხორბალი, ათი ლიტრი წყალი და ა.შ., რადგან მათი ჩანაცვლება შესაძლებელია იმავე ხარისხისა და ოდენობის ანალოგიური პროდუქტით. შესაძლებელია, ერთ გვარს მიეკუთვნებული საგნები აბსოლუტურად იდენტური არც იყოს, მაგრამ მაინც შეცვლადი და, შესაბამისად, გვაროვნული იყოს. მაგალითად,

⁴⁰ *მესხიშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანჭურია (რედ.), 2019, მუხ. 361, ველი 7; იქვე, მუხ. 382, ველი 1.

⁴¹ შდრ. *მესხიშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანჭურია (რედ.), 2019, მუხ. 382, ველი 2-3.

კარტოფილის თითოეული ბოლქვი თავისი ფორმით უნიკალურია და არ მეორდება, მაგრამ სამოქალაქო ბრუნვაში ფორმათა ასეთი სხვაობა სრულიად უმნიშვნელოა და გადამწყვეტი მისი სხვა თვისებებია.

ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრულად მიიჩნევა ისეთი ნივთები, რომლებიც შეუცვლელნი არიან და ბუნებაში მათი ანალოგი არ არსებობს.⁴² ასეთებია, მაგალითად: ხელოვნების ნიმუშები, უძრავი ნივთები. ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრულად მიიჩნევენ ასევე ნახმარ ნივთებს, რადგან ნახმარი ნივთი ყოველთვისაა რაიმე ისეთი თვისების მქონე, რაც მის მსგავს სხვა ნივთებს არ გააჩნიათ. მაგალითად, ნახმარი სმარტფონი აღარ ეკუთვნის ამავე მოდელის ახალ სმარტფონთა გვარს და უკვე ინდივიდუალური ნიშნითაა განსაზღვრული.

ასეთი გამიჯვნა არასრულყოფილია, რადგან შეცვლადობა არის არა ნივთის ბუნება, არამედ უპირატესად შეთანხმების საგანი. შესაბამისად, ნივთი გვაროვნული ან ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ვერ იქნება თავისი ბუნებით, ამ თვისებას მას ანიჭებს გარიგება.⁴³ ამიტომ ერთი და იგივე ნივთი სხვადასხვა გარიგების ფარგლებში შეიძლება ხან გვაროვნული იყოს და ხანაც ინდივიდუალური.

მაგალითი: ა-მ ანაზღაურების სანაცვლოდ იკისრა ვალდებულება ბ-ს წინაშე, რომ მას უცხოეთიდან ჩამოუყვანოს ნახმარი „პორშე 911“. დიდი ხნის ძიების შემდეგ ა-მ მიაგნო გ-ს, რომელიც თავის ნახმარ „პორშე 911“-ს ყიდის. ა-მ იყიდა ეს ავტომობილი და ბ-ს ჩამოუყვანა.

ამ მაგალითში ა-სა და ბ-ს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში ნახმარი „პორშე 911“ არის გვაროვნული ნივთი, რადგან შეთანხმებით განსაზღვრული თვისებების მქონე ავტომობილი ა-ს ბევრგან შეიძლება ეპოვნა. ხოლო ბ-სა და ა-ს შორის დადებულ ხელშეკრულებაში იგივე ნივთი ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრულია, რადგან შეთანხმება უკვე კონკრეტულ ავტომობილზე მოხდა. შესაბამისად, გამიჯვნის მთავარი კრიტერიუმი უნდა იყოს თავად გარიგების შინაარსი: თუ მხარეები შეთანხმდნენ კონკრეტული ნივთით ან ნივთებით შესრულებაზე, მაშინ ვალდებულება ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთით შემოიფარგლება, ხოლო თუ მხარეებმა მხოლოდ ნივთთა გვარის თვისება განსაზღვრეს, მაშინ ვალდებულება გვაროვნული ნივთითაა შესასრულებელი.

⁴² შდრ. *მესხიშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, 25.08.2016, მუხ. 381, ველი 3.

⁴³ შდრ. *მესხიშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანჭურია (რედ.), 2019, მუხ. 382, ველი 2-3.

მოყვანილი მაგალითი ნათლად აჩვენებს, რომ ნახმარი ნივთიცი შეიძლება იყოს გვაროვნული. ბოლოს და ბოლოს არსებობს ნახმარ ნივთთა გვარიც, ხელოვნების ნიმუშთა გვარი და ა.შ. მაგ., თუ ხელშეკრულების საგანი ფიროსმანის „მებადურია“, ცხადია, ვალდებულება ამ კონკრეტული უნიკალური და ერთადერთი ნახატიი უნდა შესრულდეს. მაგრამ, თუ ვალდებულების შესრულების საგნად მხარეებმა ფიროსმანის ნებისმიერი ნახატი განსაზღვრეს, გვაროვნულ ნივთთან გვაქვს საქმე.

ა. შესრულების საგნის შეცვლადობა

ამდენად, უპირველესად, გასარკვევია, არის თუ არა შესრულების საგანი გვაროვნული ნივთი. სკ-ის 382-ე მუხლის თანახმად, გვაროვნულია ნივთი, რომლის შეცვლაც შეიძლება. მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება კონკრეტულ ნახმარ ავტომობილს, რომელიც თავისი თვისებებით ერთადერთია და მისი შეცვლა შეუძლებელია. ამდენად, შესრულების საგანი არაა გვაროვნული ნივთი.

ბ. ობიექტური შეუძლებლობა

გარდა ამისა, შესრულება მოვალისთვის ან ყველასთვის შეუძლებელი უნდა იყოს. მოცემულ შემთხვევაში ავტომობილი დამტკრა და ნაკისრი ვალდებულების შესრულება არა მხოლოდ მოვალისთვის, არამედ ნებისმიერი პირისთვის შეუძლებელია. ამდენად, სახეზეა ობიექტური შეუძლებლობა.

2. შუალედური დასკვნა – მოთხოვნის შეწყვეტა

ლაშას მოთხოვნა რატის მიმართ შეწყდა ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის გამო.

III. საბოლოო დასკვნა

ლაშას არ აქვს რატისაგან ავტომობილის გადაცემის მოთხოვნის უფლება სკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე.

A. ლაშას მოთხოვნა რატისაგან ავტომობილის გადაცემის თაობაზე, 477 I

I. მოთხოვნის წარმოშობა (+)

II. მოთხოვნის შეწყვეტა (+)

➤ შესრულების შეუძლებლობა (+)

შედეგი: ლაშას არა აქვს რატისაგან ავტომობილის გადაცემის მოთხოვნა, 477 I (-)

B. რატის მოთხოვნა ლაშასგან შეთანხმებული საფასურის გადახდის თაობაზე სკ-ის 477-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე

რატის შესაძლოა ჰქონდეს ლაშასგან შეთანხმებული საფასურის მოთხოვნის უფლება სკ-ის 477-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა იყოს წარმოშობილი, არ შეწყდეს და იყოს განხორციელებადი.

IV. მოთხოვნის წარმოშობა

აღნიშნული მოთხოვნის წარმოშობისათვის საჭიროა, მხარეთა შორის დადებული იყოს ნასყიდობის ხელშეკრულება სკ-ის 477-ე მუხლის შესაბამისად. რატიმ და ლაშამ ასეთი ხელშეკრულება დადეს 15 სექტემბერს. შესაბამისად, მოთხოვნა წარმოიშვა.

V. მოთხოვნის უწყვეტა

თუმცა რატის მოთხოვნა შესაძლოა შემწყდარიყო სკ-ის 406-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, თუკი ორმხრივი ხელშეკრულების მეორე მხარეს უფლება აქვს, უარი თქვას მისთვის დაკისრებულ ვალდებულებაზე.

როცა ორმხრივმავალდებულებელ ხელშეკრულებაში ერთ-ერთი მხარის მოთხოვნა შეწყდება, სამართლიანი იქნება მეორე მხარის საპასუხო მოთხოვნის შეწყვეტაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეორე მხარე არასახარბილო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, რადგან მას ბრალის გარეშე დაეკისრებოდა თავისთვის წაგებიანი შესრულების ვალდებულება ყოველგვარი საპასუხო სარგებლის გარეშე.

შეწყვეტილი მოთხოვნის საპასუხო მოთხოვნა რომ ასევე გამოირიცხება, ამას სსკ-ის არცერთი მუხლი არ განსაზღვრავს პირდაპირ. თუმცა სსკ-ის 406-ე მუხლი ამ ვითარების საწინააღმდეგო შემთხვევას არეგულირებს: კერძოდ, თუკი პირი გათავისუფლებულია ვალდებულების შესრულებისაგან ხელშეკრულების მეორე მხარის ბრალეული ქმედების მიზეზით, მას საპასუხო მოთხოვნის უფლება შეუნარჩუნდება. აქედან კი უკუდასკვნით (*argumentum e contrario*) შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ მეორე მხარის არაბრალეულობის შემთხვევაში მის მიმართ მოთხოვნა გამოირიცხება. შესაბამისად, სსკ-ის 406-ე მუხლის პირველი ნაწილის უკუდასკვნიდან გამომდინარე, საპასუხო მოთხოვნა შეწყდება, როცა სამი წინაპირობაა დაცული:

(1) დადებულია ორმხრივი ხელშეკრულება;

- (2) პირი გათავისუფლებულია ვალდებულების შესრულებისაგან;
- (3) ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლება არაა გამონვეული მეორე მხარის ბრალით.

3. ორმხრივი ხელშეკრულება

ამდენად, უპირველესად, საკითხავია, საქმე ეხება თუ არა ორმხრივ ხელშეკრულებას. 406-ე მუხლში ნახსენები „ორმხრივი ხელშეკრულება“ გულისხმობს ორმხრივად მავალდებულებელ ხელშეკრულებას, რომლის დროსაც ორივე მხარეს აკისრია ვალდებულება მეორე მხარის მიმართ. რატისა და ლაშას შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც ორივე მხარეს აკისრებს ვალდებულებას ერთმანეთის მიმართ. ამდენად, სახეზეა ორმხრივი ხელშეკრულება.

4. გათავისუფლება საპასუხო ვალდებულებისაგან

გარდა ამისა, საჭიროა, რომ რატი გათავისუფლებული იყოს ვალდებულებისაგან. მოცემულ შემთხვევაში რატი გათავისუფლებულია თავისი ვალდებულებისაგან შესრულების შეუძლებლობის გამო (იხ. A, II).

5. მეორე მხარის არაბრალეულობა

ამ მოთხოვნის შეწყვეტისათვის აგრეთვე საჭიროა, რომ მეორე მხარე არ იყოს ბრალეული შეუძლებლობის მდგომარეობის დადგომაში. კაზუსიდან ირკვევა, რომ ლაშას ბრალი არ მიუძღვის ავტომობილის განადგურებაში.

6. შუალედური დასკვნა – მოთხოვნის შეწყვეტა

რატის მოთხოვნა ლაშასაგან შეთანხმებული საფასურის გადახდის თაობაზე გამორიცხულია სკ-ის 406-ე მუხლის პირველი ნაწილის უკუდასკვნის საფუძველზე.

VI. საკოლოო დასკვნა

რატის არა აქვს ლაშასგან საფასურის მოთხოვნის უფლება სკ-ის 477-ე მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე.

B. რატის მოთხოვნა ლაშას მიმართ თანხის გადაცემაზე, 477 II
I. მოთხოვნის წარმოშობა (+)
II. მოთხოვნის შეწყვეტა საპასუხო მოთხოვნის გამორიცხვის გამო, 406 I (+)
➤ ორმხრივი ხელშეკრულება (+)
➤ საპასუხო მოთხოვნის გამორიცხულობა (+)
➤ მეორე მხარის არაბრალეულობა (+)
შედეგი: რატის არა აქვს ლაშასგან თანხის მოთხოვნის უფლება, 477 II (-)

სამასსოვრო!

- ვალდებულების შესრულების ნამდვილი შეუძლებლობა მოთხოვნის შეწყვეტის საფუძველია.
- შესრულების ნამდვილი შეუძლებლობა სახეზეა მაშინ, როცა შესრულება, ფაქტობრივად ან სამართლებრივი საფუძველების გამო, შეუძლებელია.
- ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისას მოვალის გათავისუფლება პირველადი მოთხოვნისაგან **არ ნიშნავს** მოვალის გათავისუფლებას ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან: მოვალის ბრალეულობის შემთხვევაში კრედიტორს მისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ექნება.
- ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა წყვეტს ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ იმ კონკრეტულ მოთხოვნას, რომლის შესრულებაც შეუძლებელია და არა თავად ხელშეკრულებას. ხელშეკრულების ნამდვილობაზე ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გავლენას არ ახდენს.
- ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის გამო (და არა მარტო) შეწყვეტილი მოთხოვნის საპასუხო მოთხოვნაც წყდება სკ-ის 406-ე მუხლის I ნაწილის უკუდასკვნიდან გამომდინარე.

კაზუსი 8. კატალოგიდან შერჩეული მობილური

(ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, გვაროვნული ნივთი, გვაროვნული ნივთის დაკონკრეტება)

დათომ ნოდარის ტექნიკის მაღაზიაში 5 ოქტომბერს დაათვალიერა კატალოგი და შეარჩია მობილური ტელეფონი, რომელიც 500 ლარი ღირდა. თუმცა აღმოჩნდა, რომ ამ მოდელის ტელეფონები სანკოში აღარაა და მაღაზია მათ დაახლოებით ერთ კვირაში კვლავ მიიღებს. დათო, რომელმაც სხვა მაღაზიებში სასურველ მოდელს ვერ მიაგნო, ნოდარს შეუთანხმდა, რომ მის შეტყობინებას დაელოდებოდა და შემდეგ გამოივლიდა მაღაზიაში მობილურის წასაღებად, თანხასაც შემდეგ გადაიხდიდა.

ერთი კვირის შემდეგ, 12 ოქტომბერს, ნოდარმა ახალი საქონელი მიიღო, მათ შორის დათოს მიერ შერჩეული მოდელიც. დათოს ნომერზე მან მოკლე ტექსტური შეტყობინება გააგზავნა, თუმცა სატელეფონო ქსელებში ტექნიკური ხარვეზის გამო დათოს შეტყობინება არ მიუღია.

20 ოქტომბერს ლოდინით შეწუხებული დათო მაღაზიაში მივიდა. შეწუხებულმა ნოდარმა მას ცუდი ამბავი შეატყობინა: 16 ოქტომბერს მაღაზია გაძარცვეს და დათოს მიერ შერჩეული მოდელები აღარ დარჩა.

შეუძლია თუ არა დათოს, მოითხოვოს ნოდარისაგან მობილური ტელეფონის გადაცემა?

შეუძლია თუ არა ნოდარს, მოსთხოვოს დათოს მობილური ტელეფონის საფასურის გადახდა?

A. დათოს მოთხოვნა ნოდარისაგან მობილურის გადაცემის თაობაზე სკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე

დათოს შესაძლოა, ჰქონდეს ნოდარისაგან მობილური ტელეფონის გადაცემის მოთხოვნის უფლება სკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა იყოს წარმომოხილი, არ შეწყდეს და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა

აღნიშნული მოთხოვნის წარმოშობისათვის საჭიროა, მხარეთა შორის დადებული იყოს ნასყიდობის ხელშეკრულება სკ-ის 477-ე მუხლის შესაბამისად. დათომ და ნოდარმა ასეთი ხელშეკრულება დადეს 5 ოქტომბერს. შესაბამისად, მოთხოვნა წარმოიშვა.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

თუმცა მოთხოვნა შესაძლოა შემწყდარიყო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის გამო. ამდენად, საკითხავია, იყო თუ არა ნოდარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი.

1. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა

ვალდებულების შესრულება შეუძლებელია, როცა შესრულება არავის (ობიექტური შეუძლებლობა) ან მოვალეს (სუბიექტური შეუძლებლობა) არ შეუძლია. სკ-ის 382-ე მუხლის თანახმად კი, ასეთი შეუძლებლობა მხოლოდ მაშინ შეიძლება გვექონდეს სახეზე, როდესაც შესრულების საგანი გვაროვნული ნივთი არაა.

ა. შესრულების საგნის შეცვლადობა

ამდენად, უპირველესად, გასარკვევია, არის თუ არა შესრულების საგანი გვაროვნული ნივთი. სკ-ის 382-ე მუხლის თანახმად, გვაროვნულია ნივთი, რომლის შეცვლაც შეიძლება. მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება მობილურ ტელეფონს, რომელიც დათომ კატალოგიდან შეარჩია. კატალოგი ყოველთვის გულისხმობს, რომ ნივთი დაკონკრეტებული არაა და ხელშეკრულების საგანს ამ მოდელის (გვარის) ნებისმიერი საგანი შეიძლება წარმოადგენდეს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა გვაროვნული ნივთი.

ბ. დაკონკრეტება მოვალის მიერ

გვაროვნული ნივთის დაკონკრეტება

გვაროვნული ნივთით შესასრულებელი ვალდებულებისას ცალკეული ნივთის განადგურება კრედიტორის მოთხოვნას არ წყვეტს. ამიტომ მოვალის ინტერესია, რომ ვალდებულება ერთი კონკრეტული ნივთით შეიზღუდოს ანუ **დაკონკრეტდეს**.⁴⁴ ასეთი დაკონკრეტება კი ხდება მაშინ, როცა მოვალე ვალდებულების შესასრულებლად, თავის მხრივ, ყველაფერს გააკეთებს.⁴⁵ დაკონკრეტების მინიმალური მოთხოვნაა, რომ შესრულების საგანი აკმაყოფილებდეს სსკ-ის 380-ე მუხლით დადგენილ ხარისხის სტანდარტს. სხვა წინაპირობები კი ვალდებულების ხასიათზეა დამოკიდებული.⁴⁶

წამოღების ვალდებულების შემთხვევაში ვალდებულება მაშინ შესრულდება, როცა მოვალის მიერ გამზადებულ ნივთს კრედიტორი წაიღებს. ამდენად, მოვალე ვალდებულების შესასრულებლად, თავის მხრივ, ყველაფერს აკეთებს მაშინ, როცა ნივთს გამოყოფს გვარიდან, გაამზადებს მას გადასაცემად და შეატყობინებს კრედიტორს, რომ ნივთი მზადაა წასაღებად. შეტყობინება ზედმეტია, როცა მხარეები თავიდანვე თანხმდებიან წამოღების თარიღზე, ან განსაზღვრავენ კონკრეტულ ვადას.⁴⁷

გაგზავნის ვალდებულების დროს მოვალემ ნივთი გადამზიდავ პირს უნდა გადასცეს ტრანსპორტირებისთვის. სწორედ ამ მომენტში დაკონკრეტდება გვაროვნული ნივთი. თუკი ტრანსპორტირებისას ნივთი განადგურდა, კრედიტორის მოთხოვნა გამოირიცხება ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის გამო.⁴⁸

მიტანის ვალდებულების შემთხვევაში ვალდებულების შესრულების ადგილი კრედიტორის საცხოვრებელია (ან მის მიერ განსაზღვრული სხვა ადგილი). ამდენად, მოვალე ვალდებულების შესასრულებლად, თავის მხრივ, ყველაფერს მაშინ გააკეთებს, როცა გვარიდან გამოყოფილ კონკრეტულ ნივთს კრედიტორის საცხოვრებლამდე მიიტანს და გადაცემას შესთავაზებს. ამიტომ ასეთ შემთხვევებში დაკონკრეტებას ნაკლები დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. თუმცა საფიქრალია ისეთი შემთხვევაც, როცა კრედიტორი ნივთს არ მიიღებს. ამ დროს გვაროვნული ნივთის დაკონკრეტებასთან

⁴⁴ Looschelders, Schuldrecht AT, § 13, Rn. 12ff.

⁴⁵ შდრ. *მესხიშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხ. 382, ველი 6; *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 382, გვ. 327-328.

⁴⁶ *კროპოლერი*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, § 243, ველი 3 და შემდგომი.

⁴⁷ Looschelders, Schuldrecht AT, § 13, Rn. 13.

⁴⁸ Looschelders, Schuldrecht AT, § 13, Rn. 14.

ერთად კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება ცვექნება სსკ-ის 390-ე და შემდგომი მუხლების შესაბამისად.⁴⁹

დაკონკრეტების სამართლებრივი შედეგი ისაა, რომ მოვალის ვალდებულება აღარაა გვაროვნული ნივითი შესასრულებელი და იმ კონკრეტული ნივითი შემოიფარგლება, რომლითაც მან ვალდებულების შესრულება სცადა.

სტუდენტები კაზუსის ამოხსნისას ხშირად უშვებენ შეცდომას და მიუთითებენ, რომ მოვალის მიერ ვალდებულების შესასრულებლად, თავის მხრივ, ყველაფრის გაკეთება არის ვალდებულების შესრულება, რაც სსკ-ის 427-ე მუხლის საფუძველზე ნყვეტს კრედიტორის მოთხოვნას. ეს არასწორია, რადგან ვალდებულების შესრულება გულისხმობს არა მხოლოდ ქმედებას, არამედ შედეგსაც, რომელმაც კრედიტორი უნდა დააკმაყოფილოს.⁵⁰ ამიტომ, თუ შესრულების საგანი განადგურდა მას შემდეგ, რაც მოვალემ, თავის მხრივ, ყველაფერი გააკეთა ვალდებულების შესასრულებლად, კრედიტორის მოთხოვნა გამოირიცხება არა სსკ-ის 427-ე მუხლის, არამედ შესრულების შეუძლებლობის გამო.⁵¹

თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, გვაროვნული ნივთის დროსაც ვალდებულების შესრულება შესაძლებელია კონკრეტული საგნით იყოს შეზღუდული. ასეთ დაკონკრეტება მაშინ ხდება, როდესაც მოვალე, თავის მხრივ, ყველა საჭირო ქმედებას განახორციელებს ვალდებულების შესასრულებლად. თუ რა შეიძლება ჩაითვალოს „ყველა საჭირო ქმედებად“, დამოკიდებულია ვალდებულების სახეზე.

მოცემულ შემთხვევაში, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მობილურ ტელეფონს დათო წაიღებდა. ამდენად, შეთანხმების მიხედვით, სახეზეა ე. წ. წამოღების ვალდებულება.

წამოღების ვალდებულების დროს გვაროვნული ნივთის დაკონკრეტება ხდება მაშინ, როდესაც მოვალე ვალდებულების საგანს გაამზადებს და კრედიტორს შეატყობინებს, რომ საგანი მზადაა წასაღებად. ნოდარმა მობილური ტელეფონი გაამზადა და დათოსაც გაუგზავნა შეტყობინება.

თუმცა საინტერესოა, რა სამართლებრივი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ ფაქტს, რომ დათოს შეტყობინება არ მიუღია. გაბატონებული მოსაზრების თანახმად, შეტყობინების გაგზავნა საკმარისია, მისი მიღება

⁴⁹ Looschelders, Schuldrecht AT, § 13, Rn. 15.

⁵⁰ სვანაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხ. 427, ველი 7-8; Fetzer, in MüKo § 362, Rn. 2.

⁵¹ Looschelders, Schuldrecht AT, Rn. 2.

კრედიტორის მიერ კი აუცილებელ პირობას არ წარმოადგენს გვაროვნული ნივთის დაკონკრეტებისათვის.

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში მოხდა მოვალის მიერ გვაროვნული ნივთის დაკონკრეტება და ვალდებულება მხოლოდ კონკრეტული საგნით შემოიფარგლება.

ბ. სუბიექტური შეუძლებლობა

გარდა ამისა, შესრულება მოვალისთვის ან ყველასთვის შეუძლებელი უნდა იყოს. მოცემულ შემთხვევაში, შესრულების საგანი მძარცველის ხელშია და ნოდარს არ შეუძლია, იგი გადასცეს დათოს. შესაბამისად, სახეზეა სუბიექტური შეუძლებლობა.

2. შუალედური დასკვნა – მოთხოვნის შეწყვეტა

დათოს მოთხოვნა ნოდარის მიმართ შეწყდა ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის გამო.

III. საბოლოო დასკვნა

დათოს არ აქვს ნოდარისაგან მობილურის გადაცემის მოთხოვნის უფლება სკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე.

A. დათოს მოთხოვნა ნოდარისაგან მობილურის გადაცემის თაობაზე, 477 I

I. მოთხოვნის წარმოშობა (+)

II. მოთხოვნის შეწყვეტის გამო (+)

- ინდივიდუალური ნიშნ. ნივთი (-)
- გვაროვნული ნივთის დაკონკრეტება (+)
- სუბიექტური შეუძლებლობა (+)

შედეგი: დათოს არა აქვს ნოდარისაგან მობილურის გადაცემის მოთხოვნის უფლება, 477 I (-)

B. ნოდარის მოთხოვნა დათოსაგან თანხის გადაცემის თაობაზე სკ-ის 477-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე

ნოდარს შესაძლოა, ჰქონდეს დათოსაგან მობილური ტელეფონის საფასურის, 500 ლარის მოთხოვნის უფლება სკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა იყოს წარმოშობილი, არ შეწყდეს და იყოს განხორციელებადი.

IV. მოთხოვნის წარმოშობა

აღნიშნული მოთხოვნის წარმოშობისათვის საჭიროა, მხარეთა შორის დადებული იყოს ნასყიდობის ხელშეკრულება სკ-ის 477-ე მუხლის შესაბამისად. დათომ და ნოდარმა ასეთი ხელშეკრულება დადეს 5 ოქტომბერს. შესაბამისად, მოთხოვნა წარმოიშვა.

V. მოთხოვნის შეწყვეტა

თუმცა ნოდარის მოთხოვნა შესაძლოა შეწყვეტილიყო სკ-ის 406-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. ამისათვის საჭიროა, მხარეთა შორის დადებული იყოს ორმხრივი ხელშეკრულება, მოვალე (ნოდარი) გათავისუფლებული იყოს შესრულებისაგან და კრედიტორს (დათოს) არ ეკისრებოდეს ბრალი ამ შესრულებისაგან გათავისუფლების საფუძვლის დადგომაში.

3. ორმხრივი ხელშეკრულება

ორმხრივია ხელშეკრულება, რომელიც ორივე მხარეს აკისრებს ვალდებულებას. ნოდარსა და დათოს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც ერთ მხარეს ნივთისა და საკუთრების უფლების, ხოლო მეორე მხარეს საფასურის გადაცემის ვალდებულებას აკისრებს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ორმხრივი ხელშეკრულება.

4. მოვალის გათავისუფლება ვალდებულებისაგან

გარდა ამისა, საჭიროა, მოვალე გათავისუფლებული იყოს ვალდებულებისაგან. მოცემულ შემთხვევაში, ნოდარს შეუძლია, უარი თქვას ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე მისი შეუძლებლობის გამო (იხ. A II). ამდენად, 406-ე მუხლის ეს წინაპირობაც სახეზეა.

5. მეორე მხარის არაბრალეულობა

კაზუსიდან აგრეთვე იკვეთება, რომ უშუალოდ დათოს ბრალი არ

B. ნოდარის მოთხოვნა დათოს მიმართ თანხის გადაცემაზე, 477 II
I. მოთხოვნის წარმოშობა (+)
II. მოთხოვნის შეწყვეტა საპასუხო მოთხოვნის გამორიცხვის გამო, 406 I (+)
➤ ორმხრივი ხელშეკრულება (+)
➤ საპასუხო მოთხოვნის გამორიცხულობა (+)
➤ მეორე მხარის არაბრალეულობა (+)
შედეგი: ნოდარს არა აქვს დათოსაგან თანხის მოთხოვნის უფლება, 477 II (-)

მიუძღვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის მდგომარეობის შექმნაში.

6. შუალედური დასკვნა – მოთხოვნის შეწყვეტა

ნოდარის მოთხოვნა დათოსაგან შეთანხმებული საფასურის გადახდის თაობაზე გამორიცხულია სკ-ის 406-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

VI. საბოლოო დასკვნა

ნოდარს არა აქვს დათოსაგან საფასურის მოთხოვნის მოთხოვნის უფლება სკ-ის 477-ე მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე.

სამახსოვრო!

- გვაროვნული ნივით შესასრულებელი ვალდებულება, როგორც წესი, შეუძლებელი ვერ გახდება. ერთადერთი გამონაკლისია, თუ მთელი გვარი განადგურდება.
- გვაროვნული ნივთი შესაძლოა დაკონკრეტდეს და ვალდებულება შემოიფარგლოს ერთი კონკრეტული ნივით. დაკონკრეტება დამოკიდებულია ვალდებულების სახეზე, ზოგადად კი ნივთი მაშინ კონკრეტდება, როცა მოვალე ვალდებულების შესასრულებლად, თავის მხრივ, ყველაფერს გააკეთებს.
- ნამოლების ვალდებულებისას ნივთის დაკონკრეტება ხდება მაშინ, როცა მოვალე ნივთს გაამზადებს წასაღებად და კრედიტორს ამის შესახებ შეატყობინებს.
- გაგზავნის ვალდებულებისას ნივთის დაკონკრეტება ხდება მაშინ, როცა მოვალე ნივთს გადამზიდავ პირს გადასცემს ტრანსპორტირებისათვის.
- მიტანის ვალდებულებისას ნივთი დაკონკრეტდება, როცა მოვალე ნივთს მიუტანს კრედიტორს და შესთავაზებს გადაცემას.
- ვალდებულების შესასრულებლად ყველაფრის გაკეთება არ ნიშნავს ვალდებულების შესრულებას. ეს მხოლოდ „შესრულების მცდელობა“.

კაზუსი 9. მაცივრის ამონურული მარაბი

(ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, გვაროვნული ნივთის დაკონკრეტება)

ვანო მერაბის მალაზიაში თავისი ახალშექმნილი ოჯახისათვის ეძებს მაცივარს. დიდი ხნის ძიების შემდეგ ვანომ თვალი მოჰკრა ერთ-ერთ ორიგინალური დიზაინის მქონე მოდელს, რომელიც ძალიან მოეწონა. ვანო და მერაბი შეთანხმდნენ, რომ მერაბი ვანოს სახლში 15 ოქტომბერს სწორედ ასეთ მაცივარს მიუტანდა. თანხა ვანომ ამისთვის წინასწარ გადაიხადა, თუმცა 15 ოქტომბერს მასთან მაცივარი არ მიუტანიათ. მეორე დღეს ვანომ მერაბს დაურეკა და მისგან გაიგო, რომ მალაზიაში ამ მოდელის მაცივრების მარაგი სანწყობში ჯერ კიდევ 11 ოქტომბერს ამონურულა, ხოლო მალაზიაში წარმოდგენილი ის მაცივარი, რომელიც ვანომ ნახა, მხოლოდ საბრეზენტაციოა და არ იყიდება. ვანო სასწრაფოდ ითხოვს მისთვის მაცივრის მიწოდებას.

რა მოთხოვნები შეიძლება ჰქონდეთ ერთმანეთის მიმართ ვანოსა და მერაბს?

A. ვანოს მოთხოვნა მერაბის მიმართ მაცივრის გადაცემის თაობაზე სკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე

ვანოს შესაძლოა, ჰქონდეს მერაბისაგან მაცივრის გადაცემის მოთხოვნის უფლება სკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა იყოს წარმოშობილი, არ შეწყდეს და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა

აღნიშნული მოთხოვნის წარმოშობისათვის საჭიროა, მხარეთა შორის დადებული იყოს ნასყიდობის ხელშეკრულება სკ-ის 477-ე მუხლის შესაბამისად. ვანომ და მერაბმა ასეთი ხელშეკრულება დადეს. შესაბამისად, მოთხოვნა წარმოიშვა.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

თუმცა მოთხოვნა შესაძლოა შემწყდარიყო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის გამო. ამდენად, საკითხავია, იყო თუ არა მერაბის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი.

1. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა

ვალდებულების შესრულება შეუძლებელია, როცა შესრულება არავის (ობიექტური შეუძლებლობა) ან მოვალეს (სუბიექტური შეუძლებლობა) არ შეუძლია. სკ-ის 382-ე მუხლის თანახმად კი, ასეთი შეუძლებლობა მხოლოდ მაშინ შეიძლება გვექონდეს სახეზე, როდესაც შესრულების საგანი გვაროვნული ნივთი არაა.

ა. შესრულების საგნის შეცვლადობა

ამდენად, უპირველესად, გასარკვევია, არის თუ არა შესრულების საგანი გვაროვნული ნივთი. სკ-ის 382-ე მუხლის თანახმად, გვაროვნულია ნივთი, რომლის შეცვლაც შეიძლება. მოცემულ შემთხვევაში მხარეები შეთანხმდნენ, რომ უნდა მოეთანათ ისეთივე და არა კონკრეტულად ის მაცივარი, როგორც ვანომ ნახა. ამდენად, საქმე ეხება შეცვლად, გვაროვნულ ნივთს.

ბ. დაკონკრეტება მოვალის მიერ

თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, გვაროვნული ნივთის დროსაც ვალდებულების შესრულება შესაძლებელია, კონკრეტული საგნით იყოს შეზღუდული. ასეთი დაკონკრეტება მაშინ ხდება, როდესაც მოვალე, თავის მხრივ, ყველა საჭირო ქმედებას განახორციელებს ვალდებულების შესასრულებლად. თუ რა შეიძლება ჩაითვალოს „ყველა საჭირო ქმედებად“, დამოკიდებულია ვალდებულების სახეზე.

მოცემულ შემთხვევაში, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მაცივარს მერაბი მიუტანდა ვანოს სახლში. ამდენად, შეთანხმების მიხედვით, სახეზეა ე. წ. მიტანის ვალდებულება.

მიტანის ვალდებულების დროს გვაროვნული ნივთის დაკონკრეტება ხდება მაშინ, როდესაც მოვალე ვალდებულების საგანს კრედიტორს შეთანხმებულ ადგილზე მიაწვდის (მიუტანს). მოცემულ შემთხვევაში, მერაბს ვანოსთვის მაცივარი არ მიუწოდებია. ამდენად, საგნის ინდივიდუალისაცია ვერ მოხდება.

გ. შუალედური დასკვნა – შესრულების შეუძლებლობა

შესრულების შეუძლებლობა სახეზე არაა. ამდენად, ვანოს მოთხოვნა მერაბის მიმართ მაცივრის გადაცემის თაობაზე არ შეწყვეტილა.

III. მოთხოვნის განხორციელება

არ არსებობს რაიმე გარემოება, რაც მოთხოვნის განხორციელებადობას გამორიცხავდა. შესაბამისად, მოთხოვნა განხორციელებადია.

IV. საბოლოო დასკვნა

ვანოს აქვს მერაბისაგან მაცივრის გადაცემის მოთხოვნის უფლება სკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე.

<p>A. ვანოს მოთხოვნა მერაბის მიმართ მაცივრის გადაცემის თაობაზე, 477 I</p> <p>I. მოთხოვნის წარმოშობა (+)</p> <p>II. მოთხოვნის შეწყვეტა შეუძლებლობის გამო (-)</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ინდივიდუალური ნიშნ. ნივთი (-) ➤ გვაროვნული ნივთის დაკონკრეტება (-) <p>III. განხორციელებადობა (+)</p> <p>შედეგი: ვანოს აქვს მერაბისაგან მაცივრის გადაცემის მოთხოვნის უფლება, 477 I (-)</p>

კაზუსი 10. დიდთოვლობა ბაკურიანში

(მიზნის თავისით მიღწევა, მიზნის გაქრობა, ვალდებულების შესრულების ნაწილობრივი შეუძლებლობა)

იანვარში გიორგი თავისი ოჯახით ბაკურიანში წავიდა დასასვენებლად, თავის ძველ ხის სახლში. ბაკურიანში ჩასულებს, დიდი თოვლი დახვდათ, რამაც მთელი ოჯახი გაახარა, მაგრამ მეორე დღეს გიორგიმ შეამჩნია, რომ სახლის სახურავზე ერთ მეტრამდე თოვლი იდო და თოვლის სიმძიმის გამო ადგილ-ადგილ სახურავი ჩაზნექილიყო. დიდთოვლობისას ხშირია შემთხვევა, რომ ძველი სახურავები სიმძიმეს ვერ უძლებს და ინგრევა. გიორგისთვის ეს ახალი არაა, იგი ყოველ წელს იძახებს სპეციალურ სამსახურს სახურავიდან თოვლის გადმოსაყრელად. წელსაც მან ტელეფონით დაურეკა შოთას და სთხოვა, სახურავიდან თოვლი გადმოეყარა, რისთვისაც 300 ლარს შეჰპირდა. შოთა დასთანხმდა მას და უთხრა, რომ ამ საქმეს მეორე დღეს შეასრულებდა.

სალამოს თოვა გაძლიერდა, სახურავი კიდევ უფრო დამძიმდა და ჩამოინგრა. მეორე დღეს 15:00 საათზე შოთა მივიდა გიორგისთან და ნახა ჩამონგრეული სახურავი. იგი ითხოვს 300 ლარს, რადგან ამ საქმის შესასრულებლად მან სხვა საქმეები გადადო. გიორგი უარს აცხადებს თანხის გადახდაზე, რადგან მას ისედაც დიდი ზიანი მიადგა და ფულის უაზროდ გადაყრას არ აპირებს.

ვისი პოზიციაა სამართლებრივად დასაბუთებული?

მოდიფიკაცია: შოთას მისვლამდე მოულოდნელად მზე გამოვიდა და სახურავზე არსებული თოვლი ნაწილობრივ დაადნო. შოთას მისვლისას სახურავის იმ მხარეს, რომელსაც მზე უდგებოდა, თოვლი აღარ იყო, მეორე მხარეს კი კვლავ ერთ მეტრამდე თოვლი იდო. შოთამ თოვლი გადმოყარა და გიორგისაგან ითხოვს 300 ლარს. გიორგი უარს აცხადებს თანხის სრულად გადახდაზე, რადგან შოთას მხოლოდ ნახევარი სამუშაოს შესრულება მოუწია.

ვისი პოზიციაა სამართლებრივად დასაბუთებული?

A. შოთას მოთხოვნა გიორგისაგან 300 ლარის გადახდის თაობაზე სკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების საფუძველზე

შოთას შესაძლოა, ჰქონდეს გიორგისაგან 300 ლარის მოთხოვნის უფლება სკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადებიდან გამომდინარე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა წარმოიშვას, არ შეწყდეს და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა

ეს მოთხოვნა წარმოიშობა ნამდვილი ნარდობის ხელშეკრულების დადებით 629-ე მუხლის შესაბამისად. შოთა და გიორგი შეთანხმდნენ ანაზღაურების სანაცვლოდ ისეთი სამუშაოს შესრულებაზე, რომელშიც გადამწყვეტი იყო შედეგი – თოვლისაგან თავისუფალი სახურავი. შესაბამისად, სახეზეა ნარდობის ხელშეკრულება და აღნიშნული მოთხოვნა წარმოშობილია.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

თუმცა მოთხოვნა შესაძლოა, შეწყვეტილიყო. შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია საპასუხო მოთხოვნის გამორიცხულობა სკ-ის 406-ე მუხლის პირველი ნაწილის უკუდასკვნის საფუძველზე. ამისათვის საჭიროა, რომ დადებული იყოს ორმხრივი ხელშეკრულება, საპასუხო მოთხოვნა იყოს გამორიცხული და ამ გამორიცხვაში ბრალი არ მიუძღოდეს გიორგის.

1. ორმხრივი ხელშეკრულება

406-ე მუხლის პირველი ნაწილის გაგებით, ორმხრივი ხელშეკრულება გულისხმობს ორმხრივ მავალდებულებელ ხელშეკრულებას. მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა დადეს ნარდობის ხელშეკრულება, რომლითაც ორივე მხარემ იკისრა გარკვეული ვალდებულება. შესაბამისად, ორმხრივი ხელშეკრულება სახეზეა.

2. საპასუხო მოთხოვნის გამორიცხულობა

კაზუსი გვეკითხება არა იმ მოთხოვნის სამართლებრივ დასაბუთებულობას, რომლის შესრულებაც შეუძლებელი გახდა, არამედ მისი საპირისპირო მოთხოვნის შემონმებას. ეს საპირისპირო მოთხოვნა კი, თავის მხრივ, სკ-ის 406-ე მუხლიდან გამომდინარე, დამოკიდებულია მეორე მხარის მოთხოვნის შეწყვეტა/შეუწყვეტლობაზე. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ კაზუსის შეკითხვა ამას არ ეხება, მაინც უნდა შემონმდეს მეორე მხარის – გიორგის – მოთხოვნა.

თუმცა სწორედ იმიტომ, რომ კაზუსი ამას არ გვეკითხება, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, არასწორი იქნებოდა შოთას მიმართ გიორგის მოთხოვნის ცალკე განხილვა. რადგან გიორგის მოთხოვნის შეწყვეტა შოთას მოთხოვნის შეწყვეტის წინაპირობაა, გიორგის მოთხოვნის შემონმების სქემა უნდა ჩაშენდეს შოთას მოთხოვნის შეწყვეტის ქვეთავში. ასეთი გადახლართულობა სტუდენტებისაგან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

საკითხავია, გამორიცხულია თუ არა გიორგის მოთხოვნა შოთას მიმართ. იმისათვის, რომ გიორგის მოთხოვნა შოთას მიმართ შეწყდეს, იგი ჯერ უნდა წარმოიშვას და შემდეგ დადგეს მისი შეწყვეტის საფუძველი.

ა. შოთას მიმართ გიორგის მოთხოვნის წარმოშობა

შოთას მიმართ გიორგის მოთხოვნა სახურავიდან თოვლის გადმოყრის თაობაზე წარმოიშვა მხარეთა შორის დადებული წარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე (იხ. ზემოთ I).

ბ. გიორგის მოთხოვნის შეწყვეტა

ამ მოთხოვნის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა. საკითხავია, რამდენად გვაქვს მოცემულ შემთხვევაში ეს მდგომარეობა.

არსებობს ფაქტობრივი შეუძლებლობის ორი განსაკუთრებული სახე, რომლებიც, ძირითადად, წარდობისა და მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში იჩენს თავს:

- **მიზნის თავისით მიღწევა:** ეს ის შემთხვევაა, როცა შედეგი, რომელიც მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებას უნდა მოჰყოლოდა, თავისით დგება და მოვალის შესრულება, უბრალოდ, ზედმეტია. მაგალითები: სანამ ექიმი მკურნალობას დაიწყებდა, პაციენტი თავისით განიკურნა; ჭაში

ჩავარდნილი ცხოველი დაქირავებული სამაშველო სამსახურის მოსვლამდე თავისით ამოძვრა ჭიდან; ვენახის მოსარწყავად დაქირავებულ მუშას გზაში გაუნვიმდა.⁵²

- **მიზნის გაქრობა:** ეს შემთხვევა კი მაშინაა სახეზე, როცა შესასრულებელი სამუშაოს საფუძვლად აღებული ობიექტი (სუბსტრატი) ნადგურდება. მაგალითები: ავტომობილი, რომელიც ხელოსანს უნდა შეეკეთებინა, ავარიის შედეგად განადგურდა; სახლი, რომელშიც სარემონტო სამუშაოები უნდა დაწყებულიყო, ხანძრის შედეგად დაინვა; პაციენტი გარდაიცვალა ოპერაციის წინ.⁵³

ორივე ამ შემთხვევაში სახეზეა ობიექტური ფაქტობრივი შეუძლებლობა, რადგან ვალდებულების შესრულება, ბუნების კანონებიდან გამომდინარე, არა მხოლოდ მოვალისათვის, არამედ ყველასთვის შეუძლებელია.

ამ შემთხვევებისაგან უნდა განვასხვაოთ **მიზნის დარღვევის შემთხვევა**,⁵⁴ როცა შესრულების მიმართ კრედიტორის ინტერესი ქრება, მიუხედავად შესრულების შესაძლებლობისა. მაგალითები: ფეხბურთის მატჩი, რომელზე დასასწრებადაც მძღოლს მაცურებლები უნდა გადაეყვანა, აღარ ტარდება; კრედიტორს აღარ სჭირდება საქორწილო ბეჭდის დამზადება მოვალისაგან, რადგან ქორწილი აღარ იქნება. ასეთ შემთხვევებში ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა სახეზე არაა, რადგან კრედიტორის ინტერესები გადამწყვეტი არაა შესაძლებლობა/შეუძლებლობის დასადგენად. ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების გამოყენება სკ-ის 398-ე მუხლის შესაბამისად.

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა მაშინ დგება, როცა შესრულება ყველასთვის ან, სულ მცირე, მოვალისთვის, ფაქტობრივად, შეუძლებელია. მოცემულ შემთხვევაში განადგურდა სახურავი ანუ შესრულების სუბსტრატი – ის ობიექტი, რომელიც საფუძვლად ედო შესრულებას. ამით სახურავის თოვლისაგან განმნდა სრულიად შეუძლებელი გახდა როგორც მოვალისთვის, ისე ნებისმიერი სხვა პირისათვის. შესაბამისად, სახეზეა ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა.

გ. შუალედური დასკვნა

შოთას მოთხოვნა გიორგის მიმართ შეწყდა ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის გამო.

⁵² Looschelders, Schuldrecht AT, § 21, Rn. 4

⁵³ Looschelders, Schuldrecht AT, § 21, Rn. 4.

⁵⁴ Looschelders, Schuldrecht AT, § 21, Rn. 6 f.

3. გიორგის არაბრალეულობა

გარდა ამისა, შოთას მოთხოვნის შეწყვეტისათვის აუცილებელია, რომ გიორგის მოთხოვნის გამორიცხულობა არ იყოს გამონვეული გიორგისავე ბრალით. მოცემულ შემთხვევაში სახურავის ჩამონგრევა იყო შემთხვევითობა, რომელშიც გიორგის ბრალი არ მიუძღვის.

4. შუალედური დასკვნა

შოთას მოთხოვნა გიორგის მიმართ შეწყდა საპასუხო მოთხოვნის გამორიცხულობის გამო სკ-ის 406-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე.

III. დასკვნა

შოთას არ აქვს გიორგისაგან 300 ლარის მოთხოვნის უფლება სკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადებიდან გამომდინარე.

B. შოთას მოთხოვნა გიორგისაგან 300 ლარის გადაცემაზე, 629 I

I. მოთხოვნის წარმოშობა (+)

II. მოთხოვნის შეწყვეტა საპასუხო მოთხოვნის გამორიცხვის გამო, 406 I (+)

- ორმხრივი ხელშეკრულება (+)
- საპასუხო მოთხოვნის გამორიცხულობა (+)
 - საპასუხო მოთხოვნის წარმოშობა (+)
 - საპასუხო მოთხოვნის შეწყვეტა (+)
- მეორე მხარის არაბრალეულობა (+)

შედეგი: შოთას არა აქვს გიორგისაგან თანხის მოთხოვნის უფლება, 629 I (-)

B. მოდიფიკაცია – შოთას მოთხოვნა გიორგისაგან 300 ლარის გადახდის თაობაზე სკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების საფუძველზე

შოთას შესაძლოა ჰქონდეს გიორგისაგან 300 ლარის მოთხოვნის უფლება სკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადებიდან გამომდინარე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა წარმოიშვას, არ შეწყდეს და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა

ეს მოთხოვნა წარმოიშობა ნამდვილი ნარდობის ხელშეკრულების დადებით 629-ე მუხლის შესაბამისად. შოთა და გიორგი შეთანხმდნენ

ანაზღაურების სანაცვლოდ ისეთი სამუშაოს შესრულებაზე, რომელშიც გადამწყვეტი იყო შედეგი – თოვლისაგან თავისუფალი სახურავი. შესაბამისად, სახეზეა ნარდობის ხელშეკრულება და აღნიშნული მოთხოვნა წარმოშობილია.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

თუმცა მოთხოვნა შესაძლოა შეწყვეტილიყო. შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია საპასუხო მოთხოვნის გამორიცხულობა სკ-ის 406-ე მუხლის პირველი ნაწილის უკუდასკვნის საფუძველზე. ამისათვის საჭიროა, რომ დადებული იყოს ორმხრივი ხელშეკრულება, საპასუხო მოთხოვნა იყოს გამორიცხული და ამ გამორიცხვაში ბრალი არ მიუძღოდეს გიორგის.

1. ორმხრივი ხელშეკრულება

406-ე მუხლის პირველი ნაწილის გაგებით, ორმხრივი ხელშეკრულება გულისხმობს ორმხრივ მავალდებულებელ ხელშეკრულებას. მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა დადეს ნარდობის ხელშეკრულება, რომლითაც ორივე მხარემ იკისრა გარკვეული ვალდებულება. შესაბამისად, ორმხრივი ხელშეკრულება სახეზეა.

2. საპასუხო მოთხოვნის გამორიცხულობა

საკითხავია, გამორიცხულია თუ არა გიორგის მოთხოვნა შოთას მიმართ. იმისათვის, რომ გიორგის მოთხოვნა შოთას მიმართ შეწყდეს, იგი ჯერ უნდა წარმოიშვას და შემდეგ დადგეს მისი შეწყვეტის საფუძველი.

ა. შოთას მიმართ გიორგის მოთხოვნის წარმოშობა

შოთას მიმართ გიორგის მოთხოვნა სახურავიდან თოვლის გადმოყრის თაობაზე წარმოიშვა მხარეთა შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე (იხ. ზემოთ I).

ბ. გიორგის მოთხოვნის შეწყვეტა

გიორგის მოთხოვნა შოთას მიმართ შესაძლოა შეწყვეტილიყო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის გამო.

ნაწილობრივი შეუძლებლობა

ვალდებულების შესრულება შესაძლოა შეუძლებელი გახდეს მხოლოდ ნაწილობრივ. ასეთ შემთხვევაში კრედიტორის მოთხოვნა მხოლოდ ნაწილობრივ, იმ ნაწილში შეწყდება, რომლის შესრულებაც შეუძლებელია. იმ ნაწილში კი, რომლის შესრულებაც შესაძლებელია, კრედიტორი ინარჩუნებს მოვალის მიმართ მოთხოვნას. ცხადია, კრედიტორს უფლება აქვს, შეუძლებელი ნაწილის ფარგლებში, მოვალისგან, შესაბამისი წინაპირობებით, ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს.⁵⁵

თუმცა გასათვალისწინებელია ისეთი შემთხვევებიც, როცა კრედიტორს ვალდებულების მხოლოდ სრულად შესრულების მიმართ აქვს ინტერესი. ასეთ შემთხვევაში მას ექნება უფლება, ზიანის ანაზღაურება მთელი ვალდებულების დარღვევისათვის მოითხოვოს და არა მხოლოდ ნაწილობრივი დარღვევისათვის.

ზოგადად, ვალდებულების ნაწილობრივი შეუძლებლობის მდგომარეობა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს სახეზე, როცა ვალდებულება დანაწევრებულია. მაგალითად, თუ შესრულების საგანია ისეთი ნივთის გადაცემა, რომელიც ნაწილებად შეიძლება დაიყოს ფუნქციის დაკარგვის გარეშე, მაშინ ერთი ნაწილის გადაცემის შეუძლებლობა მხოლოდ ამ ნაწილში გამორიცხავს მოთხოვნას. მაგალითად, თუ გადასაცემია 10 ტონა ხორბალი და 5 ტონა განადგურდება, დანარჩენი 5 ტონის მოთხოვნის უფლებას კრედიტორი ინარჩუნებს, ხოლო განადგურებული 5 ტონის მოთხოვნა წყდება. მაგრამ თუ ნივთი თავისი არსით არაა დანაწევრებადი, მაშინ მოთხოვნის უფლება სრულად შეიძლება შეწყდეს. მაგალითად, თუ კრედიტორისათვის გადასაცემი 300-გვერდიანი წიგნის 200 გვერდი დაინვა, დანარჩენი 100 გვერდის გადაცემა კრედიტორისათვის, როგორც წესი, აზრს კარგავს.

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა სახეზეა მაშინ, როცა შესრულება ყველასთვის ან მოვალისთვის შეუძლებელია. მოცემულ შემთხვევაში, სახლის სახურავის ერთ ნაწილზე თოვლი აღარაა და, შესაბამისად, თოვლისაგან მისი განმენდა შეუძლებელია ობიექტურად, მეორე ნაწილი კი თოვლითაა დაფარული და ამ ნაწილში ვალდებულების შესრულება შესაძლებელია. აქედან გამომდინარე, შოთას მიმართ გიორგის მოთხოვნა მხოლოდ ნაწილობრივ შეწყდა სახურავის ერთ ნაწილზე, მეორე ნაწილზე კი მოთხოვნა არ შეწყვეტილა.

⁵⁵ Looschelders, Schuldrecht AT, § 21, Rn. 14 f.

3. გიორგის არაბრალეულობა

მოცემულ შემთხვევაში ნახევარ სახურავზე თოვლის დადნობა იყო შემთხვევითობა, რომელშიც გიორგის ბრალი არ მიუძღვის.

4. შუალედური დასკვნა

რადგან საპასუხო მოთხოვნა მხოლოდ ნაწილობრივ, კერძოდ ნახევრადაა შეწყვეტილი, გიორგის მიმართ შოთას მოთხოვნაც მხოლოდ 1/2 ნაწილში უნდა შეწყდეს.

III. საბოლოო დასკვნა

შოთას გიორგის მიმართ აქვს 300 ლარის ნახევრის, 150 ლარის მოთხოვნის უფლება სკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადებიდან გამომდინარე.

B. შოთას მოთხოვნა გიორგისაგან 300 ლარის გადაცემაზე, 629 I

I. მოთხოვნის წარმოშობა (+)

II. მოთხოვნის შეწყვეტა საპასუხო მოთხოვნის გამორიცხვის გამო, 406 I (+)

- ორმხრივი ხელშეკრულება (+)
- საპასუხო მოთხოვნის გამორიცხულობა (+)
 - საპასუხო მოთხოვნის წარმოშობა (+)
 - საპასუხო მოთხოვნის ნაწილობრივ შეწყვეტა (+)
- მეორე მხარის არაბრალეულობა (+)

შედეგი: შოთას აქვს გიორგისაგან თანხის 1/2-ის მოთხოვნის უფლება, 629 I (-)

სამახსოვრო!

- ფაქტობრივი შესრულება მაშინაცაა სახეზე, როცა შესრულების მიზანი, მოვალის ძალისხმევის გარეშე, თავისით სრულდება, ანდა შესრულების მიზანი საერთოდ ქრება.
- შესრულების მიზნის გაქრობა არ უნდა ავურიოთ მიზნის დარღვევის შემთხვევებში. მიზნის გაქრობისას ნადგურდება შესრულების საფუძვლად აღებული ობიექტი (სუბსტრატი). მიზნის დარღვევის დროს კი, უბრალოდ, კრედიტორი კარგავს ინტერესს შესრულების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ შესრულება შესაძლებელია.
- ნაწილობრივი შეუძლებლობის შემთხვევაში მოთხოვნა ნყდება მხოლოდ იმ ნაწილში, რა ნაწილშიც მისი შესრულებაა შეუძლებელი.
- ნაწილობრივი შეუძლებლობა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს სახეზე, როცა ვალდებულება დანაწევრებადია.
- როცა კრედიტორს ვალდებულების მხოლოდ სრულად შესრულების მიმართ აქვს ინტერესი, მას ექნება უფლება, ზიანის ანაზღაურება მთელი ვალდებულების დარღვევისათვის მოითხოვოს და არა მხოლოდ ნაწილობრივი დარღვევისათვის.

კაზუსი 11. ყურძენი ალაზნის ველიდან

(ვალდებულების შესრულების სამართლებრივი შეუძლებლობა)

ჯონდის ღვინის მცირე საწარმო აქვს და ეძებს განსაკუთრებით ხარისხიან ყურძენს. კახეთში ბევრი ვენახი მოიარა, მაგრამ სასურველ ხარისხს ვერსად მიაგნო. ბოლოს კი ალაზნის ველზე ერთ-ერთ ვენახში აღმოაჩინა რქანიტელის ქარვისფერი მტევნები და მიხვდა, რომ ის ის იყო. იქვე ვენახში მუშაობდა ნიკო. ჯონდომ იფიქრა, რომ ნიკო ამ ვენახის მესაკუთრეა და ჰკითხა, რამდენად მიჰყიდიდა ამ ვენახში დაკრეფილ 2 ტონა ყურძენს. ნიკომ 1000 ლარი დაუფასა. ფასით ჯონდიც მოიხიბლა და შეუთანხმდა ნიკოს, რომ სექტემბერში 2 ტონა ყურძენს წაიღებდა.

სექტემბრის დასაწყისში ჯონდი ურეკავს ნიკოს და ეკითხება, როდისაა შესაძლებელი ყურძნის წაღება. ნიკო დამწუხრებული ხმით უხსნის, რომ ვენახი მისი არაა, სინამდვილეში მესაკუთრე ნიკოს ძმა პეტრეა, რომელსაც არ მოეწონა ყურძნის გაყიდვის იდეა. გაბრაზებული ჯონდი სახლში მიადგა ძმებს და ითხოვს მათგან შეთანხმებული ყურძნის გადაცემას.

აქვს თუ არა ჯონდის რომელიმე ძმისაგან ყურძნის გადაცემის მოთხოვნის უფლება?

A. ჯონდის მოთხოვნა ნიკოსაგან 2 ტონა ყურძენის გადაცემის შესახებ სკ-ის 477-ე მუხლის I ნაწილის საფუძველზე

ჯონდის შესაძლოა ჰქონდეს ნიკოსაგან 2 ტონა ყურძენის გადაცემის მოთხოვნის უფლება სკ-ის 477-ე მუხლის I ნაწილის საფუძველზე ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა წარმოიშვას, არ შეწყდეს და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა

აღნიშნული მოთხოვნა წარმოიშობა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სკ-ის 477-ე მუხლიდან გამომდინარე. ჯონდი და ნიკო შეთანხმდნენ ყურძენის ნასყიდობაზე შესაბამისი ანაზღაურებით. მათ განსაზღვრეს ხელშეკრულების ყველა არსებითი პირობა. შესაბამისად, ხელშეკრულება დადებულია და მოთხოვნა წარმოიშვა.

მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულებით, ცხადია, საკუთრების უფლება მყიდველზე არ გადადის. გამყიდველი მხოლოდ და მხოლოდ ვალდებულია კისრულობს, რომ უზრუნველყოფს საკუთრების გადასვლას მყიდველზე. საკუთრების გადასვლა კი დამატებით სხვა წინაპირობებსაც მოითხოვს (სკ-ის 183-ე და შემდგომი მუხლები). ამიტომ ის ფაქტი, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებას ნიკო დებს სხვის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე, არ მოქმედებს ამ ხელშეკრულების ნამდვილობაზე. როგორ შეასრულებს ნიკო ამ ნამდვილი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებას, ეს ცალკე საკითხია. მხარეებს ხელშეკრულების დადება ჯერ არარსებულ ქონებაზეც კი შეუძლიათ.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

თუმცა მოთხოვნა შესაძლოა შეწყვეტილიყო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის გამო.

1. შესრულების ფაქტობრივი შეუძლებლობა

ვალდებულების შესრულება, ფაქტობრივად, მაშინაა შეუძლებელი, როცა შესრულება ბუნების კანონებიდან გამომდინარე წარმოუდგენელია. მოცემულ შემთხვევაში ნიკოს თავისუფლად შეუძლია, ყურძენი დაკრიფოს და გადასცეს კრედიტორს, ამაში მას ბუნების კანონები

ხელს არ უშლის. შესაბამისად, ფაქტობრივი შეუძლებლობა სახეზე არ გვაქვს.

2. სამართლებრივი შეუძლებლობა

ვალდებულების შესრულების სამართლებრივი შეუძლებლობა ნამდვილი შეუძლებლობის ერთ-ერთი სახეა.⁵⁶ ასეთ დროს ვალდებულების შესრულების შედეგის დადგომას სამართლებრივი საფუძვლები უშლის ხელს. მაგალითად, სამართლებრივად შეუძლებელია სხვის საკუთრებაში არსებული ნივთის გადაცემით საკუთრების გადასვლა მესამე პირზე. სამართლებრივი შეუძლებლობა ხშირად დაკავშირებულია ლიცენზირებასთან ან სახელმწიფო ნებართვასთან, აკრედიტაციასთან. მაგალითად, თუკი უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებამ სწავლების ხელშეკრულება დადო სტუდენტებთან, მაგრამ შემდეგ აკრედიტაცია ვერ გაიარა და საქმიანობის უფლება შეუჩერდა, სახეზე იქნება სტუდენტების მიმართ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა. სასწავლებლის მიმართ სტუდენტების მოთხოვნა სწავლების შესახებ შეწყდება, მაგრამ სტუდენტებს, შესაბამისი წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ექნებათ.

სამართლებრივი შეუძლებლობა სახეზეა მაშინ, როცა ვალდებულების შესრულების შედეგის დადგომას სამართლებრივი საფუძვლები უშლის ხელს. სკ-ის 186-ე მუხლის თანახმად, მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მესამე პირზე გადაცემა მხოლოდ მესაკუთრეს შეუძლია. ნიკო არაა ვენახის და, შესაბამისად, მისი ნაყოფის მესაკუთრე. ამიტომ მას სამართლებრივად არ აქვს უფლება ნივთის გადაცემისა. მისი ვალდებულების შესრულებას სამართლებრივი საფუძვლები უშლის ხელს. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ვალდებულების შესრულების სამართლებრივი შეუძლებლობა.

3. შუალედური დასკვნა

სამართლებრივი შეუძლებლობა მოთხოვნის შეწყვეტის საფუძველია. შესაბამისად, ჯონდის მოთხოვნა შეწყდა.

B. ჯონდის მოთხოვნა ნიკოსგან ყურძენის გადაცემაზე, 477 I

I. მოთხოვნის წარმოშობა (+)

II. მოთხოვნის შეწყვეტა შეუძლებლობის გამო (+)

- ფაქტობრივი შეუძლებლობა (-)
- სამართლებრივი შეუძლებლობა (+)

შედეგი: ჯონდის არა აქვს ნიკოსგან ყურძენის გადაცემის მოთხოვნა, 477 I (-)

⁵⁶ *Looschelders, Schuldrecht AT, § 21, Rn. 8; შდრ. ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანჭურია (რედ.), 2019, მუხ. 401, ველი 18 და შემდგომში.*

III. საბოლოო დასკვნა

ჯონდის არა აქვს ნიკოსაგან 2 ტონა ყურძნის გადაცემის მოთხოვნის უფლება სკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე.

B. ჯონდის მოთხოვნა პეტრეს მიმართ 2 ტონა ყურძნის გადაცემის შესახებ სკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე

ჯონდის შესაძლოა ჰქონდეს პეტრეს მიმართ 2 ტონა ყურძნის გადაცემის მოთხოვნის უფლება სკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა წარმოიშვას, არ შეწყდეს და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა

აღნიშნული მოთხოვნის წარმოშობის საფუძველი მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებაა. ნასყიდობის ხელშეკრულების დასაღებად კი საჭიროა ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა – ოფერტი და აქცეპტი.

1. შეთანხმება პეტრესთან

კაზუსიდან იკვეთება, რომ ორი პირის შეთანხმება ოფერტისა და აქცეპტის სახით შედგა, თუმცა ერთმანეთის მიმართ ნება გამოავლინეს ჯონდიმ და ნიკომ. პეტრეს უშუალოდ არც ოფერტი და არც აქცეპტი არ გამოუვლენია.

2. წარმომადგენლობა ნიკოს მიერ

თუმცა, შესაძლოა, ნიკო თავისი აქცეპტის გამოვლენისას ყოფილიყო პეტრეს წარმომადგენელი. ასეთ შემთხვევაში, სკ-ის 104-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების სამართლებრივი შედეგები პეტრესთვის წარმოიშობოდა. იმისათვის, რომ პეტრე იყოს ნიკოს წარმომადგენელი, იგი უნდა ავლენდეს საკუთარ ნებას სხვისი სახელით წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში.

ა. საკუთარი ნების გამოვლენა

კაზუსის ფაბულიდან ნათლად იკვეთება, რომ ნიკო საკუთარ ნებას ავლენს. ამ ნების ფორმირება მის პიროვნებაში მოხდა და უშუალოდ მის მიერ იქნა გამოხატული.

ბ. სხვისი სახელით

თუმცა ნიკო არ მოქმედებდა სხვისი სახელით. მას არ მიუთითებია ჯონდისათვის, რომ იგი თავისი ძმის წარმომადგენელი იყო. ჯონდის არც შეეძლო ევარაუდა მისი წარმომადგენლობის თაობაზე (სკ-ის 104-ე მუხლის III ნაწილის პირველი წინადადება). გარდა ამისა, ჯონდისთვის არც სულ ერთი იყო, თუ ვინ იქნებოდა ხელშეკრულების მეორე მხარე, რადგან ვალდებულება მომავალში, სექტემბერში, უნდა შესრულებულიყო (სკ-ის 104-ე მუხლის III ნაწილის მეორე წინადადება).

გ. შუალედური დასკვნა

ნიკო არ მოქმედებდა როგორც პეტრეს წარმომადგენელი. შესაბამისად, მის მიერ დადებული ხელშეკრულება ვერ წარმოშობს შედეგებს პეტრესათვის.

3. შუალედური დასკვნა – მოთხოვნის წარმოშობა

ჯონდის მოთხოვნა პეტრეს მიმართ არ წარმოშობილა.

II. საბოლოო დასკვნა

ჯონდის არ აქვს პეტრესაგან 2 ტონა ყურძნის გადაცემაზე მოთხოვნის უფლება სკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე.

B. ჯონდის მოთხოვნა პეტრესაგან ყურძნის გადაცემაზე, 477 I

I. მოთხოვნის წარმოშობა (+)

- შეთანხმება პეტრესაგან (-)
- წარმომადგენლობა ნიკოს მიერ (+)
 - საკუთარი ნების გამოვლენა (+)
 - სხვისი სახელით (-)

შედეგი: ჯონდის არა აქვს პეტრესაგან ყურძნის გადაცემის მოთხოვნა, 477 I (-)

კაზუსი 12. ლაშას საქორწინო ბეჭედი

(ვალდებულების შესრულების პრაქტიკული შეუძლებლობა, ეკონომიკური შეუძლებლობა, ზიანის ანაზღაურება ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისას, ზიანის ანაზღაურების საფუძველი)

ლაშას ცოლი მოჰყავს და საქორწინო ბეჭედს ეძებს. ოქროულის მაღაზიებში არცერთი ბეჭედი მის გემოვნებას არ აკმაყოფილებდა და უკმაყოფილო ლაშაც ოქრომჭედელ დათოს მიადგა ახალი, უნიკალური ბეჭდის დასამზადებლად. ლაშამ დათოს აუხსნა, როგორი ბეჭედი სურდა, დათომაც, თავის მხრივ, პროფესიონალური კორექტივები შეიტანა ბეჭდის ფორმაში და საბოლოო შედეგი ლაშასაც მოეწონა. შეთანხმების მიხედვით, ბეჭდის დამზადების შემდეგ დათოს იგი ლაშასთან უნდა მიეტანა სამსახურში; ბეჭდის საფასურსაც – 700 ლარს – ლაშა შემდეგ გადაიხდიდა.

ნიშნობამდე ორი დღით ადრე დათომ დაასრულა ბეჭედზე მუშაობა და ლაშას სამსახურისაკენ მიმავალ გზას გაუდგა. გზაში დათო ხიდზე შეჩერდა და თბილისის უმშვენიერესი ხედებით ტკბებოდა, როცა შემთხვევით ბეჭედი ჯიბიდან ამოუვარდა და მტკვარში ჩაუვარდა.

ლაშამ, რომელიც საქორწინო სამზადისით უკვე გადაღლილია და ორ დღეში ბეჭედი საჩქაროდ სჭირდება, ეს ამბავი შეიტყო და დათოსგან არაფრის გაგონება არ სურს! იგი პრინციპულად მოითხოვს, ნებისმიერი გზით იმ ბეჭდის მოძებნას და მისთვის გადაცემას. დათო ამაზე უარს ამბობს.

აქვს თუ არა ლაშას დათოსაგან ბეჭდის გადაცემის მოთხოვნის უფლება?

მოდულიკაცია: მას შემდეგ, რაც დათომ უარი განაცხადა ბეჭდის მდინარიდან ამოღებაზე, ლაშა საჩქაროდ წავიდა სხვა ბეჭდის მოსაძებნად. დროის უქონლობის გამო მან მხოლოდ რამდენიმე ოქროულის მაღაზიის მოვლა მოახერხა და ძლივს მიაგნო მისთვის მოსაწონ ბეჭედს, დაახლოებით ისეთს, როგორიც ოქრომჭედელმა დათომ დაუმზადა. ბეჭედი 1000 ლარი ღირდა. ლაშამ იყიდა ეს ბეჭედი და მაშინვე გადაურეკა დათოს. ლაშა ამჯერად დათოსგან ითხოვს ბეჭედში ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნებას.

აქვს თუ არა ლაშას ამ მოთხოვნის უფლება?

A. ლაშას მოთხოვნა დათოსაგან ბექქედის გადაცემის თაობაზე სკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე

ლაშას შესაძლოა ჰქონდეს დათოსაგან ბექქედის გადაცემის მოთხოვნის უფლება სკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა იყოს წარმოშობილი, არ შეწყდეს და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა

აღნიშნული მოთხოვნის წარმოშობისათვის საჭიროა, მხარეთა შორის დადებული იყოს წარდობის ხელშეკრულება სკ-ის 629-ე მუხლის შესაბამისად. დათომ და ლაშამ ასეთი ხელშეკრულება დადეს. შესაბამისად, მოთხოვნა წარმოიშვა.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

თუმცა მოთხოვნა შესაძლოა შემწყდარიყო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის გამო. ამდენად, საკითხავია, იყო თუ არა დათოს მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი.

1. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა

ვალდებულების შესრულება შეუძლებელია, როცა შესრულება არავის (ობიექტური შეუძლებლობა) ან მოვალეს (სუბიექტური შეუძლებლობა) არ შეუძლია. როცა შესრულების საგანი ნივთია, სკ-ის 382-ე მუხლის თანახმად, ასეთი შეუძლებლობა მხოლოდ მაშინ შეიძლება გვექონდეს სახეზე, როდესაც შესრულების საგანი გვაროვნული ნივთი არაა.

ა. შესრულების საგნის შეცვლადობა

ამდენად, უპირველესად, გასარკვევია, არის თუ არა შესრულების საგანი გვაროვნული ნივთი. სკ-ის 382-ე მუხლის თანახმად, გვაროვნულია ნივთი, რომლის შეცვლაც შეიძლება. მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება შეკვეთით დამზადებულ ნივთს. შეკვეთით დამზადებული ნივთი თავისი ნიშნებით ერთადერთია და მისი შეცვლა შეუძლებელია, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში გვაროვნული ნივთი სახეზე არაა.

ბ. ფაქტობრივი შეუძლებლობა

გარდა ამისა, შესრულება მოვალისთვის ან ყველასთვის შეუძლებელი უნდა იყოს. მოცემულ შემთხვევაში ბეჭედი მტკვარში ჩავარდა. ბეჭდის ნყალში მოძებნა და ამოღება თეორიულად შესაძლებელია. მოვალეს შეუძლია, სპეციალურ სახელმწიფო უწყებებს მიმართოს და მდინარის ნყლის დასაშრობად, მისი კალაპოტის შეცვლის გზით, დაიქირაოს სპეციალური სამსახური, რომელიც ბეჭედს ამოიღებს. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სახეზე არაა ფაქტობრივი შეუძლებლობა.

გ. პრაქტიკული შეუძლებლობა

პრაქტიკული შეუძლებლობა

პრაქტიკული შეუძლებლობა სახეზეა მაშინ, როცა შესრულების შანსი, მართალია, არსებობს, მაგრამ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ დანახარჯებს კრედიტორის ინტერესებთან მიმართებით.⁵⁷ კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ასეთ დროს გაუმართლებელი იქნებოდა, თუ მოვალეს შესრულების ვალდებულებას დავაკისრებდით. ამიტომ პრაქტიკული შეუძლებლობის ვითარებაში მოვალეს შესრულებაზე უარის თქმის უფლება ეძლევა.

გასათვალისწინებელია, რომ ფაქტობრივი შეუძლებლობისაგან განსხვავებით, პრაქტიკული შეუძლებლობისას მოთხოვნა თავისით კი არ წყდება, არამედ მოვალეს ეძლევა **შესაგებელი**, უფლება, რომ უარი თქვას შესრულებაზე. თუ მოვალე უარს არ იტყვის შესრულებაზე, კრედიტორის მოთხოვნა არ შეწყდება. შესაბამისად, თუ მოვალე მაინც შეასრულებს პრაქტიკულად შეუძლებელ ვალდებულებას, კრედიტორი უსაფუძვლოდ კი არ მდიდრდება, არამედ იღებს შესრულებას ნამდვილი ვალდებულების საფუძველზე.

პრაქტიკული შეუძლებლობის დროს ხდება მოვალის მიერ გასანევი ხარჯების შეპირისპირება კრედიტორის ინტერესებთან. ამდენად, მასშტაბად აღებულია შესრულების სარგებლიანობა კრედიტორისათვის. ამ ნიშნით განასხვავებენ მას **ეკონომიკური შეუძლებლობისაგან**. ეკონომიკური შეუძლებლობის დროს არათანაზომიერია მოვალისა და კრედიტორის ურთიერთვალდებულებები ერთმანეთის მიმართ. ეს, ძირითადად, ისეთი შემთხვევაა, როცა შესრულების საგნის საბაზრო ფასი მის გადაცემამდე იზრდება და მხარეთა შეთანხმებულ ფასს მნიშვნელოვნად აღემატება. ასეთ შემთხვევაში, მართალია, მოვალის ვალდებულება ნივთის საბაზრო ღირებულების ზრდასთან ერთად იზრდება, მაგრამ აგრეთვე იზრდება კრედიტორის ინტერესიც შესრულების მიმართ. ამიტომ ასეთ დროს პრაქტიკული შეუძლებლობა

⁵⁷ Looschelders, Schuldrecht AT, § 21, Rn. 20 ff.

არ იქნება სახეზე. ეკონომიკური შეუძლებლობა მოთხოვნის შეწყვეტის საფუძველი არაა, თუმცა სკ-ის 398-ე მუხლის ფარგლებში შესაძლებელი ხდება ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილ გარემოებებთან.

თუმცა საკითხავია, უნდა გავრცელდეს თუ არა ფაქტობრივი შეუძლებლობის სამართლებრივი შედეგები ისეთ შემთხვევებზეც, როდესაც ვალდებულების შესრულება, მართალია, შესაძლებელია, მაგრამ იგი ზედმეტად დიდ დანახარჯებს მოითხოვს მოვალისთვის და შეუსამაბოა კრედიტორის ინტერესებთან. ლიტერატურაში აღიარებულია, რომ მოვალეს ასეთ შემთხვევაში (პრაქტიკული შეუძლებლობა) აქვს უარის თქმის უფლება შესრულებაზე. მოცემულ შემთხვევაში ბექედის წყლიდან ამოსაღებად საჭიროა სპეციალური სამსახურის, პროფესიონალი მყვინთავების, დაქირავება, შესაძლოა, მდინარის დონის დაწვევაც გახდეს აუცილებელი. ეს ყველაფერი მოითხოვს დიდ დანახარჯებს, რაც თავად ბექედის ფასსაც კი აღემატება. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, ის გარემოებაც, რომ ბექედის პოვნის გარანტიას ეს დანახარჯები არ იძლევა. აქედან გამომდინარე, სახეზეა პრაქტიკული შეუძლებლობა, რაც დათოს ანიჭებს უარის თქმის უფლებას შესრულებაზე.

დ. დათოს უარი შესრულებაზე

რადგან პრაქტიკული შეუძლებლობა თავისით არ გამორიცხავს მოთხოვნას, საჭიროა, რომ დათომ განაცხადოს უარი შესრულებაზე. კაზუსის ფაბულიდან ირკვევა, რომ დათომ უარი განაცხადა ბექედის მოძებნაზე.

2. შუალედური დასკვნა – მოთხოვნის შეწყვეტა

ლაშას მოთხოვნა დათოს მიმართ შეწყდა ვალდებულების პრაქტიკული შესრულების შეუძლებლობის გამო.

III. საბოლოო დასკვნა

ლაშას არ აქვს დათოსგან ბექედის გადაცემის მოთხოვნის უფლება სკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე.

B. ლაშას მოთხოვნა დათოსაგან ბექედის გადაცემის თაობაზე, 629 I
I. მოთხოვნის წარმოშობა (+)
II. მოთხოვნის შეწყვეტა შეუძლებლობის გამო (+)
➤ ფაქტობრივი შეუძლებლობა (-)
➤ პრაქტიკული შეუძლებლობა (+)
➤ დათოს უარი შესრულებაზე (+)
შედეგი: ლაშას არა აქვს დათოსაგან ბექედის გადაცემის მოთხოვნა, 629 I (-)

ბ. ლაშას მოთხოვნა დათოსაგან 300 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების თაობაზე სსკ-ის 394-ე მუხლის I ნაწილიდან გამომდინარე

ლაშას შესაძლოა ჰქონდეს დათოსაგან 300 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე.

ზიანის ანაზღაურება ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისას

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში სახელდებით ნახსენები არსად არაა, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, გაბატონებული შეხედულების თანახმად, ვალდებულების დარღვევად მიიჩნევა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეუძლებლობისას, მართალია, კრედიტორს პირველადი მოთხოვნა აღარ აქვს მოვალის მიმართ, მაგრამ მას მეორეული მოთხოვნები უნარჩუნდება. კერძოდ, კრედიტორს შეუძლია, მოვალისაგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევის გამო, თუკი შესაბამისი წინაპირობები იქნება დაკმაყოფილებული.

სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ზიანის ანაზღაურების უზოგადესი წინაპირობებია: (1) ვალდებულების (2) დარღვევა მოვალის (3) ბრალით და (4) მიზეზობრივი კავშირი დარღვევასა და (5) დამდგარ ზიანს შორის. გარდა ამისა, ვალდებულების დარღვევის სახის მიხედვით, დამატებითი წინაპირობებიც შეიძლება იყოს დანესებული. მაგალითად, 394-ე მუხლის II და III ნაწილებით გათვალისწინებულია ზიანის ანაზღაურება ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, რომლის დროსაც ზიანის ანაზღაურების ზემოთ აღნიშნულ უზოგადეს წინაპირობებს ემატება კიდევ ერთი – კრედიტორის მიერ მოვალისათვის დამატებითი ვადის დანესება.

ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა წარმოადგენს ვალდებულების შეუსრულებლობის სახეს და, შესაბამისად, ექცევა სკ-ის 394-ე მუხლის II ნაწილის ფარგლებში. ამ მოსაზრების მომხრეები აღნიშნავენ, რომ შესრულების შეუძლებლობას, საბოლოოდ, ყოველთვის მივყავართ შეუსრულებლობამდე ანუ, კანონის ენით რომ ვთქვათ, ვადის გადაცილებამდე.⁵⁸

ეს მიდგომა არ უნდა იყოს სწორი. ვალდებულების შეუსრულებლობა გულისხმობს შეუწყვეტელი და ვადამოსული ანუ განხორციელებადი მოთხოვნის შეუსრულებლობას. ვალდებულების დარღვევა იმით გამოიხატება, რომ

⁵⁸ ბილინგი/ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2009, გვ. 38.

მოვალემ ვალდებულება ვადის დადგომის მიუხედავად არ შეასრულა. სწორედ ამაზე მიუთითებს სკ-ის 394-ე მუხლის II ნაწილში მითითებული „ვადის გადაცილება“. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისას კი, უბრალოდ, წარმოუდგენელია, მოთხოვნა გახდეს ვადამოსული; შეუძლებელია მოვალემ ამ გაგებით შესრულების ვადას გადააცილოს, რადგან მოთხოვნა უკვე შეწყვეტილია და ვადამოსული ვერასდროს გახდება. თუ მოვალე გათავისუფლებულია შესრულებისაგან, ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობა ამ ვალდებულების დარღვევა ვერ იქნება. ამიტომ სკ-ის 394-ე მუხლის II ნაწილი არ შეიძლება მიჩნეული იყოს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისას ზიანის ანაზღაურების საფუძვლად.

შესრულების შეუძლებლობისას ვალდებულების დარღვევა არის არა მისი ვადაში შეუსრულებლობა, არამედ შესრულების შეუძლებლობის მდგომარეობის გამოწვევა. სხვა სიტყვებით, მოვალე ზიანს ანაზღაურებს არა იმიტომ, რომ მან ვალდებულება არ შეასრულა დადგენილ ან გონივრულ ვადაში, არამედ იმიტომ, რომ ვალდებულების შესრულება შეუძლებელი გახდა.

აღსანიშნავია, რომ განსხვავებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ცალ-ცალკე მუხლებით აწესრიგებს ვალდებულების დარღვევის ამ ორ განსხვავებულ სახეს – გსკ-ის 281-ე პარაგრაფი ეთმობა ზიანის ანაზღაურებას ვადამოსული ვალდებულების შეუსრულებლობისას, ხოლო გსკ-ის 283-ე პარაგრაფში მოცემულია ზიანის ანაზღაურება შესრულების შეუძლებლობისას. გერმანული კანონმდებლობის ასეთი დიფერენცირებული მიდგომა სწორედ იმით აიხსნება, რომ ამ ორ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევა არსებითად სხვადასხვაგვარია. ქართულ კანონმდებლობაში კი შესრულების შეუძლებლობის გამო წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების საკანონმდებლო რეგულაციის არარსებობა ხარვეზია.

ამ წიგნში განვითარებული მოსაზრების მიხედვით, რადგან ვალდებულების შეუძლებლობა, როგორც ვალდებულების დარღვევა, სკ-ში სახელდებით არაა მოხსენიებული და მას არც 394-ე მუხლის II ნაწილი მოიცავს, ზიანის ანაზღაურების საფუძველი უნდა იყოს უზოგადესი ნორმა – 394-ე მუხლის I ნაწილი. ამ უზოგადეს ნორმაში მოცემული წინაპირობები სრულიად საკმარისია შეუძლებლობისას ზიანის ანაზღაურებისათვის. შედეგის თვალსაზრისით, საპირისპირო შეხედულება ანალოგიურ დასკვნამდე მივა, რადგან 394-ე მუხლის II ნაწილის დამატებითი წინაპირობა – შესრულების დამატებითი ვადა – ამავე მუხლის III ნაწილის შესაბამისად, შესრულების შეუძლებლობის ვითარებაში ყოველთვის ზედმეტი აღმოჩნდება.

ამისათვის საჭიროა მოთხოვნა წარმოიშვას, არ შეწყდეს და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა მაშინ, როცა მოვალე ვალდებულებას ბრალეულად დაარღვევს და მიზეზობრივად გამოიწვევს ზიანს.

1. ვალდებულებითი ურთიერთობა

უპირველესად, გასარკვევია, არსებობს თუ არა მხარეთა შორის ვალდებულებითი ურთიერთობა. ვალდებულებითი ურთიერთობა შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულების ან კანონის საფუძველზე (სკ, 317, I). მოცემულ შემთხვევაში ლაშასა და დათოს შორის დადებულია ნარდობის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც მხარეებმა იკისრეს ურთიერთვალდებულებები. შესაბამისად, ვალდებულებითი ურთიერთობა სახეზეა.

2. ვალდებულების დარღვევა

გარდა ამისა, გასარკვევია, დაარღვია თუ არა დათომ ამ ვალდებულებითი ურთიერთობის ფარგლებში თავისი ვალდებულება. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ყოველთვის გულისხმობს ვალდებულების დარღვევას, მოვალე ვალდებულია, არ გახადოს ვალდებულების შესრულება შეუძლებელი. შესრულების შეუძლებლობა სახეზეა (იხ. A, II). შესაბამისად, ვალდებულება დარღვეულია.

ვალდებულების დარღვევის შემთხვევის ეტაპზე ჯერ კიდევ არ ვეხებით ბრალეულობის საკითხს. აქ მხოლოდ ის მოწმდება, ვალდებულება შეუძლებელი გახდა თუ არა. შესაბამისად, ვალდებულების დარღვევა მაშინაც კი სახეზეა, როცა, მაგალითად, შესრულების საგანი სრულიად შემთხვევით, ყოველგვარი ბრალის გარეშე განადგურდება.

3. ბრალი

სკ-ის 394-ე მუხლის I ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, მოვალეს პასუხისმგებლობა უნდა ეკისრებოდეს. სკ-ის 395-ე მუხლის პირველი ნაწილი კი პასუხისმგებლობის საფუძველად განზრახვას ან გაუფრთხილებლობას ასახელებს. დათოს ბეჭდის გადაცემამდე ევალეობდა მისი მოფრთხილება წინდახედულობის ნორმათა დაცვით. ბეჭდის ისეთი ჯიბით ტარება, საიდანაც ის შეიძლება ამოვარდეს და დაიკარგოს, არის წინდახედულობის ნორმის დარღვევა, რაც გაუფრთხილებლობას ნიშნავს. შესაბამისად, დათოს ქმედება ბრალეულია და მას პასუხისმგებლობა დაეკისრება.

4. ზიანი

საკითხავია, მიადგა თუ არა ზიანი ლამას. ზიანი არის ნებისმიერი ქონებრივი დანაკლისი, რომელიც პირმა გარკვეული მოვლენის შედეგად განიცადა. დათომ ბეჭედში 700 ლარის ნაცვლად 1000 ლარი გადაიხადა. მან იზარალა 300 ლარი. შესაბამისად, ზიანი სახეზეა.

5. მიზეზობრივი კავშირი

სკ-ის 412-ე მუხლის მიხედვით, მიზეზობრივი კავშირი ვალდებულებს დარღვევასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მაშინ, როცა ზიანი დარღვევის უშუალო შედეგია და იგი წინასწარ იყო სავარაუდო.

ა. უშუალო შედეგი

არის თუ არა ზიანი დარღვევის უშუალო შედეგი, უნდა დადგინდეს *conditio sine qua non* (რომ არა ქმედება, შედეგი არ იქნებოდა) ფორმულის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში, რომ არა დათოს მიერ ვალდებულების დარღვევა, ლამას არ მოუწევდა 300 ლარით ზედმეტის გადახდა. შესაბამისად, ზიანი წარმოადგენს ვალდებულების დარღვევის უშუალო შედეგს.

ბ. წინასწარ სავარაუდოობა

წინასწარ სავარაუდოობაში უნდა ვიგულისხმოთ, რომ დამდგარი შედეგი ოპტიმალური დამკვირვებლის თვალსაზრისით არ უნდა იყოს სრულიად მოულოდნელი ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე. დათოს ახალი ბეჭდის მოძებნა რომ მოუწევდა, ეს ცხოვრებისეული გამოცდილებიდან სრულიად მოსალოდნელი იყო. მოსალოდნელი იყო ისიც, რომ დათოს ქორწილის წინა დღეებში ნაკლები დრო ექნებოდა იმავე ხარისხის შედარებით დაბალფასიანი ბეჭდის მოსაძებნად ანდა ახალი ბეჭდის დამზადების შესაკვეთად. შესაბამისად,

B. ლამას მოთხოვნა დათოსაგან ზიანის ანაზღაურების თაობაზე, 394 I
<p>I. მოთხოვნის წარმოშობა (+)</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ვალდებულებითი ურთიერთობა (+) ➤ ვალდებულების დარღვევა (+) ➤ ბრალი (+) ➤ ზიანი (+) ➤ მიზეზობრივი კავშირი (+) <ul style="list-style-type: none"> ○ უშუალო შედეგი (+) ○ წინასწარ სავარაუდოობა (+) <p>II. მოთხოვნის შეუწყვეტლობა და განხორციელებადობა (+)</p> <p>შედეგი: ლამას აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დათოსაგან, 394 I (-)</p>

დამდგარი ზიანი, ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით, მოსალოდნელი იყო.

6. შუალედური დასკვნა

ლაშას მოთხოვნა დათოს მიმართ ზიანის ანაზღაურებაზე წარმოიშვა.

II. მოთხოვნის შეწყვეტლობა და განხორციელება

მოთხოვნის შეწყვეტისა და განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოებები კაზუსის ფაბულიდან არ იკვეთება.

III. საბოლოო დასკვნა

ლაშას აქვს დათოსაგან 300 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

სამახსოვრო!

- პრაქტიკული შეუძლებლობა სახეზეა მაშინ, როცა შესრულების შანსი, მართალია, არსებობს, მაგრამ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ დანახარჯებს კრედიტორის ინტერესებთან მიმართებით.
- პრაქტიკული შეუძლებლობა განსხვავდება ეკონომიკური შეუძლებლობისაგან. ეკონომიკური შეუძლებლობის დროს არათანაზომიერია მოვალისა და კრედიტორის ურთიერთვალდებულებები ერთმანეთის მიმართ. ეკონომიკური შეუძლებლობა მოთხოვნის შეწყვეტის საფუძველი არაა, თუმცა შესაძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილ გარემოებებთან.
- პრაქტიკული შეუძლებლობა თავისთავად არ ნყვეტს მოთხოვნას. ის იძლევა მხოლოდ შესაგებელს: საჭიროა, მოვალემ განაცხადოს უარი შესრულებაზე, ხოლო თუ უარს არ განაცხადებს, მის მიმართ მოთხოვნა არ შეწყდება.
- ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისას კრედიტორს შეუძლია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მოვალისაგან, ამ უკანასკნელის ბრალეულობის შემთხვევაში.
- ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ყოველთვის განიხილება ვალდებულების დარღვევად. დარღვევა ისაა, რომ მოვალემ თავისი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი გახადა.

კაზუსი 13. საქართველოში პროფესიონალიზმს არ აფასებენ

(ვალდებულების შესრულების პიროვნული შეუძლებლობა, პირადად შესასრულებელი ვალდებულება, ზიანის ანაზღაურება პიროვნული შეუძლებლობისას)

იანვარში ლამაზქალაქის ქუჩები ჭრელ-ჭრელი აფიშებით აივსო: ლამაზქალაქის ოპერის თეატრში ლუარსაბი თავისი ახალი ქართული ოპერის „ქართველობას გვართმევენ“ დადგმას აპირებს.

მთავარი როლის შემსრულებლად ლუარსაბმა სპეციალურად მოიწვია იტალიაში მოღვაწე ცნობილი ქართველი სოპრანო დარეჯანი. დარეჯანის პონორარად 3000 ლარი განისაზღვრა. პრემიერის თარიღად 20 იანვარი შეირჩა, 18:00 საათი. ყველა ბილეთი წინასწარ გაყიდულია, მიუხედავად იმისა, რომ ბილეთის ფასი საკმაოდ მაღალია – 100 ლარი. დარბაზი 1000 მაყურებელს იტევს.

15 იანვარს დარეჯანის თვითმფრინავი ლამაზქალაქის საერთაშორისო აეროპორტში დაეშვა. ლამაზქალაქელებმა გულთბილი დახვედრა მოუწყვეს 10 წლის უნახავ თანამემამულეს. მეორე დღეს დარეჯანი თავის მონატრებულ ამხანაგებთან ერთად რესტორნის გზას დაადგა და მთელი საღამო სიმღერითა და ქართული ღვინის სმით გაატარა. ქეიფი მომდევნო ოთხი დღის განმავლობაშიც გაგრძელდა. დარეჯანი თვლის, რომ ეს ყველაფერი ეხმარება თავისი როლის გათავისებებაში, რადგან მისი პერსონაჟი სწორედ ღვინისა და თავაშვებული გართობის მოყვარული ქალია. ოპერის „ქართველობას გვართმევენ“ სულისკვეთების ბოლომდე გასააზრებლად 19 სექტემბერს დარეჯანი სამ ჯიხვის რქას გამოცლის და შუალამისას ქუჩაში კარმენის არიას ასრულებს თავისი საოცრად მაღალი ხმით და, უკიდევანოდ მთვრალი, გონებას კარგავს.

მეორე დღით დარეჯანი იღვიძებს საავადმყოფოში მაღალი სიცხით, ძლიერი ყელის ტკივილითა და საშინლად ჩახლეჩილი ხმით. ახალგაღვიძებულ დარეჯანს ექიმი აცნობებს, რომ მას ფეხიც მოტეხილი აქვს, როგორც ჩანს, მთვრალს, ყინულზე ფეხი აუსრიალდა. ექიმი აფრთხილებს მას, რომ საავადმყოფოდან ამ მდგომარეობაში გარეთ გასვლა სავალალო შედეგებს გამოიწვევს.

18:00 საათზე ლამაზქალაქის ოპერის დარბაზი გადავსებულია. ყველა ბედნიერად ელოდება წარმოდგენის დაწყებას. მაგრამ კულისებში ჩოჩქოლია: დარეჯანი არსად ჩანს. თეატრის დირექტორმა საბოლოოდ გაარკ-

ვია, რომ დარეჯანი ვერ შეძლებს პრემიერაში მონაწილეობას და რადგან მისი შემცველიც ვერ მოიძებნა, მაყურებლებს განუცხადეს, რომ დაშლილიყვნენ, უკვე შექმნილი ბილეთებით კი ლამაზქალაქის ოპერის სცენაზე დადგმულ სხვა ამავე ხარისხის ოპერას დაესწრებოდნენ უფასოდ.

ლუარსაბი ურეკავს დარეჯანს და ითხოვს ზიანის ანაზღაურებას. დარეჯანი უარზეა და მიაჩნია, რომ ავადმყოფობას წინასწარ ვერ გაითვალისწინებ და რაც მოხდა, მისი ბრალი არაა. ღვინის სმა კი როლის გათავისებას ემსახურებოდა და ეს პროფესიონალიზმია!

ვის რა სამართლებრივი მოთხოვნა შეიძლება ჰქონდეს?

A. დარეჯანის მოთხოვნა ლუარსაბის მიმართ 3000 ლარის გადახდის თაობაზე სკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის ანალოგიიდან გამომდინარე

დარეჯანს შესაძლოა ჰქონდეს ლუარსაბისაგან 3000 ლარის მოთხოვნის უფლება მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, სკ-ის 629-ე მუხლის I ნაწილის ანალოგიიდან გამომდინარე.

ამისათვის საჭიროა, დარეჯანის მოთხოვნა წარმოიშვას, არ შეწყდეს და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა

ეს მოთხოვნა წარმოიშობა მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე. კაზუსიდან ირკვევა, რომ ასეთი ხელშეკრულება მხარეთა შორის დადებულია. შესაბამისად, მოთხოვნა წარმოიშვა.

მომსახურების ხელშეკრულებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს. თუმცა ეს ხელშეკრულება ძალიან ჰგავს ნარდობას. ამიტომ ანალოგიის წესით გამოიყენება ნარდობის ხელშეკრულების მუხლები.

ნარდობისაგან მომსახურების ხელშეკრულება იმით განსხვავდება, რომ ნარდობისას გადამწყვეტია შესასრულებელი სამუშაოს შედეგი, ხოლო თავად სამუშაო პროცესი კრედიტორის ინტერესებში არაა. მაგალითად, სახლის რემონტის ხელშეკრულება არის ნარდობა, რადგან კრედიტორს, უპირატესად, რემონტის საბოლოო ხარისხი აინტერესებს და არა ის, თუ რა გეგმით და რა მეთოდებით მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. გეგმა და მეთოდები მხოლოდ იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც საბოლოო შედეგზე აისახება. ამის საპირისპიროდ, მომსახურების ხელშეკრულებაში გადამწყვეტი არის პროცესი, რომელსაც შედეგი არ გააჩნია. მაგალითად, მდინარეში ნავით გასეირნების მსურველი ტურისტები მომსახურების ხელშეკრულებას დებენ. მომსახურების ხელშეკრულებას დებენ აგრეთვე მომღერლები და მსახიობები წარმოდგენაში მონაწილეობისას.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

თუმცა დარეჯანის მოთხოვნა შეიძლება შეწყვეტილიყო საპასუხო მოთხოვნის გამორიცხვის გამო, სკ-ის 406-ე მუხლის პირველი ნაწილის

უკუდასკვნიდან გამომდინარე. ამისათვის საჭიროა, რომ დადებული იყოს ორმხრივი ხელშეკრულება, საპასუხო მოთხოვნა იყოს გამორიცხული და ამ გამორიცხვაში ბრალი არ მიუძღოდეს ლუარსაბს.

1. ორმხრივი ხელშეკრულება

406-ე მუხლის პირველი ნაწილის გაგებით, ორმხრივი ხელშეკრულება გულისხმობს ორმხრივ მავალდებულებელ ხელშეკრულებას. მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა დადეს მომსახურების ხელშეკრულება, რომლითაც ორივე მხარემ იკისრა გარკვეული ვალდებულება. შესაბამისად, ორმხრივი ხელშეკრულება სახეზეა.

2. საპასუხო მოთხოვნის გამორიცხულობა

საკითხავია, გამორიცხულია თუ არა ლუარსაბის მოთხოვნა დარეჯანის მიმართ. იმისათვის, რომ ლუარსაბის მოთხოვნა დარეჯანის მიმართ შეწყდეს, იგი ჯერ უნდა წარმოიშვას და შემდეგ დადგეს მისი შეწყვეტის საფუძველი.

ა. შოთას მიმართ გიორგის მოთხოვნის წარმოშობა

დარეჯანის მიმართ ლუარსაბის მოთხოვნა ოპერაში მთავარი როლის შესრულების თაობაზე წარმოიშვა მხარეთა შორის დადებული მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე (იხ. ზემოთ I).

ბ. ლუარსაბის მოთხოვნის შეწყვეტა

ამ მოთხოვნის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა. საკითხავია, რამდენად გვაქვს მოცემულ შემთხვევაში ეს მდგომარეობა.

ვალდებულების შესრულების პიროვნული შეუძლებლობა

ვალდებულების შესრულების პიროვნული შეუძლებლობა არანამდვილი შეუძლებლობის სახეა. ასეთი მდგომარეობა იქმნება მაშინ, როცა სახეზეა პირდად შესასრულებელი ვალდებულება და კრედიტორის განსაკუთრებული ინტერესი, რომ შესრულება კონკრეტული პირისაგან მიიღოს. ძირითადად, ეს ეხება შრომით ხელშეკრულებებს, მომსახურების ხელშეკრულებას, ნარდობას.⁵⁹ ზოგადად, ვალდებულება შეიძლება მესამე პირმაც შეასრულოს (სკ, 371, I, 632). მაგალითად, სახლის შესარემონტებლად რიგითი ხელოსნის

⁵⁹ Looschelders, Schuldrecht AT, § 21, Rn. 26 ff.

ჩანაცვლება შესაძლებელია, მაგრამ თუკი კრედიტორმა სპეციალურად მოიძია ისეთი ხელოსანი, რომელიც განსაკუთრებულ უნარებს ფლობს და სამუშაოს სწორედ მისი ხელით შესრულება გახდა გადამწყვეტი ხელშეკრულების დასადებად, სახეზე გვექნება პირადად შესასრულებელი ვალდებულება.

თუკი ასეთ დროს ვალდებულების პირადად შესრულებას ხელი ეშლება მაღალი ხარისხით, მოვალეს შესრულებაზე უარის თქმის უფლება ეძლევა. ამ შემთხვევაშიც გათვალისწინებული უნდა იყოს კრედიტორის ინტერესები: უნდა მოხდეს შესრულების ხელშეშლის ხარისხისა და შესრულების მიმართ კრედიტორის ინტერესის ურთიერთშეწონვა.

პრაქტიკული შეუძლებლობის მსგავსად, პიროვნული შეუძლებლობაც არ არის მოთხოვნის თავისთავად შეწყვეტის საფუძველი. პიროვნული შეუძლებლობა მოვალეს აძლევს **შესაგებელს** – უფლებას, უარი თქვას შესრულებაზე. თუ მოვალე უარს არ იტყვის შესრულებაზე, ვალდებულება არ შეწყდება.

მოცემულ შემთხვევაში დარეჯანის ვალდებულება ლუარსაბის წინაშე პირადად იყო შესასრულებელი, რადგან დარეჯანთან ხელშეკრულების დადებისას გადამწყვეტი სწორედ დარეჯანის ხმა და მონაცემები იყო. დარეჯანს, მართალია, შეუძლია საავადმყოფოდან ოპერის თეატრში მისვლა, მაგრამ იგი, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მაინც ვერ შეასრულებს ვალდებულებას სათანადო ხარისხით და საკუთარ ჯანმრთელობასაც შეუქმნის პრობლემას. ვალდებულების შესრულების ხელშეშლის ხარისხი მოცემულ შემთხვევაში იმდენად მაღალია, რომ გადანონის კრედიტორის ინტერესს შესრულების მიმართ. ამიტომ დარეჯანს უფლება აქვს, უარი თქვას შესრულებაზე. კაზუსის ფაბულიდან ირკვევა, რომ დარეჯანმა, ფაქტობრივად, უარი თქვა ოპერაში მონაწილეობაზე. შესაბამისად, ლუარსაბის მოთხოვნა მის მიმართ შეწყდა.

3. ლუარსაბის არაბრალეულობა

გარდა ამისა, დარეჯანის მოთხოვნის შეწყვეტისათვის აუცილებელია, რომ ლუარსაბის საპასუხო მოთხოვნის გამორიცხულობა არ იყოს გამონეული ლუარსაბისავე ბრალით. მოცემულ შემთხვევაში დარეჯანის ავადმყოფობაში ლუარსაბს ბრალი არ მიუძღვის.

4. შუალედური დასკვნა

დარეჯანის მოთხოვნა ლუარსაბის მიმართ შეწყდა საპასუხო მოთხოვნის გამორიცხულობის გამო, სკ-ის 406-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე.

III. დასკვნა

დარეჯანს არ აქვს გიორგისაგან 3000 ლარის მოთხოვნის უფლება სკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის ანალოგიიდან გამომდინარე.

B. დარეჯანის მოთხოვნა ლუარსაბის მიმართ 3000 ლარის გადახდაზე, 629 I

I. მოთხოვნის წარმოშობა (+)

II. მოთხოვნის შეწყვეტა საპასუხო მოთხოვნის გამორიცხვის გამო, 406 I (+)

➤ ორმხრივი ხელშეკრულება (+)

➤ საპასუხო მოთხოვნის

გამორიცხულობა (+)

○ საპასუხო მოთხოვნის

წარმოშობა (+)

○ საპასუხო მოთხოვნის შეწყვეტა (+)

➤ მეორე მხარის არაბრალეულობა (+)

შედეგი: დარეჯანის მოთხოვნა თანხის გადახდაზე ლუარსაბის მიმართ, 629 I (-)

B. ლუარსაბის მოთხოვნა დარეჯანის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე 100000 ლარის ოდენობით სკ-ის 394-ე მუხლის I ნაწილის საფუძველზე

ლუარსაბს შესაძლოა ჰქონდეს დარეჯანის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება 100000 ლარის ოდენობით სკ-ის 394-ე მუხლის I ნაწილის საფუძველზე.

ამისათვის საჭიროა, მოთხოვნა წარმოიშვას, არ იყოს შეწყვეტილი და იყოს განხორციელებადი.

I. მოთხოვნის წარმოშობა

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა მაშინ, როცა მოვალე ვალდებულებას ბრალეულად დაარღვევს და მიზეზობრივად გამოიწვევს ზიანს.

1. ვალდებულებითი ურთიერთობა

უპირველესად, გასარკვევია, არსებობს თუ არა მხარეთა შორის ვალდებულებითი ურთიერთობა. ვალდებულებითი ურთიერთობა შეიძლება წარ-

მოიშვას ხელშეკრულების ან კანონის საფუძველზე (სკ, 317, I). მოცემულ შემთხვევაში ლუარსაბსა და დარეჯანს შორის დადებულია მომსახურების ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც მხარეებმა იკისრეს ურთიერთვალდებულებები. შესაბამისად, ვალდებულებითი ურთიერთობა სახეზეა.

2. ვალდებულების დარღვევა

გარდა ამისა, გასარკვევია, დაარღვია თუ არა დარეჯანმა ამ ვალდებულებითი ურთიერთობის ფარგლებში თავისი ვალდებულება. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ყოველთვის გულისხმობს ვალდებულების დარღვევას მოვალე ვალდებულია, არ გახადოს ვალდებულების შესრულება შეუძლებელი. შესრულების შეუძლებლობა სახეზეა (იხ. A, II). შესაბამისად, ვალდებულება დარღვეულია.

3. ბრალი

სკ-ის 394-ე მუხლის I ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, მოვალეს პასუხისმგებლობა უნდა ეკისრებოდეს. სკ-ის 395-ე მუხლის პირველი ნაწილი კი პასუხისმგებლობის საფუძველად განზრახვას ან გაუფრთხილებლობას ასახელებს. ოპერის მომღერალი, რომელიც სპექტაკლისათვის ემზადება, ვალდებულია, დაიცვას წინდახედულობის ნორმები, გაუფრთხილდეს თავის ჯანმრთელობას, უპირველესად კი ხმას. დარეჯანის ქმედება აშკარად იყო წინდახედულობის ამ ნორმის დარღვევა, მან თავად ჩაიგდო თავი უხეში გაუფრთხილებლობით ისეთ მდგომარეობაში, რომელშიც შეუძლებელია სპექტაკლის თამაში. შესაბამისად, მისი ქმედება ბრალეულია და მას პასუხისმგებლობა დაეკისრება.

4. ზიანი

საკითხავია, მიადგა თუ არა ზიანი ლუარსაბს. ზიანი არის ნებისმიერი ქონებრივი დანაკლისი, რომელიც პირმა გარკვეული მოვლენის შედეგად განიცადა. ლუარსაბმა სპექტაკლზე მოსული მაყურებლის წინაშე იკისრა მომდევნო სპექტაკლის უფასოდ ჩატარება. შესაბამისად, ორის ნაცვლად ლუარსაბი იღებს ერთი სპექტაკლის შემოსავალს. ამდენად, ზიანი სახეზეა და იგი შეადგენს 100000 ლარს.

5. მიზეზობრივი კავშირი

სკ-ის 412-ე მუხლის მიხედვით, მიზეზობრივი კავშირი ვალდებულების დარღვევასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მაშინ, როცა ზიანი დარღვევის უშუალო შედეგია და იგი წინასწარ იყო სავარაუდო.

ა. უშუალო შედეგი

არის თუ არა ზიანი დარღვევის უშუალო შედეგი, უნდა დადგინდეს *conditio sine qua non* (რომ არა ქმედება, შედეგი არ იქნებოდა) ფორმულის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში, რომ არა დარეჯანის მიერ ვალდებულების დარღვევა, ლუარსაბს არ მოუწევდა მაცურებლისათვის სპექტაკლის უფასოდ შეთავაზება. შესაბამისად, ზიანი წარმოადგენს ვალდებულების დარღვევის უშუალო შედეგს.

ბ. წინასწარ სავარაუდოობა

წინასწარ სავარაუდოობაში უნდა ვიგულისხმოთ, რომ დამდგარი შედეგი ოპტიმალური დამკვირვებლის თვალსაწიერიდან არ უნდა იყოს სრულიად მოულოდნელი ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე. იმ პირობებში, როცა სპექტაკლის ჩატარება შეუძლებელი გახდა, ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, მოსალოდნელი იყო, რომ ლუარსაბი ბილეთებში გადახდილ თანხას უკან დააბრუნებდა. ამის ნაცვლად მან სხვა იმავე ხარისხის შესრულების ვალდებულება იკისრა. ორივე შემთხვევაში ზიანი იმავე რაოდენობით იყო მოსალოდნელი. შესაბამისად, დამდგარი ზიანი, ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით, წინასწარ სავარაუდო იყო სკ-ის 412-ე მუხლის გაგებით.

6. შუალედური დასკვნა

ლუარსაბის მოთხოვნა დარეჯანის მიმართ ზიანის ანაზღაურებაზე წარმოიშვა.

II. მოთხოვნის შეუწყვეტლობა და განხორციელება

მოთხოვნის შეწყვეტისა და განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოებები კაზუსის ფაბულიდან არ იკვეთება.

B. ლუარსაბის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დარეჯანის მიმართ, 394 I

I. მოთხოვნის წარმოშობა (+)

- ვალდებულებითი ურთიერთობა (+)
- ვალდებულების დარღვევა (+)
- ბრალი (+)
- ზიანი (+)
- მიზეზობრივი კავშირი (+)
 - უშუალო შედეგი (+)
 - წინასწარ სავარაუდოობა (+)

II. მოთხოვნის შეუწყვეტლობა და განხორციელება (+)

შედეგი: ლუარსაბს აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დარეჯანისაგან, 394 I (-)

III. საბოლოო დასკვნა

ლუარსაბს აქვს დარეჯანისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება 100000 ლარის ოდენობით სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

სამახსოვრო!

- თუ პირადად შესასრულებელი ვალდებულების შესრულებას ხელი ეშლება მაღალი ხარისხით, მოვალეს შესრულებაზე უარის თქმის უფლება ეძლევა. უნდა მოხდეს შესრულების ხელშეშლის ხარისხისა და შესრულების მიმართ კრედიტორის ინტერესის ურთიერთშეწონვა.
- პიროვნული შეუძლებლობაც არ არის მოთხოვნის თავისთავად შეწყვეტის საფუძველი. პიროვნული შეუძლებლობა მოვალეს აძლევს **შესაგებელს** – უფლებას, უარი თქვას შესრულებაზე. თუ მოვალე უარს არ იტყვის შესრულებაზე, ვალდებულება არ შეწყდება.

კაზუსი 14. ბუთხუზი და გოგი

(*diligentia quam in suis*; გასვლის შემდეგ ნივთის დაბრუნების შეუძლებლობა, როგორც ვალდებულების დარღვევა; ორმხრივი ბრალით გამონვეული გასვლის საფუძველი; გასვლიდან წარმოშობილი რესტიტუციის ვალდებულების წინმსწრებად დარღვევა)

ბუთხუზი და გოგი სიყრმის მეგობრები არიან და იმდენად ენდობიან ერთმანეთს, რომ აგერ ბუთხუზი მზადაა, გოგისგან მისი ნაავარიევი მანქანაც კი იყიდოს. გოგი იფიცება, რომ ავარიის შემდეგ ეს მანქანა ბოლო ჭანჭიკამდე საკუთარი ხელით ააწყო თავიდან. ფასზე მორიგებისა და ნასყიდობის სხვა დეტალების შეთანხმების შემდეგ ბუთხუზი, მანქანის საბოლოოდ გადაბარებამდე, გადანყვეტს, ჯერ გამოსცადოს ის და სანამ გოგი რამის თქმას მოასწრებს, ის უკვე დასაშვებზე ორჯერ გადაჭარბებული სიჩქარით მიქრის მტკვრის სანაპიროზე. ბუთხუზი მუდმივად ნასვამია და ამ მდგომარეობაში ჯდება ხოლმე საჭესთან. თუმცა ამჯერად ისე არ გაუმართლებს, როგორც სხვა დროს, საჭეს ვერ დაიმორჩილებს და ბოლო მომენტში დამუხრუჭების მცდელობაც ამაო აღმოჩნდება – გოგის მიერ ნაჩქარევად (მსუბუქი გაუფრთხილებლობით) არამდგრადად დამაგრებული სამუხრუჭე ხუნდის ტროსი დატვირთვას ვერ გაუძლებს და განყდება. შეჯახება იმდენად ძლიერი აღმოჩნდება, რომ მანქანის აფეთქებას გამოიწვევს და რომ არა ბოლო წუთს გაღებული კარები, ბუთხუზი მხოლოდ მსუბუქი დაჟეჟილობით ვერ გადარჩებოდა.

სამუხრუჭე ტროსი ჯეროვნად რომ ყოფილიყო დამაგრებული, შეჯახება ამ სიმძლავრის არ იქნებოდა და მანქანა არ აფეთქდებოდა, ისევე, როგორც ბუთხუზი ნასვამი რომ არ ყოფილიყო და არ გადაეჭარბებინა სიჩქარისათვის, მუხრუჭების დეფექტი ავარიის მიზეზი არ გახდებოდა.

მანქანის განადგურების შემდეგ ბუთხუზი, რა თქმა უნდა, არაფრის გადახდას არ აპირებს, ხოლო გოგი ითხოვს ყველაფერს, უფრო ზუსტად კი, მანქანის ღირებულებას.

შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა!

A. ნასყიდობის ფასის მოთხოვნა

გოგის შესაძლებელია ჰქონდეს ბუთხუზისაგან ფასის გადახდის მოთხოვნის უფლება 477 II მუხლის შესაბამისად.

I. მოთხოვნის წარმოშობა

ამისათვის აუცილებელია, რომ ეს მოთხოვნის უფლება წარმოშობილიყო, რის წინაპირობასაც, თავის მხრივ, წარმოადგენს გოგისა და ბუთხუზს შორის დადებული ნამდვილი ნასყიდობა. ბუთხუზმა იყიდა გოგისაგან მანქანა, რის საფუძველზეც გოგის წარმოეშვა ამ ფასის გადახდის მოთხოვნის უფლება.

II. მოთხოვნის მოსაპობა

თუმცა შესაძლებელია, ეს მოთხოვნის უფლება უკვე აღარ არსებობდეს.

1. მოთხოვნის მოსაპობა ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველზე

შესრულების მოთხოვნის უფლება შეიძლება აღარ არსებობდეს 405 I, II ა) 352 I მუხლების მიხედვით, თუ ბუთხუზი გავიდა ხელშეკრულებიდან.

ა. ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი

გოგის, ნასყიდობის ხელშეკრულებით, ეკისრებოდა ბუთხუზისათვის მანქანაზე მფლობელობისა და საკუთრების გადაცემა. ნასყიდობის საგანს წარმოადგენდა მეორეული და, შესაბამისად, ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთი, რომელიც განადგურდა, რის შემდეგაც გოგისათვის საკუთრებისა და მფლობელობის გადაცემის ვალდებულების შესრულება გახდა შეუძლებელი.

საკითხავია, ამ შემთხვევაში გოგის გასვლის უფლება პირდაპირ 405-ე და 352-ე მუხლებიდან გამომდინარეობს, თუ 491-ე და 352-ე მუხლებიდან. პირველ შემთხვევაში, ბუთხუზს მაშინ ექნებოდა გასვლის საფუძველი, თუ იგი, თავის მხრივ, გათავისუფლდებოდა შესრულების ვალდებულებისაგან. ამის საპირისპიროდ, მეორე შემთხვევაში, ბუთხუზი მაშინ გათავისუფლდებოდა შესრულების ვალდებულებისაგან, თუ გოგისათვის დამატებითი შესრულება გახდებოდა შეუძლებელი. გოგის ბუთხუზისათვის საკუთრება არ გადაუცია, გადასცა მხოლოდ მფლობელობა. გერმანულ

ლიტერატურაში საკამათოა, წარმოადგენს თუ არა საკუთრების არგადაცემა ნივთის უფლებრივ ნაკლს (ანუ შესრულება ითვლება უფლებრივად ნაკლოვნად), თუ შესრულება საერთოდ არ გვაქვს სახეზე. გაბატონებული მოსაზრების⁶⁰ მიხედვით, საკუთრების არგადაცემა ითვლება არა ნაკლოვან შესრულებად, არამედ შეუსრულებლობად. ამ დროს მყიდველის უფლებების შემოფარგვლა მხოლოდ ნასყიდობიდან წარმოშობილი მეორეული მოთხოვნებით არ არის გამართლებული, რადგან გამყიდველსაც, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა მოვალეს, თანაბრად უნდა დაეკისროს ძირითადი შესრულების ვალდებულება.

ბუთხუზს ჰქონდა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება 405 I, II ა) მუხლის შესაბამისად.

ბ. გასვლის გაცხადება

ბუთხუზმა განაცხადა ხელშეკრულებიდან გასვლა 355-ე მუხლის შესაბამისად, რასაც უნდა გამოენვია გოგის მოთხოვნის უფლების მოსპობა.

გ. გასვლის გამორიცხვა

თუმცა საკითხავია, თუ რა შედეგი მოჰყვება იმ ფაქტს, რომ ბუთხუზმა საკუთარი არცთუ ისე მცირე წვლილი შეიტანა მანქანის განადგურებაში იმით, რომ დასაშვებზე ორჯერ უფრო სწრაფად მოძრაობდა.

აა. ბრალისაგან დამოუკიდებელი გასვლის უფლება

ზოგადად, გასვლა 405-ე მუხლის მიხედვით არის ბრალისაგან დამოუკიდებელი. შესაბამისად, ბუთხუზს უნდა ჰქონდეს გასვლის უფლება გასვლის საფუძვლის არსებობისას, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა წვლილი მიუძღვის მას ამ საფუძვლის დადგომაში.

ბბ. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამორიცხვა

თუმცა შესაძლებელია, გოგის ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება მოცემულ შემთხვევაში გამორიცხული იყოს 405 III გ) მუხლის შესაბამისად. 405 II ა) მუხლის თანახმად, შესრულების შეუძლებლობით გამონვეული გასვლის შემთხვევაში, გამოიყენება 405-ე მუხლი იმ პირობით, რომ ვადის განსაზღვრა არის ზედმეტი. თუმცა 405 III გ) მუხლის მიხედვით, ხელშეკრულებიდან გასვლა გამორიცხულია, თუ კრედიტორი თვითონ

⁶⁰ Bamberger/Roth/FAUST, § 435 Rn. 15; Staudinger/MATUSCHE-BECKMANN, § 435 Rn. 13, MüKo/WESTERMANN, § 435 Rn. 7.

არის უმთავრესად პასუხისმგებელი იმ გარემოებისათვის, რომელიც მას ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას მიანიჭებდა, ანდა გარემოება, რომლისათვისაც მოვალე პასუხისმგებელი არ არის, არსებობდა კრედიტორის მიერ მიღების ვადის გადაცილების მომენტში. ეს დანაწესი პირდაპირ არ მიესადაგება ზემოთ აღწერილ შემთხვევას, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ბუთხუზი იყო ნასვამი და მნიშვნელოვნად გადააჭარბა სიჩქარეს, მანქანა არ განადგურდებოდა, გოგის სამუხრუჭე ტროსი ჯეროვნად რომ დაემაგრებინა. ამის გამო მანქანის განადგურებაში ბრალი ორივე მხარეს დაახლოებით თანაბრად მიუძღვის. ორმხრივი ბრალეულობის შემთხვევა არ არის მოცული სსკ-ის 405 III გ) მუხლით. ამ დანაწესში საუბარია „მთლიან ან უმთავრეს“ პასუხისმგებლობაზე. ეს ორმაგი ხაზგასმანათელყოფს, რომ ყველა სხვა შემთხვევაში, როდესაც კრედიტორი არც მთლიანად და არც უმთავრესად არ არის პასუხისმგებელი ვალდებულების დარღვევისათვის, მოცემული შეზღუდვა არ მოქმედებს.⁶¹

ბუთხუზი არ არის უმთავრესად პასუხისმგებელი დამდგარ შეუძლებლობაზე, შესაბამისად, ის ინარჩუნებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას. გასვლა ხელშეკრულებას, თავისი პირველადი შესრულების მოთხოვნის უფლებებით, გარდაქმნის ე. წ. უკან დაბრუნების ურთიერთობად (Rückgewährschuldverhältnis), რის გამოც გოგის მოთხოვნის უფლება ბუთხუზის მიმართ ფასის გადახდასთან დაკავშირებით მოისპო 405 I, II ა) მუხლის შესაბამისად.

B. ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა

გოგის შეიძლება ჰქონდეს მოთხოვნის უფლება ბუთხუზის მიმართ განადგურებული მანქანის ღირებულების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, 405-ე I, II ა) და 352 II გ) მუხლის მიხედვით⁶².

⁶¹ ასევე გერმანიაშიც 2001 წელს ვალდებულებითი სამართლის მოდერნიზაციის ფარგლებში შესაბამის დანაწესშიც (გსკ-ის 326 V, ვარ. 1) საკანონმდებლო ცვლილებების თავდაპირველი ვერსია ითვალისწინებდა: „მეტწილად იგი არის პასუხისმგებელი“, რაც კანონმდებელმა გაამძაფრა იმით, რომ კანონში ჩანერა: „უმთავრესად იგი არის პასუხისმგებელი“. ეს ცალსახად მეტყველებს მის განზრახვაზე, ამ დანაწესს მოეცვა მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც მარტო კრედიტორს ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დამდგარ შეუძლებლობაზე.

⁶² ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისაგან დამოუკიდებლად, რაც ცალსახად არის გამყარებული 407-ე მუხლში.

I. მოთხოვნის წარმოშობა

352 II გ) მუხლის შესაბამისად, საგნის დაბრუნების ნაცვლად მოვალემ უნდა აანაზღაუროს მისი ღირებულება, თუ მიღებული საგანი გაფუჭდა ან განადგურდა. ბუთხუზის მიერ ნაყიდი მანქანა განადგურდა. შესაბამისად, ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშვა.

II. მოთხოვნის მოცულობა

საკითხავია, თუ რა ოდენობით უნდა დაეკისროს ბუთხუზს ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება გამოიყენება საზღაური თანხის გამოანგარიშების საფუძვლად. ეს დანაწესი გამართლებულია, როდესაც ნივთის ფასი ჩამოუვარდება მის ნამდვილ ღირებულებას ან შეესატყვისება ამ ღირებულებას, რადგან გამყიდველმა არ უნდა მიიღოს უფრო მეტი ღირებულების ანაზღაურების ფარგლებში, ვიდრე მიიღებდა სახელშეკრულებო შესრულების ფარგლებში. იგივე წესი მოქმედებს მოცემულ შემთხვევაშიც.

III. ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის გამორიცხვა

თუმცა ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია გამორიცხული იყოს.

1. მოთხოვნის გამორიცხვა, 352 II გ), ვარ.2

352 II გ) მუხლის მე-2 ვარიანტის მიხედვით, საგნის ჩვეულებრივი გამოყენებით გამოწვეული გაუარესება მხედველობაში არ მიიღება, ანუ არ წარმოშობს ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებას. თუმცა ამ დანაწესით არ არის მოცული შემთხვევა, როდესაც ნივთი სრულებით ნადგურდება. შესაბამისად, ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება არ არის გამორიცხული მოცემული დანაწესით.

2. გამორიცხვა, 352 IV ბ)

352 IV ბ) მუხლის მიხედვით, საზღაურის გადახდის ვალდებულება არ არსებობს იმდენად, რამდენადაც საგნის გაფუჭებისა თუ განადგურებისათვის პასუხისმგებელია კრედიტორი. ანუ მოცემულ შემთხვევაში ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება გამორიცხებოდა, თუ საგნის დაღუპვა გამოწვეული იქნებოდა გოგის ბრალით. გოგიმ არამყარად და-

ამაგრა მუხრუჭის ტროსი, რის გამოც მას ბუთხუზის თანაბარი ბრალი მიუძღვის საგნის განადგურებაში. თუმცა შემთხვევა, როდესაც, როგორც ღირებულების ანაზღაურების კრედიტორი, ასევე მოვალე პასუხს აგებენ ნივთის განადგურებისათვის, ზემოთ ხსენებული დანაწესით მოცული არ არის.

შესაძლებელია, ეს დანაწესი განვმარტოთ იმგვარად, რომ კრედიტორის ნებისმიერი ტიპის ბრალეულობა გამორიცხავს მის მოთხოვნას, რაც ამ ნორმის სიტყვასიტყვით განმარტებასთან ყველაზე ახლოს დგას. ღირებულების ანაზღაურება გამოირიცხებოდა და კრედიტორს დარჩებოდა მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელიც, თავის მხრივ, შემცირდებოდა მისი თანაბრალეულობის შესაბამისად, 415-ე მუხლის მიხედვით.

თუმცა შესაძლებელია 415-ე მუხლის პირდაპირი გამოყენებაც და, ზიანის ანაზღაურების მოცულობის მსგავსად, ანაზღაურებადი ღირებულების მოცულობის განსაზღვრა. გერმანულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით⁶³, 415-ე მუხლის პირდაპირი გამოყენება იმით არის გამართლებული, რომ ეს ნორმა არის ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის სპეციალური გამოხატულება, რომლის წინაშეც სცოდავს ის მხარე, რომელიც, მიუხედავად მისი ბრალეულობისა საგნის განადგურებაში, მაინც სრული ოდენობით ითხოვს ღირებულების ანაზღაურებას, რაც წარმოადგენს *venire contra factum proprium*-ს – საკუთარ წინარე მოქმედებასთან შეუსაბამო საქციელს.

თუმცა მესამე და ყველაზე უფრო დამაჯერებელი მოსაზრების⁶⁴ მიხედვით, კრედიტორის თანაბრალეულობის გათვალისწინება უშუალოდ 352 IV ბ) მუხლის საფუძველზეა შესაძლებელი. ეს დანაწესი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ იგი „იმდენად“, ანუ იმ რაოდენობით გამორიცხავს ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებას, რამდენადაც კრედიტორს თავად მიუძღვის ბრალი ნივთის განადგურებაში. მიუძღვით რა კრედიტორსა და მოვალეს თანაბარი ბრალი ნივთის განადგურებაში, კრედიტორს შეუძლია ნივთის ღირებულების მხოლოდ ნახევრის უკან მოთხოვნა – ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება მცირდება კრედიტორის ბრალის პროპორციულად. ეს მოსაზრება ცალსახად უფრო დამაჯერებელია, რადგან პირდაპირ გამომდინარეობს მოცემული დანაწესიდან და არ ცდილობს 415-ე მუხლის, რომელიც პირდაპირ მხოლოდ

⁶³ Gaier, in Münchener Kommentar zum BGB, § 346 Rn. 51.

⁶⁴ Kaiser, in Staudinger BGB, § 346 Rn. 170.

ზიანისა და არა ღირებულების ანაზღაურების შემთხვევას მიესადაგება, ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებაზე მორგებას.

3. ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის გამორიცხვა *diligentia quam in suis* საფუძველზე

352 IV გ) მუხლის მიხედვით, ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება გამორიცხება, თუ, ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი უფლების შემთხვევაში, საგნის გაფუჭება ან განადგურება მოხდა უფლება-მოსილ პირთან, და მან გამოიჩინა ისეთი მზრუნველობა, რომელსაც იგი, ჩვეულებრივ, იჩენს საკუთარ საქმეებში (*diligentia quam in suis*).

მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება ხელშეკრულებიდან გასვლის კანონით მინიჭებულ უფლებას. მართალია, ნივთი განადგურდა ასევე ბუთხუზის ბრალითაც, როდესაც ის ჯერ ნასვამი დაჯდა მანქანის საჭესთან და შემდეგ სიჩქარეს გადააჭარბა, მაგრამ ის ზუსტად ამგვარად იქცეოდა ყველა სხვა სიტუაციაში. ბუთხუზმა ისეთივე მზრუნველობა გამოიჩინა უკან დასაბრუნებელი ნივთის მიმართ, როგორსაც ის თავისი ნივთების მიმართ იჩენს ხოლმე. ბუთხუზი მოქმედებდა გაუფრთხილებლად, თუმცა უხეში გაუფრთხილებლობა, რომლის დროსაც მას მაინც დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა, სახეზე არ არის.

თუმცა საკითხავია, მოცემულ შემთხვევაში საერთოდ უნდა გამოვიყენოთ თუ არა ზემოთ ხსენებული დანაწესით გათვალისწინებული პრივილეგია. 352 IV გ) მუხლი მიზნად ისახავს იმ მხარის პრივილეგირებას, რომელმაც შეიძინა ნივთი, მიაჩნდა ეს ნივთი სამუდამოდ შეძენილად და იყენებდა მას, როგორც თავის კუთვნილ სხვა ნივთებს. ვისაც კანონი ანიჭებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას (განსხვავებით ხელშეკრულებით შეთანხმებული გასვლის უფლებისაგან), შეუძლია მიენდოს იმას, რომ ნივთი სამუდამოდ მოპოვებულია და მიეკუთვნება მის ქონებას⁶⁵. ამის გამო შესაძლებელია, მოცემულ შემთხვევაში ამ პრივილეგიის გამოყენება არ იყოს უპრიანი, რადგან გამყიდველს მყიდველისათვის ჯერ არ გადაუცია საკუთრება და ბუთხუზს არ ჰქონდა საფუძველი, მიეჩნია ნივთი სამუდამოდ შეძენილად.

თუმცა ამ მოსაზრების საპირისპიროდ მეტყველებს შემდეგი არგუმენტი: 1. გოგიმ ბუთხუზს გადასცა ნივთზე მფლობელობა. შესაბამისად, გამყიდველს საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად უნდა გადაეცა მხოლოდ საკუთრება. ამის გაკეთება გოგის შეეძლო იმგვარად, რომ უკან

⁶⁵ *Grüneberg*, in Palandt BGB, § 346 Rn. 13b.

არ დაებრუნებინა ნივთზე მფლობელობა. შესაბამისად, ნივთზე მფლობელობა ბუთხუზს შეეძლო ჩაეთვალა სამუდამოდ მოპოვებულად; 2. ამ რეზულტატის საპირისპიროდ არ მეტყველებს არც ის ფაქტი, რომ გოგიმ ბუთხუზს ნივთი მხოლოდ „დასათვალთვინებლად“ გადასცა. ეს ნასყიდობა არ წარმოადგენდა მოწონების პირობით დადებულ ხელშეკრულებას 520-ე მუხლის შესაბამისად, რომლის დროსაც, საეჭვოობისას, ნასყიდობის ხელშეკრულება იდება მოწონების გადადების პირობით. ნასყიდობის შედეგების დადგომა არ იყო დამოკიდებული ბუთხუზის მოწონება-არმოწონებაზე. განმარტების მეშვეობით დგინდება, რომ მხარეებმა – „ნივთის დასათვალთვინებლად გადაცემის“ პირობით – შეათანხმეს ჩვეულებრივი, არაპირობადებული ნასყიდობა, რომლის ფარგლებშიც გამყიდველი პასუხისმგებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნივთი არ აღმოჩნდებოდა შეთანხმებული თვისების მქონე⁶⁶, მაგრამ ბუთხუზს არ შეეძლო ჩაეშალა ნასყიდობა მხოლოდ იმის გამო, რომ გადაიფიქრა და აღარ მოსწონდა შეთანხმებული თვისებების მქონე მანქანა.

გარდა ამისა, ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრებით,⁶⁷ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხელშეკრულების მხარემ იცის საკუთარი კანონისმიერი გასვლის უფლების შესახებ და ჭოჭმანობს, გამოიყენოს თუ არა ის, მასზე მაინც ვრცელდება ზემოთ ხსენებული პრივილეგია, რადგან მას უნდა ჰქონდეს „ჭოჭმანის უფლება“. ანუ იმ შემთხვევაში, თუ მოგვიანებით გადაწყვეტს, დაიტოვოს ნივთი და გამოიყენოს ნივთის ნაკლიდან წარმოშობილი სხვა უფლებები (მაგ.: ზიანის ანაზღაურება, დამატებითი შესრულება ან ფასის შემცირება), უნდა ჰქონდეს უფლება, ჭოჭმანის პერიოდშიც ისე მოექცეს ნივთს, როგორც საკუთარს.⁶⁸ ეს გადაწყვეტა ძალშია მოცემულ შემთხვევაშიც.

352 IV გ) მუხლით გათვალისწინებული პრივილეგია არ არის გამორიცხული იმის გამო, რომ ბუთხუზს ნივთზე საკუთრება არ მოუპოვებია.

⁶⁶ *Grunewald, Kaufrecht*, § 15 I 4 (323); იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნასყიდობა დადებული იქნებოდა მოწონების პირობით, 352 IV გ) მუხლით გათვალისწინებული პრივილეგიის გამოყენება არ უნდა ყოფილიყო გამორიცხული – თუ კანონმდებელი მყიდველს ანიჭებს უფლებას, საკუთარი ნება-სურვილით გადაწყვიტოს ნასყიდობის ბედი, მაშინ მასზე უნდა გავრცელდეს ის კანონისმიერი პრივილეგია, რომელიც გავრცელდებოდა, ხელშეკრულება და მის საფუძველზე გადაცემული ნივთი სამუდამოდ შექცნილი რომ ყოფილიყო.

⁶⁷ *Grüneberg*, in *Palandt BGB*, § 346 Rn. 13b.

⁶⁸ ეს პრივილეგია, რა თქმა უნდა, არ მოქმედებს, თუ მხარე შეგნებულად გაუფრთხილებლად ექცევა ნივთს, რომლის დაბრუნებაც გადაწყვეტილი აქვს.

შედეგი: იჩენდა რა ბუთხუზი მანქანის მიმართ ისეთსავე მზრუნველობას, რომელსაც იგი, ჩვეულებრივ, იჩენს საკუთარ საქმეებში, არ არის ვალდებული, აანაზღაუროს ამგვარი მზრუნველობის შედეგად განადგურებული ნივთის ღირებულება.

C. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, 405 II ა), 352 V, 394 II, III

გოგის შეიძლება ჰქონდეს ბუთხუზისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება 405 II ა), 352 V და 394 II, III მუხლების მიხედვით. გასვლიდან წარმოშობილ ურთიერთობაზე გამოიყენება ზოგადი დანაწესები და მათ შორის ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების წესები, სსკ-ის 394-ე მუხლი.

I. ვალდებულებითი ურთიერთობა

ვალდებულებითი ურთიერთობა, რომლიდან წარმოშობილი ვალდებულებაც ბუთხუზს შეიძლება დაერღვია, არის გასვლის შედეგად წარმოშობილი „მიღებულის დაბრუნების ურთიერთობა“.

II. ვალდებულების დარღვევა

ბუთხუზის მხრიდან ვალდებულების დარღვევა მდგომარეობს ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ნივთის დაბრუნების შეუძლებლობაში.

III. ბრალი

საკითხავია, ეკისრება თუ არა ბუთხუზს ამ ვალდებულების დარღვევისათვის ბრალი, რაც ზიანის ანაზღაურების წინაპირობაა. ბუთხუზმა თანაბრალეულად გამოიწვია ნივთის განადგურება, რამაც მას ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება მიანიჭა. შესაბამისად, ის პასუხს აგებს შესრულების შეუძლებლობისათვისაც. თუმცა ეს რეზულტატი საკმაოდ უცნაურია. ნივთის განადგურების მომენტისათვის არ არსებობდა ის ვალდებულებითი ურთიერთობა, რომლიდან წარმოშობილ ვალდებულებასაც ბუთხუზი ბრალეულად დაარღვევდა. ბუთხუზის პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის შეიძლება დადგეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მან იცოდა ან შეეძლო სცოდნოდა, რომ სახეზე იყო გასვლის წინაპირობები.

ბუთხუზი არ აგებს პასუხს ვალდებულების დარღვევისათვის, რის გამოც გოგის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ არსებობს.

D. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, 405 II ა), 352 V, 394 I, 316 II

გოგის შეიძლება ჰქონდეს ბუთხუზისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება 405 II ა), 352 V და 394 I და 316 II მუხლების შესაბამისად.

I. ვალდებულებითი ურთიერთობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბუთხუზსა და გოგის შორის გასვლის შემდეგ წარმოიშვა „მიღებულის დაბრუნების/რესტიტუციული ურთიერთობა“, რომელიც წარმოადგენს ვალდებულებით ურთიერთობას 394 I მუხლის შესაბამისად.

II. ვალდებულების ბრალეული დარღვევა

ბუთხუზს უნდა დაერღვია ვალდებულება 316 II მუხლის შესაბამისად. ბუთხუზს გასვლამდეც ეკისრებოდა გამყიდველის მიმართ ე. წ. „დამცავი ვალდებულებები“ 316 II მუხლის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ვალდებულებითი ურთიერთობა თითოეულ მხარეს აკისრებს მეორე მხარის უფლებების, ქონებრივი სიკეთისა და ინტერესების პატივისცემას. ბუთხუზს ეკისრებოდა ვალდებულება, გოგის საკუთრებისა და ქონების მიმართ გამოეჩინა შესაბამისი გულისხმიერება და არ გაენადგურებინა ის. ეს ვალდებულება არსებობდა გასვლის გაცხადებამდეც (განსხვავებით 394 I, II მუხლიდან წარმოშობილი ვალდებულებისაგან). ბუთხუზმა ბრალეულად დაარღვია ის, როდესაც გაუფრთხილებლად გაანადგურა ნივთი, გამოიწვია რა ამით გოგის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, რამაც გოგის, საბოლოო ჯამში, საკუთრებასთან ერთად დააკარგვინა ასევე ნასყიდობის ფასის მოთხოვნის უფლებაც. ვალდებულების ბრალეული დარღვევა სახეზეა.

III. თანაბრალეულობის გათვალისწინება

რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების მოცულობას, გოგის თანაბრალეულობა ზიანის დადგომისას, რომელიც ბუთხუზის ბრალთან მიმართე-

ბით თანაბარი წონისაა, ამცირებს ზიანის ანაზღაურების მოცულობას 50%-ით, 415-ე მუხლის შესაბამისად. 316 II მუხლი იცავს არა მხოლოდ გოგის ინტერესს საკუთრების უვნებლად შენარჩუნებასთან დაკავშირებით (*Integritätsinteresse*), არამედ ასევე მის ინტერესს ნასყიდობიდან რეალიზებული მოგების მიღებასთან დაკავშირებით (*Äquivalenzinteresse*), ამიტომაც ბუთხუზმა გოგის უნდა აუნაზღაუროს არა ნივთის ობიექტური ღირებულების, არამედ ნასყიდობის ფასის 50%.

IV. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გამორიცხვა *diligentia quam in suis* საფუძველზე

საკითხავია, არის თუ არა გოგის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 352 IV გ) მუხლის მიხედვით გამორიცხული, ისევე, როგორც მანამდე, ამ დანაწესის შესაბამისად, ნივთის ღირებულების მოთხოვნის უფლება გამორიცხვა.

მოცემული პრივილეგიის გამოყენების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ პრივილეგირება აზრს დაკარგავდა⁶⁹, თუ, მიუხედავად ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის გამორიცხვისა, მოვალე ბუთხუზი მაინც აგებდა პასუხს განადგურებული ნივთისათვის, როგორც მიყენებული ზიანისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ისეთსავე გულისხმიერებას იჩენდა ნივთის მიმართ, როგორსაც საკუთარი სხვა ნივთების მიმართ. თუმცა ამ პრივილეგიის ანალოგიით გამოყენების საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის არგუმენტი, რომ 352-ე მუხლი, სიტყვასიტყვითი განმარტების შესაბამისად, მხოლოდ ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნაზე გამოიყენება და არ მოქმედებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მიმართ. 352 V მუხლი უთითებს 394-ე მუხლზე, თუმცა არ ითვალისწინებს ამ ღირებულების ანაზღაურებისათვის მოქმედი სპეციალური დანაწესის მათზე გადატანას. როგორც კანონის დასაბუთებაშია მითითებული, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებზე უნდა გავრცელდეს მხოლოდ ზოგადი ვალდებულებითი სამართლის დანაწესები. თუმცა კონტრარგუმენტები, საერთო ჯამში, მაინც არადაამაჯერებელია. 352 IV გ) მუხლით გათვალისწინებული პრივილეგია იქნება ფუჭი, თუ გამორიცხავდა მხოლოდ ღირებულების ანაზღაურებას და არ გამორიცხავდა ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.⁷⁰ გაუგებარია, თუ რატომ უნდა სცდებოდეს

⁶⁹ *Wagner*, FS Huber (2006), 591.

⁷⁰ ეს კონტრარგუმენტი უცვლელად მიესადაგება ქართულ სამართალს.

ერთმანეთს პასუხისმგებლობის ჩარჩოები უკან დაბრუნების ურთიერთობის ფარგლებში და ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში, რომელიც თავისი მოცულობით შესაძლებელია, აღემატებოდეს კიდევ ღირებულების ანაზღაურების – რომლის მასშტაბსაც ხელშეკრულებით შეთანხმებული საზღაური წარმოადგენს – მოთხოვნას.⁷¹ ვიყენებთ რა ამ პრივილეგიას მოცემულ შემთხვევაში, ის გამორიცხავს ბუთხუზის პასუხისმგებლობას გაუფრთხილებლობისათვის.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არის გამორიცხული, რადგან ბუთხუზი ისეთსავე მზრუნველობას იჩენდა მანქანის მიმართ, როგორსაც ის საკუთარ საქმეებში იჩენს.

შედეგი: გოგის არ აქვს ბუთხუზის მიმართ არც ნასყიდობის ფასის მოთხოვნის უფლება და არც განადგურებული ნივთის გამო ღირებულების ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

A. ნასყიდობის ფასის მოთხოვნა (-)
I. მოთხოვნის წარმოშობა (+) II. მოთხოვნის მოსპობა (+) ➤ გასვლა (+) ○ გასვლის საფუძველი (+) ○ გასვლის გაცხადება (+) ○ გასვლის გამორიცხვა (-)
B. ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა (-)
I. მოთხოვნის წარმოშობა (+) II. მოთხოვნის მოცულობა III. მოთხოვნის გამორიცხვა (-) ➤ გამორიცხვა, 352 II გ), ვარ. 2 (-) ➤ გამორიცხვა, 352 IV ბ) (-) ➤ გამორიცხვა, 352 IV გ) (-)
C. ზიანის მოთხოვნა, 405 II ა), 352 V, 394 II, III (-)
I. ვალდებულებითი ურთიერთობა (+) II. ვალდებულების დარღვევა (+) III. ბრალი (-)
D. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, 405 II ა), 352 V, 394 I, 316 II (+)
I. ვალდებულებითი ურთიერთობა (+) II. ვალდებულების ბრალეული დარღვევა (+) III. თანაბრალეულობის გათვალისწინება IV. მოთხოვნის გამორიცხვა, 352 IV გ) (+) შედეგი: ფასის გადახდა (-); განადგურებული ნივთის ღირებულების ან ზიანის მოთხოვნა (+)

⁷¹ Muscheler/Buer/Huh/Olejnik/Roth/Schewe, Fälle und Lösungen zum Bürgerlichen Recht I, 247.

სამასსომრო!

- ნასყიდობისას გამყიდველის მხრიდან მხოლოდ მფლობელობის გადაცემა, საკუთრების გადაცემის გარეშე, ითვლება არა ნაკლოვან შესრულებად, არამედ შეუსრულებლობად. ამ დროს მყიდველის უფლებების შემოფარგვლა მხოლოდ ნასყიდობიდან წარმოშობილი მეორეული მოთხოვნებით არ არის გამართლებული.
- 352 IV ბ) მუხლი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ ის „იმდენად“, ანუ იმ რაოდენობით, გამოირიცხავს ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებას, რამდენადაც კრედიტორს თავად მიუძღვის ბრალი ნივთის განადგურებაში.
- 352 IV გ) მუხლის მიხედვით, ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება გამოირიცხება, თუ, ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი უფლების შემთხვევაში, საგნის გაფუჭება ან განადგურება მოხდა უფლებამოსილ პირთან, და მან გამოიჩინა ისეთი მზრუნველობა, როგორსაც იგი, ჩვეულებრივ, იჩენს საკუთარ საქმეებში (*diligentia quam in suis*).
- 352 IV გ) მუხლი მიზნად ისახავს იმ მხარის პრივილეგირებას, რომელმაც შეიძინა ნივთი, მიაჩნდა ეს ნივთი სამუდამოდ შეძენილად და იყენებდა მას, როგორც თავის კუთვნილ სხვა ნივთებს. ვისაც კანონი ანიჭებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას (განსხვავებით ხელშეკრულებით შეთანხმებული გასვლის უფლებისაგან), შეუძლია, მიენდოს იმას, რომ ნივთი სამუდამოდ მოპოვებულია და მიეკუთვნება თავის ქონებას.

კაზუსი 15. დიზაინერი მიშკა პ. და ღორის თაჰვი

(შესრულებისა და ფასის რისკის გადასვლა; გაგზავნის ვალდებულება; რისკის გადასვლა გაგზავნის ვალდებულებისას 482 II მუხლის მიხედვით; მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის წინაპირობები)

დიზაინერი მიშკა პ., რომელმაც დაიფიცა, რომ საქართველოში არასოდეს დაბრუნდებოდა, უკვე თბილისშია და მუდმივი საცობების, ჰაერში ტყვიის შემცველობისა და ღიპიანი ახალგაზრდა ბიძაკაცების გამო ღრმა დეპრესიაში, ხოლო დილა-სალამოს ისტერიკაშია ხოლმე. სწორედ ამ ძნელბედობის ჟამს ის გიზოს ძველმანების მალაზიაში ისეთ ინსპირაციის წყაროს აღმოაჩენს, რომ მზად არის, მას ღიპიც კი აპატიოს. ეს არის: ნიკოლოზისდროინდელი სალდათის ჩექმისა და შარვლის ნაწილები, ჩუქურთმის მასიური ნატეხი და, რაც მთავარია, ღორის თაჰვი (კერამიკა, მე-20 საუკუნის ორმოცდაათიანი წლები). ამ ყველაფრის დანახვაზე მიშკა შესძახებს: *Oh mon Dieu, c'est colossal!* და შეუვაჭრებლად გადაიხდის 2200 ლარს. თუმცა ამის შემდეგ მხარეებს შორის უკვე მცირედი გაუგებრობა იჩენს თავს, როცა აღმოჩნდება, რომ თურმე გიზოს მიტანის სერვისი არ ჰქონია. *Quelle merde* – წამოიძახებს პარიზში ცნობილი დიზაინერი და მის თვალში გიზო თანდათან ისევე ღიპიან ღრუზინად იწყებს გადაქცევას, ინსპირაციის წყარო კი ყულაბის ნატეხად. თუმცა ამ პროცესს გიზო მოხერხებულად შეაჩერებს სიტყვებით: „შენ ისეთი კაი კაცი ხარ, მოგანვდი რამენაირად, აბა რას გიზამ“ („ჯანდაბას შენი თაჰვი, მოგიტან“). რის შემდეგაც დიზაინერი მიშკა პ. დამატებით კიდევ 100 ლარს დაუტოვებს მიწოდებისათვის და მშვიდობიანად დაშორდებიან ერთმანეთს.

თუმცა გიზოს კიდევ ერთი პრობლემა აქვს – მისი მანქანა გუშინ საბოლოოდ დაიშალა და, საერთოდაც, სალამოს ძმაკაცები ელოდებიან, ამიტომაც ყველაფერს პატიოსნად შეფუთავს და მანქანაში ჩაუდებს თავის ბიძაშვილ ემზარს, რომელიც მასთან არის დასაქმებული და მაინც იქითკენ ცხოვრობს. თუმცა ყველაფერი ცუდად დასრულდება: ემზარის მანქანას, მისი მხრიდან ყოველგვარი ბრალის გარეშე, შეეჯახება მთვრალი კაკო და ღორის თაჰს შუაზე გადაუხსნის, რასაც მოჰყვება მიშკა პ.-ს სრული ისტერიკა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. გიზოს პასუხი – „ნუ შემჭამე, რალა გინდა, ერთი ნატეხის მაგივრად ორი გაქვსო“ – ხომ საერთოდ ცეცხლზე ნავთს ასხამს.

შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა იმ შემთხვევისათვის, როდესაც მიშკა პ. ახერხებს იმის დამტკიცებას, რომ ამ ლორის თავს 20 000 ევროდ მიჰყიდდა მეგობარ ფრანგ დიზაინერს, რომელიც პარიზის ცნობილ მოდის სახლებთან თანამშრომლობს და ლორის თავების დიდი შემგროვებელია.

A. ფასის დაბრუნების მოთხოვნა

მიშკას შეიძლება ჰქონდეს გიზოს მიმართ მოთხოვნის უფლება გადახდილი ფასის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით 406 I მუხლისა და 352 I მუხლის ანალოგიით. თუ გიზო გათავისუფლდებოდა შესრულების ვალდებულებისაგან მისი შეუძლებლობის გამო, მაშინ მიშკაც გათავისუფლდებოდა ფასის გადახდის ვალდებულებისაგან (406 I) და შეეძლო, უკვე გადახდილი ფასი უკან მოეთხოვა 406 I მუხლისა და 352 I მუხლის ანალოგიის საფუძველზე.

შენიშვნა: თუ მოვალე თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისაგან და ეს არ არის გამონეწეული კრედიტორის ბრალით, მაშინ კრედიტორიც, რომელსაც მოვალის წინაშე აქვს საპირისპირო შესრულების ვალდებულება, თავისუფლდება ამ ვალდებულებისაგან (უკუდასკვნა 406 I მუხლიდან). თუმცა სამოქალაქო კოდექსში ამ გათავისუფლების შემდეგ მანამდე გადახდილის დაბრუნების მოთხოვნა პირდაპირ განერილი არ არის. მაგრამ ეს შემთხვევა ყველაზე ახლოს დგას გასვლის შემდეგ გადახდილის უკან მოთხოვნასთან 352 I მუხლის მიხედვით, რის გამოც უკუმოთხოვნა ამ დანაწესის ანალოგიით გამოყენებით უნდა იყოს დასაშვები. გამომდინარე 405-ე და 406-ე მუხლების სიახლოვიდან და ფუნქციური მსგავსებიდან, ეს ანალოგია გამართლებულია ასევე სისტემური მოსაზრებებიდანაც.

მიშკასა და გიზოს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება 477-ე მუხლის მიხედვით და მიშკამ გადაიხადა ნასყიდობის ფასი.

I. ვალდებულებისაგან გათავისუფლება შეუძლებლობის გამო

გიზო შეიძლება გათავისუფლებულიყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებისაგან, მისი შესრულების შეუძლებლობის გამო.

მიშკასთან დადებული ნასყიდობით გიზოს ეკისრებოდა 477 I მუხლის შესაბამისად მიშკასათვის ღორის თავზე საკუთრებისა და მფლობელობის გადაცემის ვალდებულება, რაც თავიდანვე წარმოადგენდა ინდივიდუალური ნივთით შესასრულებელ ვალდებულებას.

გაგზავნის ვალდებულებისას ნივთის (ნივთების) გადამზიდველისათვის გაგზავნის მომენტიდან კრედიტორზე გადადის ე. წ. „შესრულების რისკი“, ანუ რისკი იმისა, რომ შესრულების საგნის განადგურების შემთ-

ხვევაში, ის ველარ მოითხოვს თავიდან შესრულებას და მოვალე გათავისუფლდება ამ შესრულების ვალდებულებისაგან.

საკითხის გაღრმავებისათვის: გვაროვნული ნივთით შესასრულებელი ვალდებულების შემთხვევაში ნივთის გადამზიდველისათვის ჩაბარება წარმოადგენს იმავდროულად ნივთის კონკრეტიზაციის მომენტს,⁷² რის შემდეგაც შესრულების ვალდებულება ერთი კონკრეტული ნივთით შემოიფარგლება.

ინდივიდუალური ღორის თავის განადგურებასთან ერთად მასზე საკუთრების გადაცემა შეუძლებელი გახდა, როგორც გიზოსათვის, ისე ნებისმიერი სხვა პირისათვის. ამ მომენტიდან დადგა ვალდებულების შესრულების ობიექტური შეუძლებლობა.

II. ვალდებულების ქალაში დატოვება „ფასის რისკის“ გადასვლის გამო

თუმცა მოცემულ შემთხვევაში მიშკა არ გათავისუფლდებოდა საპირისპირო შესრულების – ფასის გადახდის – ვალდებულებისაგან, თუ ნივთების განადგურების მომენტში მასზე გადასული იქნებოდა ე. წ. „ფასის რისკი“, ანუ რისკი იმისა, რომ საპირისპირო შესრულების ვერმიღების შემთხვევაში მაინც დაეკისრებოდა ფასის გადახდის ვალდებულება.

„ფასის რისკი“

ე. წ. „საპირისპირო შესრულების“ ან „ფასის რისკის“ გადასვლა ეხება საკითხს, თუ რა ემართება შესრულების შემთხვევითი შეუძლებლობის დროს კრედიტორის საპირისპირო ვალდებულებას, მაგალითად, მყიდველის ვალდებულებას, გადაიხადოს ნასყიდობის ფასი.⁷³

ჩვეულებრივ, ეს საკითხი წყდება 406 I მუხლით, რომლის მიხედვითაც კრედიტორი-მყიდველი თავისუფლდება თავისი ფასის გადახდის ვალდებულებისაგან, თუ მოვალე-გამყიდველი გათავისუფლდა თავისი ნივთობრივი შესრულების ვალდებულებისაგან. 406 I მუხლიდან უკუდასკვნით გამომდინარეობს, რომ გარემოება, რომელიც მოვალეს საშუალებას აძლევს, უარი თქვას თავის შესრულების ვალდებულებაზე (მაგ., შესრულების შეუძლებლობა) და რომელიც არ არის გამოწვეული კრედიტორის ბრალით, მას ასევე

⁷² Heinrichs, in Palandt BGB, § 243 Rn. 5; BGH BB 65, 349.

⁷³ Emmerich, Schuldrecht BT, § 3 IV 1 Rn. 14.

აკარგვინებს საპირისპირო შესრულების მიღების უფლებას. ამრიგად, „ფასის რისკს“, ჩვეულებრივ, გამყიდველი ატარებს.

1. რისკის გადასვლა 406 I მუხლის მიხედვით

მოცემულ შემთხვევაში ეს რისკი არ გადასულა 406 I მუხლის მიხედვით, რადგან შეუძლებლობა არ იყო გამოწვეული არც მიშკას ბრალით და ის არ იყო არც (მიღების) ვადაგადაცილებული კრედიტორი.

2. რისკის გადასვლა 482 II მუხლის მიხედვით

ფასის რისკის გადასვლა შეიძლება მომხდარიყო 482 II მუხლის შესაბამისად. ამ დანაწესის მიხედვით, გაგზავნის ვალდებულების შემთხვევაში, როდესაც გამყიდველი მყიდველის მოთხოვნით გაყიდულ ნივთს აგზავნის სხვა ადგილას, ნაცვლად შესრულების ადგილისა, გადამზიდველისათვის ჩაბარებით გადადის არა მხოლოდ შესრულების რისკი, არამედ ასევე ფასის რისკიც.

482 II მუხლის განმარტებისათვის

ქართულ სამართალში სსკ-ის 482 II მუხლი გსკ-ის 447 I პარაგრაფთან შედარებით, საიდანაც ის გამომდებელია, განსხვავებულად არის ფორმულირებული. ამ დანაწესის გამოყენების წინაპირობაა მყიდველის მიერ ხელშეკრულებით ერთხელ უკვე შეთანხმებული შესრულების ადგილის შეცვლა და არა, უბრალოდ, გაგზავნის ვალდებულების შეთანხმება, როგორც ეს გერმანულ სამართალშია. თუმცა ეს განსხვავება, სავარაუდოდ, კანონმდებლის შეცდომის ბრალია, რომელმაც სათანადოდ ვერ გაიაზრა „გაგზავნის ვალდებულებისას“ რისკის გადასვლის გერმანული კონცეპტი. გსკ-ის 447-ე მუხლი ემყარება იდეას, რომ მყიდველმა, რომლის მოთხოვნითაც ხდება ნივთის სხვა ადგილას გაგზავნა, ვიდრე ეს შესრულების ადგილია, უნდა ატაროს კიდევ ამ მოთხოვნის გამო გაზრდილი რისკი. ეს რისკი იზრდება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც მყიდველი გაყიდული ნივთის გაგზავნას მოითხოვს სხვა ადგილას, ვიდრე ეს თავდაპირველად ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, არამედ მაშინაც, როდესაც მყიდველი გამყიდველისაგან, რომელიც კლიენტებს გაგზავნის მომსახურებას არ სთავაზობს, ითხოვს სწორედ ამ გაგზავნის ვალდებულების შეთანხმებას.

ქართველი კანონმდებლის მიერ დაფიქსირებული გადანყვეტა შეუძლებელს ხდის ხელშეკრულების დადებისთანავე გაგზავნის ვალდებულების შეთანხმებას, რადგან გაგზავნის ვალდებულებას მიტანის ვალდებულებისაგან

განასხვავებს სწორედ რომ შესრულების მოქმედების განხორციელების ადგილი: მიტანისას ეს არის კრედიტორის ადგილსამყოფელი, ხოლო გაგზავნისას გადამზიდველისათვის ჩაბარების მომენტი. თუმცა 482 II მუხლის სიტყვასიტყვითი გაგებით, თავიდანვე შეთანხმება იმისა, რომ გადამზიდველისათვის ჩაბარების ადგილი შესრულების ადგილად ჩაითვალოს, შეუძლებელი ხდება. გადამზიდველისათვის ჩაბარების მომენტი მხოლოდ მაშინ ითვლება შესრულების მომენტად, თუ კრედიტორი ვალდებულების შეთანხმების შემდეგ მოგვიანებით შეცვლის ამ შესრულების ადგილს. ეს არასწორია. ქართულ სამართალშიც, ისევე, როგორც გერმანულშიც, თავიდანვე უნდა იყოს შესაძლებელი გაგზავნის ვალდებულების შეთანხმება, რომლის დროსაც რისკი გადავიდოდა ნივთის გადამზიდველისათვის ჩაბარების მომენტიდან. სხვაგვარად, ქართულ სამართალში შეუძლებელი ხდება გაგზავნის ვალდებულების შეთანხმება. გაგზავნის ვალდებულებას მიტანის ვალდებულებისაგან განასხვავებს სწორედ შესრულების მოქმედების განხორციელების ადგილი. ერთ შემთხვევაში ეს არის გადამზიდველისათვის ნივთის ჩაბარება და მეორე შემთხვევაში – კრედიტორისათვის ნივთის გადაცემა, მაგრამ თუ სამოქალაქო კოდექსის ამ დანაწესს სიტყვასიტყვით გავიგებთ, მაშინ მხარეთა თავდაპირველი შეთანხმებით შეუძლებელი ყოფილა გაგზავნის ვალდებულების დადგენა, რაც აბსურდია.

გარდა ამისა, ის საგამონაკლისო შემთხვევა, რომელიც 482-ე მუხლის სიტყვასიტყვითი გაგების შემთხვევაში გვექნებოდა ამ ნორმით მონესრიგებული, საერთოდ არ საჭიროებს ცალკე მონესრიგებას, რადგან, თუ მყიდველი ხელშეკრულების დადების შემდეგ სთხოვს გამყიდველს ნივთის სხვა ადგილზე გაგზავნას, ეს იქნება ჩვეულებრივი გაგზავნის ვალდებულება (დამოუკიდებლად თავდაპირველი ვალდებულების სახისაგან) და გამყიდველის ინტერესები დაცული იქნება გაგზავნის ვალდებულების ზოგადი წესების მიხედვით, ამ სპეციალური შემთხვევის დამოუკიდებელი მონესრიგების გარეშეც.

ამის გამო 482 II მუხლი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ ფასის რისკი გადადის ყოველთვის, როდესაც მყიდველის მოთხოვნით ხდება გაგზავნის ვალდებულების შეთანხმება და არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მოგვიანებით შეცვლის შესრულების შედეგის დადგომის ადგილს.

ამგვარად, 482 II მუხლის წინაპირობებია:

ა) ნივთი უნდა გაიგზავნოს შესრულების ადგილისაგან განსხვავებულ ადგილას. მოცემულ შემთხვევაში შესრულების ადგილს წარმოადგენდა მოვალის მალაზია, 362 ა) მუხლის შესაბამისად. ნივთი შეთანხმების შემდეგ უნდა გაგზავნილიყო თბილისში, სხვა ადგილას.

ბ) გაგზავნა უნდა მოეთხოვა მყიდველს. ჩვეულებრივ, საკმარისია, რომ გაგზავნა მომხდარიყო საერთო თანხმობის საფუძველზე, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ეს მოითხოვა მყიდველმა და, შესაბამისად, ეს წინაპირობაც სახეზეა.

შესაბამისად, სახეზეა გაგზავნის ვალდებულების შეთანხმება 482 II მუხლის მიხედვით.

ფასის რისკის გადასვლისათვის გიზოს უნდა ჩაებარებინა ნივთები გადამზიდველისათვის, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა. გადამზიდველის მაგივრად გიზომ ნივთი თავისთან დასაქმებულ ბიძაშვილს გადასცა. გადაზიდვის საკუთარი პერსონალის მეშვეობით განხორციელების შემთხვევაში 482 II მუხლის გამოყენება პრობლემურია:

გაბატონებული მოსაზრების⁷⁴ თანახმად, 482 II მუხლი გამოიყენება ასევე ამ შემთხვევაშიც, ანუ, როდესაც გადამზიდველი არის არა მესამე პირი, არამედ – გამყიდველის პერსონალი. ამ დანაწესის მიზანია გამყიდველის, რომელიც არ არის ვალდებული გადაზიდოს ნივთი, ამ გადაზიდვის რისკისაგან დაცვა.

საკითხის გაღრმავებისათვის: სანინალმდეგო მოსაზრების⁷⁵ თანახმად, 482 II მუხლი ამ შემთხვევაში არ გამოიყენება, რადგან ნივთი ამ დროსაც, გაცემამდე, გამყიდველის ძალაუფლების სფეროში რჩება და მან უნდა ატაროს მისი შემთხვევითი დაღუპვის რისკი. აქ რისკი გადადის ზოგადი წესის მიხედვით, ანუ, ნივთის გადაცემასთან ერთად, 482 I მუხლი.

ზემოთ მოყვანილი პირველი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ მოცემული მუხლი არ ემყარება ე. წ. „სფეროების გადანაწილების“ პრინციპს და არ წყვეტს რისკის გადასვლის საკითხს იმის მიხედვით, თუ ვის უფრო მეტი ზემოქმედების საშუალება აქვს ნივთზე. ნივთის პროფესიონალი გადამზიდველისათვის ჩაბარების შემთხვევაშიც, გამყიდველს აქვს საშუალება, მისცეს მითითებები გადამზიდველს (გერმანიის სავაჭრო კოდექსის 418-ე პარაგრაფი) და, შესაბამისად, მას ამ შემთხვევაშიც მყიდველზე გაცილებით მეტი ზემოქმედების საშუალება აქვს ნივთის შემდგომ ბედზე. ამის საპირისპიროდ, მოცემული დანაწესის გამოყენებისას გადამწყვეტია, არის თუ არა გამყიდველი ვალდებული, გააგზავნოს ნივთი. თუ ის ამას კისრულობს მყიდველის მოთხოვნით, როგორც დამატებით ვალდებულებას, მაშინ ის თავისუფლდება იმ რისკისაგან, რისი კისრებაც მას თავდაპირველად არ სურდა. ასეთ შემთხვევებში 482 II მუხლი გამოიყენება არა

⁷⁴ შეად. Köhler/Lorenz, Prüfe dein Wissen, Schuldrecht II, Fall 8.

⁷⁵ Medicus, Bürgerliches Recht, Rn. 275.

მარტო გამყიდველის პერსონალის მიერ ნივთის გადაზიდვისას, არამედ ასევე გადაზიდვის პირადად გამყიდველის მიერ შესრულებისასაც. რისკის გადასვლის მომენტად ამ დროს ითვლება გადაზიდვის დაწყების მომენტი.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ემზარი გიზოსთან იყო დასაქმებული და არ იყო პროფესიონალი გადამზიდველი, გამოიყენება 482 II მუხლი და რისკიც გადასულად უნდა ჩავთვალოთ მისთვის ნივთის გადაცემის მომენტიდან.

ფასის რისკის გადასვლა 482 II მუხლის მიხედვით უნდა აღვიქვათ იმგვარად, რომ ის არა მარტო არ ათავისუფლებს მყიდველს ჯერ კიდევ გადაუხდელი ფასის გადახდის ვალდებულებისაგან, არამედ უჭრის ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის უკან მოთხოვნის გზას იმ შემთხვევაში, თუ მან ეს ფასი უკვე გადაიხადა. ფასის რისკის გადასვლის შემთხვევაში შეუძლებელია ხელშეკრულებიდან გასვლა შესრულების შეუძლებლობის გამო. ყოველგვარი სხვა განმარტება იქნებოდა ამ სამართლებრივი ფიგურის მიზანთან შეუსაბამო.

შედეგი: მიშკა ვერ მოითხოვს გადახდილ ფასს 406 I მუხლისა და 352 I მუხლის ანალოგიით.

შენიშვნა: ამავე საფუძვლით (რისკის გადასვლის შემდეგ) გამორიცხულია გასვლა (405 I) და 352 I მუხლის პირდაპირი გამოყენებით გადახდილი ფასის მოთხოვნა.

B. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გიზოს მიმართ

მიშკას შეიძლება ჰქონდეს გიზოსაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება 394 I, II მუხლების მიხედვით.

1. როგორც ზემოთ აღინიშნა, გიზოსა და მიშკას შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება.
2. ასევე სახეზეა ვალდებულების დარღვევა 394 I 1, II მუხლის მიხედვით ვალდებულების შეუსრულებლობის სახით მისი შეუძლებლობის გამო. გიზო გათავისუფლებულია შესრულების ვალდებულებისაგან.
3. 394 I 1, II მუხლის მიხედვით, მოვალემ ბრალეულად უნდა დაარღვიოს თავისი ვალდებულება. მიუხედავად იმისა, რომ მოვალის ბრალი

ივარაუდება, მოცემულ შემთხვევაში გიზო მოახერხებს ამ ვარაუდის გაქარწყლებას, რადგან მას არ მიუძღვის არც საკუთარი ბრალი 395 I მუხლის მიხედვით და არ შეერაცხება არც მისი კანონისმიერი წარმომადგენლის ან ე. წ. „შესრულების დამხმარის“ ბრალი 396-ე მუხლის მიხედვით.

შედეგი: მიშკას არ აქვს გიზოს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება 394 I, II მუხლის მიხედვით.

C. მიშკას მოთხოვნები კაკოს მიმართ

I. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 394 I მუხლის მიხედვით

გიზოს სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლებები 394-ე და შემდგომი მუხლების მიხედვით გამორიცხულია, რადგან მათ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ არსებობს.

II. 992-ე მუხლის მიხედვით

992-ე მუხლი, რომელიც გენერალური დათქმის ფორმით არის ჩამოყალიბებული, ითვალისწინებს არა მარტო აბსოლუტური სიკეთის დაზიანების შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებას, არამედ ასევე – ანაზღაურებას ქონებრივი ზიანისთვისაც. ანუ ზიანს, რომლის დროსაც დაზარალებულ პირს უშუალოდ აბსოლუტური სიკეთე არ უზიანდება, თუმცა ადგება ფინანსური ზიანი. მოცემულ შემთხვევაში კაკოს მიერ ღორისთვის განადგურებამ მიშკას დააკარგვინა, როგორც ამ ნივთზე საკუთრების მოპოვების შანსი, ასევე გადახდილი ფასის უკან დაბრუნების შესაძლებლობა, რაც წარმოადგენს მის ქონებრივ ზიანს.

თუმცა მოცემულ შემთხვევაში პრობლემურია კაკოს ამ ქმედების მართლსაწინააღმდეგობა. ჩვეულებრივ, მართლწინააღმდეგობა ყოველთვის სახეზეა, როდესაც პირი პოზიტიური ქმედებით აზიანებს აბსოლუტურ სამართლებრივ სიკეთეს, რომელსაც სამართალი იცავს აბსოლუტურად, ანუ ყოველგვარი დაზიანებისაგან. ამისგან განსხვავებით, ქმედების მართლსაწინააღმდეგობა უნდა დადგინდეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა მხოლოდ ქონების და არა აბსოლუტური სიკეთის დაზიანება.

მოცემულ შემთხვევაში კაკოს ქმედება – ავტომანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვა – მართლსაწინააღმდეგოა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის შესაბამისად. თუმცა მხოლოდ ქმედების მართლსაწინააღმდეგოობა არ არის საკმარისი დელიქტური პასუხისმგებლობისათვის. აუცილებელია, რომ ამ მართლსაწინააღმდეგოობის განმსაზღვრელი ნორმის მიზანი იყოს დაზარალებულის ამ კონკრეტული ზიანისაგან დაცვა. ანუ ნასვამ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვის აკრძალვის მიზანი (სხვა მიზნებთან ერთად) უნდა იყოს მყიდველის დაცვა ნაყიდ ნივთზე საკუთრების მიღების შანსის დაკარგვისაგან. მოცემული ნორმა ამ მიზანს არ ემსახურება. ის იცავს მხოლოდ სატრანსპორტო მოძრაობის უშუალო მონაწილეებს იმ ზიანისაგან, რომელიც მათ შეიძლება მიაყენოს ავტომანქანაზე მჯდომმა ნასვამმა პირმა, მაგრამ არ იცავს ამ მონაწილეების კონტრაჰენტებს (ან სავარაუდო კონტრაჰენტებს) ქონებრივი ზიანისაგან. ამგვარად, მართლსაწინააღმდეგოობის განმსაზღვრელი ნორმის მიზნით არ არის დაცული მიშკას ქონებრივი ზიანი, რის გამოც სახეზე არ გვაქვს მართლსაწინააღმდეგო ქმედება მიშკას მიმართ და დელიქტური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გამორიცხება ქართული სამართლის მიხედვითაც.

შედეგი: მიშკას არ აქვს კაკოს მიმართ მოთხოვნის უფლება.

D. მოთხოვნა კაკოს მიმართ „მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციიდან“

მიშკას შეიძლება ჰქონდეს მოთხოვნის უფლება გიზოს მიმართ იმ მოთხოვნების დათმობასთან დაკავშირებით, რომლებიც ამ უკანასკნელს აქვს კაკოს მიმართ, ე. წ. „მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის“ პრინციპების თანახმად.

მესამე პირის ზიანის ლიკვიდაცია

„მესამე პირის ზიანის ლიკვიდაცია“ გერმანიაში სამოსამართლო სამართალშემოქმედების ფარგლებში განვითარებული ინსტიტუტია, რომელიც ემსახურება სამართლიანობის მოსაზრებებიდან გამომდინარე იმ პირისათვის მოთხოვნის მინიჭებას, რომელსაც, მართალია, მიადგა ზიანი, თუმცა ამ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობები სხვა პირთან შესრულდა, რომელსაც ზიანი არ მისდგომია. ამგვარად, ინსტიტუტის მიზანია ერთმანეთს

შემთხვევით აცდენილი ზიანისა და მოთხოვნის უფლების ერთ პირთან თავმოყრა.

მისი წინაპირობებია:

ა) „მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის“ გამოსაყენებლად აუცილებელია, ზიანი და მოთხოვნის უფლება ერთმანეთს ასცდეს: მას, ვისაც ექნებოდა მოთხოვნის უფლება, არ უნდა მიადგეს ზიანი და დაზარალებულ პირს კი არ უნდა ჰქონდეს მოთხოვნის უფლება, რაც, როგორც ზემოთ ვახსენეთ, სახეზეა.

ბ) ზიანისა და მოთხოვნის უფლების აცდენა უნდა იყოს შემთხვევითი. „მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის“ გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ აბსოლუტურ გამონაკლის შემთხვევებში, რადგან ეს არის გადახვევა პრინციპიდან, რომ მხოლოდ ის ზიანია ანაზღაურებადი, რომელიც გამონყეულია სამართლებრივი სიკეთის დაზიანებით. ამის გამო გამოყოფენ იმ ცალკეულ შემთხვევებს, როდესაც შესაძლებელია „მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის“ პრინციპების გამოყენება. ესენია:⁷⁶ 1. რისკის გადასვლის შემთხვევა (მაგ., 482 II), 2. არაპირდაპირი წარმომადგენლობა, 3. მესამე პირის ნივთის მიზარება, 4. მინდობილი საკუთრება.

- ა) როგორც ზემოთ დავადგინეთ, გიზო გათავისუფლდა მიშკას წინაშე ნაკისრი ვალდებულებისაგან შეუძლებლობის გამო.
- ბ) გიზოს, ზოგადად, ექნებოდა კაკოს მიმართ დელიქტური მოთხოვნის უფლება, 992-ე მუხლის შესაბამისად, საკუთრების დაზიანების გამო.

992-ე მუხლის წინაპირობები სახეზეა; კაკომ ბრალეული და მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გაანადგურა გიზოს საკუთრება. ანაზღაურებადი ზიანის მოცულობა განისაზღვრება 408-ე და მომდევნო მუხლებით. გიზოს აქვს მოთხოვნის უფლება იმ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რომელიც ეკვივალენტურად და კაუზალურად გამომდინარეობს საკუთრების დაზიანებიდან. ამ ზიანის განსაზღვრისას გამოიყენება ე. წ. დიფერენციაციის ჰიპოთეზა: ერთმანეთს უნდა შევადაროთ გიზოს ქონებრივი მდგომარეობა ზიანის მომტანი გარემოების დადგომის შემდეგ და მანამდე. განსხვავება ანაზღაურდება. თუ ერთმანეთს დავუპირისპირებთ გიზოს ქონებრივ მდგომარეობას ლორის თავის ორად გადახსნამდე და გადახსნის შემდეგ, აღმოჩნდება, რომ მას არანაირი ქონებრივი ზიანი არ მისდგომია, რადგან საკუთრებას ამ ნივთებზე მაინც მალე სამუდამოდ დაკარგავდა, ხოლო სანაცვლოდ მიღებული ფასის დაბრუნება მაინც არ

⁷⁶ Brox/Walker, Schuldrecht AT, § 29 Rn. 17 და შემდგომნი.

უნევს. მოცემული შემთხვევა წარმოადგენს რისკის გადასვლის შემთხვევას, რამაც გამოიწვია ის, რომ ზიანი შემთხვევით არ წარმოეშვა იმ პირს, ვისი საკუთრებაც დაზიანდა.

თუმცა კაკოს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების გამორიცხვა მისი გაუმართლებელი პრივილეგირება იქნებოდა. ის გათავისუფლდებოდა ყოველგვარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, რადგან მიშკას, რომელსაც მართლაც მიადგა ზიანი, მის წინააღმდეგ მოთხოვნის უფლება არ აქვს. ამის გამო საკითხავია, უნდა მოხდეს თუ არა მოცემული გაუმართლებელი შედეგის კორექცია, ე. წ. „მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის“ ინსტიტუტის გამოყენებით.

ამგვარად, მიშკას მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის ფარგლებში წარმოეშობა პირდაპირ მოთხოვნა კაკოს მიმართ. ზიანის ანაზღაურების ვალდებულებით მოცულია ასევე მიუღებელი შემოსავალი (411), რაც მოცემულ შემთხვევაში მოიცავს მიუღებელ 20 000 ლარს.

საბოლოო შედეგი: მიშკას აქვს გიზოს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

A. ფასის დაბრუნების მოთხოვნა (-)
I. ვალდებულებისაგან გათავისუფლება შეუძლებლობის გამო (-)
II. ვალდებულების ძალაში დატოვება „ფასის რისკის“ გადასვლით (+)
➤ რისკის გადასვლა 406 I მუხლით (-)
➤ რისკის გადასვლა 482 II მუხლით (+)
B. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გიზოს მიმართ (-)
C. მიშკას მოთხოვნები კაკოს მიმართ (-)
I. მოთხოვნა 394 I მუხლით (-)
II. მოთხოვნა 992-ე მუხლით (-)
D. მოთხოვნა კაკოს მიმართ „მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციიდან“ (+)
შედეგი: ფასის გადახდა (-); ზიანის ანაზღაურება მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციიდან (+)

სამახსოვრო!

➤ ე. წ. „საპირისპირო შესრულების“, ანუ „ფასის რისკის“ გადასვლა, ეხება საკითხს, თუ რა ემართება შესრულების შემთხვევითი შეუძლებლობის დროს კრედიტორის საპირისპირო ვალდებულებას – მაგალითად, მყიდველის ვალდებულებას, გადაიხადოს ნასყიდობის ფასი. ჩვეულებრივ, ეს საკითხი წყდება 406 I მუხლით, რომლის მიხედვითაც კრედიტორი-მყიდველი თავისუფლდება თავისი ფასის გადახდის ვალდებულებისაგან, თუ მოვალე-გამყიდველი გათავისუფლდა თავისი ნივთობრივი შესრულების ვალდებულებისაგან.

- 482 II მუხლის მიხედვით, გაგზავნის ვალდებულების შემთხვევაში, როდესაც გამყიდველი მყიდველის მოთხოვნით გაყიდულ ნივთს აგზავნის სხვა ადგილას, ნაცვლად შესრულების ადგილისა, გადამზიდველისათვის ჩაბარებით გადადის არა მხოლოდ შესრულების რისკი, არამედ ასევე ფასის რისკიც.
- 482 II მუხლი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ ფასის რისკი გადადის ყოველთვის, როდესაც მყიდველის მოთხოვნით ხდება გაგზავნის ვალდებულების შეთანხმება და არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მოგვიანებით შეცვლის შესრულების შედეგის დადგომის ადგილს.
- გაბატონებული მოსაზრების თანახმად, 482 II მუხლი გამოიყენება ასევე ამ შემთხვევაშიც, ანუ, როდესაც გადამზიდველი არის არა მესამე პირი, არამედ – გამყიდველის პერსონალი.
- „მესამე პირის ზიანის ლიკვიდაცია“ არის ინსტიტუტი, რომელიც ემსახურება სამართლიანობის მოსაზრებებიდან გამომდინარე იმ პირისათვის მოთხოვნის მინიჭებას, რომელსაც, მართალია, მიაღვა ზიანი, თუმცა ამ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობები სხვა პირთან შესრულდა, რომელსაც ზიანი არ მისდგომია.

კაზუსი 16. რეკუთაცია თუ ტორტი?

(ფასის რისკის გადასვლა 482 II მუხლის მიხედვით; დამხმარე პირის ბრალის შერაცხვა 396-ე მუხლის მიხედვით)

აჩიკო, რომელიც ქალაქის ცენტრში განთავსებული ოფისის მენეჯერია, გადანყვეტს, საკუთარ დაბადების დღეზე თანამშრომლებს სიურპრიზი მოუწყოს – შუადღის შესვენებაზე ოფისში შემოიტანენ ტორტს, რომლის ნახევარიც იქნება პილპილმოყრილი. შემდეგ აჩიკო იკითხავს – „ნეტა ვისი დაბადების დღეა?“ – ვინც ვერ გაიხსენებს, მათ საკუთარი ხელით მიაწვდის პილპილმოყრილ ნაჭრებს, რათა აღარასოდეს დაავიწყდეთ უფროსის დაბადების დღე.

მაგრამ ნახევრად პილპილმოყრილი ტორტის შოვნა, თანაც ისეთის, რომ ერთი მოკბერჩაც კი ცხოვრების ბოლომდე გაჰყვეს კაცს, არცთუ ისე მარტივი აღმოჩნდება. თუმცა წინა დღეს მაინც იპოვის ქალაქის ბოლოში ლამარას საკონდიტროს, რომელიც ყველაფრისთვის მზადაა, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ლამარას მიტანის სერვისი არ აქვს, თუმცა აჩიკო ბევრი ხვეწნა-მუქარის შემდეგ მას მაინც დაიყოლიებს მიტანაზე შესაბამისი კურიერის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, ლამარა მოგვიანებით ტორტს არა კურიერს, არამედ საკუთარ შვილს, გელას, გაატანს, რომელიც მასთან არის დასაქმებული. თუმცა კიდევ უფრო მოგვიანებით აღმოჩნდება, რომ ეს შეცდომა იყო – გელა მთელი ბავშვობა დედამისის მიერ კლიენტებისათვის გამზადებულ ტორტში თითებს ყოფდა და შემდეგ ლოკავდა. ეს ჩვევა არც ოცდათორმეტი წლის ასაკში მოუშლია. ამჯერადაც მანქანის სავარძელზე შემოდებულ ტორტში ჩაანოხს თითს, დააგემოვნებს და... სიმწრისაგან შუა ტრასაზე მოისვრის ჯერ ტორტს და შემდეგ ყუთს.

აჩიკო, რომელიც შეატყობს, რომ ტორტი არ მოაქვთ, იმისათვის, რათა სიურპრიზი არ ჩაეშალოს, იძულებულია, მისი ოფისის მეზობლად მდებარე საკონდიტროს სთხოვოს ამ ტორტის სახელდახელოდ დამზადება, ის კი მხოლოდ სამმაგ ფასად არის თანახმა ამ, მათი რეპუტაციის შემლახავ, აქტზე.

აჩიკო ლამარასაგან უკან ითხოვს გადახდილ ფასს და, გარდა ამისა, მისგან ზიანის ანაზღაურების სახით ითხოვს მეზობელი კონდიტერისათვის ზედმეტად გადახდილს.

შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა!

A. ფასის დაბრუნების მოთხოვნა

აჩიკოს შეიძლება ჰქონდეს ლამარას მიმართ გადახდილი ფასის დაბრუნების მოთხოვნა 406 I მუხლისა და 352 I მუხლის ანალოგიის მიხედვით.

შენიშვნა: იხ. ამ ანალოგიის დასაბუთებასთან დაკავშირებით წინა კაზუსი.

I. „ფასის რისკის“ გადასვლა 406 I მუხლით

ამ დანანესის გამოყენების წინაპირობაა აჩიკოს გათავისუფლება საპირისპირო შესრულების ვალდებულებისაგან და ფასის რისკის მასზე არგადასვლა. ლამარა გათავისუფლდა თავისი შესრულების ვალდებულებისაგან მისი შეუძლებლობის გამო – ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ტორტი განადგურდა და ლამარა მის დამზადებას დათქმულ დროში ვეღარ მოასწრებს – რაც ათავისუფლებს ასევე აჩიკოს მისი საპირისპირო შესრულების ვალდებულებისაგან 406 I მუხლის მიხედვით, რადგან ფასის რისკი მასზე ამ მომენტისათვის ჯერ არ გადასულა.

II. რისკის გადასვლა 482 II მუხლით

თუმცა საკითხავია, ხომ არ გადასულა ეს ფასის რისკი 482 II მუხლის მიხედვით. საკითხავია, სახეზე გვაქვს თუ არა ამ მუხლის წინაპირობები:

1. „საკუთარი პერსონალის“ მეშვეობით გადაზიდვა

ნივთის გაგზავნა მოხდა შემკვეთის მოთხოვნით, შესრულების ადგილისაგან განსხვავებულ ადგილას. მენარდემ გადასცა ნივთი გადამზიდველს. მიუხედავად იმისა, რომ გადამზიდველი გელა მასთან იყო დასაქმებული, ეს არ გამორიცხავს ამ დანანესის გამოყენებას, იხ. ამასთან დაკავშირებით წინა კაზუსი.

2. ნივთის ბრალეული განადგურება – „შესრულების დამხმარის“ ბრალის შერაცხვა

თუმცა 482 II მუხლის წინაპირობაა, რომ რეალიზდეს ნივთის შემთხვევითი დაღუპვისა და არა ბრალეული განადგურების რისკი. მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია, ლამარას ბრალეულად გაენადგურებინა შესრულების საგანი. მას შესაძლებელია, შეერაცხებოდეს გელას ბრალი 396-ე

მუხლის შესაბამისად. ამისათვის აუცილებელია, რომ გელა იყოს აჩიკოს „შესრულების დამხმარე“, ანუ პირი, რომელიც მოცემულ შემთხვევაში ასრულებდა მოვალე ლამარას ნების შესაბამისად მისთვის დაკისრებულ ვალდებულებას, როგორც მისი დამხმარე პირი.⁷⁷

ა. მოვალის დავალების შესრულება

საკითხავია, მოცემულ შემთხვევაში ასრულებდა თუ არა გელა ლამარას ვალდებულებას. ლამარას ხელშეკრულებით ეკისრებოდა ტორტის მხოლოდ გადამზიდველისათვის ჩაბარება, მისი შემდგომი ტრანსპორტირება მის ვალდებულებაში არ შედიოდა. ნივთი განზრახ გაანადგურა გელამ ტრანსპორტირების დაწყების შემდეგ, რის გამოც შესაძლებელია, გამოირიცხოს ლამარას ვალდებულების შესრულების ფარგლებში ამ ნივთის განადგურება.

ბ. დამხმარის ბრალის შერაცხვა

თუმცა გასათვალისწინებელია შემდეგი არგუმენტი: ლამარას ნივთი რომ გადაეცა პროფესიონალი გადამზიდველი-მესამე პირისათვის, ამ პირის მიერ ნივთის ბრალეულად განადგურების შემთხვევაში შემკვეთ აჩიკოს ექნებოდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ამ მესამე პირი-გადამზიდველისაგან „მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის“ (იხ. ამასთან დაკავშირებით წინა კაზუსი) პრინციპების შესაბამისად – მენარდეს დაუზიანდებოდა საკუთრება, მაგრამ არ მიადგებოდა ზიანი, მხოლოდ შემკვეთს მიადგებოდა ზიანი, მაგრამ არ ექნებოდა მოთხოვნის უფლება და „მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის“ შესაბამისად მოხდებოდა ამ ზიანისა და მოთხოვნის უფლების ერთ პირთან თავმოყრა.⁷⁸

იმ დამხმარის მიერ, რომელიც, ამავე დროს, მენარდესთან არის დასაქმებული, ნივთის ბრალეულად განადგურების შემთხვევაშიც, მენარდეს შეიძლება ჰქონდეს მის მიმართ მოთხოვნის უფლება შრომითი ხელშეკრულების დარღვევიდან, თუმცა ეს მოთხოვნა, როგორც წესი, გამოირიცხება შრომის სამართლის პრინციპების – „ზიანის გაქვითვის შიდა საწარმოო წესების“ – მიხედვით.⁷⁹ ამ პრივილეგიის გამო, ჩვეულებრივ, დამსაქმებელ-მენარდეს არ ექნება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

⁷⁷ BGHZ 13, 113; BGHZ 50, 35; BGHZ 62, 124; BGHZ 98, 334.

⁷⁸ Hemmer/Wüst/Tyroller, Schuldrecht AT, 112.

⁷⁹ ამ წესების მიხედვით, დასაქმებული სრული მოცულობით პასუხს მხოლოდ უხეში გაუფრთხილებლობისათვის აგებს, ხოლო მსუბუქი გაუფრთხილებლობისათვის საერთოდ არ აგებს პასუხს.

დამხმარე-დასაქმებულის წინაშე, რომელსაც დაუთმობდა „მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის“ წესის შესაბამისად შემკვეთს.

საბოლოო ჯამში, ის ფაქტი, რომ მენარდემ ტრანსპორტირებისათვის გამოიყენა საკუთარი პერსონალი, დააზარალებდა შემკვეთს, დააკარგვინებდა მას ყოველგვარ მოთხოვნას, როგორც უშუალოდ მენარდის, ასევე მესამე პირების წინაშე, რის გამოც, გაბატონებული მოსაზრების მიხედვით,⁸⁰ მიუხედავად იმისა, რომ მენარდეს არ აქვს ტრანსპორტირების ვალდებულება, მას მაინც შეეარაცხება მისი დამხმარის ბრალი 396-ე მუხლის მიხედვით.

გ. დამხმარე დამატებითი შესრულების ვალდებულებაში

თუ ამ მოსაზრებას არ გავიზიარებთ, შესაძლებელია გელას მიჩნევა ლამარას დამატებითი ვალდებულების – 316 II მუხლის მიხედვით – შესრულების დამხმარედ. ნივთის გადამზიდველისათვის ჩაბარების გარდა, ლამარას ჰქონდა დამატებითი ვალდებულება, არ განეხორციელებინა არც ერთი მოქმედება, რომელიც ხელს შეუშლიდა მისი შესრულების შედეგის დადგომას. ამ დამატებითი ვალდებულების შესრულებისათვის მან ჩართო გელა, რომლის ბრალიც მას შეეარაცხება, როგორც საკუთარი ბრალი, ზემოთ ხსენებული მუხლების შესაბამისად.

ორივე მოსაზრება მიდის ერთ და იმავე შედეგამდე: ლამარას შეეარაცხება გელას ბრალი.

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ნივთის ბრალეული განადგურება ლამარას მიერ, რაც გამორიცხავს რისკის გადასვლას 482 II მუხლის მიხედვით.

შედეგი: აჩიკოს აქვს ლამარას მიმართ გადახდილი ფასის უკან მოთხოვნის უფლება 406 I მუხლისა და 352 I მუხლის ანალოგიით.

შენიშვნა: გარდა ამისა, აჩიკოს უფლება აქვს, გავიდეს ხელშეკრულებიდან 405 I მუხლის მიხედვით შესრულების შეუძლებლობის, – შესრულება წარმოადგენდა მყარად ფიქსირებულ თარიღიან ვალდებულებას, რომლის შეუსრულებლობასთან ერთადაც დადგა შეუძლებლობა, – როგორც ვალდებულების დარღვევის, საბაბით, ვადის დაუთქმელად (405 II ბ). გასვლის შემდეგ აჩიკოს შეუძლია გადახდილი ფასის მოთხოვნა 352 I მუხლის მიხედვით.

⁸⁰ Hemmer/Wüst/Tyroller, Schuldrecht AT, 112.

A. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა

აჩიკოს შეიძლება ჰქონდეს ლამარას მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 394 I, II მუხლის მიხედვით.

მოცემული მოთხოვნის წინაპირობებია: 1. ვალდებულებითი ურთიერთობა (აქ: ნარდობა) და ვალდებულების დარღვევა შესრულების შეუძლებლობის ფორმით (394 I, II), რაც სახეზეა.

ვალდებულების დარღვევა უნდა მომხდარიყო მოვალის ბრალით. როგორც ზემოთ აღინიშნა, ლამარას შეერაცხება მისი შესრულების დამხმარის, გელას, ბრალი 396-ე მუხლის მიხედვით.

შედეგი: ლამარამ უნდა აუნაზღაუროს აჩიკოს ვალდებულების ბრალეული დარღვევიდან წარმოშობილი ზიანი, რომლის მოცულობა განისაზღვრება დიფერენციაციის ჰიპოთეზის მეშვეობით.

A. ფასის დაბრუნების მოთხოვნა (+)
I. „ფასის რისკის“ გადასვლა 406 I მუხლით (-)
II. რისკის გადასვლა 482 II მუხლით (-)
<ul style="list-style-type: none"> ➤ „საკუთარი პერსონალის“ მეშვეობით გადაზიდვა (+) ➤ დამხმარის ბრალის შეერაცხვა (+)
B. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (+)

სამახსოვრო!

- მაშინაც კი, როდესაც მოვალეს არ აქვს ტრანსპორტირების ვალდებულება, მას მაინც შეერაცხება მისი დამხმარის ბრალი 396-ე მუხლის მიხედვით.
- თუ მოვალე გადაზიდვას დაავალებს საკუთარ პერსონალს, რომელიც განადგურებს საგანს, შესაძლოა ასევე 316 II მუხლზე მითითებით დამატებითი ვალდებულების – შესრულების შედეგის დადგომისთვის ხელის არშემშლის – შეუსრულებლობაზე აპელირება.

კაზუსი 17. რუსეთი-პორტუგალია = შავი ეკრანი

(სანარმოს გაჩერებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება; ზიანის ანაზღაურება შესრულებასთან ერთად და გამიჯვნა შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებისაგან; ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანი)

ვასიკოს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ფულის შოვნა და ამ მიზნით გახსნის რესტორანს. გახსნის თარიღს დაამთხვევს 2 ივნისს, მსოფლიო ჩემპიონატის დასაწყისს. ამ თამაშებისთვის ვასიკო დააანონსებს აქციას – „უფასო სასმელი ყველას, ვინც თამაშის შედეგს გამოიცნობს“. როგორც ფეისბუქ-მონონებებიდან და კომენტარებიდან ჩანს, ამ დღეს ვასიკოს რესტორანში ნახევარი თბილისი აპირებს მოსვლას. ვასიკო წინა დღეს გიზოსაგან იყიდის და რესტორანში დაამონტაჟებს უშველებელ, 4 მილიონამდე პიქსელიან, LCD-ტელევიზორს.

გახსნას რუსეთ-პორტუგალიის თამაში ემთხვევა და დაწყების მომენტიდანვე ქართული ლუდი (ვასიკოსთან სხვა ლუდი არ იყიდება) და რუსული გინება ზღვად მოედინება. თუმცა თამაშის მეთხუთმეტე წუთზე, როდესაც ის-ისაა, რუსებს პორტუგალიელებმა პირველი გოლი უნდა შეუგდონ, ტელევიზორის ეკრანი ჯერ გაიელვებს, შემდეგ ეს ელვა ორ მილიონ პიქსელში გაიშლება და გამოსახულება სრულიად გაქრება. გამწარებული სტუმრები მთელ თავიანთ პატრიოტიზმს უკვე ვასიკოს წინააღმდეგ მიმართავენ და, ძირითადად, გადახდის გარეშე ტოვებენ რესტორანს, რადგან, მათი აზრით, თამაში უშედეგოდ დამთავრდა.

ვასიკო იმავე დღესვე უკავშირდება გიზოს და ითხოვს მისგან ტელევიზორის გარემონტებას ან ახლის მიწოდებას 4 ივნისამდე. მას შემდეგ, რაც ოთხში გიზოს ჯერ კიდევ არაფერი მიუწოდებია და საერთოდ არ გამოჩენილა, ვასიკო ითხოვს მისგან ზიანის ანაზღაურებას და აფიქსირებს, რომ ტელევიზორის მიმართ მას არანაირი ინტერესი აღარ აქვს.

ტელევიზორის დეფექტი გიზოს თანაშემწე ვანოს გაუფრთხილებლობით გამორჩა მისი დამონტაჟებისას. ვასიკომ ორ ივნისს სუფთა მოგების სახით ხელიდან გაუშვა 15 000 ლარი.

შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა!

A. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 394 I, 494 I მუხლების მიხედვით

ვასიკოს გიზოსაგან შეიძლება ჰქონდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 15 000 ლარის ოდენობით 394 I, 494 I მუხლების მიხედვით. ამისათვის აუცილებელია, რომ გიზოს ბრალეულად დაერღვია თავისი ვალდებულება ნასყიდობის ხელშეკრულებიდან და ვასიკოს ამით მისდგომოდა ზიანი.

I. ვალდებულებითი ურთიერთობა

ვასიკოსა და გიზოს შორის უნდა წარმოშობილიყო ვალდებულებითი ურთიერთობა. ვასიკოს მიერ ტელევიზორის შეკვეთაში შეიძლება ამოვიკითხოთ ნასყიდობის კონკლუდენტური ოფერტი. ეს ოფერტი გიზომ (კონკლუდენტურად) მიიღო ყველაზე გვიან, ამ ტელევიზორის მიწოდებით, თავისი ხელქვეითის, ვანოს მეშვეობით. ამით ნასყიდობა, 477-ე მუხლის მიხედვით, დადებულად უნდა ჩაითვალოს.

II. ვალდებულების დარღვევა

გიზოს უნდა დაერღვია თავისი ვალდებულება ნასყიდობის ხელშეკრულებიდან. ნასყიდობის ფარგლებში გამყიდველს ეკისრება ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთის მიწოდება (477 I). აქ შესაძლოა, ის გარემოება, რომ ტელევიზორი ჩართვიდან რამდენიმე წუთში გადაინვა, წარმოადგენდეს ნივთობრივ ნაკლს.

ნივთობრივი ნაკლი 488 I 1 მუხლის მიხედვით სახეზეა, როდესაც ნივთს რისკის გადასვლის მომენტში არ ახასიათებს შეთანხმებული თვისებები, ანუ, როდესაც ნივთის რეალური და (ხელშეკრულებით გათვალისწინებული) სავალდებულო მდგომარეობა ერთმანეთს აცდენილია. ამისათვის აუცილებელია, რომ ვასიკოსა და გიზოს საერთოდ შეეთანხმებინათ შესაბამისი თვისება.

მართალია, ვასიკოსა და გიზოს კონკრეტულად არ შეუთანხმებიათ, რომ ტელევიზორის ეკრანი ჩართვიდან რამდენიმე წუთში არ ჩაქრებოდა, თუმცა ეს მათ შორის კონკლუდენტურად შეთანხმებულად უნდა ჩაითვალოს. ამით სახეზეა რეალური თვისებების სავალდებულო თვისებებისაგან გადახრა.

შენიშვნა: ალტერნატივის სახით, ნებისმიერ შემთხვევაში, სახეზეა ნაკლი 488 I 2, ვარ. 2 მუხლის მიხედვით: ტელევიზორი, რომელიც ჩართვიდან მხოლოდ რამდენიმე წუთით ფუნქციონირებს, არ არის გამოსადეგი ჩვეულებრივი სარგებლობისათვის.

ნივთს ახასიათებდა ნივთობრივი ნაკლი რისკის გადასვლის მომენტი-სათვის. ეს წარმოადგენს ნასყიდობიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევას.

III. ბრალი 394 I 2 მუხლის მიხედვით

მოვალის ბრალი, რომელიც ვალდებულების დარღვევისას ივარაუდება 394 I 2 მუხლის მიხედვით, აქ არ უნდა ყოფილიყო გამორიცხული. პრობლემურია ის გარემოება, რომ გიზო აქ პირადად არ მოქმედებდა და მას პირადი ბრალეულობა (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა, 395 I) არ შეე-ერაცხება; გიზომ საერთოდ არ იცოდა ტელევიზორის დეფექტის შესახებ. ნაკლი გამორჩა მის ხელქვეით ვანოს, რითაც ამ უკანასკნელმა უგულებ-ბელყო სამოქალაქო ბრუნვაში გამოსაჩენი წინდახედულობა და, ამგვარად, გაუფრთხილებლად მოქმედებდა.

თუმცა გიზოს შეიძლება შეერაცხებოდეს ვანოს ბრალეულობა 396-ე მუხლის მიხედვით. ეს მოხდებოდა მაშინ, თუ ვანო იქნებოდა გიზოს ე. წ. „შესრულების დამხმარე“ (Erfüllungsgehilfe).

საკითხის გაღრმავებისათვის: 396-ე მუხლის მიხედვით, პირს შეერაცხება სხვისი ბრალი, რის გამოც ეს ნორმა წარმოადგენს ე. წ. „შერაცხვის ნორმას“ და არა მოთხოვნის დამოუკიდებელ საფუძველს, განსხვავებით 997-ე მუხ-ლისაგან, რომელიც მოთხოვნის საფუძველია და რომლის მიხედვითაც პირი პასუხს აგებს მისი მუშაკის მიერ ჩადენილი ბრალეული დელიქტისათვის, როგორც უშუალოდ მის მიერ ჩადენილი დელიქტისათვის, ექსკულპაციის (თავის მართლების) შესაძლებლობის გარეშე.

(მოვალის) შესრულების დამხმარედ ითვლება პირი, რომელიც მოვა-ლის ცოდნითა და ნებით მოქმედებს მისი ვალდებულების შესასრულებ-ლად. ვანო დასაქმებულია გიზოსთან, ანუ მოქმედებს ამ უკანასკნელის სანარმოს ფარგლებში მისი ნებართვით. ამ საქმიანობის ფარგლებში ის ასრულებს იმ ვალდებულებებს, რომლებიც ეკისრება გიზოს ცალკეულ

მყიდველებთან დადებული ხელშეკრულებებიდან, რაც მოიცავს ნასყიდობის საგნის კონტროლსა და მისი უნაკლოობის შემოწმებას. ამის გამო ის, კონკრეტულ შემთხვევაში, იყო გიზოს შესრულების დამხმარე.

შენიშვნა: 396-ე მუხლი არ ითვალისწინებს ზოგად პასუხისმგებლობას საკუთარი დასაქმებულისათვის. დასაქმებულმა უნდა დაარღვიოს ის ვალდებულება, რომლის დაცვაც ეკისრებოდა დამსაქმებელს საკუთარი სახელშეკრულებო პარტნიორის წინაშე.

აქედან გამომდინარე, გიზოს ვანოს ბრალი, 396-ე მუხლის საფუძველზე, როგორც საკუთარი ისე შეეარაცხება.

IV. 394 II-III მუხლის ან მე-400, 404-ე მუხლების დამატებითი წინაპირობები – ნივთის ნაკლის გამო სარგებლის მიუღებლობა

საკითხავია, არის თუ არა 394 I მუხლი ამ შემთხვევაში სწორი მოთხოვნის საფუძველი მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებისათვის, თუ საჭიროა დამატებითი წინაპირობების არსებობა, კერძოდ, 394 II-III მუხლის ან მე-400, 404-ე მუხლების წინაპირობები. მიწოდებული ნივთის ნაკლის გამო სანარმოს გაჩერებისას, როდესაც კრედიტორი ამით კარგავს შემოსავალს (სანარმოს გაჩერებით მიყენებული ზიანი), საკამათოა, თუ რა წინაპირობებით უნდა მოხდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. უფრო ზუსტად კი, ამ წინაპირობების განსაზღვრა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპის ზიანს განეკუთვნება ეს მიუღებელი სარგებელი – „შესრულებასთან ერთად“ მოსათხოვ ზიანს თუ „შესრულების ნაცვლად“ მოსათხოვ ზიანის ანაზღაურებას.⁸¹ გამომდინარე იქიდან, რომ შესრულებასთან ერთად ზიანი, თავის მხრივ, იყოფა ვადის გადაცილებით მიყენებულ ზიანად (400, 404) და „მარტივ“ ზიანად (394 I), პირველი მოსაზრების სასარგებლოდ არჩევანის გაკეთების შემთხვევაში, დამატებით, ამ ორი ტიპის ზიანს შორის მიჯნის გავლებაა აუცილებელი.

⁸¹ Arnold, ZJS 7/2009, 23.

1. პირველი მოსაზრება: 394 II-III მუხლები (ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად)

ერთი მოსაზრების თანახმად,⁸² შესრულებასთან ერთად და შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებებს შორის ტიპოლოგიური გამიჯვნა უნდა მოხდეს „ეკვივალენტურობის ინტერესის“, როგორც გამმიჯნავი პრინციპის, საფუძველზე. ეკვივალენტურობის ინტერესი გულისხმობს კრედიტორის ინტერესს შესრულების დროულად მიღების მიმართ, ხოლო ეკვივალენტურობის ინტერესის დარღვევით მიყენებული ზიანი – ზიანს, რომელიც არ მიადგებოდა კრედიტორს, ეს შესრულება დროულად და ჯეროვნად რომ განხორციელებულიყო. მოცემულ შემთხვევაში ვასიკო არ დაკარგავდა შემოსავალს, დათქმულ დროსა და ადგილას უნაკლო ტელევიზორი რომ ჩაბარებოდა – რაც ხელშეკრულებით იყო შეპირებული (ეკვივალენტურობის ინტერესი). ამგვარად, აქ საწარმოს გაჩერებით მიყენებული ზიანი შესრულების ნაცვლად მოსათხოვ ზიანს განეკუთვნება (394 II-III).

თუმცა საწარმოს გაჩერებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების 394 II-III მუხლის ქვეშ სუბსუმციისას მისი ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ დამატებითი შესრულებისათვის ვადის დაწესებისა და უშედეგოდ ამონურვის შემდეგ. ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომლის თავიდან აცილებაც შესაძლებელი იყო (ჰიპოთეზური) დროული დამატებითი შესრულებით. მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოს გაჩერებით მიყენებულ ზიანს, ჩვეულებრივ, დამატებითი შესრულება ვერაფერს უშველის, 394 III, ვარ. 2 მუხლის მიხედვით, ვადის დათქმა ზედმეტად მიიჩნევა.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ აქ საქმე ეხება შესრულების ინტერესის დაზიანებას, ანუ ნივთის უნაკლოობასთან დაკავშირებული ინტერესისას, რაც, ჩვეულებრივ, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების საგანს წარმოადგენს.

მიუხედავად ამისა, ამ გადაწყვეტის საწინააღმდეგოდ წამოყენებულია შემდეგი არგუმენტი: შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების ფარგლების განსაზღვრა უნდა მოხდეს მისი ფუნქციისა და მიზნის გათვალისწინებით: მისი მინიჭება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე ეხება ზიანს, რომლის თავიდან აცილებაც შესაძლებელი იქნებოდა დამატებითი შესრულებით. საწარმოს გაჩერებით მიყენებული ზიანის შემთხვევაში ეს ასე არ არის, რადგან ამ დროს ზიანის დადგომა და ნაკლის შესახებ

⁸² Ady, ZGS 2003, 15.

შეტყობა – როგორც ვადის დათქმის წინაპირობები – ჩვეულებრივ, დროში ერთმანეთს ემთხვევა. მართალია, 394 III, ვარ. 2 მუხლის გამოყენებით ვადის დაწესების სავალდებულოება გადაილახება, თუმცა ეს წარმოადგენს მხოლოდ ხელოვნურ კორექციას არასწორი მოთხოვნის საფუძვლით მიღებული არასწორი შედეგისას. შედეგის კორექციის შესაძლებლობა არ ცვლის იმ ფაქტს, რომ 394 II-III მუხლები მოცემული შემთხვევისათვის არ არის შექმნილი.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, უნდა გამოირიცხოს საწარმოს გაჩერებით მიღებული ზიანის შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებისთვის მიკუთვნება.

2. მეორე მოსაზრება: მე-400, 404-ე მუხლები (შესრულებასთან ერთად ზიანის ანაზღაურება – ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანი)

მეორე მოსაზრების თანახმად,⁸³ მოცემულ სიტუაციაში შემოსავლის მიუღებლობა წარმოადგენს ვადის გადაცილებით მიყენებულ ზიანს მე-400, 404-ე მუხლების გაგებით და მისი ანაზღაურების წინაპირობაა მოვალის გაფრთხილება (400 ბ). ანუ ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც ამ გაფრთხილების შემდეგ წარმოიშობა.

საკითხის გაღრმავებისათვის: გაფრთხილების მიზანია მოვალის დაუყოვნებლივი შესრულებისაკენ იძულება (ე. წ. „სასიგნალო ეფექტი“). განსხვავებით 394 II მუხლის გაგებით დამატებითი შესრულებისათვის ვადის დათქმისაგან, აქ კონკრეტული ვადის დაწესება საჭირო არ არის, ისევე, როგორც შეუსრულებლობის სამართლებრივ შედეგებზე მითითება.

ამ გადანყვეტის საწინააღმდეგოდ იგივე კონტრარგუმენტები მოქმედებს, რაც პირველი მოსაზრების შემთხვევაში, რომელიც ზიანის ანაზღაურების წინაპირობად დამატებითი ვადის დაწესებას მიიჩნევს – კრედიტორი, ჩვეულებრივ, ნაკლისა და ზიანის შესახებ ერთდროულად იგებს და, ფაქტობრივად, არ აქვს მე-400 ბ) მუხლის გაგებით მოვალის გაფრთხილების შესაძლებლობა სამომავლო ზიანის თავიდან აცილების მიზნით. ანუ, იმ მომენტში, როდესაც კრედიტორს უკვე შეუძლია, გააფრთხილოს მოვალე, ზიანი უკვე დამდგარია, თუმცა ის ვერ ანაზღაურდება, რადგან მოვალე მისი დადგომის მომენტში – გაფრთხილების არარსებობის გამო – ჯერ კიდევ არ იყო ვადაგადაცილებული. ამიტომაც ამ მოსაზრების მიმ-

⁸³ *Dauner-Lieb/Dötsch*, DB 2001, 2535-ე და მომდევნო გვერდები.

დევერების ნაწილი აქ გაფრთხილებას – ისევე, როგორც პირველი მოსაზრების შემთხვევაში ვადის დაწესებას – არასავალდებულოდ მიიჩნევს.

საწარმოს გაჩერებით წარმოშობილი ზიანის ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანის ქვეშ სუბსუმციის სასარგებლოდ მოჰყავთ ის არგუმენტი, რომ ნაკლოვანი შესრულება დაგვიანებულ უნაკლო შესრულებას წარმოადგენს და, ამგვარად, ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანის სტანდარტულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

თუმცა ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ისევ მე-400, 404-ე მუხლების ფუნქციასა და მიზანზე მითითება ჩანს უპრიანი. ეს მიზანი კი ასეთია: 404-ე მუხლის წინაპირობებით ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შეესაბამება იმ სიტუაციას, როდესაც ჯერ კიდევ შესაძლებელია მოვალის „გამოფხიზლება“ გაფრთხილების მეშვეობით და მისთვის ხელის შეწყობა ჯეროვანი შესრულებით ზიანის თავიდან აცილებაში. ეს, საწარმოს გაჩერებით მიყენებული ზიანისას, ჩვეულებრივ, უკვე შეუძლებელია. გაფრთხილების არააუცილებლად მიჩნევა – ზუსტად ისევე, როგორც 394 II-III მუხლებით პასუხისგებისას ვადის დაწესების არასავალდებულოება – აქაც მხოლოდ ხელოვნური კორექციაა, რომელსაც, მართალია, დამაკმაყოფილებელ შედეგებამდე მივყავართ, მაგრამ დოგმატურად ყოვლად გაუმართავია. ნაკლის გამო შემოსავლის დაკარგვას ვერ გაუუთანაბრებთ შეუსრულებლობას, რადგან ნაკლოვანი ნივთის მიწოდებით მყიდველი გაცილებით უფრო მეტ საფრთხეს უქმნის კრედიტორს, – საფრთხის შემცველად იჭრება მოვალის ქონებრივ სიკეთეთა სფეროში, – ვიდრე ნივთის საერთოდ არმიწოდებით.

მაგალითი: გიზოს ვასიკოსათვის წინა დღეს ტელევიზორი საერთოდ რომ არ მიეწოდებინა, ეს უკანასკნელი, სავარაუდოდ, მეორე დღისთვის დაგეგმილი ჩვენებისათვის სხვა ტელევიზორს იშოვიდა და მოგებას ხელიდან არ გაუშვებდა. (რეალურად ნაკლოვანი) ნივთის უნაკლოებას მინდობილ კრედიტორს ეს შანსი აღარ რჩება.

გამომდინარე იქიდან, რომ კრედიტორს პირდაპირ და სრულად ეხება ნაკლოვანი ნივთის მიწოდების თანმდევი საფრთხეები, რომელთა წინასწარგანჭვრეტაც მისთვის მიწოდების მომენტში (ნაკლის შესახებ არცოდნის გამო) შეუძლებელია, შეიძლება ითქვას, რომ ნაკლოვანი შესრულებით მოვალე გაცილებით უფრო ინტენსიურად არღვევს ვალდებულებას, ვიდრე სრული შეუსრულებლობით. მოვალეს, რომელიც ნაკლოვანად ასრუ-

ლებს, შეერაცხება ჯეროვანი შესრულების, და არა დროული შესრულების, ვალდებულების დარღვევა, რაც ორი სხვადასხვა შემთხვევაა და რის გამოც აქ მე-400, 404-ე მუხლები არ უნდა გამოვიყენოთ.

3. გაბატონებული მოსაზრება: 394 I (შესრულებასთან ერთად ზიანის ანაზღაურება)

გაბატონებული მოსაზრების თანახმად,⁸⁴ სანარმოს გაჩერების გამო სარგებლის ხელიდან გაშვება, როგორც შესრულებასთან ერთად მოსათხოვი ზიანი, უნდა ანაზღაურდეს პირდაპირ 394 I მუხლის მიხედვით. ამის მიზეზია ის გარემოება, რომ, შესრულების ნაცვლად, ზიანის ანაზღაურების სახით (394 II-III), მხოლოდ ისეთი ზიანის მოთხოვნაა შესაძლებელი, რომლის თავიდან აცილება ჯერ კიდევ შესაძლებელი იქნებოდა დამატებითი შესრულების დაუყოვნებლივ (ან დათქმულ დროში) განხორციელებით, ანუ ჰიპოთეზური დამატებითი შესრულება ამ ზიანის არიდებისათვის საკმარისი უნდა იყოს. ამ შემთხვევაში კი გიზოს მხრიდან დროული დამატებითი შესრულება კი (ტელევიზორის შეკეთება ან სხვა უნაკლო ტელევიზორის მიწოდება) ვასიკოს 15 000 ლარის, როგორც იმ საღამოს მისაღები შემოსავლის, დაკარგვას უკვე ველარ ააცილებდა თავიდან. ჰიპოთეზური და დროული შესრულება უკვე რეალიზებულ ზიანს ვერაფერს უშველის. ამიტომაც აქ ამ ზიანის მოსათხოვად 394 II-III მუხლების დამატებითი წინაპირობების არსებობა საჭირო არ არის.

V. კაუზალური ზიანი

ზიანს წარმოადგენს ქონებრივი სიკეთეების ნებისმიერი ფორმით შემცირება. ზიანის ოდენობის გამოსათვლელად აუცილებელია, დიფერენციაციის ჰიპოთეზის შესაბამისად, ამჟამინდელი და იმ (ჰიპოთეზური) ქონებრივი მდგომარეობის შეპირისპირება, რომელიც იარსებებდა ზიანის მომტანი ხდომილების გარეშე. გიზოს მხრიდან ვალდებულების დარღვევის

A. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 394 I, 494 I მუხლების მიხედვით (+)

I. ვალდებულებითი ურთიერთობა (+)

II. ვალდებულების დარღვევა (+)

III. ბრალი (+)

IV. 394 II-III/400, 404-ე მუხლის წინაპირობების არასავალდებულოობა (+)

➤ სანარმოს გაჩერებით მიყენებული ზიანი ≠ შესრულების ნაცვლად ზიანი

⁸⁴ Heinrichs, in Palandt, § 280 Rn. 18; Canaris, ZIP 2003, 321-ე და მომდევნო გვერდები.

გარეშე 2 ივნისის საღამოს ვასიკოს სტუმრები არ გაექცეოდნენ და ბოლომდე შეძლებდნენ რესტორანში თამაშისათვის თვალის მიდევნებას, რაც ვასიკოს 15 000 ლარის მოგებას მოუტანდა. ტელევიზორის ნაკლოვანების გამო მან ეს შემოსავალი დაკარგა. ამგვარად, სახეზეა ზიანი 15 000 ლარის ოდენობით, რომელიც გამონეწეულია ვალდებულების დარღვევით.

საბოლოო შედეგი: ვასიკოს აქვს გიზოსაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ტელევიზორის მწყობრიდან გამოსვლის გამო მიყენებული ზიანისათვის 15 000 ლარის ოდენობით, 394 I, 494 I მუხლების შესაბამისად.

- ზიანის თავიდან აცილება შეუძლებელია დამატებითი შესრულებით
- სანარმოს გაჩერებით მიყენებული ზიანი ≠ ვადის გადაცილებით მიყენებულ ზიანი
- განსხვავებით შეუსრულებლობისაგან ნაკლოვანი შესრულებით მოვალე საფრთხის შემცველად იჭრება კრედიტორის სიკეთეთა სფეროში
- გაბატონებული მოსაზრება: სანარმოს გაჩერებით მიყენებული ზიანი = შესრულებასთან ერთად ზიანი

საბოლოო შედეგი: ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, 394 I (+)

სამახსოვრო!

- ნაკლოვანი ნივთის მიწოდებისას სანარმოს გაჩერებით მიყენებული ზიანის შემთხვევაში საკამათოა, ეს ზიანი პირდაპირ 394 I მუხლის მიხედვით ანაზღაურდება, თუ საჭიროა დამატებითი წინაპირობების არსებობა, კერძოდ, 394 II-III მუხლის ან მე-400, 404-ე მუხლების წინაპირობების:
- თუმცა სანარმოს გაჩერებით მიყენებული ზიანის „შესრულების ნაცვლად ზიანის“ ქვეშ დაკვალიფიცირება არასწორია, რადგან აქ საქმე ეხება ზიანს, რომლის თავიდან აცილებაც შესაძლებელი იქნებოდა დამატებითი შესრულებით.
- ასევე არასწორია მისი ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანის ქვეშ სუბსუმცია, რადგან ნაკლოვანი შესრულება არ წარმოადგენს შეუსრულებლობას – ნაკლოვანი ნივთის მიწოდებით მოვალე საფრთხის შემცველად იჭრება კრედიტორის სამართლებრივ სიკეთეთა სფეროში.
- სანარმოს გაჩერებით მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს პირდაპირ 394 I მუხლის მიხედვით, როგორც „შესრულებასთან ერთად ზიანი“.

კაზუსი 18. არაშემსრულებელი

(მოვალის მიერ შესრულების ვადის გადაცილება; ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება; შესრულებისა და საპირისპირო შესრულების მოთხოვნების გაქარწყლება; ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად და ზიანის ანაზღაურება შესრულების მოთხოვნასთან ერთად)

მერაბმა და გოგიმ 30.06-ში დადეს მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება წერილობითი ფორმით, რომლის ძალითაც გოგიმ იკისრა მერაბისათვის ამ ნაკვეთზე საკუთრების გადაცემა. ნასყიდობის ფასის გადახდა უნდა მომხდარიყო 15.08-ში, თუ ამ დროისათვის მყიდველი მერაბი უკვე დარეგისტრირებული იქნებოდა საჯარო რეესტრში მესაკუთრედ. 15.08-ში მერაბი ჯერ კიდევ არ არის დარეგისტრირებული მესაკუთრედ, რის გამოც 19.08-ში იგი აუწყებს გოგის, რომ ამ უკანასკნელს აქვს სამკვირიანი ვადა, რათა ნაჰყვეს რეესტრში და გადაუფორმოს ნაკვეთი, ან დადოს მასთან ხელშეკრულება ნოტარიული ფორმით, რის საფუძველზეც მერაბი უკვე თავად დაირეგისტრირებს თავს მესაკუთრედ. მერაბი აქვე ცალსახად აფიქსირებს, რომ ვადის ამონურვის შემდეგ ის უკვე სასამართლო წესით მოითხოვს ნაკვეთის გადაფორმებას, ისევე, როგორც იმ ზიანის ანაზღაურებას, რაც მას ამ გადაფორმების დაყოვნებით მიადგა. ოქტომბრის ბოლოს მერაბი აღძრავს სარჩელს მიწის ნაკვეთის გადაფორმების მოთხოვნით. მისი ადვოკატის მიერ მიწერილი წერილით, რომელიც გოგის 07.12-ში მიუვა, ის აცხადებს, რომ ხელშეკრულების მიმართ ინტერესი აღარ აქვს და გადის ხელშეკრულებიდან. მერაბი ითხოვს ასევე ზიანის ანაზღაურებას. გოგის ეს წერილი ცოტათი შეაფუცხუნებს და უცხადებს მერაბს, რომ ის უკვე მზად არის, გადაუფორმოს მას მიწის ნაკვეთი, ხოლო გასვლას რაც შეეხება, ეს სრულებით უადგილოა და მერაბს ამის უფლება არ გააჩნია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თავად მოითხოვა სასამართლო წესით ნაკვეთის გადაფორმება.

1. აქვს თუ არა მერაბს გოგისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება?
2. აქვს თუ არა გოგის მერაბისაგან ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნა ნაკვეთის გადაფორმების სანაცვლოდ?

A. მერაბის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გოგის მიმართ

მერაბს შეიძლება ჰქონდეს გოგისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 394 I, II-III მუხლის შესაბამისად. ამისათვის აუცილებელია, გოგის ბრალეულად დაერღვია მათ შორის არსებული ვალდებულებითი ურთიერთობიდან წარმომდგარი ვალდებულება.

საკითხის გაღრმავებისათვის: არადროული შესრულების შემთხვევაში კრედიტორის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებზე საუბრისას ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს:

1. მხოლოდ ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანი, რომელსაც კრედიტორი ითხოვს (დაგვიანებულ) შესრულებასთან ერთად/გვერდით და რომლის მოთხოვნის საფუძველსაც წარმოადგენს მე-400, 404-ე მუხლები. ამ შემთხვევაში შესრულების თავდაპირველი მოთხოვნა ძალაში რჩება.
2. ამის საპირისპიროდ, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველია 394 I, II-III მუხლი და შესრულების მოთხოვნა ქარწყლდება, როგორც კი კრედიტორი ზიანის ამ მოთხოვნაზე „გადადის“.

კაზუსის ამოხსნის ტექნიკისათვის: თუ კაზუსის შეკითხვა ზოგადად ზიანის ანაზღაურებას ეხება, მისი ფაბულიდან უნდა დადგინდეს, ზიანის ანაზღაურების რომელი ფორმაა ნაგულისხმევი. ამ შემთხვევაში მერაბის ქცევა, განსაკუთრებით კი ის ფაქტი, რომ ის გასვლას აცხადებს, ნათელყოფს იმ გარემოებას, რომ მას არა ზიანის ანაზღაურება შესრულებასთან ერთად – ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ფორმით (400, 404) – სურს, არამედ საერთოდ აღარ აქვს ნაკვეთზე საკუთრების გადაცემის მიმართ ინტერესი და ითხოვს მის მაგივრად ზიანის ანაზღაურებას, ანუ შესრულების ნაცვლად ზიანს 394 II-III მუხლის მიხედვით.

I. ვალდებულებითი ურთიერთობა

ვალდებულებითი ურთიერთობა მერაბსა და გოგის შორის მოცემული იყო ნასყიდობის ხელშეკრულების სახით. მართალია, ეს ხელშეკრულება დაიდო მარტივი წერილობითი ფორმით, თუმცა, 323-ე მუხლის მიხედვით, ეს ფორმა საკმარისია მინის ნაკვეთზე დადებული გასხვისების (ვალდებულებითი) გარიგების ნამდვილობისათვის. 311¹ I-II მუხლით გათვალისწინებული ფორმები ეხება მხოლოდ სანივთო გარიგებას, რომლითაც

უშუალოდ ხდება საკუთრების გადაცემა.⁸⁵ ამგვარად, მერაბსა და გოგის შორის დადებული ნამდვილი ნასყიდობის საფუძველზე მათ შორის წარმოიშვა ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა.

მაშინაც კი, თუ მერაბის მიერ მოგვიანებით გაცხადებული გასვლა იქნებოდა ნამდვილი, ეს ხელს არ შეუშლიდა მის მიერ შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, რასაც ცხადყოფს 407 I მუხლი.

შენიშვნა: 407 I მუხლი არ წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დამოუკიდებელ საფუძველს, არამედ მხოლოდ ნათელყოფს იმ ფაქტს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა ამ ხელშეკრულებიდან ზიანის ანაზღაურებას არ გამოირიცხავს.

II. ვალდებულების დარღვევა არადროული შესრულებით, 394 I, II

გოგის შეიძლება დაერღვია თავისი ვალდებულება ნასყიდობიდან შესრულებისათვის დათქმული ვადის გადაცილებით. გოგიმ არ დაარეგისტრირა მერაბი მესაკუთრედ 15.08-ში, როგორც ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, რითაც მან დაარღვია დროულად შესრულების ვალდებულება.

III. კრედიტორის მიერ შესრულებისათვის ვადის დათქმა, 394 II

394 II მუხლის მიხედვით, კრედიტორმა მოვალეს უნდა დაუწესოს დამატებითი (აუცილებელი) ვადა შესრულებისათვის და მხოლოდ ამის შემდეგ აქვს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (394 II 2). სამი კვირა დამატებითი ვადის სახით მოცემულ შემთხვევაში არ არის შეუსაბამოდ ხანმოკლე და არასაკმარისი ზემოთ ხსენებული მუხლის გაგებით.

საკითხის გაღრმავებისათვის: თუ კრედიტორი მოვალეს შეუსაბამოდ მოკლე ვადას უწესებს, ეს ვადა, გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, ავტომატურად გრძელდება შესრულებისათვის „აუცილებელ“ ანუ საკმარის ვადამდე. გარდა ამისა, ვადის დათქმა 394 II 1 მუხლის მიხედვით უნდა გაიმიჯნოს

⁸⁵ იხ. *რუსიაშვილის/სირდაძე/ვენატაშვილი*, სანივთო სამართალი, 253.

გაფრთხილებისაგან მე-400 ბ) მუხლის შესაბამისად. 394 II მუხლის წინაპირობა არის არა ვადის გადაცილება ტექნიკური (ანუ მე-400 და მომდევნო მუხლების) გაგებით, არამედ ზოგადად შესრულების ვალდებულების დარღვევა, მიუხედავად იმისა, რომ 394 II 1 მუხლი „ვადის გადაცილებაზე“ საუბრობს, რაც კანონშემოქმედების პროცესში ტექნიკურ შეცდომას უნდა დავაბრალოთ. სხვა შემთხვევაში შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოსათხოვად კრედიტორს დასჭირდებოდა მოვალის ჯერ ვადაგადაცილებულად ქცევა მე-400 მუხლის მიხედვით, ანუ გაფრთხილება, და ამის შემდეგ ვადის დაწესება, რაც ასისტემური და აბსურდულია.

IV. დამატებითი შესრულების ვადის უხედავოდ ამონურავა

მერაბის მიერ გოგისათვის დათქმული ვადა დამატებითი შესრულებისათვის უშედეგოდ ამოიწურა. გოგი დარჩა უმოქმედოდ და არ დაარეგისტრირა მერაბი სამი კვირის ვადაში მესაკუთრედ მინის ნაკვეთზე.

V. მოვალის ბრალი, 394 I 2

394 I 2 მუხლში ჩამოყალიბებული წესის მიხედვით, ვალდებულების დარღვევით მოვალის ბრალი პრეზიუმირდება და ეს ვარაუდი გოგის არაფრით გაუქარწყლებია.

ამით კანონით დაწესებული ვადის ამონურვის შემდეგ შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (394 I, II 2) წარმოიშვა.

VI. მოთხოვნის გაქარწყლება

1. შესრულების მოთხოვნის სარჩელის აღძვრა

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა აქ შეიძლება გაქარწყლებულიყო, იქიდან გამომდინარე, რომ მერაბმა ოქტომბრის ბოლოს თავად აღძრა სარჩელი ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნით (477 I).

შესრულების მოთხოვნა ქარწყლდება იმ მომენტიდან, როდესაც კრედიტორი ამ მოთხოვნიდან შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს, ანუ ამ მეორეულ მოთხოვნაზე „გადავა“. ამ გადაწყვეტიდან უკუდასკვნით შეიძლება გამომდინარეობდეს, რომ, თუ კრედიტორი დამატებითი შესრულების ვადის ამონურვის შემდეგ ისევ შესრულებას (477 I), და არა შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებას, მოითხოვს, ამით

კარგავს მოთხოვნას 394 II მუხლის მიხედვით.⁸⁶ ეს მოსაზრება სწორად ჩაითვლებოდა, თუ შესრულების მოთხოვნა და შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ერთმანეთთან „ნამდვილ“ ალტერნატიულ მიმართებაში იქნებოდნენ 374-ე მუხლის გაგებით, რომლის ფარგლებშიც კრედიტორი შებოჭილი იქნებოდა საკუთარი, უკვე განხორციელებული, არჩევანით (376 2). თუმცა ეს მიმართება 394 II მუხლიდან არ იკითხება. შესრულების ნაცვლად ზიანის მოთხოვნით ქარწყლდება შესრულების მოთხოვნა, რადგან ეს ლოგიკურად გამომდინარებს ამ მოთხოვნის არსიდან – შესრულების ნაცვლად ზიანის მოთხოვნა იკავებს შესრულების მოთხოვნის ადგილს და მასზე გადასვლის შემდეგ ამ უკანასკნელის მოთხოვნა შეუძლებელია. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ასევე პირიქით: შესრულების მოთხოვნის წაყენებით (მათ შორის ამ მოთხოვნით სარჩელის აღძვრით) კრედიტორი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას კარგავს.⁸⁷ თუ იგი ჯერ კიდევ შესრულების მოთხოვნას აყენებს, როგორც, მაგალითად, ამ შემთხვევაში, ეს არ ითვლება არც შეუქცევადი გარდაქმნითი ნების გამოხატვად და არც უარად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე (და არც გასვლაზე 405-ე მუხლის შესაბამისად).

ამდენად, მერაბისთვის მინიჭებული უფლება შესრულების ნაცვლად ზიანის მოთხოვნისა არ გაქარწყლებულა იმიტომ, რომ მან თავიდან ჯერ კიდევ შესრულება მოითხოვა. აქედან გამომდინარე, ახალი ვადის დაწესება, 394 II 1 მუხლის მიხედვით, სავალდებულო აღარ არის.

2. მოვალის მხრიდან შესრულების შეთავაზება

მერაბის შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეიძლება გაქარწყლებულიყო მას შემდეგ, რაც 07.12-ის შემდეგ გოგიმ მას შესრულების განხორციელება შესთავაზა.

მართალია, საკამათოა, უნდა მიიღოს თუ არა კრედიტორმა უშედეგოდ ამონურულ დამატებით ვადასა და ზიანის მოთხოვნის წაყენებას შორის შუალედში ვადაგადაცილებული მოვალის მიერ შეთავაზებული შესრულება, მაგრამ ამ შემთხვევაში გოგიმ 07.12-ამდე, ანუ მერაბის მხრიდან გასვლის გაცხადებამდე, არ დაარეგისტრირა მერაბი მესაკუთრედ, არამედ მხოლოდ ამის შემდეგ შეჰპირდა ამის გაკეთებას, რის გამოც ამ კამათს მოცემულ შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია.

⁸⁶ OLG Celle NJW 2005, 2094.

⁸⁷ BGH NJW 2006, 1198.

ამგვარად, მერაბს კვლავაც აქვს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 394 I, II მუხლის მიხედვით.

B. გოგის ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნა მერაბის მიმართ

გოგის მოთხოვნა მერაბის მიმართ ნასყიდობის ფასის გადახდასთან დაკავშირებით (477 II) წარმოიშვა ნამდვილი ნასყიდობის დადებასთან ერთად, თუმცა ეს მოთხოვნა მოგვიანებით შეიძლება გაქარწყლებულიყო.

I. მოთხოვნის გაქარწყლება კრედიტორის მხრიდან შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით

როგორც ზემოთ აღინიშნა, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის არსიდან გამომდინარეობს პრინციპი, რომლის მიხედვით, კრედიტორი ამ მოთხოვნის წაყენების შემდეგ თავიდან შეპირებულ შესრულებას ვეღარ მოითხოვს. ეს პრინციპი, ერთი შეხედვით, საპირისპიროდ შესრულების ბედს არ ეხება. თუმცა არასამართლიანი იქნებოდა ვადაგადაცილებული კრედიტორი თავად განთავისუფლებულიყო შესრულების ვალდებულებისაგან (477 I), თუმცა შეენარჩუნებინა საპირისპირო შესრულების მოთხოვნა (477 II); განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ეს შესრულება და საპირისპირო შესრულება ერთმანეთთან სინალაგმატურ კავშირშია (369). რის გამოც ზემოთ ხსენებულ პრინციპიდან *a maiore ad minus* არგუმენტით გამომდინარეობს, რომ კრედიტორის მიერ შესრულების მოთხოვნიდან შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე გადასვლასთან ერთად ისპობა ასევე მოვალის საპირისპირო შესრულების მოთხოვნის უფლება.

II. მოთხოვნის გაქარწყლება გასვლის შედეგად

გარდა აღნიშნული საფუძვლისა, გოგის მოთხოვნა ნასყიდობის ფასის გადახდასთან დაკავშირებით შეიძლება აღარ არსებობდეს მერაბის მიერ გაცხადებული ნამდვილი გასვლის გამოც. გასვლის ნამდვილობას ხელს არ უშლის მერაბის მხრიდან მანამდე შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (407).

1. გასვლის გაცხადება, 355

მერაბის მიერ გაკეთებული გასვლის გაცხადება (355) გოგის მიუვიდა 07.12-ში.

2. გასვლის საფუძველი, 405 I

გასვლის საფუძველი შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში არის 405 I მუხლი, რომელიც პრაქტიკულად იმავე წინაპირობებს აყენებს, რომლებსაც 394 II მუხლი, იმ მცირე განსხვავებით, რომ გასვლის წინაპირობას ბრალი არ წარმოადგენს.

ამგვარად, ვადის დათქმასთან და მოგვიანებით ჯერ კიდევ მოთხოვნის შესრულებასთან დაკავშირებით, ძალაშია ზემოთ განვითარებული მსჯელობა. ამით სახეზეა მერაბის მხრიდან ნამდვილი გასვლა, რაც გოგის შესრულების მოთხოვნის მოსპობის დამოუკიდებელი საფუძველია.

შედეგი: გოგის მოთხოვნა შესრულებასთან დაკავშირებით გაქარწყლებულია.

საბოლოო შედეგი: მერაბს შეუძლია მოითხოვოს გოგისაგან შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება. გოგის არ აქვს მისგან ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნის უფლება.

A. მერაბის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (+)
I. ვალდებულებითი ურთიერთობა (+)
II. ვალდებულების დარღვევა (+)
III. დამატებითი ვადის დაწესება (+)
IV. ვადის უშედეგოდ ამოწურვა (+)
V. ბრალი (+)
VI. მოთხოვნის გაქარწყლება (-)
<ul style="list-style-type: none"> ➤ შესრულების მოთხოვნის სარჩელის აღძვრით (-) ➤ მოვალის მხრიდან შესრულების შეთავაზებით (-)
B. გოგის ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნა (-)
I. მოთხოვნის გაქარწყლება შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით (+)
II. მოთხოვნის გაქარწყლება გასვლის შედეგად (+)
საბოლოო შედეგი: ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, 394 I (+)

სამახსოვრო!

➤ შესაბამისი წინაპირობების არსებობისას შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით კრედიტორი კარგავს შესრულების მოთხოვნის უფლებას.

- ამის საპირისპიროდ ვადის გადაცილების შემდეგ მოვალისათვის ჯერ შესრულების მოთხოვნის წაყენება კრედიტორს არ აკარგვინებს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას და ამისთვის დამატებითი ვადის დაწესება სავალდებულო არ არის.
- მოვალის მიერ შესრულების ვადის გადაცილება შესრულების მოთხოვნას, ჩვეულებრივ, უცვლელს ტოვებს. ვადის გადაცილება (400) არ აქარწყლებს შესრულების მოთხოვნას, არამედ შესაძლებელია, გახდეს მხოლოდ შესრულებასთან ერთად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის (404) საფუძველი. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც კრედიტორი ითხოვს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებას 394 I, II მუხლების მიხედვით – ამ დროს ქრება როგორც კრედიტორის შესრულების მოთხოვნა, ასევე ვადაგადაცილებული მოვალის საპირისპირო (შესრულების) მოთხოვნა. მეორე გამონაკლისია კრედიტორის მხრიდან ხელშეკრულებიდან გასვლა 405-ე მუხლის მიხედვით.

კაზუსი 19. მოტომობილოცველები

(მოვალის მიერ ვადის გადაცილება; მოვალის პასუხისმგებლობა შემთხვევითობისთვის; ზიანის ანაზღაურება)

გიგიშა, რომელიც ცნობილი მოტოციკლეტისტი და ქალაქის მაცხოვრებელთა ძილის დამფრთხობია, გადანყვეტს, უფრო ფართო სარბიელზე გავიდეს და შეუერთდეს „მოტომობილოცველებს“, რომლებიც 23 აპრილიდან აპირებენ, მოტოციკლეტებით მოიარონ საქართველოს ღირსშესანიშნაობები. თუმცა, ვინაიდან გიგიშამ თავისი უკანასკნელი მოტოციკლეტი ორი კვირის წინ დაამტვრია, ის იყიდის მამიასაგან კარგ მდგომარეობაში მყოფ Kawasaki Ninja 300-ს. მოტოციკლეტი მამიამ გიგიშას 22 აპრილს, 10:00 საათზე, უნდა გადასცეს, რადგან მანამდე თავად სჭირდება რბოლისათვის, რომელიც 21 აპრილს ეწყობა. გიგიშა მამიას მკაცრად გააფრთხილებს, რომ ოცდაორისთვის მოტოციკლეტი ნებისმიერ შემთხვევაში მზად უნდა იყოს, რადგან მეორე დღეს უკვე „ლაშქრობაზე“ მიემგზავრება. მიუხედავად ამისა, ოცდაორში მამია არც სახლში ხვდება ფულით მისულ გიგიშას და მასთან არც ტელეფონით ხერხდება დაკავშირება, რის გამოც გამწარებულ გიგიშას სხვა მოტოციკლის ქირაობა უნევს 1500 ლარად, რათა არ ჩამორჩეს „მოტომობილოცველებს“. მამია იმიტომ არ არის სახლში, რომ წინა დღეს ქუჩაში „ანყვეტილი“ რბოლისთვის მთელი ღამე ბათუმის იზოლატორში გაატარა და დილისკენ ჩამოსვლა ვეღარ მოასწრო.

ლაშქრობით იმედგაცრუებული გიგიშა – მოტომობილოცველები ნამდვილი მომლოცველები აღმოჩნდნენ და გზად ყველა ღვთისმსახურებას ესწრებოდნენ – მამიასგან ითხოვეს ამ 1500 ლარს.

ვარიანტი: მამია იმიტომ არ დახვდა გიგიშას სახლში, რომ საკუთარი მოტოციკლით მოტორბოლაზეა წასული. დღის მიწურულს რბოლაზე მოცურდება ახალბედა მოტოციკლისტი ვატო და სადგომზე განლაგებული ოცდაათი მოტოციკლიდან მაინცდამაინც მამიასას შეასკდება და მთლიანად დალენავს. ამ ამბის გაგების შემდეგ გიგიშა მამიასგან ითხოვეს 1000 ლარს, რადგან სწორედ ამდენით აღემატებოდა მოტოციკლეტის რეალური ღირებულება შეთანხმებულ ფასს.

შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა!

A. გიგიშას მოთხოვნა მამიას მიმართ 477 I მუხლის მიხედვით

I. მოთხოვნის წარმოშობა

გიგიშას მოთხოვნა მოტოციკლზე საკუთრებისა და მფლობელობის გადაცემასთან დაკავშირებით, 477 I მუხლის მიხედვით, თავის წინაპირობად მიითვლის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას. გიგიშამ და მამიამ აქ შეათანხმეს მეორადი Kawasaki Ninja 300-ის ნასყიდობა, რითიც 477 I მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნა წარმოიშვა.

II. მოთხოვნის გაქარწყლება

შესრულების მოთხოვნის გაქარწყლების საფუძვლებთან დაკავშირებით, როგორც იქნებოდა, მაგალითად, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (394 II) ან ხელშეკრულებიდან გასვლა (405), კაზუსის ფაბულა არანაირ მინიშნებას არ იძლევა.

III. მოთხოვნის განხორციელება

477 I მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნა არ იქნებოდა განხორციელებადი, თუ მას დაუპირისპირდებოდა შესაგებელი 369-ე მუხლის მიხედვით. მართალია, ორმხრივად მავალდებულებელი ხელშეკრულებიდან მოვალის (რომელსაც წინასწარ შესრულების ვალდებულება არ უკისრია) წინააღმდეგ მიმართული შესრულების მოთხოვნა არ არის განხორციელებადი, სანამ, თავის მხრივ, მეორე მხარე არ შეასრულებს, თუმცა აქ მამიას თავის ამ შესაგებელზე ფაბულის მიხედვით არ მიუთითებია. ამგვარად, დაკავების შესაგებელი ვერ აღუდგება წინ გიგიშას მოთხოვნის განხორციელებას.

შენიშვნა: მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი თავის ეფექტს ავითარებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მეორე მხარე მასზე მიუთითებს. სხვა შემთხვევაში სასამართლო არ არის ვალდებული, გაითვალისწინოს ის საკუთარი ინიციატივით.

გიგიშას აქვს მამიასაგან მოტოციკლეტზე საკუთრებისა და მფლობელობის გადაცემის მოთხოვნა 477 I მუხლის მიხედვით.

B. გიგიშას ზიანის მოთხოვნა მამიას მიმართ მე-400, 404-ე მუხლების მიხედვით

გიგიშას შეიძლება ჰქონდეს მამიასაგან სხვა მოტოციკლეტის ქირავნობის ხარჯების, როგორც ზიანის, ანაზღაურების მოთხოვნა მე-400, 404-ე მუხლების მიხედვით. ამის წინაპირობაა, რომ ეს ხარჯები იყოს მამიას მხრიდან შესრულების ბრალეული დაყოვნების შედეგი, რომელიც ითვლება მოვალის ვადის გადაცილებად მე-400 მუხლის მიხედვით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გიგიშასა და მამიას შორის სახეზე იყო ვალდებულებითი ურთიერთობა ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმით.

I. ვალდებულების დარღვევა ვადის გადაცილების ფორმით, მე-400 მუხლი

გარდა ამისა, აუცილებელია, რომ მამიას დაერღვია ნასყიდობიდან წარმომდგარი ვალდებულება. გიგიშამ და მამიამ შეათანხმეს, რომ მოტოციკლეტის გადაცემა და ფასის გადახდა მოხდებოდა 23 აპრილს, 10:00 საათზე. თუმცა მამია ამ დროისთვის გიგიშას სახლში არ დახვდა და, შესაბამისად, ვერც გადასცა მოტოციკლეტზე საკუთრება. ამით სახეზეა მისი მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევა.

თუმცა 404-ე მუხლის მიხედვით ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის ეს საკმარისი არ არის, დამატებით აუცილებელია, მამია ყოფილიყო ვადაგადაცილებული მოვალე (400). ანუ უნდა შემოწმდეს, დათქმულ დროსა და ადგილას შეუსრულებლობით გადააცილა თუ არა მამიამ შესრულების ვადას მე-400 და მომდევნო მუხლების გაგებით. მე-400 მუხლის მიხედვით, ვადის გადაცილებას წარმოადგენს ბრალეული შეუსრულებლობა, მიუხედავად მოთხოვნის ვადამოსულობისა, განხორციელებადობისა და კრედიტორის მხრიდან გაფრთხილებისა.⁸⁸

1. გიგიშას ვადამოსული მოთხოვნა

გიგიშას მოთხოვნა 477 | მუხლის მიხედვით, მოტოციკლეტზე საკუთრებისა და მფლობელობის გადაცემასთან დაკავშირებით, უნდა ყოფილიყო ვადამოსული. ზოგადად, 365-ე მუხლის მიხედვით, კრედიტორს შეუძლია, მოთხოვნის წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ მოითხოვოს შესრულება, თუ შესრულების ვადა არ არის გაცხადებულად შეთანხმებული და არც

⁸⁸ Schulze, in HK-BGB, 17. Aufl. 2018, § 286 Rn. 4.

გარემოებებიდან გამომდინარეობს. აქ გიგიშამ და მამიამ შესრულების დროდ შეათანხმეს 23 აპრილის დილა, შესაბამისად, შეპირებული შესრულება ვადამოსული გახდა ამ მომენტისთვის.

შენიშვნა: მოთხოვნის ვადამოსულობაზე მსჯელობისას ხშირად გვხვდება მითითება, რომ შესრულება უნდა იყოს შესაძლებელი. ეს სწორია, რადგან შეუძლებლობა მოვალეს ათავისუფლებს შესრულების ვალდებულებისაგან, ანუ: შეუძლებლობის შემთხვევაში კრედიტორს საერთოდ აღარ აქვს შესრულების მოთხოვნა. შესაბამისად, თუ კაზუსის ფაბულა ამისთვის რაიმე ხელმოსაჭიდს იძლევა, აუცილებელია ამ ასპექტის განხილვა ვადამოსულ დანამდვილ მოთხოვნაზე მსჯელობის ნაწილში.

2. მოთხოვნის განხორციელება

გარდა ამისა, გიგიშას მოთხოვნა უნდა იყოს განხორციელებადი. ამ განხორციელებადობას შეიძლება, წინ აღუდგეს 369-ე მუხლი, რადგან გიგიშას თავად არ შეუსრულებია საკუთარი (საპირისპირო) ვალდებულება. მხოლოდ ის გარემოება, რომ მამიას ჯერ არ მიუთითებია ე. წ. „შეუსრულებელი ხელშეკრულების შესაგებებლზე“, უმნიშვნელოა, რადგან ამ, 369-ე მუხლით გათვალისწინებული, შესაგებლის მხოლოდ არსებობაც კი საკმარისია იმისათვის, რათა გამოირიცხოს მოვალის ვადის გადაცილება.⁸⁹

თუმცა შეუსრულებელი ხელშეკრულების შესაგებელი ვერ შეაფერხებს (მოვალის) ვადის გადაცილების მომენტის დადგომას, თუ გიგიშამ მამიას შესთავაზა (საკუთარი) შესრულება – ნასყიდობის ფასის გადახდა – იმ ფორმით, რომ მისი არმიღებით მამია ვადაგადაცილებულ კრედიტორად იქცა.⁹⁰ 390-ე მუხლის გაგებით, კრედიტორის ვადის გადაცილების (სხვაგვარად: მიღების ვადის გადაცილების) წინაპირობაა მოვალის მიერ კრედიტორისათვის შესრულების იმ ფორმით (რეალურად) შეთავაზება, რომელიც აუცილებელია შესრულების ეფექტის (*Erfüllung*) გამოწვევისათვის.⁹¹ ამისათვის მოვალეს ყველა, მასზე დაკისრებული, შესრულების მოქმედება უნდა განხორციელებინა იმგვარად, რომ შესრულების ეფექტის გამოწვევა მხოლოდ კრედიტორის მხრიდან მიღებაზე ყოფილიყო დამოკიდებული.⁹² სხვა სიტყვებით: მოვალეს უნდა შეეთავაზებინა კრედიტორისათვის ჯე-

⁸⁹ *Heinrichs*, in *Palandt BGB*, § 320 Rn. 12.

⁹⁰ *Wirth*, *JuS* 2002, 764-ე და მოდვენო გვერდები.

⁹¹ კრედიტორის ვადის გადაცილებასთან დაკავშირებით იხ. მე-15 და მომდევნო კაზუსები.

⁹² *Brox/Walker*, *Allgemeines Schuldrecht*, 32. Aufl., § 26 Rn. 5.

როვანი შესრულება დათქმულ დროსა და ადგილას. ის, თუ რა მოქმედებების განხორციელება სჭირდება მოვალეს შესრულებისათვის, განისაზღვრება იმის მიხედვით, ნამოლების, მიტანის თუ გაგზავნის ვალდებულებაა შეთანხმებული. გიგიშამ და მამიამ შეათანხმეს, რომ ნასყიდობის ფასისა და მოტოციკლეტის გადაცემა უნდა მომხდარიყო მამიას საცხოვრებელ ადგილას, ანუ საპირისპირო შესრულება – ფულის გადახდა – წარმოადგენს მიტანის ვალდებულებას.

შესაბამისად, გიგიშას, თავის მხრივ, მამისათვის უნდა შეეთავაზებინა 23 აპრილს, 10:00 საათზე, სრული თანხა, მის საცხოვრებელ ადგილას. გიგიშა, მართლაც, შეეცადა, შეთანხმებულ დროს მამისათვის გადაეცა ნასყიდობით შეპირებული თანხა მის საცხოვრებელ ადგილზე. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ მამია მას სახლში არ დახვდა, საკითხავია, არის თუ არა მხოლოდ საპირისპირო შესრულების განხორციელების მცდელობა რეალური შეთავაზება, თუ შეთავაზება 390-ე მუხლის მიხედვით მოითხოვს მის მისვლას კრედიტორთან. ზოგადად აღიარებული მოსაზრების მიხედვით, რეალური შესრულება 390-ე მუხლის თანახმად არ არის ნების გამოხატვა, არამედ მხოლოდ რეალაქტია.⁹³ ამიტომაც მასზე არ გამოიყენება არც პირდაპირ და არც ანალოგიით 51-ე მუხლი და ზოგადად ნების გამოხატვის ნამდვილობის მომწესრიგებელი დანაწესები.

შენიშვნა: სხვა მოსაზრების მიხედვით, რომელიც შესრულების ეფექტის გამოწვევისათვის მოვალის მიერ შესასრულებელი მოქმედების რეალურად განხორციელების გარდა, დამატებით, ასევე, „ვალის დაფარვის მიზანს“ – რომელიც ნების გამოხატვის დარი მოქმედებაა – მოითხოვს, ამ მოქმედების განხორციელების შემდეგ კრედიტორი მაინც ვადაგადაცილებული ხდება, „დაფარვის მიზნის“ მასთან მისვლის გარეშეც (იხ. ამ საკითხთან დაკავშირებით დეტალურად კაზუსი: „უნლოვანს ფულს ნუ ანდობ, იქნებ არასრულწლოვანიო“).

ამიტომაც არასავალდებულოა, რომ კრედიტორმა შეიტყოს ამ რეალური შეთავაზების შესახებ. თუ შესრულების განხორციელებისათვის დათქმულია კონკრეტული დრო, შესრულების რეალური შეთავაზება სახეზეა მაშინაც კი, როდესაც კრედიტორი შესრულების ადგილას არ გამოჩნდება.⁹⁴ ამით მოცემულია ფულადი ვალდებულების მოვალის, გიგიშას, მხრი-

⁹³ Larenz, Lehrbuch des Schuldrechts I, § 25 Ia (390).

⁹⁴ Wertheimer, JuS 1993, 646-ე და მომდევნო გვერდები.

დან რეალური შეთავაზება 390-ე მუხლის გაგებით, რომლის მიუღებლობამაც აქცია ამ მოთხოვნის კრედიტორი, მამია, ვადაგადაცილებულად.

შესაბამისად, შეუსრულებელი ხელშეკრულების შესაგებელი 369-ე მუხლის მიხედვით არ უშლის ხელს (საკუთრების გადაცემის ვალდებულების) მოვალე მამიას ვადაგადაცილებულ მოვალედ ქცევას. გიგიშას მოთხოვნა მოტოციკლზე საკუთრებისა და მფლობელობის გადაცემასთან დაკავშირებით იყო განხორციელებადი.

3. გაფრთხილება/მისი არასავალდებულობა

გიგიშას უნდა გაეფრთხილებინა მამია მე-400 ბ) მუხლის მიხედვით. გაფრთხილება არის კრედიტორის მიერ მოვალისათვის წაყენებული ერთმნიშვნელოვანი და ცალსახა მოთხოვნა შესრულებასთან დაკავშირებით.⁹⁵ ასეთი გაფრთხილება ამ შემთხვევაში სახეზე არ არის. თუმცა, შესაძლებელია, ეს გაფრთხილება იყო არასავალდებულო, კერძოდ, იქიდან გამომდინარე, რომ შესრულების ვადა კალენდრის მიხედვით იყოს განსაზღვრული. გიგიშამ და მამიამ შეათანხმეს, რომ მოტოციკლეტის გადაცემა უნდა მომხდარიყო კვირას, 10:00 საათზე. ამით შესრულების თარიღი კალენდარულად იყო განსაზღვრული და გაფრთხილება იყო ზედმეტი.

4. შეუსრულებლობა

მამიამ შეპირებული შესრულება არ განახორციელა შეთანხმებული მომენტისათვის.

5. ბრალი, 401-ე მუხლი

მამიას შეპირებული შესრულების ვადა უნდა გადაეცილებინა ბრალეულად (401). კვირას, 10:00 საათზე, იმ დროს, როდესაც მოტოციკლეტი გიგიშასთვის უნდა გადაეცა, მამიამ ღამე გაატარა იზოლატორში და ამიტომ ვერ მოასწრო დილისკენ ჩამოსვლა. საკითხავია, არის თუ არა შეუსრულებლობა ამ სიტუაციაში ბრალეული. 394 | 2 მუხლის ანალოგიით, მტკიცების ტვირთი ამ შემთხვევაშიც მოვალის საზიანოდ არის შეტრიანებული, რაც ნიშნავს იმას, რომ მოვალემ უნდა წარმოადგინოს და დაამტკიცოს ის გარემოებები, რომელთა გამოც მას შეუსრულებლობაში ბრალი არ მიუძღვის.

⁹⁵ BGH NJW 1998, 2133.

შენიშვნა: ამ ანალოგიის საფუძველია ის გარემოება, რომ 394-ე მუხლი არის მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის მომწესრიგებელი ზოგადი წესი, რომლის ქვეშემთხვევასაც წარმოადგენს 401-ე, 404-ე მუხლებით პასუხისმგებლობა და იმაზე, რაც ამ პასუხისმგებლობის ფარგლებში ზუსტად არ არის განერილი, ზოგადი წესი უნდა გავრცელდეს. გარდა ამისა, აბსურდულია, რომ მოვალემ მხოლოდ ვადის გადაცილებისათვის აგოს მსუბუქად პასუხი, – ბრალის მტკიცების ტვირთი შეტრიალების გარეშე, – ხოლო ყველა სხვა დარღვევისათვის (მაგ., ნაკლოვანი ნივთის მიწოდებით კრედიტორის სხვა სიკეთეების დაზიანება) ამ მტკიცების ტვირთის მის საზიანოდ შეტრიალებით, 394 | 2 მუხლის მიხედვით.

395 | მუხლის მიხედვით, მოვალე პასუხს აგებს განზრახვისა და გაუფრთხილებლობისათვის. მამიამ ღამე იზოლატორში გაატარა საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ და ამიტომაც შეუსრულებლობა არ იყო განზრახვი. თუმცა მას ბრალად შეიძლება შეერაცხებოდეს გაუფრთხილებლობა, თუ მან საკუთარი დაკავება წინდაუხედაობით გამოიწვია. მამიას შეეძლო, წინასწარ განეჭვრიტა, რომ ქუჩაში „ანყვეტილი“ რბოლის გამო მისთვის შეიძლება ჩამოერთმიათ მოტოციკლი და ამით საფრთხე შექმნოდა ამ მოტოციკლის დროულ გადაცემას. ამით მან გამოიჩინა წინდაუხედაობა გიგიშას მიმართ ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტექსტში და ბრალად შეერაცხება გაუფრთხილებლობა. შესაბამისად, არადროული შესრულება გამონვეულია მამიას ბრალით (401).

II. ზიანი

გიგიშას უნდა მისდგომოდა, მამიას მხრიდან შესრულების ვადის ბრალეული გადაცილების შედეგად, ზიანი. ზიანი განისაზღვრება როგორც სამართლებრივ სიკეთეთა შემცირება,⁹⁶ თუმცა, როგორც ეს 413 | მუხლიდან გამომდინარეობს, ანაზღაურებადია მხოლოდ ქონებრივი ზიანი. დიფერენციაციის ჰიპოთეზის თანახმად, ზიანი მხოლოდ მაშინ არის სახეზე, როდესაც დაზარალებულის ამჟამინდელი ქონება ნაკლებია, ვიდრე (ჰიპოთეზურად) იქნებოდა, ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება რომ არ დამდგარიყო. მამიას გიგიშასათვის 23 აპრილს, 10:00 საათზე, შეთანხმებისამებრ რომ გადაეცა მოტოციკლეტი, ამ უკანასკ-

⁹⁶ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანჭურია (რედ.), 2019, მუხ. 408, მე-8 ველი.

ნელს აღარ დასჭირდებოდა შემცვლელის დაქირავება და შეძლებდა მოტომომლოცვისათვის შეპირებული მოტოციკლის გამოყენებას. აქედან გამომდინარე, შემცვლელი მოტოციკლის ქირავნობის ხარჯები – 1500 ლარი – არის კაუზალური შედეგი მამიას მხრიდან ვადის გადაცილების ფორმით ვალდებულების დარღვევისა. თუმცა ამ თანხას გიგიშამ „სარგებლის გამოქვითვის“⁹⁷ ფარგლებში უნდა გამოაკლოს მის მიერ დაზოგილი დანახარჯები, ანუ ის ცვეთა, რასაც ამ მოტოტურში მონაწილეობა მიაყენებდა მის საკუთარ მოტოციკლს.⁹⁸

შედეგი: გიგიშას აქვს მამიასაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მე-400, 404-ე მუხლების მიხედვით, 1500 ლარის ოდენობით, რომელსაც უნდა გამოაკლოს დაზოგილი ცვეთა.

C. ვარიანტი – გიგიშას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 394 I, II-III მუხლის მიხედვით

გიგიშას შეიძლება ჰქონდეს მამიასაგან შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 1000 ლარის ოდენობით.

I. ვალდებულებითი ურთიერთობა

მხარეებმა აქ დადეს ნასყიდობის ხელშეკრულება.

II. ვალდებულების დარღვევა

394 I, II-III მუხლის მიხედვით პასუხისგებისათვის აუცილებელია, რომ მამიას დაერღვია ვალდებულება. ის 477 I მუხლის მიხედვით ვალდებული იყო, გადაეცა მოტოციკლეტზე საკუთრება და მფლობელობა. ამ მოტოციკლეტის განადგურების შემდეგ ამ შესრულებას უკვე ვერავინ ვერ განახორციელებს, რის გამოც (ობიექტური) შეუძლებლობაა სახეზე და მამია თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისაგან. შესრულების შეუძლებლობა წარმოადგენს ვალდებულების დარღვევას 394-ე მუხლის გაგებით.

⁹⁷ შდრ. *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხ. 408, 26-ე ველი.

⁹⁸ *Heinrichs*, in *Palandt*, § 249 Rn. 32.

III. ბრალი

შემდეგ საფეხურზე შესამონმებელია, მოახერხებს თუ არა აქ მამია 394 I 2 მუხლში წამოყენებული პრეზუმფციის, რომლის მიხედვითაც მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას მისი ბრალეულობა ივარაუდება, გაქარწყლებას. ჩვეულებრივ, 394 I მუხლის მიხედვით, მოვალე პასუხს აგებს განზრახვისა და გაუფრთხილებლებისათვის. იმის გამო, რომ შეჯახება მხოლოდ ახალბედა მრბოლელის ბრალით იყო გამოწვეული, ამ შემთხვევაში გამორიცხულია როგორც ერთი, ისე მეორე.

თუმცა აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მამია ამ მომენტისათვის იყო ვადაგადაცილებული მოვალე, რომელიც 402 2 მუხლის შესაბამისად პასუხს აგებს ასევე შემთხვევითობისათვის. ამ ნესიდან 402 3 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი აქ სახეზე არ არის. ამგვარად, მამია ამ სიტუაციაში ვერ გაიმართლებს თავს 394 I 2 მუხლის მიხედვით.

IV. ზიანი და მისი ანაზღაურება

დიფერენციაციის ჰიპოთეზის მიხედვით, ზიანი დაითვლება ამჟამინდელი ქონებრივი მდგომარეობისა და იმ (ჰიპოთეზური) ქონებრივი მდგომარეობის შეპირისპირების შედეგად, რომელიც იარსებებდა მამიას მხრიდან ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. მამიას ჯეროვნად რომ შეესრულებინა, გიგიშა საკუთრებაში მოიპოვებდა მოტოციკლს, რომლის რეალური ღირებულებაც იქნებოდა 1000

A. მოთხოვნა 477 I მუხლის მიხედვით (+)
I. ვალდებულებითი ურთიერთობა (+)
II. მოთხოვნის გაქარწყლება (-)
III. მოთხოვნის განხორციელება (+)
B. მოთხოვნა მე-400, 404-ე მუხლების მიხედვით (+)
I. ვადის გადაცილება, 400 (+)
➤ ვადამოსული მოთხოვნა (+)
➤ მოთხოვნის განხორციელება (+)
➤ გაფრთხილების არასავალდებულოობა (+)
➤ შეუსრულებლობა (+)
➤ ბრალი, 401 (+)
II. ზიანი (+)
C. ვარიანტი – ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 394 I, II-III მუხლით
I. ვალდებულებითი ურთიერთობა (+)
II. ვალდებულების დარღვევა (+)
III. ბრალი (+)
⇒ ვადაგადაცილებული მოვალე პასუხს აგებს ასევე გაუფრთხილებლობისათვის, 402 2.
IV. ზიანი (+)
საბოლოო შედეგი: ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, 394 I, II-III (+)

ლართ მეტი, ვიდრე მასში გადახდილი ფასი. ამით მას შეუძლია, მოითხოვოს ეს მოგება (შდრ. ასევე 411-ე მუხლი), როგორც შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება.

რადგან აქ შესრულების შეუძლებლობაა სახეზე, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოსათხოვად დამატებითი შესრულებისათვის ვადის დაწესება არ არის სავალდებულო (394 III, ვარ. 1).

შედეგი: გიგიშას აქვს მამიასაგან 394 I, II-III მუხლის მიხედვით შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება 1000 ლარის ოდენობით.

სამახსოვრო!

- შეუსრულებელი ხელშეკრულების შესაგებელი (369) ვერ შეაფერხებს (მოვალის) ვადის გადაცილების მომენტის დადგომას, თუ მეორე მხარემ მას შესთავაზა (საკუთარი) შესრულება იმ ფორმით, რომ მისი არმილებით აქცია ვადაგადაცილებულ კრედიტორად.
- გაფრთხილება არის მოვალისათვის წაყენებული ერთმნიშვნელოვანი და ცალსახა მოთხოვნა, შეასრულოს დაუყოვნებლივ.
- გაფრთხილება არასავალდებულოა, თუ შესრულების ვადა კალენდრის მიხედვით იყო განსაზღვრული.
- 394 I 2 მუხლის ანალოგიით, მტკიცების ტვირთი შებრუნებულია ასევე 401-ე მუხლის ფარგლებში ბრალის მტკიცებისას.

კაზუსი 20. საქორწინო ესკორტი

(მოვალის მიერ ვადის გადაცილება, ვადის გადაცილებით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება)

თორნიკე მეჯვარეა მახოს ქორწილში. შესაბამისად, მას დაევალა ნეფე-პატარძლისათვის მანქანის შოვნა. ვინაიდან თორნიკეს ძველი მანქანა ჰყავს, რომელიც გამოსულია მწყობრიდან და არ გამოდგება ქორწილის მიზნებისთვის, გადაწყვეტს, იყიდოს ახალი მანქანა. იგი გიგასთან დადებს ნასყიდობის ხელშეკრულებას 2006 წლის „მერსედესის“ (მოდელი E-320) შეძენის თაობაზე. თორნიკე ნასყიდობის ფასს სრულად გადაიხდის და მხარეები შეთანხმდებიან, რომ მანქანის გადაცემა უნდა მოხდეს 13 ივნისს. თორნიკე ეტყვის გიგას, რომ 14 ივნისს მანქანა სჭირდება ქორწილში ნეფე-პატარძლის ტრანსპორტირებისთვის. 13 ივნისს გიგა არ გამოდის კონტაქტზე, თორნიკე კი უშედეგოდ ცდილობს მასთან დაკავშირებას. როგორც აღმოჩნდა, გიგას გადაუნყვეტია რაიონში თავისი მძიმედ ავადმყოფი ბებუის მონახულება და სულ დაავიწყდა ნაკისრი ვალდებულების შესახებ. თორნიკეს მოუწევს ქორწილისთვის მთელი დღით მანქანის ქირავნობა, რაც 500 ლარი დაუჯდება. მას შემდეგ, რაც გიგა დაბრუნდება რეგიონიდან, თორნიკე მას წარუდგენს მოთხოვნას მანქანის გადმოცემისა და ქირავნობის გამო წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

A. თორნიკეს მოთხოვნა გიგას მიმართ მანქანის გადმოცემის თაობაზე სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად

თორნიკეს შესაძლოა ჰქონდეს გიგას მიმართ მანქანის გადმოცემის თაობაზე მოთხოვნა სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მათ შორის არსებობს ნასყიდობის ნამდვილი ხელშეკრულება.

I. მოთხოვნის წარმოშობა

1. ნასყიდობის ხელშეკრულება

მოთხოვნის წარმოშობისათვის აუცილებელია, სახეზე იყოს მხარეთა შორის გაფორმებული ნასყიდობის ნამდვილი ხელშეკრულება. კაზუსიდან დგინდება, რომ თორნიკესა და გიგას შორის გაფორმდა ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება მანქანის შეძენის თაობაზე. შესაბამისად, 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით წარმოიშვა მოთხოვნა ნივთისა (მანქანის) და საკუთრების უფლების გადაცემის თაობაზე. კაზუსი არ შეიცავს რაიმე ისეთ გარემოებას, რომელიც მიუთითებდა მოთხოვნის შეწყვეტის ან განუხორციელებლობის თაობაზე. შესაბამისად, მოთხოვნა არ არის შეწყვეტილი და იგი განხორციელებადია. განსაკუთრებით, არ არსებობს 369-ე მუხლიდან გამომდინარე ნივთის დაკავების უფლება, ვინაიდან ნასყიდობის ფასი სრულად გადახდილია.

2. შედეგი

მაშასადამე, თორნიკეს აქვს მოთხოვნა გიგას მიმართ მანქანის გადმოცემის თაობაზე, სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად.

B. თორნიკეს მოთხოვნა გიგას მიმართ ვადის გადაცილების გამო ზიანის ანაზღაურების თაობაზე სკ-ის 394-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, მე-400, 401-ე და 404-ე მუხლების თანახმად

თორნიკეს შესაძლოა ჰქონდეს მოთხოვნა გიგას მიმართ ვადის გადაცილების შედეგად წარმოშობილი ზიანის (500 ლარი) ანაზღაურების თაობაზე, სკ-ის 394-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, მე-400, 401-ე და 404-ე მუხლების თანახმად.

I. მოთხოვნის წარმოშობა

1. ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობაა მხარეთა შორის ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა. იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის არ იარსებებს ვალდებულებითი ურთიერთობა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების დარღვევის თაობაზე გამორიცხულია. ზემოთ უკვე დავადაგინეთ, რომ თორნიკესა და გიგას შორის დაიდო ნამდვილი ხელშეკრულება 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად. მაშასადამე, ვალდებულებითი ურთიერთობა სახეზეა.

2. ვადის გადაცილების წინაპირობები

იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ვადის გადაცილების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სკ-ის 394-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, მე-400, 401-ე და 404-ე მუხლების საფუძველზე, სახეზე უნდა იყოს ამ ნორმათა წინაპირობები. ვადის გადაცილების შემონმებისას განხილულ უნდა იქნეს შემდეგი წინაპირობები: ვალდებულება უნდა იყოს ვადამოსული და შესაგებლისგან თავისუფალი, სახეზე უნდა იყოს კრედიტორის მიერ მოვალის გაფრთხილება (ან გაფრთხილება უნდა იყოს გამორიცხული), ვადის გადაცილება გამონწვეული უნდა იყოს მოვალის ბრალით, მოცემული უნდა იყოს ვალდებულების დარღვევა სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის გაგებით და მოვალეს არ უნდა შეეძლოს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ამავე მუხლის მე-2 ნინადადების ფარგლებში.

ა. ვადამოსული და შესაგებლისგან თავისუფალი მოთხოვნა

ვადის გადაცილების წინაპირობების შემონმებისას, პირველ რიგში, უნდა შემონმდეს, აქვს თუ არა თორნიკეს გიგას მიმართ მოთხოვნა, რომელიც ვადამოსულია და ასევე შესაგებლისგან თავისუფალი. თორნიკემ და გიგამ გააფორმეს ნასყიდობის ხელშეკრულება 2006 წლის მერსედესის (მოდელი E-320) შეძენის თაობაზე. შესაბამისად, თორნიკეს მოთხოვნაც გიგას მიმართ ნასყიდობის საგნის გადმოცემის თაობაზე გამომდინარეობს სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან.

ამას გარდა, აუცილებელია, რომ მოთხოვნა ვადამოსული იყოს. სკ-ის 365-ე მუხლის თანახმად, მოთხოვნა, როგორც წესი, ვადამოსულია მათი წარმოშობის მომენტიდან (თუ მხარეები არ თანხმდებიან შესრულების კონკრეტულ თარიღზე). თუმცა, სკ-ის 366-ე მუხლის თანახმად, მხარეებს

შეუძლიათ, შეათანხმონ მოთხოვნის ვადამოსულობის თარიღი. ჩვენი კაზუსის მიხედვითაც, ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ, რომ მანქანის გადაცემა მოხდებოდა 13 ივნისს, მაშასადამე, მხარეების შეთანხმება ვადამოსულობის თარიღზე სახეზეა.

ვადამოსული მოთხოვნა უნდა იყოს შესაგებლისგან თავისუფალი. კაზუსიდან არ ჩანს, რომ გიგას შესაძლოა, ჰქონდეს რაიმე შესაგებელი თორნიკეს მიმართ. განსაკუთრებით, არ არსებობს 369-ე მუხლიდან გამომდინარე ნივთის დაკავების უფლება, ვინაიდან ნასყიდობის ფასი სრულად გადახდილია. შესაბამისად, მოთხოვნა შესაგებლისგან თავისუფალია.

ბ. გაფრთხილება

ვადის გადაცილების დამატებითი წინაპირობა შესაძლოა იყოს კრედიტორის მიერ მოვალის გაფრთხილების აუცილებლობა სკ-ის მე-400 მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით. გაფრთხილებაში მოიაზრება მოვალისადმი მონოდება, შეასრულოს ვალდებულება.

საკითხის გაღრმავებისთვის: ვადამოსულობა არის დროის მომენტი, რომლის დადგომიდანაც კრედიტორს ენიჭება უფლება, მოვალეს მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება. ვადის გადაცილება ვადამოსულობის დადგომასთან ერთად ავტომატურად არ დგება. აქ უნდა განვასხვაოთ ორი შემთხვევა, რომლებიც კლასიფიცირებულია სკ-ის მე-400 მუხლში: მაშინ, როდესაც ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული შესრულების ვადა, კრედიტორს შეუძლია, მოვალეს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს შესრულება (სკ-ის 365-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში მოვალე რომ ჩაითვალოს ვადაგადაცილებაში მყოფად, საჭიროა, კრედიტორმა გააფრთხილოს მოვალე, შეასრულოს დაკისრებული ვალდებულება. გაფრთხილება თავის თავში გულისხმობს მოვალის მონოდებას ვალდებულების შესრულებაზე. მხოლოდ გაფრთხილების შემდგომ შეუსრულებლობის შემთხვევაში ჩაითვლება მოვალე ვადის გადაცილებაში მყოფად, სკ-ის მე-400 მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე.

ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შესრულების დრო განსაზღვრულია კალენდრით, კრედიტორის მიერ მოვალის გაფრთხილება ზედმეტია. კალენდარული თარიღის დადგომისას თუ აღმოჩნდება, რომ მოვალეს არ აქვს შესრულებული ვალდებულება, იგი ავტომატურად ხვდება ვადის გადაცილებაში. ეს ის შემთხვევაა, როდესაც დრო აფრთხილებს ადამიანის ნაცვლად (სკ-ის მე-400 მუხლის „ა“ პუნქტი).

ჩვენს შემთხვევაში მხარეები შეთანხმდნენ ვალდებულების შესრულების ზუსტ თარიღზე, შესაბამისად, სახეზეა სკ-ის მე-400 მუხლის „ა“ პუნქტის შემთხვევა და გაფრთხილება ამ შემთხვევაში ზედმეტია.

გ. ბრალეულობა

გარდა ზემოაღნიშნული წინაპირობებისა, სკ-ის 401-ე მუხლის თანახმად, ვადის გადაცილების გარემოება გამონვეული უნდა იყოს მოვალის მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვერ ჩაითვლება ვადაგადაცილებაში მყოფად. მოვალის მიერ ვადის გადაცილების გარემოება, კერძოდ ის, რომ 13 ივნისს ვერ მოხდა მანქანის გადაცემა, გამონვეულია მისი ბრალით. კაზუსიდან არ გამომდინარეობს რაიმე სხვა გარემოება, რაც საწინააღმდეგოზე მიუთითებდა.

დ. შუალედური შედეგი

მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, სკ-ის მე-400 მუხლის „ა“ პუნქტისა და 401-ე მუხლის თანახმად, სახეზეა ვადის გადაცილების წინაპირობები

3. სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის წინაპირობები

იმისათვის, რომ გიგას დაეკისროს მოვალის მიერ ვადის გადაცილებით წარმოშობილი ზიანი, ვადის გადაცილების წინაპირობებთან ერთად სახეზე უნდა იყოს 394-ე მუხლის პირველი ნაწილის წინაპირობები, კერძოდ, მოვალის მიერ უნდა დაირღვეს ვალდებულებითი ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულება და მოვალეს არ უნდა შეეძლოს 394-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება. ამასთანავე, სახეზე უნდა იყოს ზიანი.

ა. ვალდებულების დარღვევა

როგორც აღინიშნა, მოვალის მიერ დარღვეული უნდა იყოს ვალდებულება (სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი). ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით, გიგას ვალდებულება იყო, ვადამოსულობის დადგომისას ავტომობილი გადაეცა თორნიკესთვის. გიგას მიერ შეთანხმებულ დროს (13 ივნისი) არ მოხდა ვალდებულების შესრულება, მაშასადამე, სახეზეა ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობა ვადამოსულობისას. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოვალის მიერ დარღვეულ იქნა ვალდებულება.

ბ. ბრალეულობა

მოვალის ბრალეულობა სკ-ის 394-ე მუხლის მე-2 ნაწილის გაგებით ივა-რაუდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოვალეს შეუძლია პასუხის-მგებლობისგან გათავისუფლება. როგორც ზემოთ, ვადის გადაცილების გამომწვევ გარემოებებში ბრალის დადგენისას აღინიშნა, კაზუსიდან არ გამომდინარეობს რაიმე პირობა, რაც მიუთითებდა გიგას არაბრალეულო-ბაზე. მაშასადამე, სკ-ის 394-ე მუხლის მე-2 ნაწილის ფარგლებში გიგა ვერ იმართლებს თავს.

გ. ზიანი

ვალდებულების დარღვევის შედეგად კრედიტორს უნდა წარმოეშვას ზიანი. კაზუსიდან გამომდინარე, თორნიკეს ზიანი შესაძლოა იყოს 500 ლარი, რომლის გადახდაც მას არ მოუწევდა, მანქანა რომ თავის დროზე მიენოდებინა გიგას. შესა-ბამისად, სახეზეა თორნიკეს ზიანი 500 ლარის ოდენობით.

დ. შუალედური შედეგი

ზემოაღნიშნული მსჯელობი-დან გამომდინარე, სახეზეა სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის წინაპირობები.

4. საბოლოო შედეგი

მოვალის მიერ ვადის გადაცი-ლების ზიანის მოთხოვნის ყველა წინაპირობა შესრულებულია. მა-შასადამე, კრედიტორს (თორნი-კეს) შეუძლია, გიგასგან მოითხო-ვოს შესრულებასთან ერთად ზი-ანის ანაზღაურება. კაზუსიდან არ ვლინდება რაიმე გარემოება, რო-მელიც მიუთითებდა ზიანის ანაზ-ღაურების მოთხოვნის შეწყვეტასა ან განხორციელების შეუძლებლო-

A. მანქანის გადაცემის მოთხოვნა 477 I მუხლის საფუძველზე (+)
I. ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება (+)
II. შედეგი: მანქანის გადაცემის მოთხოვნა (+)
B. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 394-ე I, II, მე-400, 401-ე და 404-ე მუხლების თანახმად (+)
I. ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (+)
II. ვადის გადაცილება (+)
1. ვადამოსული და შესაგებლისგან თავისუფალი მოთხოვნა (+)
2. გაფრთხილება (+)
3. ბრალეულობა (+)
III. სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის წინაპირობები (+)
1. ვალდებულების დარღვევა (+)
2. ბრალეულობა (+)
3. ზიანი(+)
შედეგი: ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (+)

ბაზე. მაშასადამე, თორნიკეს შეუძლია, გიგას მოსთხოვოს მანქანის გადმოცემა და შესრულების ვადის გადაცილების შედეგად დამდგარი ზიანი 500 ლარის ოდენობით, სკ-ის 394-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 401-ე და 404-ე მუხლების თანახმად.

სამაგსოვრო!

- ვადის გადაცილების შემონმებისას განხილულ უნდა იქნეს შემდეგი წინაპირობები: ვალდებულება უნდა იყოს ვადამოსული და შესაგებლისგან თავისუფალი, სახეზე უნდა იყოს კრედიტორის მიერ მოვალის გაფრთხილება (ან გაფრთხილება უნდა იყოს გამორიცხული), ვადის გადაცილება გამონვეული უნდა იყოს მოვალის ბრალით, მოცემული უნდა იყოს ვალდებულების დარღვევა სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის გაგებით და მოვალეს არ უნდა შეეძლოს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ამავე მუხლის მე-2 წინადადების ფარგლებში.
- ვადამოსულობა არის დროის მომენტი, რომლის დადგომიდანაც კრედიტორს ენიჭება უფლება, მოვალეს მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება.
- მე-400 მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე მოვალე ვადის გადაცილებაში მყოფად ჩაითვლება მხოლოდ გაფრთხილების შემდგომ შეუსრულებლობის შემთხვევაში.
- იმ შემთხვევაში, როდესაც შესრულების დრო განსაზღვრულია კალენდრით, კრედიტორის მიერ მოვალის გაფრთხილება ზედმეტია. ეს ის შემთხვევაა, როდესაც დრო აფრთხილებს ადამიანის ნაცვლად (სკ-ის მე-400 მუხლის „ა“ პუნქტი).

კაზუსი 21. საოფისე ფართი

(მოვალის მიერ ვადის გადაცილება, ხელშეკრულებიდან გასვლა და შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება, ზიანის ოდენობის დათვლა)

შპს „მშენებელმა“, რომლის ბიზნესსაც წარმოადგენს ქ. თბილისის ბიზნესზონებში ოფისების მშენებლობა და გაყიდვა, 2014 წლის იანვრის თვეში შპს „ესქორტს“ მიჰყიდა და გადასცა 100 000 \$-ის ღირებულების საოფისე ფართი 115 000 \$-ად. საჯარო რეესტრში რეგისტრაცია უნდა მომხდარიყო მას შემდეგ, რაც შპს „ესქორტი“ მთლიანად გადაიხდიდა ნასყიდობის თანხას ნოტარიუსის ანგარიშზე. 10 მარტს შპს „მშენებელმა“ გააფრთხილა შპს „ესქორტი“ და 31 მარტამდე განუსაზღვრა გადახდის ვადა. გარდა ამისა, აღუნიშნა, რომ „გადაუხდელობა გავლენას მოახდენდა ხელშეკრულების არსებობაზე“. ნასყიდობის თანხა შპს „მშენებელმა“ მხოლოდ 10 აპრილს ჩარიცხა ნოტარიუსის ანგარიშზე.

შპს „მშენებელმა“ ამასობაში ახალი კლიენტი იპოვა, რომელიც მას 120 000 \$-ს აძლევს. ამის გამო შპს „მშენებელს“ აღარ სურს, შპს „ესქორტს“ გადაუფორმოს საოფისე ფართი. უფრო მეტიც, 6 აპრილს მინორილი წერილით იგი შპს „ესქორტისგან“ ითხოვს საოფისე ფართის უკან გადმოცემას და ზიანის ანაზღაურებას 15 000 \$-ის ოდენობით.

A. შპს „მშენებლის“ მოთხოვნა შპს „ექსპორტის“ მიმართ საოფისე ფართის გადმოცემის თაობაზე სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით

შპს „მშენებელს“ შესაძლოა, ჰქონდეს მოთხოვნა შპს „ექსპორტის“ მიმართ საოფისე ფართის გადმოცემის თაობაზე სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით. მოთხოვნა რომ განხორციელდეს, ამისათვის საჭიროა, შპს „მშენებელი“ იყოს სადავო ფართის მესაკუთრე, შპს „ექსპორტი“ კი არამართლზომიერი მფლობელი. მოთხოვნა არ უნდა იყოს შეწყვეტილი და იგი უნდა იყოს ასევე განხორციელებადი.

I. შპს „მშენებელი“ როგორც მესაკუთრე

როგორც აღინიშნა, პირველი წინაპირობა მოთხოვნის განხორციელებისთვის არის ის, რომ შპს „მშენებელი“ უნდა იყოს მესაკუთრე. მიუხედავად იმისა, რომ შპს „მშენებელმა“ გადასცა საოფისე ფართი შპს „ექსპორტს“, ის მაინც რჩება მესაკუთრედ, ვინაიდან არ მომხდარა საკუთრების საჯარო რეესტრში შპს „ექსპორტის“ სახელზე რეგისტრაცია (სკ-ის 183-ე მუხლი).

II. მფლობელობის უფლება

სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ნივთის უკან გამოთხოვა დაუშვებელი იქნებოდა, თუ შპს „ექსპორტის“ მფლობელობა მართლზომიერია. მყიდველს, რომელსაც ნასყიდობის ნივთი გადაეცემა, აქვს მფლობელობის (რელატიური) უფლება, რომელიც გამომდინარეობს ნასყიდობის ხელშეკრულებიდან მანამ, სანამ ხელშეკრულება ნამდვილია. ნასყიდობის ხელშეკრულება კი შპს „მშენებელსა“ და შპს „ექსპორტს“ შორის სამართლებრივად ნამდვილია.

1. ხელშეკრულებიდან გასვლა (სკ-ის 405-ე მუხლის პირველი ნაწილი, 352-ე მუხლის პირველი ნაწილი)

შპს „ექსპორტის“ მფლობელობის უფლება შესაძლოა შეწყდა, თუ შპს „მშენებლის“ ხელშეკრულებიდან გასვლა ნამდვილია. ხელშეკრულებიდან გასვლა სკ-ის 352-ე მუხლის თანახმად წარმოშობს მიღებული შესრულებების უკან დაბრუნების ვალდებულებას. არსებული ვალდებულებითი ურთიერთობა არ წყდება სანყისი მომენტიდან, არამედ ის შინაარსობრივად გარდაიქმნება უკუქცევით ვალდებულებით ურთიერთობად, რომლის ფარგლებშიც მხარეებს ეკისრებათ, დააბრუნონ მიღებული შესრულებე-

ბი. თავდაპირველი ვალდებულებების შესრულება აღარ ხდება. იმისათვის, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა ნამდვილად ჩაითვალოს, სახეზე უნდა იყოს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი (ვალდებულების დარღვევა), უშედეგოდ გასული დამატებითი შესრულების ვადა და ხელშეკრულებიდან გასვლის მეორე მხარისთვის შეტყობინება.

ა. ხელშეკრულებიდან გასვლის შეტყობინება

იმისათვის, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა სამართლებრივად ნამდვილი იყოს, ხელშეკრულების ერთმა მხარემ მეორეს უნდა შეატყობინოს ამის შესახებ (სკ-ის 355-ე მუხლი). შპს „მშენებელს“ შპს „ესქორტისთვის“ სიტყვასიტყვით არ შეუტყობინებია, რომ ხელშეკრულებიდან გადის, მან 10 მარტის შეტყობინებით შპს „ესქორტს“ შესრულების დამატებითი ვადა განუსაზღვრა, თუმცა მიუთითა, რომ „გადაუხდებლობა გავლენას მოახდენდა ხელშეკრულების არსებობაზე“. ხელშეკრულებიდან გასვლისას არ არის სავალდებულო, რომ გასვლაზე უფლებამოსილმა პირმა მეორე მხარისადმი გამოვლენილ ნებაში მაინცდამაინც სიტყვა „ხელშეკრულებიდან გასვლა“ გამოიყენოს. საკმარისია, როდესაც იგი ხელშეკრულების მეორე მხარეს განუცხადებს, რომ იგი არ რჩება სახელშეკრულებო ბოჭვაში და უკან ითხოვს გადაცემულ შესრულებას. ამასთანავე, კრედიტორს შეუძლია, ხელშეკრულებიდან გასვლა დამატებით ვადის დაწესებას „მიაბას“, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, შესაძლებელია, ხელშეკრულებიდან გასვლა და ზიანის ანაზღაურება ერთმანეთის გვერდიგვერდ (კუმულაციურად) განხორციელდეს (სკ-ის 407-ე მუხლის პირველი ნაწილი). მაშასადამე, ხელშეკრულებიდან გასვლის შეტყობინება არ გამორიცხავს მოგვიანებით ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას. შესაბამისად, სრულიად საკმარისია, როდესაც კრედიტორი შეატყობინებს მოვალეს, რომ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ უარს იტყვის ხელშეკრულებაზე. შპს „მშენებელმა“ შპს „ესქორტს“ 10 მარტს განუსაზღვრა დამატებითი შესრულების ვადა, სადაც აღნიშნა, რომ ვადაში შეუსრულებლობა გავლენას მოახდენდა ხელშეკრულებაზე. თუმცა ეს შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის დათქმა, მაგრამ მაინც ვერ ჩაითვლება ხელშეკრულებიდან გასვლის შეტყობინებად. ამისგან განსხვავებით, ხელშეკრულებიდან გასვლა შესაძლოა, მოცემული იყოს შპს „მშენებლის“ მიერ შპს „ესქორტისთვის“ წარდგენილ მოთხოვნაში საოფისე ფართის უკან გადმოცემის თაობაზე. ყურადღება უნდა მიექცეს შემთხვევის ყველა გარემოებას. კერძოდ, ფარ-

თის უკან გადმოცემის მოთხოვნა გაგებულ უნდა იქნეს შპს „მშენებლის“ მიერ შპს „ესქორტისთვის“ დაწესებული ვადის და გაფრთხილების – „გადაუხდელობა გავლენას მოახდენდა ხელშეკრულების არსებობაზე“ – ლოგიკურ გაგრძელებად ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე. მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახეზეა ხელშეკრულებიდან გასვლის შეტყობინება სკ-ის 355-ე მუხლის გაგებით.

ბ. ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი

ხელშეკრულებიდან გასვლის შემდგომი წინაპირობაა მოვალის მიერ დამატებით განსაზღვრულ ვადაშიც ვალდებულების შეუსრულებლობა. კაზუსიდან ცხადად ჩანს, რომ მას შემდეგ, რაც ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შპს „ესქორტმა“ არ გადაიხადა ნასყიდობის ფასი, შპს „მშენებელმა“ მას განუსაზღვრა ვადა დამატებითი შესრულებისთვის, რამაც ასევე უშედეგოდ ჩაიარა.

საკითხის გაღრმავებისთვის: იმისათვის, რომ შესრულების დამატებითი ვადა დაცულ იქნეს, მოვალემ შესრულების მოქმედება უნდა განახორციელოს განსაზღვრული ვადის ფარგლებში. არ არის აუცილებელი, რომ შედეგი დადგეს დამატებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში. ნივთების შემთხვევაში საკმარისია, მაგალითად, გაგზავნა, ხოლო ფულით შესასრულებელი ვალდებულების დროს ბანკისთვის გადარიცხვის დავალების მიცემა.

გ. შუალედური შედეგი

ზემოაღნიშნული მსჯელობის შედეგად დავასკვნით, რომ შპს „მშენებლის“ ხელშეკრულებიდან გასვლა ნამდვილია. მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად შპს „ესქორტმა“ დაკარგა მფლობელობის უფლება, რომელიც გამომდინარეობდა ნასყიდობის ხელშეკრულებიდან.

2. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მოვალის ვალდებულების გამორიცხვა, როგორც მფლობელობის უფლების შეწყვეტის საფუძველი (ალტერნატივა)

ა. შპს „ესქორტის“ ვალდებულების შესრულების გამორიცხვა

შპს „ესქორტის“ მფლობელობის უფლება შესაძლოა ასევე გამორიცხული იყოს იმით, რომ მას შპს „მშენებლის“ მიერ წარედგინა მოთხოვნა შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

საკითხის გაღრმავებისთვის: სკ-ის 394-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული შესრულების დამატებითი ვადის გასვლის შემდგომ კრედიტორს აქვს ორი მოთხოვნა: მას შეუძლია, მოითხოვოს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება (ანუ უარს ამბობს შესრულებაზე), ან გააგრძელოს შესრულების მოთხოვნა (მაგ., მოვალეს განუსაზღვროს შესრულების ახალი ვადა). მაშასადამე, კრედიტორს აქვს არჩევანის უფლება. იმ შემთხვევაში, თუ ის აირჩევს ზიანის მოთხოვნას, მაშინ ვალდებულების შესრულება ვეღარ იქნება მოთხოვნილი. შედეგად, შეწყდება როგორც მისი შესრულების ვალდებულება, ასე მოვალის საპირისპირო შესრულების ვალდებულებაც. ამან კი შესაძლოა, გამოიწვიოს იმ მფლობელობის უფლების დაკარგვა, რაც მხარემ შეიძინა ნასყიდობის ხელშეკრულებიდან.

კაზუსის მიხედვით, შპს „მშენებელმა“ შესრულებისთვის განსაზღვრული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ შპს „ესქორტს“ მოსთხოვა საოფისე ფართის უკან დაბრუნება და შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება. აღნიშნული მოთხოვნის წარდგენის შემდგომ შპს „ესქორტს“ აღარ მოეთხოვება ნასყიდობის ფასის გადახდა, ვინაიდან შესრულების ვალდებულებას ანაცვლებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. აქედან გამომდინარე, მისი უფლებაც ოფისის მფლობელობაზე წყდება.

თუმცა შესრულების ვალდებულების შეწყვეტის წინაპირობაა ის, რომ შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წინაპირობები იყოს სახეზე, ვინაიდან შესრულების მიღებაზე უარი და შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ნამდვილია. კრედიტორს შეუძლია, დამატებითი ვადის გასვლამდეც მოითხოვოს მოვალისგან ზიანის ანაზღაურება. ეს მოთხოვნა გადადებით პირობადებულია და ნამდვილი ხდება დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ.

ბ. შპს „მშენებლის“ მოთხოვნა შპს „ესქორტის“ მიმართ შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების თაობაზე სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის, 394-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უნდა შემოწმდეს, სახეზეა თუ არა შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების წინაპირობები. კაზუსიდან ირკვევა, რომ ნასყიდობის ფასი ხელშეკრულების დადებისთანავე ვადამოსული იყო, ვინაიდან მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან. შპს „ესქორტმა“

დაავიანა გადახდა, კერძოდ, გადაიხდა 10 აპრილს. შესაბამისად, სახეზეა მოვალის მიერ ვადის გადაცილება და ვალდებულების დარღვევა სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით. ამდენად, შპს „მშენებელმა“ შპს „ექსპორტს“ განუსაზღვრა შესრულების დამატებითი ვადა, რამაც ასევე უშედეგოდ ჩაიარა.

საკითხის გარმავებისთვის: მაშინ, როდესაც მოვალე ვალდებულების შესრულების ვადას აცილებს, მოიაზრება ზიანის ანაზღაურების ორი შესაძლებლობა: 1. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება სკ-ის 394-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, ან 2. უშუალოდ ვადის გადაცილებით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის, მე-400, 401-ე და 404-ე მუხლების თანახმად. ამ უკანასკნელის მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ შესრულებასთან ერთად და, ამასთანავე, სახეზე უნდა იყოს ვადის გადაცილების წინაპირობები (სკ-ის მე-400 მუხლი).

მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შპს „მშენებლის“ მოთხოვნა შპს „ექსპორტის“ მიმართ წარმოიშვა.

გ. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა

იმისათვის, რომ განხორციელდეს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილმა პირმა უნდა შეატყობინოს ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს. მანამ, სანამ კრედიტორი მოვალეს არ შეატყობინებს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ, ძალაში რჩება შესრულების მოთხოვნა და მოვალეს შეუძლია, შეასრულოს. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის შეტყობინებას იმდენად ენიჭება მნიშვნელობა, რამდენადაც შეტყობინების შესრულების ვალდებულება აღარ არსებობს (მოვალე აღარაა ვალდებული, შეასრულოს). ეს კი იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც მოვალეს უნდა შეეძლოს შესრულებისთვის შესაძლო ბოლო მომენტის განსაზღვრა, რამდენადაც მას უნევს შესრულების მოქმედებების განხორციელება. ამის საპირისპიროდ, მასვე უნდა შეეძლოს განსაზღვროს, რომ კრედიტორი მისგან აღარ მიიღებს შესრულებას და მას ზიანის ანაზღაურება ეკისრება.

შპს „მშენებელმა“ 6 აპრილს მიწერილი წერილით შპს „ექსპორტისგან“ მოითხოვა საოფისე ფართის უკან გადმოცემა და, ამასთანავე, ზიანის ანაზღაურება 15 000 \$-ის ოდენობით. შესაბამისად, მან უარი თქვა შეს-

რულების მიღებაზე, რის შედეგადაც შესრულების მოთხოვნა გადაიზარდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაში.

3. საბოლოო შედეგი

ჩვენ მიერ შემონმდა, თუ რამდენად მართლზომიერია შპს „ესქორტის“ მფლობელობის უფლება საოფისე ფართზე. შემონმების შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ მფლობელობის უფლება შენყდა როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის, ასევე შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შედეგად. შპს „მშენებელს“, სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უფლება აქვს, მოსთხოვოს შპს „ესქორტს“ საოფისე ფართის გადმოცემა.

ბ. შპს „მშენებლის“ მოთხოვნა შპს „ესქორტის“ მიმართ შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების თაობაზე სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის, 394-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად

I. მოთხოვნის წარმოშობა

ჩვენ მიერ ზემოთ (იხ. A 2 ბ) შემონმდა და დადგინდა, რომ შპს „მშენებელს“ წარმოეშვა შპს „ესქორტის“ მიმართ ნამდვილი მოთხოვნა შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების თაობაზე სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის, 394-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად.

II. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების დათვლა

იმისათვის, რომ შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება იქნეს მოთხოვნილი, უნდა გაირკვეს, თუ რაში გამოიხატება კონკრეტული ზიანი, ანუ რა არის ზიანის შინაარსი. ზიანის შინაარსთან დაკავშირებით არსებობს ორი თეორია:

1. ჩანაცვლების (გაცვლის) თეორია

ჩანაცვლების (გაცვლის) თეორიის მიხედვით, სახელშეკრულებო ურთიერთობის სინალაგმატურობის შენარჩუნება ხდება და იმის უზრუნველყოფა, რომ შესრულებისა და საპირისპირო შესრულების ურთიერთგაცვლა შესაძლებელია. შეუძლებელი ვალდებულების ან შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებით შეწყვეტილი ვალდებულების ადგილს იკავებს ზიანის ფულით ანაზღაურების მოთხოვნა.

2. სხვაობის თეორია

სხვაობის თეორია ორმხრივ ხელშეკრულებას უყურებს როგორც ერთ მთლიანობას. ამ შემთხვევაში ზიანი ანაზღაურდება მთლიანი შესრულების ნაცვლად. კრედიტორი აღარ არის ვალდებული საპასუხო შესრულებაზე, არამედ იგი ითხოვს იმ სხვაობის ანაზღაურებას, რაც არსებობს მის მიერ განსახორციელებელ შესრულებასა და მოვალის საპასუხო შესრულებას შორის.

მაგალითად: „ა“-მ 1 მარტს გააფორმა „ბ“-სთან ნასყიდობის ხელშეკრულება მანქანის შეძენის თაობაზე. მანქანის საბაზრო ფასია 4000 \$, ნასყიდობის ფასი შეადგენს 5000 \$-ს (1000 \$ შეადგენს „ა“-ს მოგებას და პოზიტიურ ინტერესს) და გადახდილ უნდა იქნეს მანქანის მინოდებიდან ორ კვირაში. 10.03-ში „ა“-მ მიაწოდა „ბ“-ს მანქანა. „ბ“-მ „ა“-ს არ გადაუხადა ნასყიდობის თანხა. დამატებითი შესრულებისთვის განსაზღვრულმა ვადამაც უშედეგოდ ჩაიარა. სუროგაციის თეორიის თანახმად, „ა“-ს შეუძლია, მოითხოვოს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება იმგვარად, რომ მან მოითხოვოს მთლიანი თანხის, 5000 \$-ის, გადახდა, ხოლო უკან არ დაიბრუნოს მანქანა (ანუ არ გამოიწვიოს ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგი – შესრულებების უკან დაბრუნება). სხვაობათა თეორიის მიხედვით კი, „ა“-ს შეუძლია, გავიდეს ხელშეკრულებიდან და. ამასთანავე. მოითხოვოს სრული შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად, ის დაიბრუნებს უკან მანქანას და, იმავდროულად, მოითხოვს მის შესრულებასა და მოვალის საპირისპირო შესრულებას შორის სხვაობას, ანუ პოზიტიურ ინტერესს (ჩვენს შემთხვევაში 1000 \$). ამის შესაძლებლობას იძლევა სკ-ის 407-ე მუხლი, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლას და ზიანის ანაზღაურების ერთდროულ განხორციელებას დასაშვებად მიიჩნევს. თუმცა არსებობს შემთხვევები, სადაც შესაძლოა, სხვაობათა თეორიის გამოყენება არ იყოს დასაშვები.⁹⁹

3. თეორიების გამოყენება

როგორც წესი, კრედიტორს შეუძლია, თავისუფლად აირჩიოს, ზიანის ანაზღაურების რომელ მეთოდს მიმართავს – ჩანაცვლების (გაცვლის) მეთოდს თუ სხვაობის. როგორც ზემოთ აღინიშნა, ზიანის ანაზღაურებისა და ხელშეკრულებიდან გასვლის თანადროული განხორციელების შესაძლებლობა ამას დასაშვებად მიიჩნევს. ეს წესი მოქმედებს ასევე

⁹⁹ ამასთან დაკავშირებით იხ. *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 154-155.

იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორს თავისი ვალდებულება უკვე შესრულებული აქვს. მაშასადამე, კრედიტორს შეუძლია, ხელშეკრულებიდან გავიდეს, თავისი შესრულება უკან მოითხოვოს და ზიანი სხვაობის მეთოდით დათვალოს.

კაზუსის მიხედვით, შპს „მშენებლის“ შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შინაარსი შეესაბამება სხვაობათა თეორიას, ვინაიდან იგი ითხოვს საოფისე ფართის უკან დაბრუნებას (მან უკეთესი მყიდველი იპოვა) და პოზიტიური ზიანის ანუ შეუსრულებლობის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებას, რაც წარმოადგენს სხვაობას მის შესრულებასა და შპს „ესქორტის“ საპირისპირო შესრულებას შორის.

4. ზიანის დათვლა

შპს „მშენებლის“ მიერ შერჩეული სხვაობის მეთოდის მიხედვით ზიანი შემდეგნაირად დაითვლება: ხელშეკრულებით განსაზღვრული ნასყიდობის ფასი ოფისისთვის არის 115 000 \$, ხოლო ოფისის ღირებულება 100 000 \$-ია. ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანი (პოზიტიური ინტერესი) კი შეადგენს 15 000 \$-ს. შპს „ესქორტს“ უფლება აღარ აქვს, მოითხოვოს შპს „მშენებლისგან“, სუროგაციის თეორიის მი-

<p>A. საოფისე ფართის გადმოცემის მოთხოვნა 172-ე I მუხლის მიხედვით (+)</p>
<p>I. შპს „მშენებლის“ საკუთრება (+)</p> <p>II. შპს „ესქორტის“ არამართლზომიერი მფლობელობა (+)</p> <p>1. მფლობელობა (+)</p> <p>2. მფლობელობის უფლების დაკარგვა ხელშეკრულებიდან გასვლის გამო (+)</p> <p>ა) ხელშეკრულებიდან გასვლის შეტყობინება (+)</p> <p>ბ) ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი (+)</p> <p>3. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მფლობელობის უფლების დაკარგვა (+)</p> <p>ა) ვალდებულების შესრულების გამორიცხვა (+)</p> <p>ბ) შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 394-ე I, II მუხლის შესაბამისად (+)</p> <p>გ) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (+)</p> <p>შედეგი: საოფისე ფართის გადმოცემის მოთხოვნა 172-ე I მუხლის მიხედვით (+)</p>
<p>B. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, 394-ე მუხლის I, II (+)</p>
<p>I. მოთხოვნის წარმოშობა</p> <p>II. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების დათვლა</p> <p>1. ჩანაცვლების (გაცვლის) თეორია (-)</p> <p>2. სხვაობის თეორია (+)</p> <p>შედეგი: შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (+)</p>

ხედვით, შესრულებულის (ოფისის) დატოვება და საპირისპიროდ ზიანის ანაზღაურების შეპირება.

5. საბოლოო შედეგი

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შპს „მშენებლის“ მოთხოვნა შპს „ექორტის“ მიმართ შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების თაობაზე სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის, 394-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად დასაბუთებულია და შპს „ექორტს“ ეკისრება შპს „მშენებლის“ მიმართ 15 000 \$-ის ანაზღაურება.

სამახსოვრო!

- მყიდველს, რომელსაც ნასყიდობის ნივთი გადაეცემა, აქვს მფლობელობის (რელატიური) უფლება, რომელიც გამომდინარეობს ნასყიდობის ხელშეკრულებიდან მანამ, სანამ ხელშეკრულება ნამდვილია.
- გასვლისას არსებული ვალდებულებითი ურთიერთობა არ წყდება საწყისი მომენტიდან, არამედ ის შინაარსობრივად გარდაიქმნება უკუქცევით ვალდებულებით ურთიერთობად, რომლის ფარგლებშიც მხარეებს ეკისრებათ, დააბრუნონ მიღებული შესრულებები.
- ხელშეკრულებიდან გასვლის შეტყობინება არ გამორიცხავს მოგვიანებით ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.
- იმისათვის, რომ შესრულების დამატებითი ვადა დაცულ იქნეს, მოვალემ შესრულების მოქმედება უნდა განახორციელოს განსაზღვრული ვადის ფარგლებში. არ არის აუცილებელი, რომ შედეგი დადგეს დამატებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში.
- სკ-ის 394-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული შესრულების დამატებითი ვადის გასვლის შემდგომ კრედიტორს აქვს ორი მოთხოვნა: მას შეუძლია მოითხოვოს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება (ანუ უარს ამბობს შესრულებაზე) ან გააგრძელოს შესრულების მოთხოვნა (მაგ., მოვალეს განუსაზღვროს შესრულების ახალი ვადა).
- შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების დათვლისას შესაძლოა ჩანაცვლების (გაცვლის) და სხვაობის თეორიების გამოყენება.

კაზუსი 22. მეტალოდურგალი ლეო შპს „ჯემალის“ სამსახურში

(მოვალის მიერ ვადის გადაცილება ფულადი ვალდებულების დროს;
გაფრთხილების არასავალდებულოება; პროცენტის მოთხოვნის
უფლება)

მეტალოდურგალი ლეო შპს „ჯემალის“ შეკვეთით ჩაუსვამს მას 01.07-ში ოფისში მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარას, რითაც მისი დირექტორი ფრიად კმაყოფილი დარჩება და შეჰპირდება, რომ ლეოს ახლო მეგობრებშიც შეანევს სიტყვას. 06.07-ში „ჯემალს“ ლეოსგან მისდის ანგარიში 5275 ლარზე შემდეგი ტექსტით: „ანაზღაურება ხელოსნის მომსახურებისათვის! გადასახდელია დაუყოვნებლივ, ნეტო თანხის სახით, ყოველგვარი დაქვეითვის გარეშე.“ თანხა ლეოს ანგარიშზე „უჯდება“ მხოლოდ 25.08-ში, რის შემდეგაც იგი მიმართავს ადვოკატს და აინტერესებს, შეუძლია თუ არა, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, მათ შორის იმისთვის, რომ მისი საბანკო ანგარიში, უსახსრობის გამო, მინუსებში გადავიდა და ბანკმა მას ლიმიტის გადაცილების 14 %-იანი ჯარიმა დააკისრა.

ვარიანტი: შეუძლია თუ არა ლეოს, მოითხოვოს ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება, თუ ის ადვოკატს 30.07-ში მიმართავს.

A. ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

ლეოს შეიძლება ჰქონდეს „ჯემალისაგან“ ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მე-400, 404-ე მუხლების მიხედვით.

I. ვალდებულებითი ურთიერთობა

ლეოსა და „ჯემალს“ შორის აქ არსებობდა ნამდვილი ვალდებულებითი ურთიერთობა ნარდობის ხელშეკრულების სახით (629).

II. ვალდებულების დარღვევა გადახდის ვადის გადაცილებით

„ჯემალს“ შეიძლება დაერღვია საკუთარი, 629 I მუხლით ნაკისრი, შეთანხმებული თანხის გადახდის ვალდებულება შესრულების ვადის გადაცილების ფორმით. ამისათვის აუცილებელია, სახეზე იყოს მე-400 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები.

1. მოთხოვნის ვადამოსულობა

ლეოს აქვს „ჯემალისაგან“ ნარდობის საზღაურის გადახდის მოთხოვნა 629 I მუხლის (630 I, II მუხლთან ურთიერთკავშირში, თუ კონკრეტული საზღაური შეთანხმებული არ ყოფილა) მიხედვით. „ჯემალმა“ ჩაიბარა შესრულებული სამუშაო და მოთხოვნის ვადამოსულობა გამომდინარეობს 648-ე მუხლიდან.

2. განხორციელებადობა

გამომდინარე იქიდან, რომ კაზუსიდან ჯემალის სავარაუდო შესაგებ-ლები არ იკითხება, ლეოს მოთხოვნა იყო განხორციელებადი.

3. გაფრთხილება

ჩვეულებრივ, მე-400 მუხლის მიხედვით, შესრულების ვადის გადაცილების წინაპირობაა მოვალის გაფრთხილება.

გაფრთხილება არის ნებისმიერი ფორმის მოვალისაკენ მიმართული მოთხოვნა, შეპირებული შესრულების განხორციელებასთან დაკავშირებით. ის შეიძლება მოხდეს როგორც გაცხადებულად, ისე კონკლუდენტურად. მხოლოდ ანგარიშის მისვლით შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით (კონკლუდენტური) გაფრთხილება ჯერ კიდევ არ არის სახეზე. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მხარეებს შორის მანამდე მყარი საფა-

სური შეთანხმებული არ ყოფილა, რადგან ამ დროს მოვალე მხოლოდ ანგარიშიდან იგებს, თუ რამდენი აქვს გადასახდელი.

ამგვარად, ლეოს ანგარიშის მისვლა ვერ ჩაითვლება „ჯემალის“ გაფრთხილებად მე-400 ბ) მუხლის გაგებით, რაც ამ უკანასკნელს ვადაგადაცილებულ მოვალედ აქცევდა.

4. გაფრთხილების არასავალდებულობა

თუმცა მოვალის ვადაგადაცილებულად ქცევისათვის ხშირ შემთხვევაში მისი გაფრთხილება არასავალდებულოა.

შენიშვნა: მართალია, მე-400 მუხლი, განსხვავებით გსკ-ის 286 II პარაგრაფისაგან, არ ითვალისწინებს იმ შემთხვევების კატალოგს, როდესაც გაფრთხილება ზედმეტია, თუმცა, რა თქმა უნდა, საქართველოშიც შესაძლებელია მოვალის ვადაგადაცილებულად ქცევა გაფრთხილების გარეშე, კერძოდ, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ის სასიგნალო ეფექტი, რასაც გაფრთხილება ემსახურება, სხვაგვარად არის უზრუნველყოფილი ან სრულებით ზედმეტია. საერთო მიზნიდან გამომდინარე, ამის დასასაბუთებლად 405 II მუხლის ქვეპუნქტების ანალოგიით მოშველიება ჩანს უპრიანი.

ა. შესრულების კალენდარულად განსაზღვრული თარიღი

405 II ბ) მუხლის ანალოგიით, გაფრთხილება არასავალდებულოა, თუ შესრულების თარიღი კალენდარულად არის განსაზღვრული. ამ დროს მოვალეს დამატებითი შეხსენება შესრულების განხორციელებასთან დაკავშირებით არ უნდა სჭირდებოდეს. თუმცა ამ დანაწესის გაგებით, შესრულების თარიღის კალენდრის მიხედვით განსაზღვრა მხოლოდ მაშინ არის სახეზე, როდესაც შესრულების თარიღის განსაზღვრა მოხდა წინასწარ, ხელშეკრულების დადებისას. კრედიტორის მიერ ვადის ცალმხრივი დაწესება საკმარისი არ არის.¹⁰⁰ აქ ლეოსა და „ჯემალს“ შორის სახელშეკრულებო შეთანხმებიდან კალენდარული ვადის დათქმა არ იკითხება, ხოლო მოგვიანებით ლეო ამ ვადას გადაგზავნილ ანგარიშში ცალმხრივად ველარ განსაზღვრავს.

ბ. გადაჭრით უარი შესრულებაზე

გაფრთხილება სავალდებულო არ არის მაშინაც, როდესაც მოვალე გადაჭრით ამბობს უარს შესრულებაზე (405 II ა) მუხლის ანალოგიით). აქ ასეთი უარი „ჯემალს“ არ განუცხადებია.

¹⁰⁰ *Heinrichs*, in Palandt BGB, § 268 Rn. 22.

გ. განსაკუთრებული საფუძველი

განსაკუთრებული საფუძველი, რომელიც გაამართლებდა მოვალე „ჯემალის“ გაფრთხილების გარეშე ვადაგადაცილებულად ქცევას (405 II გ) მუხლის ანალოგიით), კაზუსიდან არ იკითხება.

დ. ანგარიშის მისვლიდან გარკვეული (გონივრული) ვადის გასვლა

როგორც ზემოთ აღინიშნა, მხოლოდ ანგარიშის მისვლა ვერ ჩაითვლება გაფრთხილებად მე-400 ბ) მუხლის მიხედვით, ხოლო სხვა სპეციალური (კანონით გათვალისწინებული საფუძველი, რაც ვადის გადაცილების არასავალდებულოებაზე მიაწინებდა, აქ სახეზე არ არის. ამიტომაც, წესით, მოვალე „ჯემალი“ ვადაგადაცილებული ვერ გახდებოდა. საკითხავია, მისაღებია თუ არა ეს შედეგი, რადგან, მართალია, ანგარიშის გაგზავნა არ შეიცავს იმ ინტენსივობის სასიგნალო ეფექტს, რასაც უშუალოდ გაფრთხილება, თუმცა მასში მაინც დაფიქსირებულია ის ფაქტი, რომ მოვალეს ამ მომენტიდან ვალდებულება შესასრულებელი აქვს და კრედიტორი მისგან ამას ელოდება. თუ მოვალის დამატებით ვადაგადაცილებულად ქცევისათვის სავალდებულო იქნებოდა მისი გაფრთხილება, ამ გაფრთხილების გარეშე მოვალე არასოდეს არ ჩაითვლება ვადაგადაცილებულად, მაგალითად, არც ანგარიშის მიღებიდან 6 თვის გასვლის შემდეგ. ეს შედეგი მიუღებელია, რადგან, საბოლოო ჯამში, ანგარიშის მისვლაც არის მოვალისათვის ნაყენებული შესრულების ცალსახა მოთხოვნა და განსხვავდება „ნამდვილი“ გაფრთხილებისაგან მხოლოდ ნაკლებკატეგორიულობით შესრულების ვადასთან დაკავშირებით – ანგარიშის მისვლა მოვალისათვის არ ნიშნავს, რომ დაუყოვნებლივ გადასახდელი აქვს, თუმცა ნიშნავს იმას, რომ „გარკვეულ“ დროში უნდა დაფაროს ეს ანგარიში, წინააღმდეგ შემთხვევაში დადგება უარყოფითი შედეგები მისთვის, კერძოდ, ვადაგადაცილებულ მოვალედ ქცევის სახით. სწორედ ამ მიზეზით, ჩვეულებრივ, კრედიტორი მეორეჯერ აღარ აფრთხილებს მოვალეს, რადგან მიიჩნევს, რომ ანგარიშის გაგზავნით უკვე გააკეთა ყველაფერი ამ სანქციის ამოქმედებისათვის.

შენიშვნა: გერმანიის სამოქალაქო კოდექსში ამ შემთხვევის მომწესრიგებელი ნორმა გათვალისწინებულია. 286 III პარაგრაფის მიხედვით, თუ ფულადი ვალდებულების მოვალე, რომელიც მენარმეა,¹⁰¹ მოთხოვნის ვადამოსულობიდან და ანგარიშის მისვლიდან 30 დღის განმავლობაში არ დაფარავს მას, ის ვადაგადაცილებულად ითვლება.

¹⁰¹ მომხმარებელი-მოვალის შემთხვევაში აუცილებელია მისთვის ამ შედეგებზე სპეცი-ალური მითითება ანგარიშში.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, აუცილებელი ჩანს, 400 ბ) და 405 II მუხლების განმარტებიდან გამოვიყვანოთ წესი, რომლის მიხედვითაც ანგარიშის მისვლიდან გარკვეული დროის ამონურვის შემდეგ ფულადი ვალდებულების მოვალე ვადაგადაცილებული უნდა გახდეს, ხოლო ეს პერიოდი განისაზღვროს კონკრეტული შემთხვევის თავისებურებებიდან (ფულადი თანხის რაოდენობა, მხარეთა სტატუსი და ა. შ.).

ამ განმარტებისას საორიენტაციოდ გამოდგება გსკ-ის 286 III პარაგრაფში დაფიქსირებული 30-დღიანი ვადა. ეს წესი, თავის მხრივ, წარმოადგენს ევროპის კავშირის „გადახდის ვადის გადაცილების შესახებ“ დირექტივის (RL 2011/7/EU) გერმანულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის შედეგს. ამ შემთხვევაშიც 30-დღიანი ვადის გასვლა სრულებით საკმარისად უნდა ჩაითვალოს იმისათვის, რომ მოვალე „ჯემალი“ ვადაგადაცილებულად იქნეს მიჩნეული.

ამგვარად, აქ საქმე ეხებოდა რა ვადამოსულ ფულად მოთხოვნას მენარმე „ჯემალის“ მიმართ, რომელმაც ანგარიშის მისვლიდან – 06.07. – 30 დღის განმავლობაში არ შეასრულა ვალდებულება, ამ ვადის გასვლის შემდეგ ის გაფრთხილების გარეშეც ვადაგადაცილებულ მოვალედ უნდა ჩაითვალოს, თუ სახეზეა ვადის გადაცილების სხვა წინაპირობები.

ე. ბრალი

401-ე მუხლის მიხედვით, მოვალე მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება ვადაგადაცილებულად, თუ მას ამაში ბრალი მიუძღვის. მიუხედავად იმისა, რომ კაზუსიდან არ იკითხება, თუ კონკრეტულად რა გარემოებების გამო ვერ შეასრულა „ჯემალმა“, თუმცა, 394 I 2 მუხლის შესაბამისად, მტკიცების ტვირთი აქაც მოვალის საზიანოდ არის შეტრიალებული, რის გაქარწყლებასაც „ჯემალი“ აქ ვერ მოახერხებს.

ვ. სამართლებრივი შედეგი

404-ე მუხლის მიხედვით, ვადაგადაცილებულმა კრედიტორმა მოვალეს უნდა აუნაზღაუროს ამ ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანი. კანონით განსაზღვრული (მყარი) პროცენტების ანაზღაურებას 403 I მუხლის ამჟამინდელი რედაქცია აღარ ითვალისწინებს, ხოლო მხარეებს შეთანხმებით ვადის გადაცილებისათვის პროცენტი არ გაუთვალისწინებიათ.

საკითხის გადრმავებისათვის: 2007 წლამდე არსებული რედაქციით 403 I მუხლი ითვალისწინებდა კანონისმიერი პროცენტის გადახდას, რომელიც

384-ე მუხლის მიხედვით განისაზღვრებოდა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლიური „საბაზისო“ პროცენტების შესაბამისად.

თუმცა ლეოს შეიძლება ჰქონდეს კონკრეტული პროცენტების, როგორც ზიანის, ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. აქ ბანკმა ლიმიტის გადაჭარბების გამო ლეოს დაარიცხა 14 %, რაც არ მოხდებოდა, „ჯემალს“ დროულად რომ დაეფარა ლეოს წინაშე თავისი ვალი. შესაბამისად, ეს პროცენტები წარმოადგენს ლეოს ზიანს, რომლის ანაზღაურების მოთხოვნაც აქვს „ჯემალისაგან“.

B. ვარიანტი – ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება

ლეოს შეიძლება ჰქონდეს „ჯემალისაგან“ ადვოკატის ხარჯების, როგორც შესრულების ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანის, ანაზღაურების მოთხოვნა მე-400, 404-ე მუხლების მიხედვით.

თუმცა ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანი სახეზეა მხოლოდ მაშინ, როდესაც ზიანი დგება ვადის გადაცილების შემდეგ, როგორც მისი თანმდევი შედეგი.

აქ ადვოკატისაგან კონსულტაციის მიღების მომენტში – 30.07-ში – „ჯემალი“ ჯერ კიდევ არ იყო ვადაგადაცილებული მოვალე, რადგან ჯერ კიდევ არ იყო გასული 30 დღე ანგარიშის მისვლიდან. ამიტომაც ეს ხარჯები არ წარმოადგენს ვადის გადაცილებით მიყენებულ ზიანს, არამედ არის ვადის გადაცილების წინა პერიოდში „საკუთარი ინიციატივით“ გაწეული ქონებრივი მსხვერპლი, რომელიც ზოგადად არ ანაზღაურდება.

შედეგი: ლეოს შეუძლია მოითხოვოს „ჯემალისაგან“ მხოლოდ ბან-

A. ზიანის ანაზღაურება, 400, 404(+)
<p>I. ვალდებულებითი ურთიერთობა (+)</p> <p>II. ვადის გადაცილება (+)</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ვადამოსული მოთხოვნა (+) ➤ განხორციელებადობა (+) ➤ გაფრთხილება (-) ➤ გაფრთხილების არასავალდებულოობა (+) <li style="padding-left: 20px;">⇨ გასულია 30 დღე ანგარიშის მისვლიდან
B. ვარიანტი – ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება
<p>⬅ ხარჯები წარმოშობილია ვადის გადაცილებამდე</p> <p>შედეგი: 14 %-ის, როგორც ზიანის, ანაზღაურება (+)</p>

კის მიერ დარიცხული დამატებითი 14 % – მოთხოვნის უფლება მე-400, 404-ე მუხლების მიხედვით.

სამასსოვრო!

- 400 ბ) და 405 II მუხლების განმარტებიდან გამომდინარეობს წესი, რომლის მიხედვითაც, ანგარიშის მისვლიდან გარკვეული დროის ამონაწერის შემდეგ ფულადი ვალდებულების მოვალე ვადაგადაცილებული უნდა გახდეს, ხოლო ეს პერიოდი განისაზღვროს კონკრეტული შემთხვევის თავისებურებებიდან.
- განმარტებისას საორიენტაციოდ გამოდგება გსკ-ის 286 III პარაგრაფში დაფიქსირებული 30-დღიანი ვადა. ეს წესი, თავის მხრივ, წარმოადგენს ევროპის კავშირის „გადახდის ვადის გადაცილებასთან დაკავშირებული“ დირექტივის (RL 2011/7/EU) გერმანულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის შედეგს.

კაზუსი 23. ათასად კაცი დაფასდა, ორი ათასად – ორასი ლიტრი

(კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება; მოვალის მიერ გაღებული შენახვის ხარჯების ანაზღაურება; კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება (წინაპირობები))

მთელ ქალაქში ყანნების ტრიალით განთქმული გოგი, რომელიც სუფრაზე 10-15 ლიტრს სვამს, ხოლო მოყუდებაზე მინიმუმ 1,5-ს (ამოსუნთქვის გარეშე), არაფრით არ იღებს ყურად მეგობრების რჩევას – თავს გაუფრთხილდეს და ღვინიდან მსუბუქ ნარკოტიკებზე გადავიდეს. ამის დასამტკიცებლად ის სიდედრის ბინიდან მორჩენილი უკანასკნელი 2000 ლარით იყიდის ნაცნობ მეღვინე მიტუასაგან 200 ლიტრ „კახურ მწვანეს“. გამყიდველმა გოგის ღვინო კახეთიდან უნდა ჩამოუტანოს კვირას, დილით, 14:00 საათისკენ, რასაც მიტუა პირნათლად ასრულებს და დათქმულ დროს ღვინით გავსებულ ნაქირავებ ტაქსს გოგის კორპუსის წინ გააჩერებს. თუმცა გოგი არც კარს აღებს და არც მობილურზე პასუხობს, არც მეზობლებმა იციან გოგის ამბავი. კორპუსის გარშემო და უბანში ერთსაათიანი ხეტიალის შემდეგ მიტუა ხელს ჩაიქნევს და, ისევ ღვინით დატვირთული, ისევ უკან, კახეთისკენ გაემუჩრება. საღამოს კი მასთან გოგი რეკავს და აინტერესებს, თუ სადაა მისი ღვინო. გაოცებული მიტუას პასუხზე, რომ პირიქით, ეს მას აინტერესებს, თუ სად იყო გოგი, ამ უკანასკნელს ცოტათი შერცხვება კიდევ, თუმცა ტელეფონში ამას არ შეიმჩნევს და სასწრაფოდ ითხოვს მეორე დღეს იმავე დროს ღვინის მიწოდებას. სინამდვილეში გოგი სახლში იყო და, ნაბახუსევს, ღრმად ეძინა, ხოლო ცოლ-შვილი სამუშაოზე ჰყავდა გაშვებული.

მიტუა მეორე დღეს თავიდან აწვდის ღვინოს, თუმცა 2000 ლარის გარდა დამატებით ითხოვს 300 ლარს – ტაქსი მას მხოლოდ თბილისამდე ჰყავდა დაქირავებული, უკან „მარშრუტკით“ აპირებდა წასვლას (10 ლარი) და ღვინის უკან ტრანსპორტირების გამო, მას ისევ ტაქსის დაქირავება მოუწია – 150 ლარი – და მეორე დღესაც იმდენივე დაუჯდა თავიდან ჩამოტანა. გოგი ასეთი თავხედობით აღშფოთებულია, მას შეეძლო, ბოცები მეზობლისთვის დაეტოვებინა და, საერთოდ, რომ არა უბნის პატივისცემა, ის მიტუას ახლავე ფეხქვეშ გაიფენდა. ის, რა თქმა უნდა, არაფრის გადახდას არ აპირებს.

შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა!

A. შენახვის ხარჯების ანაზღაურება, 393 ა)

მიტუას შეიძლება ჰქონდეს გოგისაგან ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა 393 ა) მუხლის მიხედვით. ამ დანაწესის მიხედვით, მოვალეს უფლება აქვს, მოითხოვოს ვადაგადაცილებული კრედიტორისაგან იმ ზედმეტი დანახარჯების ანაზღაურება, რომლებიც მას საგნის შენახვის გამო წარმოეშვა.

I. ვადაგადაცილებული კრედიტორი/ მიღების ვადის გადაცილება

ამ მოთხოვნის წაყენებისათვის აუცილებელია: 1. მოთხოვნის შესრულებადობა; 2. მოვალის შეთავაზება შესრულებასთან დაკავშირებით; 3. შესრულების მიუღებლობა კრედიტორის მხრიდან; 4. მოვალის მზაობა – შეასრულოს.

1. მოთხოვნის შესრულებადობა

აქ გოგის ჰქონდა შესრულების მოთხოვნა – მიტუას მიმართ ნაყიდი ღვინის მიწოდების მოთხოვნა 477 I მუხლის მიხედვით. ეს მოთხოვნა იყო შესრულებადი, რადგან ღვინის მიწოდება უნდა მომხდარიყო კვირას, 14:00 საათზე.

2. შეთავაზება მოვალის მხრიდან

გარდა ამისა, მოვალე მიტუას უნდა შეეთავაზებინა (390 I) საკუთარი შესრულება კრედიტორ გოგისათვის. ჩვეულებრივ, აუცილებელია რეალური შეთავაზება, რაც აქ დათქმულ დროსა და ადგილას მიტუას მხრიდან სახეზე იყო. შეთავაზების ვერმიღების მიზეზი იყო მხოლოდ გოგი, რომელმაც არ გაალო კარი და არ ჩაიბარა ღვინო.

მოვალის მიერ შესრულების შეთავაზება

390 I მუხლის მიხედვით შესრულების შეთავაზებისათვის, ჩვეულებრივ, აუცილებელია ე. წ. რეალური შესრულება, ანუ მოვალემ იმ ფორმით უნდა მიანოდოს დათქმულ დროსა და ადგილას¹⁰² კრედიტორს (შეთანხმებული

¹⁰² მიტუას ვალდებულების შემთხვევაში – კრედიტორის ადგილსამყოფელი (საცხოვრებელი ადგილი თუ სანარმო); გაგზავნის ვალდებულების შემთხვევაში – გადამზიდველის მიერ კრედიტორისათვის შეთავაზება (გადამზიდველისთვის ჩაბარება საკმარისი არ არის).

სახეობის, ხარისხისა და რაოდენობის) ნივთი, რომ კრედიტორს მხოლოდ „ხელის განვდენალა“ სჭირდებოდა.

რეალური შეთავაზების მაგივრად სიტყვიერი შეთავაზება საკმარისია, თუ კრედიტორი აცხადებს, რომ ის არ მიიღებს ნივთს, ან თუ მიღებისათვის კრედიტორის თანაქმედება¹⁰³ (390 II) საჭირო (წამოღების ვალდებულება).

შეთავაზება ზედმეტია, თუ 390 II მუხლის მიხედვით კრედიტორის მხრიდან მოქმედების განხორციელების მომენტი კალენდრის მიხედვით არის განსაზღვრული, ან სხვაგვარად არის ზუსტად დადგენადი.

შესრულების მიღების მზაობის მიუხედავად, კრედიტორი მაინც ჩაითვლება ვადაგადაცილებულად, თუ ის მიღების თანადროულად მოვალეს არ სთავაზობს საპირისპირო შესრულებას და მოვალეს 369-ე მუხლის მიხედვით უფლება აქვს, არ შეასრულოს.

3. კრედიტორის მიერ შესრულების მიუღებლობა

გოგიმ არ ჩაიბარა შეთანხმებულ დროსა და ადგილას შეთავაზებული ღვინო.

შენიშვნა: თუ მყიდველი უმიზეზოდ არ იბარებს ნივთს, მაშინ ის ერთდროულად ითვლება როგორც ვადაგადაცილებულ კრედიტორად (მიღების ვადის გადაცილება – 390-ე და მომდევნო მუხლები, რადგან მყიდველი არის 477 I მუხლიდან წარმომდგარი მოთხოვნის კრედიტორი), ასევე ვადაგადაცილებულ მოვალედ (მე-400 და მომდევნო მუხლები, რადგან ის არის იმავდროულად 477 II მუხლის მიხედვით მიღების ვალდებულების მოვალე).

ის ფაქტი, რომ მყიდველი ერთდროულად შეიძლება გახდეს როგორც ვადაგადაცილებული კრედიტორი, ისე ვადაგადაცილებული მოვალე, განპირობებულია იმით, რომ ნასყიდობის შემთხვევაში მიღების ვალდებულება წარმოადგენს „ნამდვილ“ (ანუ ძირითად) ვალდებულებას (ისევე, როგორც წარდობის შემთხვევაში – 649-ე მუხლი) და არა მხოლოდ ე. წ. „მოვალეობას საკუთარი თავის წინაშე“.¹⁰⁴

¹⁰³ მაგ., შესაკერი ტანსაცმლის კრედიტორის ტანზე მორგება.

¹⁰⁴ „მოვალეობა საკუთარი თავის წინაშე“ (Obliegenheit, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ასევე ფაკულტატიურ ვალდებულად მოხსენიებული) გულისხმობს ისეთ ვალდებულებას, რომლის განხორციელებას მეორე მხარე სასამართლო წესით ვერ მოითხოვს, ისევე, როგორც ვერ მოითხოვს მისი დარღვევისათვის ზიანის ანაზღაურებას, თუმცა ამ ვალდებულების შეუსრულებლობა აკარგვინებს კრედიტორს გარკვეულ სამართლებრივ პოზიციებს და, ზოგადად, აუარესებს მის მდგომარეობას (მაგ., შესრულებისა და ფასის რისკის გადასვლა).

თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ მოვალის ვადაგადაცილებულად ქცევას დამატებით მისი გაფრთხილება სჭირდება (400 ზ), მყიდველი (როდესაც ეს გაფრთხილება ზედმეტი არ არის) შეიძლება უფრო ადრე გახდეს ვადაგადაცილებული კრედიტორი, ვიდრე ვადაგადაცილებული მოვალე. ამ სიტუაციაში პრობლემურია, აქვს თუ არა გამყიდველს მისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 391-ე მუხლის მიხედვით და ხომ არ იქნებოდა ეს გაფრთხილების წინაპირობის გვერდის ავლა. მყიდველს, როგორც ვადაგადაცილებულ მოვალეს, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება 404-ე მუხლის მიხედვით შეიძლება დაკისრებოდა მხოლოდ გაფრთხილების შემდეგ, ხოლო 391-ე მუხლით ის, როგორც ვადაგადაცილებული კრედიტორი, უფრო „ნაკლებს“ – „საკუთარი თავის წინაშე მოვალეობის“ და არა ძირითადი ვალდებულების – დარღვევისათვის უფრო მკაცრად (გაფრთხილების გარეშე) აგებს პასუხს. ამიტომაც, მოცემულ სიტუაციაში, გაფრთხილების გარეშე მყიდველის პასუხისმგებლობა 391-ე მუხლის მიხედვით უნდა გამოირიცხოს.

4. შესრულების მზაობა გამყიდველის მხრიდან

გამყიდველი მიტუა, თავის მხრივ, იყო მზად და შესწევდა უნარი, განეხორციელებინა შეპირებული შესრულება – ღვინოზე საკუთრების გადაცემა.

ამგვარად, კვირას, 14:00 საათისათვის ღვინის არჩაბარების მომენტიდან გოგი უნდა ჩაითვალოს ვადაგადაცილებულ კრედიტორად 390-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით.

II. სამართლებრივი შედეგი: შენახვის ხარჯის ანაზღაურება, 393 ა)

393 ა) მუხლის მიხედვით, ვადაგადაცილებულმა კრედიტორმა მოვალეს უნდა აუნაზღაუროს საგნის შენახვასთან დაკავშირებული ზედმეტი ხარჯი. ნორმის განმარტებიდან ცალსახად გამომდინარეობს, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ აუცილებელი ხარჯი, ანუ ხარჯი, რომლის გარეშეც ნივთი განადგურდებოდა, გაფუჭდებოდა, ხელმეორედ მიწოდებას საფრთხე შეექმნებოდა და ა. შ. აქ, მართალია, გოგი მიიჩნევს, რომ მიტუას ღვინო მეზობლისათვის უნდა დაეტოვებინა, თუმცა ამ უკანასკნელს არ შეიძლება მოეთხოვოს ნივთის ჩაბარება სრულებით უცხო პირისათვის და, გარდა ამისა, საკუთარ დაკავების უფლებაზე (369) უარის თქმა – მეზობლის სანდოობის შემთხვევაშიც, გოგის ღვინო უფრო ადრე ჩაბარდებოდა, ვიდრე მიტუას ნასყიდობის ფასი. ამიტომაც სხვაგვარად

„შენახვა“, ვიდრე ღვინის კახეთში უკან წაღებაა, მას არ შეეძლო. თუმცა შენახვის ხარჯებს არ განეკუთვნება მეორე დღეს ღვინის კახეთიდან თავიდან ჩამოტანის საფასური – ეს ხარჯები ემსახურებოდა არა ნივთის შენახვას, არამედ მის ხელმეორედ შეთავაზებას კრედიტორისათვის და 393 ა) მუხლის მიხედვით ის მოცული არ არის.

გარდა ამისა, 393 ა) მუხლი (განსხვავებით გსკ-ის 304-ე პარაგრაფისაგან) არ საუბრობს არც პირველი უშედეგო შეთავაზების – პირველი ტრანსპორტირების ხარჯებზე. ეს საკმაოდ მიუღებელი შედეგია, რადგან ამ ხარჯების ანაზღაურებას მოვალე სხვა საფუძვლით ვერ მოითხოვს.

საკითხის გაღრმავებისთვის: მაშინაც კი, როდესაც ეს უშედეგო შეთავაზება კრედიტორს იმავდროულად ვადაგადაცილებულ მოვალედ აქცევს (როგორც, მაგალითად, მოცემულ შემთხვევაში), რისთვისაც დამატებით მისი ბრალისა და გაფრთხილების არსებობაა აუცილებელი, შემთავაზებელი მოვალე ამ პირველი მიწოდების ხარჯების ანაზღაურებას მაინც ვერ მოითხოვს, რადგან ის ვადის გადაცილებამდეა წარმოშობილი. მართალია, მას შეუძლია, ზიანის ანაზღაურების სახით (404-ე მუხლით) მოითხოვოს მეორე მიწოდების ხარჯები (იხ. ქვევით), თუმცა ეს გადანყვეტა ყველა შემთხვევას არ შეესაბამება. განსაკუთრებით იმ შემთხვევებს, როდესაც მყიდველს ვადის გადაცილებაში ბრალი არ მიუძღვის, ან, ზოგადად, როდესაც შესრულების არმიღები პირი ერთდროულად არ არის ვადაგადაცილებული კრედიტორი და მოვალე.

ამიტომაც 393 ა) მუხლში მოხსენიებული „შენახვის ხარჯები“ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ, თუ მოვალეს ხელახალ შეთავაზებამდე შენახვისათვის ნივთის უკუტრანსპორტირება სჭირდება, მისით მოცულია ასევე პირველი მიწოდების ხარჯებიც.

შესაბამისად, პირველი ტრანსპორტირებისა და უკუტრანსპორტირების ხარჯები წარმოადგენს 393 ა) მუხლის მიხედვით ანაზღაურებად ხარჯებს.

შენიშვნა: მოვალეს შესრულების მიღების ვადის ბრალეულად გადამცილებელი კრედიტორისაგან შეუძლია მოითხოვოს ასევე ზიანის ანაზღაურებაც 391-ე მუხლის მიხედვით. ზიანს, რომელიც, მისი დეფინიციის თანახმად, არის „არანებაყოფლობითი მსხვერპლი“, უპირისპირდება დანახარჯები – „ნებაყოფლობითი მსხვერპლი“. მიუხედავად ამისა, ხშირ შემთხვევაში,

სიტუციიდან გამომდინარე, დასაშვებია დანახარჯების „ზიანად“ დაკვალიფიცირება და მისი ანაზღაურება შესაბამისი წინაპირობებით (იხ., მაგ., ქვევით).¹⁰⁵ თუმცა ამგვარი ცნებითი მანიპულაციის საფუძველი აქ არ არსებობს, რადგან კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების რეგულატორული კომპლექსი ცალსახად მიჯნავს ვადაგადამცილებელი კრედიტორის ზიანის ანაზღაურებისა და ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებებს. შესაბამისად, მიტუას დანახარჯები ანაზღაურდება 393 ა) მუხლის მიხედვით და არა 391-ე მუხლით.

B. ტრანსპორტირების ხარჯების, როგორც ზიანის, ანაზღაურება, 404

მიტუას შეიძლება ჰქონდეს გოგის მიმართ ტრანსპორტირების ხარჯების, როგორც ზიანის, ანაზღაურების მოთხოვნის უფლება 404-ე მუხლის მიხედვით. ამისათვის გოგი, ვადაგადამცილებელი კრედიტორის გარდა (იხ. ზევით), უნდა ყოფილიყო ასევე ვადაგადამცილებელი მოვალე მე-400 და მომდევნო მუხლების გაგებით.

მოვალე ითვლება ვადაგადამცილებულად ზემოთ აღნიშნული დანაწესების მიხედვით, თუ ის კრედიტორის ვადამოსულ და განხორციელებად მოთხოვნას ბრალეულად არ ასრულებს ვადის გადაცილების წარმომშობი მოვლენის (ჩვეულებრივ: გაფრთხილება ან დათქმული დროის ამონურვა) დადგომისას.

1. ვალდებულებითი ურთიერთობა

ვალდებულებითი ურთიერთობა, ნასყიდობის ხელშეკრულების სახით (477), აქ სახეზეა.

2. ვალდებულების დარღვევა: მოვალის მიერ ვადის გადაცილება, 400

გოგის უნდა დაერღვია ვალდებულება შესრულების ვადის გადაცილების ფორმით (400). ამის წინაპირობებია:

ა. კრედიტორის ვადამოსული და განხორციელებადი მოთხოვნა მოვალის წინააღმდეგ

477 II მუხლის მიხედვით, მყიდველს ევალება არა მხოლოდ ფასის გადახდა, არამედ ასევე ნაყიდი ნივთის ჩაბარება. ეს წარმოადგენს მის ძირი-

¹⁰⁵ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანჭურია (რედ.), 2019, მუხ. 408, მე-8 ველი.

თად და არა მხოლოდ „საკუთარი თავის წინაშე“ არსებულ ვალდებულებას. აქედან გამომდინარე, მიტუას, როგორც გამყიდველს, ჰქონდა გოგის წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნა ღვინის მიღებასთან დაკავშირებით. ეს მოთხოვნა ვადამოსული იყო კვირას, 14:00 საათზე. ამით სახეზე იყო მიტუას ვადამოსული და განხორციელებადი მოთხოვნა ღვინის ჩაბარებასთან დაკავშირებით 477 II მუხლის მიხედვით.

ბ. გაფრთხილება/მისი არასავალდებულოობა

მიტუას მხრიდან მოვალე გოგის გაფრთხილება 400 ბ) მუხლის მიხედვით აქ არასავალდებულო იყო, რადგან შესრულებისთვის კალენდარული თარიღი იყო განსაზღვრული.

გ. შეუსრულებლობა მოვალის მხრიდან

გოგიმ თავისი (მიღების) ვალდებულება 477 II მუხლის მიხედვით დროულად – კვირას, 14:00 საათზე – არ შეასრულა.

დ. მოვალის ბრალი

401-ე მუხლის მიხედვით, მოვალე მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ვადაგადაცილებულად, თუ დათქმულ დროში შეუსრულებლობა მისი ბრალით არის გამოწვეული. მოვალის ბრალის საკითხზე მსჯელობისას ანალოგიით უნდა იქნეს გამოყენებული 394 I 2 მუხლი, რომლის მიხედვითაც ვალდებულების დარღვევისას მოვალის ბრალი ივარაუდება, ანუ მტკიცების ტვირთი მის საზიანოდ არის შებრუნებული. თუმცა მოცემულ შემთხვევაში ამ ტვირთის შეტრიალების გარეშეც ცალსახად დგინდება გოგის ბრალი – მას „ბრალეულად“ და ყოველგვარი გამამართლებელი მიზეზის გარეშე ეძინა იმ დროს, როდესაც მიტუას დახვედრა ევალებოდა.

შენიშვნა: ბრალის აუცილებლობა არის კრედიტორისა და მოვალის მიერ ვადის გადაცილების მთავარი სტრუქტურული განმასხვავებელი ნიშანი. მოვალეს ეკისრება შესრულების ვალდებულება და ვადის გადაცილებად მხოლოდ მისი ბრალეული დარღვევა შეერაცხება. ამის საპირისპიროდ, შესრულების მიღება შეადგენს არა კრედიტორის ვალდებულებას (გამონაკლისი: 477 II, 649), არამედ მის „მოვალეობას საკუთარი თავის წინაშე“ და კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისათვის, 390-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით, მისი ბრალი აუცილებელი არ არის.

ამგვარად, გოგი იყო 477 II მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების (შესრულების) ვადის გადამცილებელი მოვალე.

3. ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანი, 404

მიტუას შეუძლია მოითხოვოს გოგისაგან ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ა. პირველი მიწოდება

პირველი მიწოდების ხარჯები, რომლებიც მიტუას წარმოეშვა ვადის გადაცილების დადგომამდე, არ წარმოადგენს ამ ვადის გადაცილებიდან კაუზალურად გამომდინარე შედეგებს და ისინი საერთოდ არ ანაზღაურდება.

ბ. უკან ტრანსპორტირება

უკუტრანსპორტირების (დამატებითი) საფასური – 140 ლარი – მიტუას წარმოეშვა უკვე მოვალის ვადის გადაცილების შემდეგ, მის შედეგად და ამგვარად ანაზღაურებადია 404-ე მუხლის მიხედვით.

დანახარჯები, რომორც ზიანი

ზიანის ცნება კანონში განმარტებული არ არის. გერმანული იურიდიული დოქტრინა, რომლის არგაზიარების საფუძველიც საქართველოში არ არსებობს, ხელმძღვანელობს ზიანის ე. წ. ნატურალური ცნებით.¹⁰⁶ მის თანახმად, ზიანი არის ნებისმიერი არანებაყოფლობითი ქონებრივი მსხვერპლი, რაც გამოწვეულია აქტივების შემცირებით ან პასივების ზრდით (*damnum emergens*), ასევე შემოსავლის მიუღებლობით (*lucrum cessans*).¹⁰⁷ ამ გაგებით, ზიანი უპირისპირდება დანახარჯებს, როგორც ნებაყოფლობითი ქონებრივი მსხვერპლს, თუმცა ზიანის ცნება მოიცავს ასევე ხარჯებსაც, რისი განევაც უხდება დაზარალებულს სხვა უფრო მნიშვნელოვანი სიკეთის დაზიანების თავიდან აცილების ან ზიანის ოდენობის შემცირების მიზნით.¹⁰⁸ ამგვარი დანახარჯი, საბოლოო ჯამში, მაინც ზიანის დადგომის საფრთხით არის

¹⁰⁶ *Looschelders, Schuldrecht AT*⁹, 301.

¹⁰⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 10 ოქტომბრის № ას-342-694-07 განჩინება; *ძლიერიშვილი*, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, ადვოკატი №2/2013, 31-ე და მომდევნო გვერდები; *რუსიაშვილი/ევნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი, 2016, 237.

¹⁰⁸ *Looschelders, Schuldrecht AT*⁹, 301.

განპირობებული და ვერ ჩაითვლება ნებაყოფლობით განეულად.¹⁰⁹ დანახარჯების ზიანად დაკვალიფიცირებისათვის, რა თქმა უნდა, საჭიროა, რომ ისინი საღად მოაზროვნე პირის თვალსაწიერადან, დაზარალებულის მდგომარეობის გათვალისწინებით, ზიანის პრევენციის აუცილებელ ზომად წარმოჩნდნენ.

ამ სიტუაციაში, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მიტუას არ ჰქონდა სხვა გამოსავალი, გარდა ღვინის უკან, კახეთში წაღებისა, რის გამოც ამისთვის განეული დანახარჯები 404-ე მუხლის გაგებით ზიანად უნდა შეფასდეს.

გ. თავიდან მიწოდების ხარჯები

კახეთიდან ღვინის მეორე დღეს (ხელმეორედ) ტრანსპორტირების ხარჯები მიტუას წარმოეშვა ასევე გოგის მხრიდან ვადის გადაცილების შემდეგ და ესეც ამ ვადის გადაცილებით იყო გამოწვეული. შესაბამისად, ზემოთ ხსენებული უკუტრანსპორტირების ხარჯების მსგავსად უნდა ანაზღაურდეს.

შენიშვნა: კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას 393 ა) მუხლით ანაზღაურდება მხოლოდ უშედეგო შეთავაზებისა და უკუტრანსპორტირების ხარჯები, მაგრამ არა მომდევნო შეთავაზების ხარჯი.

შედეგი: მიტუას გოგიასაგან შეუძლია მოითხოვოს პირველი უშედეგო შეთავაზებისა და უკუტრანსპორტირების ხარჯები 393 ა) მუხლის მიხედვით, ან ალტერნატივის სახით უკუტრანსპორტირებისა და

A. შენახვის ხარჯების ანაზღაურება, 393 ა) (+)
<p>I. მიღების ვადის გადაცილება (+)</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მოთხოვნის შესრულებადობა (+) ➤ შეთავაზება მოვალის მხრიდან (+) ➤ კრედიტორის მიერ შესრულების მიუღებლობა (+) ➤ შესრულების მზაობა გამყიდვლის მხრიდან (+) <p>II. შენახვის ხარჯის ანაზღაურება (+)</p> <p>⇨ პირველი ტრანსპორტი = შენახვის ხარჯები</p>
B. ზიანის ანაზღაურება, 404 (+)
<p>I. ვალდებულებითი ურთიერთობა (+)</p> <p>II. მოვალის მიერ ვადის გადაცილება, 400 (+)</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ვადამოსული და განხორციელებადი მოთხოვნა (+) ➤ გაფრთხილების არასავალდებულოობა(+) ➤ შეუსრულებლობა (+) ➤ მოვალის ბრალი (+) <p>III. ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანი, 404</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პირველი მიწოდება (-)

¹⁰⁹ Heinrichs, in Palandt BGB, Vorbem. § 249 Rn. 4.

ხელმეორედ მიწოდების ხარჯები, როგორც ზიანი 404-ე მუხლის მიხედვით.

- უკან ტრანსპორტირება (+)
- თავიდან მიწოდების ხარჯები (+)

შედეგი: პირველი უშედეგო შეთავაზებისა და უკუტრანსპორტირების ხარჯები – 393 ა) მუხლით; უკუტრანსპორტირებისა და ხელმეორედ მიწოდების ხარჯები – 404-ე მუხლით.

სამახსოვრო!

- 390 I მუხლის მიხედვით შესრულების შეთავაზებისათვის, ჩვეულებრივ, აუცილებელია ე. წ. რეალური შესრულება. ანუ მოვალემ იმ ფორმით უნდა მიანოდოს დათქმულ დროსა და ადგილას კრედიტორს (შეთანხმებული სახეობის, ხარისხისა და რაოდენობის) ნივთი, რომ კრედიტორს მხოლოდ „ხელის განვდენალა“ სჭირდებოდეს.
- თუ მყიდველი უმიზეზოდ არ იბარებს ნივთს, მაშინ ის ერთდროულად ითვლება როგორც ვადაგადაცილებულ კრედიტორად (მიღების ვადის გადაცილება – 390-ე და მომდევნო მუხლები, რადგან მყიდველი არის 477 I მუხლიდან წარმომდგარი მოთხოვნის კრედიტორი), ასევე ვადაგადაცილებულ მოვალედ (მე-400 და მომდევნო მუხლები, რადგან ის არის, იმავდროულად, 477 II მუხლის მიხედვით მიღების ვალდებულების მოვალე).
- 393 ა) მუხლში მოხსენიებული „შენახვის ხარჯები“ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ, თუ მოვალეს ხელახალ შეთავაზებამდე შენახვისათვის ნივთის უკუტრანსპორტირება სჭირდება, მისით მოცულია ასევე პირველი მიწოდების ხარჯებიც.
- შესრულების მიღება წარმოადგენს არა კრედიტორის ვალდებულებას (გამონაკლისი: 477 II, 649), არამედ მის „მოვალეობას საკუთარი თავის წინაშე“ და კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისათვის 390-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით მისი ბრალი აუცილებელი არ არის.

კაზუსი 24. ღვინო და ზიანი

(კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება, ნივთის დაღუპვის რისკი, მოვალის პასუხისმგებლობა 392-ე მუხლის მიხედვით; განზრახვა და უხეში გაუფრთხილებლობა; კრედიტორის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება; ზიანის ანაზღაურება საკუთარი გადახდისუუნარობის შესახებ დროულად შეუტყობინებლობისათვის)

ისევე, როგორც წინა კაზუსში, გოგი მიტუას კარებს არ უღებს, რის შემდეგაც კახეთიდან ამჯერად საკუთარი მანქანით ჩამოსული მიტუა ისევ უკან გაეშურება. თუმცა უკანა გზაზე, დაღლილი, წამიერად მოადუნებს ყურადღებას და სახიფათოდ მიუახლოვდება წინ მიმავალ ტრაილერს. მას შემდეგ, რაც ტრაილერი მოულოდნელად მკვეთრად დაამუხრუჭებს, მიტუასაც მკვეთრად უწევს დამუხრუჭება და სავალი ნაწილიდან გადასვლა. მართალია, ისიც და მისი მანქანაც ინციდენტს უვნებელი გადაურჩებიან, თუმცა დაიმსხვრევა საბარგულში ჩაწყობილი ბოცები. მეორე დღეს გამოჩენილი გოგი მიტუასგან ითხოვს 1000 ლარს – ის უკვე მოურიგდა თავის მეზობელ ჯემალს, რომელსაც ღვინის მალაზია აქვს, ამ ღვინოების 3000 ლარად მიყიდვასთან დაკავშირებით. მიტუა არაფრის ანაზღაურებას არ აპირებს და, თავის მხრივ, ითხოვს ნასყიდობის საფასურის სრულად გადახდას.

ვარიანტი: კვირას, 14:00 საათზე გოგი უკვე ფეხზეა და არც მიტუას მოსვლა გამორჩენია, თუმცა განგებ არ უღებს მას კარს – მისთვის მისაცემი მთლიანი ფული მან წინა დღეს გერმანია-კანადის ჰოკეის თამაშზე „შეადგო“ და წააგო. ის არც მეორე და მესამე დღეს პასუხობს მიტუას ზარებს, რადგან ჩოგბურთზე დადებული ასი ლარით ჯერ კიდევ აქვს ნაგებულის „ამოღების“ იმედი. თუმცა სამშაბათ საღამოს ეს იმედიც გაუცრუვდება. რის შემდეგაც უკვე თავად უკავშირდება მიტუას და სთხოვს ნასყიდობის ფასის გადახდის ერთი თვით გადავადებას. მიტუა ყველაფერს მშვენივრად ხვდება და დაუყოვნებლივ ამბობს უარს გოგისთან დადებულ ხელშეკრულებაზე. გარდა ამისა, ის ითხოვს 1000 ლარს ზიანის ანაზღაურების სახით – გოგი რომ არ დამალვოდა და თავიდანვე გაემხილა თავისი უფულობა, ის ხელშეკრულებიდან კვირასვე გავიდოდა და არ გაუშვებდა ხელიდან მეზობელი მიხოს შემოთავაზებას ღვინის 3000 ლარად შეძენასთან დაკავშირებით. მიხომ ღვინო უკვე სხვაგან იყიდა.

შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა!

A. გოგის მოთხოვნა მიტუას მიმართ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, 394 I, II-III

გოგის შეიძლება ჰქონდეს მიტუასაგან შესრულების შეუძლებლობის გამო შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 394 I, II-III მუხლის მიხედვით. ამისათვის აუცილებელია, რომ მიტუას ბრალეულად დაერღვია გოგის წინაშე ნაკისრი ვალდებულება და მიეყენებინა ამით მისთვის ზიანი.

შენიშვნა: გამომდინარე იქიდან, რომ კაზუსის შეკითხვას პასუხი უნდა გაეცეს „მოცემული მომენტიდან“, ამ მომენტში უკვე სახეზეა ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (იხ. ქვევით) და, შესაბამისად, ამოხსნა უნდა დაიწყოს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებით 394 I, II-III მუხლის მიხედვით. თუმცა შეუძლებლობა დადგა კრედიტორის ვადის გადაცილების მომენტში. გასათვალისწინებელია მოვალის პრივილეგირება 392-ე მუხლის მიხედვით მისი პასუხისმგებლობის ფარგლებში (394 I).

I. ვალდებულებითი ურთიერთობა

ვალდებულებითი ურთიერთობა ნამდვილი ნასყიდობის სახით (477) აქ სახეზეა.

II. შესრულების შეუძლებლობა

ვალდებულების დარღვევა შეიძლება გამომხატული იყოს შესრულების შეუძლებლობაში.

მიტუა, როგორც თავდაპირველი, 477 I მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების მოვალე, შეიძლება აღარ იყოს ვალდებული, შეასრულოს, თუ მიყიდული და ამაოდ მიწოდებული ნივთის განადგურების შემდეგ დამდგარია შეუძლებლობა.

შეუძლებლობა ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთის ნასყიდობისას დგება ამ ნივთის განადგურებასთან ერთად, თუმცა აქ ნაყიდი ღვინო ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ჩაითვლებოდა ინდივიდუალურ ნივთად, რადგან „კახური მწვანე“ მიტუას 200 ლიტრის განადგურების შემდეგაც აგრძელებდა არსებობას ბუნებაში. გოგისა და მიტუას შეიძლება შეეთანხმებინათ ე. წ. „მოვალის მარაგით შემოფარგლული“ გვაროვნული ვალდებულება, რა შემთხვევაშიც, ამ მარაგის განადგურების შემდეგ

დადგებოდა შეუძლებლობა, თუმცა კაზუსის ფაბულაში ამ დაშვების გამამყარებელი რაიმე ხელმოსაჭიდი არ არსებობს და არ ჩანს, განადგურდა თუ არა მიტუას მთლიანი მარაგი. თუმცა „ჩვეულებრივი“ (არა მარაგით შემოსაზღვრული) გვაროვნული ვალდებულების შემთხვევაშიც შეიძლება დადგეს შეუძლებლობა, თუ ნივთი განადგურდა მას შემდეგ, რაც მოვალემ გააკეთა ყველაფერი (აუცილებელი) შესრულებისათვის, ანუ მოხდა ნივთის კონკრეტიზაცია.

მიტანის ვალდებულების – რომელიც შეათანხმეს აქ მიტუამ და გოგომ – შემთხვევაში, მოვალემ უნდა გამოაცალკევოს ნივთი დარჩენილი გვარისაგან და შესთავაზოს კრედიტორს იმ ფორმით, რომ მისი არმიღებით კრედიტორი ხდება ვადაგადაცილებული 390-ე მუხლის მიხედვით. მიტუასთვის კარის არგალებით და მისი შეთავაზების არმიღებით გოგი იქცა ვადაგადაცილებულ კრედიტორად (იხ. წინა კაზუსი).

ამით ნივთი ითვლება დაკონკრეტებულად და ამ მომენტის შემდეგ მისი განადგურებით დგება ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, რაც არის ვალდებულების დარღვევა 394 I მუხლის მიხედვით.

III. მოვალის ბრალი, 394 I

მიტუას პასუხისმგებლობის შემდეგი წინაპირობაა მისი ბრალი ამ ვალდებულების დარღვევაში, რაც, 394 I მუხლის მიხედვით, ივარაუდება. თუმცა აქ შეიძლება მიტუამ მოახერხოს ექსკუპირება (თავის გამართლება) 394 I 2 მუხლის მიხედვით.

1. პასუხისმგებლობის მასშტაბი, 395 I

395 I მუხლის მიხედვით, მოვალე პასუხს აგებს განზრახვისა და გაუფრთხილებლობისათვის, მაშინ, როდესაც მიტუას მხრიდან ღვინის განზრახ განადგურება აქ გამორიცხულია. საკითხავია, ხომ არ შეერაცხება მას ბრალად გაუფრთხილებლობა ღვინის განადგურებაში. გაუფრთხილებლად მოქმედებს პირი, რომელიც არ იჩენს სამოქალაქო ბრუნვაში სავალდებულო წინდახედულობას.

შენიშვნა: ის, თუ რა წინდახედულობა ჩაითვლება სავალდებულოდ, განისაზღვრება ბრუნვის მოთხოვნების, განსაკუთრებით, კონკრეტული სიტუაციის თავისებურებითა და იმ წრის საშუალო სტატისტიკური წარმომადგენლის (პროფესია, ასაკი, განათლება და ა.შ.) უნარების გათვალისწინებით,

რომელსაც განეკუთვნება მოქმედი პირი – წინდახედულობის ობიექტური მასშტაბი.¹¹⁰ მოქმედი პირის ინდივიდუალური უნარები, გამოცდილება და ა. შ. უმნიშვნელოა.¹¹¹

გაუფრთხილებლობის ფორმები ორგვარია: მსუბუქი (ჩვეულებრივი) და უხეში. უხეში გაუფრთხილებლობა სახეზეა, როდესაც პირი არ იღებს წინდახედულობის იმ მინიმალურ ზომასაც კი, რომელსაც მოცემულ სიტუაციაში ყველა სხვა გაითვალისწინებდა.

აქ ორი რამ შეიძლება იყოს პრობლემური: ღვინით სავსე ბოცების საბარგულში ჩაწყობა – დამაგრების გარეშეც კი, რაც კაზუსიდან არ ჩანს – არის ქართულ რეალობაში ღვინის ტრანსპორტირების ჩვეული ხერხი და ღვინით კერძო მოვაჭრეს მეტი წინდახედულობის დაცვა არ შეიძლება მოეთხოვოს. რაც შეეხება გზაზე ყურადღების ნამიერ მოდუნებას, რის გამოც მიტუას მკვეთრად დამუხრუჭება და გზიდან გადასვლა მოუწია – ეს, რა თქმა უნდა, წინდახედულობის ნორმის უგულვებლყოფაა, თუმცა წინდახედულობის მხოლოდ მინიმალური ზომის არგათვალისწინებად უნდა ჩაითვალოს. ყურადღება ნამიერად შეიძლება ნებისმიერმა გამოცდილმა მძღოლმა მოადუნოს და, როგორც კაზუსიდან ჩანს, წინ მიმავალი ტრაილერის მძღოლს მკვეთრად რომ არ დაემუხრუჭებინა, ყველაფერი ინციდენტის გარეშე ჩაივლიდა. შესაბამისად, მიტუას ბრალად მხოლოდ წინდახედულობის მინიმალური მოთხოვნების დარღვევა, ანუ მსუბუქი გაუფრთხილებლობა შეიძლება შეერაცხოს.

მიუხედავად ამისა, 395 I მუხლში დაფიქსირებული ზოგადი პრინციპის თანახმად, მოვალე თანაბრად აგებს პასუხს ნებისმიერი ფორმის გაუფრთხილებლობისათვის, თუმცა აქ მიტუას სასარგებლოდ შეიძლება მოქმედებდეს 392-ე მუხლით გათვალისწინებული პრივილეგია.

2. პასუხისმგებლობის შერბილება 392-ე მუხლის მიხედვით

392-ე მუხლის თანახმად, კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას მოვალეს ბრალად მხოლოდ განზრახვა ან უხეში გაუფრთხილებლობა შეერაცხება, რაც ნიშნავს იმას, რომ მსუბუქი გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისათვის ის პასუხს არ აგებს.

¹¹⁰ Lorenz, in BeckOK BGB, § 276 Rn. 21.

¹¹¹ BGH NJW 1981, 1603; BGH NJW 2000, 2813.

აქ გოგი იყო ვადაგადაცილებული კრედიტორი (იხ. წინა კაზუსის ამოხსნა) და მოვალე მიტუამ ღვინო მისი ამ ვადაგადაცილებულობის განმავლობაში გაანადგურა მსუბუქი გაუფრთხილებლობით. შესაბამისად, 392-ე მიხედვით მიტუას პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს.

შედეგი: გოგის არ აქვს მიტუას წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 394 I, II-III მუხლების მიხედვით.

B. მიტუას ფასის გადახდის მოთხოვნა

მიტუას შეიძლება ჰქონდეს გოგის მიმართ ფასის გადახდის მოთხოვნა 477 II მუხლის მიხედვით. ეს მოთხოვნა მას წარმოეშვა ნასყიდობის დადებისასთან ერთად.

1. მოთხოვნის გაქარწყლება 406 I მუხლის მიხედვით

თუმცა გოგის ეს მოთხოვნა შეიძლება დაეკარგა 406 I მუხლის თანახმად. ამ მუხლში დაფიქსირებული პრინციპის მიხედვით, შესრულების მოთხოვნის გაქარწყლებასთან ერთად ქარწყლება ასევე საპირისპირო შესრულების მოთხოვნა.

შენიშვნა: ეს ზოგადი წესი 406 I მუხლიდან მხოლოდ უკუდასკვნით გამომდინარეობს. ამ დანაწესში საუბარია საგამონაკლისო შემთხვევაზე, ანუ, როდესაც, შესრულების მოთხოვნის გაქარწყლების მიუხედავად, საპირისპირო მოთხოვნა ძალაში რჩება და რისი წინაპირობაცაა შესრულების მოთხოვნის კრედიტორის ბრალით გაქარწყლება. აქედან უკუდასკვნით გამომდინარეობს წესი, რომ, თუ კრედიტორს არ მიუძღვის ბრალი შესრულების მოთხოვნის მოსპობაში, ასევე მოვალე კარგავს საკუთარ, კრედიტორის წინააღმდეგ მიმართულ, მოთხოვნას.

აქ, როგორც ზემოთ აღინიშნა, მიტუას ვალდებულება ღვინოზე საკუთრებისა და მფლობელობის გადაცემასთან დაკავშირებით გაქარწყლდა შეუძლებლობის გამო, რასაც, წესით, 406 I მუხლის მიხედვით უნდა გამოენვია ასევე გოგის (ფასის გადახდის) ვალდებულების მოსპობა. თუმცა საკითხავია, თუ როგორ აისახება ამ გადაწყვეტაზე ის გარემოება, რომ შეუძლებლობა დადგა მაშინ, როდესაც გოგი უკვე ვადაგადაცილებული კრედიტორი იყო.

2. 406 II მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი

გარდა თავად 406 I მუხლში დაფიქსირებული გამონაკლისისა, წესი, რომლის მიხედვითაც შესრულების მოთხოვნის გაქარწყლებას მიჰყვება ასევე საპირისპირო მოთხოვნაც, არ მოქმედებს 406 II მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში. კერძოდ, თუ კრედიტორი ვადაგადაცილებულია და ამ მომენტში მოვალე შეუძლებლობის გამო თავისუფლდება საკუთარი შესრულების ვალდებულებისაგან, მისი საპირისპირო მოთხოვნა კრედიტორის მიმართ ძალაში რჩება.

აქ გოგი ღვინის განადგურებისას სწორედ ვადაგადაცილებული კრედიტორი იყო, რის გამოც მიტუას უნარჩუნდება მისგან ფასის მოთხოვნის უფლება.

შედეგი: მიტუას აქვს გოგისაგან ფასის გადახდის მოთხოვნა 477 II მუხლის მიხედვით.

C. ვარიანტი – მიტუას მოთხოვნა გოგისაგან ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით

I. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 400, 404, 411 მუხლების მიხედვით

მიტუას შეიძლება ჰქონდეს გოგისაგან ხელიდან გაშვებული მოგების, როგორც მოვალის მიერ ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანის, ანაზღაურების მოთხოვნის უფლება 400, 404, 411 მუხლების მიხედვით.

მიტუას მიაჩნია, რომ გოგის მხრიდან მისი გადახდისუუნარობის დროულად გაცხადების შემთხვევაში ის გავიდოდა ხელშეკრულებიდან და უფრო სარფიანად გაყიდდა ხელმეორედ თავიდან გოგისთვის მიყიდულ ღვინოს.

1. მოვალის ვადის გადაცილების წინაპირობები

გოგის, რომელიც იყო მყიდველი, 477 II მუხლის მიხედვით ეკისრებოდა შესრულების მიღების ნამდვილი (არა მხოლოდ „საკუთარი თავის წინაშე“) ვალდებულება, რომელიც მან აქ დაარღვია და გახდა ამით ვადაგადაცილებული მოვალე მე-400 მუხლის მიხედვით (იხ. დეტალურად ამასთან დაკავშირებით წინა კაზუსის ამოხსნაში).

2. ანაზღაურებადი ზიანი

ზოგადად, ხელშეკრულების ხელიდან გაშვება შეიძლება წარმოადგენდეს ანაზღაურებადი ზიანის ფორმას – მიუღებელ შემოსავალს – 411-ე მუხლის მიხედვით. საკითხავია, არის თუ არა ეს ზიანი ამ შემთხვევაში გოგის ქმედებით – ვადის გადაცილებით გამონწვეული.

ა. შედარება ჰიპოთეზურ მდგომარეობასთან

ზიანი არის სხვაობა ამჟამინდელ და იმ ჰიპოთეზურ მდგომარეობას შორის, რომელიც იარსებებდა ზიანის გამომწვევი ქმედების გარეშე. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ ზიანის მომტანი ქმედება დამზიანებელს შეერაცხებოდეს ვადის გადაცილების ფორმით ვალდებულების დარღვევად.

ამგვარ ქმედებად მიტუა აქ მიიჩნევეს გოგის მიერ კარის არგალებას და პირდაპირ ართქმას იმისას, რომ არც ფული ჰქონდა და ის არც უახლოეს მომავალში ექნებოდა. ამ მომენტიდან ის ჩაითვლებოდა ვადაგადაცილებულ მოვალედ, რადგან მოვალის მზაობა შესრულების მიღებაზე არაფერს ნიშნავს, თუ ის, თავის მხრივ, არ სთავაზობს მოვალეს მიღების თანადროულად განსახორციელებელ საპირისპირო შესრულებას (იხ. წინა კაზუსი) და მიტუას ექნებოდა გასვლის საფუძველი.

თუმცა ის, რაც გოგიმ გააკეთა, – კარის საერთოდ არგალება, – ასევე იყო მისი ვადაგადაცილებულ მოვალედ ქცევის საფუძველი. ანუ, საბოლოო ჯამში, მიტუა აპელირებს იმაზე, რომ, თუ გოგი არა, ამ, არამედ სხვა ფორმით გახდებოდა ვადაგადაცილებული მოვალე, ის გავიდოდა ხელშეკრულებიდან და აღარ გაუშვებდა ხელიდან უფრო სარფიან გარიგებას. აქ შეიძლება ითქვას, რომ კონტაქტზე საერთოდ არგამოსვლა არის კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების უფრო „მძიმე“ ფორმა, ვიდრე შეთავაზებული შესრულების მიღების მზაობის გამოთქმა და ფასის გადახდის შეუძლებლობის აღიარება. მიუხედავად ამისა, 404-ე მუხლი იცავს მოვალეს კრედიტორის ვადის გადაცილებისაგან და ამით მიყენებული ზიანისაგან და არა კონკრეტული ფორმით ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანისაგან. ის არ აწესებს მოვალის ვალდებულებას, იმ ფორმით გახდეს ვადაგადაცილებული, რომელიც მოვალისათვის ყველაზე მოსახერხებელი იქნება. ანუ ჰიპოთეზური (შესაძარბელი) შემთხვევა – როდესაც მიტუას ზიანი არ ადგება – არის არა გოგის მიერ 477 II მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დროულად შესრულება, არამედ მისი სხვა ფორმით დარღვევა. ეს ინტერესი მე-400, 404-ე მუხლებით დაცული არ არის.

ბ. ნეგატიური ინტერესი

გარდა აღნიშნულისა, ის ზიანი, რომელსაც მიტუა ითხოვს, არის ნეგატიური ინტერესის საფუძველზე გამოთვლილი მოგება, ანუ არა ის მოგება, რომელსაც მიიღებდა (477 II მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის) კრედიტორი მოვალის მიერ ხელშეკრულების დროული შესრულებით (პოზიტიური ინტერესი), არამედ – ამ ხელშეკრულების დროულად თავიდან მოშორებით (ნეგატიური ინტერესი). 404-ე მუხლით ეს ნეგატიური ინტერესი დაცული არ არის. 404-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურებისას ვადაგადაცილებულმა მოვალემ კრედიტორი უნდა ჩააყენოს ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც ის იქნებოდა, მოვალეს ვადა რომ არ გადაეცილებინა, ანუ დროულად განეხორციელებინა შესრულება – აქ: მიეღო შემოთავაზებული ნივთი და გადაეხადა შეპირებული ფასი (477 II). მაგრამ ამ შემთხვევაში მიტუა ველარ მოახერხებდა ხელშეკრულებიდან გასვლას და სხვა უფრო სარფიანი გარიგების დადებას. შესაბამისად, დროული შესრულების შემთხვევაში ის მაინც ვერ მიიღებდა იმ მოგებას, რომელზეც აპელირებს 404-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის ფარგლებში.

II. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 391-ე მუხლის მიხედვით

მიტუას შეიძლება ჰქონდეს გოგისაგან ხელიდან გაშვებული მოგების, როგორც ზიანის, ანაზღაურების მოთხოვნის უფლება 391-ე, 411-ე მუხლების მიხედვით.

კარის არგალებით მიტუა გახდა არა მხოლოდ ვადაგადაცილებული მოვალე მე-400 და მომდევნო მუხლების მიხედვით, არამედ ასევე ვადაგადაცილებული კრედიტორი 390-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით (იხ. ნინა კაზუსის ამოხსნა). თუმცა აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ განსხვავებით მოვალის მიერ ვადის გადაცილებისაგან, რომელიც არის „ნამდვილი“ ვალდებულების დარღვევა და მეორე მხარეს ამ საბაბით შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან 405-ე მუხლის მიხედვით, კრედიტორის ვადის გადაცილების შემთხვევაში მოვალეს ამის უფლება არ აქვს (შდრ. მე-500 მუხლი). ამიტომაც გოგი, რა ფორმითაც არ უნდა გამხდარიყო ვადაგადაცილებული კრედიტორი, მიტუას ამ საფუძველით ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არ ექნებოდა.

III. ზიანის ანაზღაურება 394 I, 316 II მუხლების მიხედვით

მიტუას შეიძლება ჰქონდეს მიტუასაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 394 I, 316 II მუხლების მიხედვით ე. წ. დაცვითი (ან დამატებითი) ვალდებულების დარღვევის გამო. ამ დანაწესების ურთიერთკავშირის საფუძველზე ვალდებულებითი ურთიერთობის მონაწილეებს ეკისრებათ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არა მხოლოდ პირველადი (შესრულების) ვალდებულების დარღვევისათვის, არამედ ასევე სხვა, დამატებითი ვალდებულებების დარღვევისათვისაც. განსხვავებით ზემოთ მოყვანილი მოთხოვნის საფუძვლებისაგან, 394 I, 316 II მუხლები იცავენ ასევე დაზარალებულის ნეგატიურ ინტერესს.

აქ დამატებითი ვალდებულება, რომელიც დაარღვია გოგიმ, შეიძლება იყოს საკუთარი გადახდისუნარობის მეორე მხარისათვის გამხელის ვალდებულება. თუ გოგის ეკისრებოდა ვალდებულება, დროულად გაემხილა მიტუასათვის ის ფაქტი, რომ ნასყიდობის ფასის გადასახდელი ფული არ ჰქონდა და არც უახლოეს მომავალში ექნებოდა, – რის შემდეგაც მიტუა, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ გავიდოდა ხელშეკრულებიდან და სხვა სარფიანი გარიგების რეალიზებას მოახერხებდა, – ამის არგაკეთებით გოგიმ ბრალეულად მიაყენა მას ზიანი, რომელიც უნდა აუნაზღაუროს 394 I, 316 II მუხლების მიხედვით.

მართალია, 316 II მუხლიდან გამომდინარე დამცავ ვალდებულებებში, ე.წ. „გამხელის მოვალეობებში“, შედის ასევე საკუთარი ქონებრივი მდგომარეობის კრედიტორისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, თუმცა ის აბსოლუტური გამონაკლისია.¹¹² ეს ვალდებულება მოვალეს ეკისრება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოვალეს შესრულების განხორციელებამდე გაკოტრება ემუქრება ან ასეთი მდგომარეობა უკვე ხელშეკრულების დადებამდეა სახეზე.¹¹³ ზოგადი ვალდებულება საკუთარი ქონებრივი მდგომარეობის გამხელის, მათ შორის, კონკრეტული ვალის დროულად დაფარვის შესახებ შეტყობინებისა, 316 II მუხლიდან არ გამომდინარეობს.¹¹⁴

<p>A. გოგის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, 394 I, II-III (-)</p> <p>I. ვალდებულებითი ურთიერთობა (+)</p> <p>II. შესრულების შეუძლებლობა (+)</p> <p>III. მოვალის ბრალი, 394 I (-)</p> <p>➤ პასუხისმგებლობის მასშტაბი, 395 I (+)</p> <p>◀ პასუხისმგებლობის შერბილება (392)</p>

¹¹² *Bachmann*, in Münchener Kommentar zum BGB, § 241 Rn. 148.

¹¹³ იქვე.

¹¹⁴ OLG Hamburg OLGE 8, 421.

მოცემულ შემთხვევაში კაზუსიდან არ იკითხება, რომ გოგი, გარდა იმისა, რომ მიტუასათვის გადადებული ფული გაფლანგა, ზოგადად გაკოტრების პირას იყო, შესაბამისად, მას არც ეკისრებოდა მიტუასათვის ამის თქმის მოვალეობა.

გოგის 316 II მუხლის გაგებით დამცავი ვალდებულება არ დაურღვევია და მიტუა მისგან ამ საფუძვლით ზიანის ანაზღაურებას ვერ მოითხოვს.

შედეგი: მიტუას არ აქვს გოგისაგან ხელიდან გაშვებული გარიგების გამო მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

B. მიტუას ფასის გადახდის მოთხოვნა (+)
I. მოთხოვნის გაქარწყლება, 406 I(-)
II. გამონაკლისი – 406 II (+)
შედეგი: მიტუას ნასყიდობის ფასის მოთხოვნა (+), გოგის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (-)
C. ვარიანტი – მიტუას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა
I. მოთხოვნა 400, 404, 411 მუხლებით (-)
<ul style="list-style-type: none"> ➤ ვადის გადაცილება (+) ➤ ზიანის ანაზღაურება <ul style="list-style-type: none"> ○ ჰიპოთეზურ შემთხვევაში ზიანი არ დგება (-) ○ ნეგატიური ინტერესი (-)
II. მოთხოვნა 391-ე მუხლით (-)
⇒ კრედიტორის ვადის გადაცილების შემთხვევაში მოვალეს არ შეუძლია ხელშეკრულებიდან გასვლა
III. მოთხოვნა 394 I, 316 II მუხლის (-)
⇒ არ არსებობს საკუთარი ქონებრივი მდგომარეობის გამხელის ზოგადი ვალდებულება
შედეგი: ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (-)

სამახსოვრო!
<ul style="list-style-type: none"> ➤ ის, თუ რა წინდახედულობა ჩაითვლება სავალდებულოდ (395 I მუხლის გაგებით), განისაზღვრება ბრუნვის მოთხოვნების, განსაკუთრებით, კონკრეტული სიტუაციის თავისებურებითა და იმ წრის საშუალო სტატისტიკური წარმომადგენლის (პროფესია, ასაკი, განათლება და ა. შ.) უნარების გათვალისწინებით, რომელსაც განეკუთვნება მოქმედი პირი – წინდახედულობის ობიექტური მასშტაბი. მოქმედი პირის ინდივიდუალური უნარები, გამოცდილება და ა. შ. უმნიშვნელოა.

- 406 I მუხლიდან უკუდასკვნით გამომდინარეობს წესი, რომ, თუ კრედიტორს არ მიუძღვის ბრალი შესრულების მოთხოვნის მოსპობაში, ასევე მოვალე კარგავს საკუთარ, კრედიტორის წინააღმდეგ მიმართულ, მოთხოვნას.
- დიფერენციაციის ჰიპოთეზის მიხედვით ზიანის გამოთვლისას ჰიპოთეზურ ათვლის წერტილად უნდა ავიღოთ მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა მოვალის მხრიდან ვალდებულების დარღვევის გარეშე და არა მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, მოვალეს ვალდებულება სხვაგვარად (ნაკლებ მძიმე ფორმით) რომ დაერღვია.
- 404-ე მუხლის მიხედვით კრედიტორი ვერ მოითხოვს ნეგატიური ინტერესის საფუძველზე გამოთვლილი ზიანის ანაზღაურებას.
- 390-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით კრედიტორის ვადის გადაცილების შემთხვევაში მოვალეს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არ აქვს.
- 316 II მუხლით მოვალეს არ ეკისრება ზოგადი ვალდებულება საკუთარი ქონებრივი მდგომარეობის გამხელისა.

კაზუსი 25. ბონდო ვასო

(ვალდებულების შეწყვეტა; კრედიტორისა და მესამე პირის წინაშე შესრულება, შესრულების ეფექტი)

გივიკო, რომელიც სულ რაღაც ერთი წელია, ეზიარა არა ოკუპანტურ, არამედ ონლაინ „რულეტკას“, ისეთი წარმატებული აღმოჩნდა ამ საქმეში, რომ მშობლებმა, გიზომ და ნელიკომ, უკვე აღარც კი იციან, ოკუპანტურ „რულეტკასთან“ ზიარება ხომ არ აჯობებდა. მას შემდეგ, რაც სახლიდან უკანასკნელი ვაზაც წაათრია და გაყიდა, არც ფული აქვს და არც მისი შოვნის შანსი. ამიტომაც მიადგება თავის ძველ კლასელ ვასოს, რომელმაც გივიკოს ამბების შესახებ არაფერი იცის. ვასოს ეტყვის, რომ დედამისს აქვს კიბო, ხოლო მამამისმა უკვე ორჯერ სცადა თავის მოკვლა და ეს ყველაფერი თავიდან რომ აიცილოს, სასწრაფოდ უნდა „ათხოვოს“ 1 000 ლარი. 500 ლარს კვირის ბოლოსვე დაუბრუნებს, ხოლო მეორე ხუთასს – მეორე კვირის ბოლოს. ვასო, რომელიც ბავშობიდან გულჩვილობით გამოირჩეოდა, რის გამოც „ბონდოც“ კი შეარქვეს, ვერ ეუბნება უარს გასაჭირში ჩავარდნილ მეგობარს და უსიტყვოდ აძლევს მოთხოვნილს. თუმცა ვასოს ცოლი მისნაირი ბონდო არ არის და კვირის ბოლოს გივიკოსთან რეკავს ვასოს სიმამრი და „გივიკოებში“ საკმაოდ ცნობილი ოთარა ფულის დაბრუნების შესახსენებლად, უბრალოდ, ისე, სხვათა შორის.

ამის შემდეგ უკვე გივიკო ახსენებს დედამისს, რომ ჯერ კიდევ არსებობს რუსულ რულეტკაზე გადასვლის შესაძლებლობა და გადამალულ საქორწინო ბეჭედსაც გამოართმევს, რომელიც ხუთას ლარად გაიყიდება და ამ თანხას ვასოს ნაულებს. თუმცა ვასო სახლში არ ხვდება და ფულს მის ცოლს ჩააბარებს. მეორე კვირის ბოლოს უკვე მამის ბეჭედიდან ამონაგები 500 ლარით მიდის ვასოსთან, თუმცა ამჯერად არც ქმარი ხვდება სახლში და არც ცოლი, ამიტომაც გივიკო გადაწყვეტს, კარების ქვეშ შეაცუროს ფული. მიუხედავად იმისა, რომ კონვერტი კარებში არ ეტევა, გივიკო მას რაღაცნაირად ბოლომდე შეკუჭავს კარების ღრიჭოში და სახლისკენ გამობრუნდება. საღამოსკენ მას ურეკავს ვასო და სთხოვს 1000 ლარის გადახდას, რადგან ვადა გავიდა და მას ამ ფულის არც პირველი და არც მეორე ნაწილი არ ჩააბარებია და არც კარის ქვეშ უპოვია.

ვარიანტი: როგორ უნდა გადაწყდეს შემთხვევა, როდესაც ვასოს ცოლი უარყოფს გივიკოსაგან ფულის მიღებას.

შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა!

A. ვასოს გადახდის მოთხოვნა გივიკოს მიმართ 623-ე მუხლის მიხედვით

ვასოს შეიძლება ჰქონდეს გივიკოსაგან 1000 ლარის უკან დაბრუნების მოთხოვნა 623-ე მუხლიდან.

I. მოთხოვნის წარმოშობა

ზემოთ ხსენებული მოთხოვნის წარმოშობისათვის აუცილებელია, რომ ვასოსა და გივიკოს დაედოთ სესხის ხელშეკრულება 623-ე მუხლის მიხედვით.

შენიშვნა: როდესაც ფულის ან სხვა მოძრავი ნივთის „სესხებას“ ეხება საქმე, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს: 1. თხოვება 615-ე და მომდევნო მუხლების გაგებით, როდესაც მონათხოვრე ზუსტად ნათხოვარი ნივთის დაბრუნების ვალდებულებას კისრულობს; 2. „ნივთის სესხება“ (623, ვარ. 2), როდესაც დასაბრუნებელია იმავე გვარის შემცვლელი ნივთ(ებ)ი; 3. ფულის სესხება (623, ვარ. 1), როდესაც სესხის თანხის დაბრუნება უნდა მოხდეს სხვა კუბიურების მეშვეობით.

მართალია, გივიკოს უნდოდა ფულის „თხოვება“, თუმცა თხოვების საგანს წარმოადგენს იმავე საგნის, ამ შემთხვევაში, იმავე ფულის კუბიურების დაბრუნება, რაც ეკონომიკურად სრული უაზრობაა. ამიტომაც, რეალურად, გივიკომ და ვასომ შეათანხმეს ფულის სესხება 623-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით, რომლის ფარგლებშიც გაცემული ვალუტის დაბრუნება (ჩასესხება) უნდა მომხდარიყო სხვა კუბიურებით. ამგვარად, მხარეთა ნების განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ მათ შორის დაიდო უპროცენტო სესხის ხელშეკრულება. უკან დაბრუნება უნდა მომხდარიყო ფულის აღებიდან თითო-თითო კვირის შუალედში ნახევარ-ნახევარი თანხის დაბრუნებით.

ამგვარად, შესრულების მოთხოვნა 623-ე მუხლის მიხედვით წარმოიშვა.

II. მოთხოვნის გაქარწყლება

ეს მოთხოვნა შეიძლება გაქარწყლებულიყო 427-ე მუხლის მიხედვით შესრულების შედეგად.

1. თანხის პირველი ნაწილის დაბრუნება

ა. კრედიტორის წინაშე შესრულება, 373 I

გივიკოს თანხის პირველი ნაწილი (500 ლარი) არ გადაუცია პირადად კრედიტორისათვის. კაზუსიდან არ ჩანს, რომ ცოლმა ეს ფული ჩაიბარა, როგორც ვასოს წარმომადგენელმა, რის გამოც აქ შესრულება კრედიტორის (ან სხვა უფლებამოსილი პირის) წინაშე (427, 373 I) გამორიცხულია.

ბ. მესამე პირის წინაშე შესრულება, 373 II

იმ პირის წინაშე შესრულების შემთხვევაში, რომელიც არ არის არც კრედიტორი და არც სხვაგვარად უფლებამოსილი პირი 373 I მუხლის გაგებით, მოქმედებს 373 II მუხლი. ამ დანაწესის თანახმად, შესრულება ნამდვილია კრედიტორის თანხმობის, ანუ ნებართვის (100) ან მოწონების (101), შემთხვევაში. ეს თანხმობა, ზოგადი წესების თანახმად, შეიძლება გაიცეს კონკლუდენტურადაც.

ჩვეულებრივ, არაგანქორწინებული და ერთად მცხოვრები მეუღლეების შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ კრედიტორი თანახმაა, გადახდა მისი მეუღლის წინაშე მოხდეს, თუ საქმე არ ეხება საქმიან ან უკიდურესად პირად მოთხოვნას. ამიტომაც, მოცემულ შემთხვევაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ სახეზე იყო ვასოს კონკლუდენტური თანხმობა, რის შედეგადაც 500 ლარის მისი ცოლისათვის გადახდას ჰქონდა შესრულების ეფექტი 427, 373 II მუხლების მიხედვით. ის გარემოება, რომ ცოლს ვასოსთვის მოგვიანებით ფული აღარ გადაუცია, შესრულების ამ ეფექტს, რომელიც უშუალოდ თანხის გადაცემის მომენტში დადგა, აღარ აქარწყლებს.

მოთხოვნის გაქარწყლება შესრულებით

მოთხოვნა შესრულებით ქარწყლება შემდეგ შემთხვევებში:

1. შეპირებული შესრულების გადაცემით, რაც გულისხმობს ამ შესრულების კრედიტორისათვის ან შესრულებაზე სხვაგვარად უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას (373 I), ან მესამე პირისათვის გადაცემას, 373 II მუხლის წინაპირობების არსებობისას. ამ დროს შესრულება უნდა განხორციელდეს: მოძრავი ნივთების შემთხვევაში – საკუთრების გადაცემით 186-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით, უძრავი ნივთების შემთხვევაში – 183-ე მუხლის მიხედვით საკუთრების გადაცემით, მოთხოვნების შემთხვევაში – მისი დათმობით 198-ე მუხლის მიხედვით;
2. შეპირებულის მაგივრად სხვა შესრულების (aliud) განხორციელებით შესრულების ეფექტის გამოწვევით, თუ კრედიტორი ამ შესრულებას იღებს

შეპირებული შესრულების სანაცვლოდ (428), მაგრამ, თუ aliud-ი მხოლოდ ახალი ვალდებულების კისრებაში მდგომარეობს, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება არა კრედიტორის თანხმობა 428-ე მუხლის მიხედვით, არამედ მოქმედებს 379 1 მუხლი.

შესრულება და შესრულების ეფექტი

ქართული იურიდიული ენა ტერმინოლოგიურად ერთმანეთისაგან არ მიჯნავს შესრულებას კონდიქციური სამართლის (976) გაგებით და შესრულებას 427-ე და მომდევნო და 361-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით, მაშინ, როდესაც ეს ორი განსხვავებული ცნებაა¹¹⁵ (მიუხედავად მათ შორის გარკვეული, არაუმნიშვნელო, გადაკვეთის ნერტილის არსებობისა). შესრულება, კონდიქციური სამართლის გაგებით, არის სხვისი ქონების მიზანმიმართული და გაცნობიერებული შეესება, დამოუკიდებლად იმისა, დაიფარა თუ არა ამით ვალდებულება (რომელიც, ჩვეულებრივ, ვერც დაიფარება, რადგან არ არსებობს ან არანამდვილია – წინააღმდეგ შემთხვევაში კონდიქციური მოთხოვნა საერთოდ გამოირიცხებოდა). ამის საპირისპიროდ, 361-ე და 427-ე და მათ მომდევნო მუხლებში ნახსენები შესრულება არის არა „შესრულების“ მოქმედების, არამედ მისი შედეგის – ვალის დაფარვის გამომხატველი, ამიტომაც აქ რეალურად საუბარია არა შესრულების მოქმედებაზე, არამედ მის „ეფექტზე“ და სასურველია, თუ „შესრულების ეფექტი“ დამკვიდრდება ამ შინაარსის გამომხატველ ტექნიკურ ტერმინად.

წინააღმდეგ შემთხვევაში ფრაზა: „აქ შესრულება არ არის სახეზე, რადგან ნასყიდობა ბათილია“ სწორია 361-ე და 427-ე მუხლების გაგებით – ბათილი მოთხოვნა ვერც დაიფარება; და არასწორია 976-ე მუხლების გაგებით, რადგან ამ დანაწესით სწორედ ბათილი მოთხოვნის შესრულება ითვლება შესრულებად და ის აქ სახეზეა. რეალურად აქ გვაქვს არა შესრულება, არამედ „შესრულების ეფექტი“.

2. თანხის მეორე ნაწილის დაბრუნება

ა. კრედიტორის წინაშე შესრულება, 373 I

საკითხავია, არის თუ არა ამ შემთხვევაში სახეზე შესრულების ეფექტი 373 I მუხლის მიხედვით ფულით სავსე კონვერტის კარების ღრიჭოში შეჩურთვით. ნების გამოხატვის მისვლა განისაზღვრება 51-ე მუხლის მიხედვით და მისთვის ზოგადად საკმარისია მიმღების ძალაუფლების სფეროში

¹¹⁵ მაგალითად, გერმანული სამართალი პირველის აღსანიშნავად იყენებს Leistung-ს, ხოლო მეორის აღსანიშნავად Erfüllung-ს.

მოხვედრასთან ერთად მის შესახებ შეტყობის შესაძლებლობის ქონა, რითაც კარების ღრიჭოში შეჩურთული კონვერტი, გარკვეული დროის შემდეგ (როდესაც მიმღები სახლში უნდა დაბრუნებულიყო), მისულად ითვლება. თუმცა ფულადი ვალდებულების შესრულებისას გასათვალისწინებელია 386 I მუხლი, რომლის მიხედვითაც, საექვობისას მოვალემ ფული საკუთარი რისკით უნდა მიანოდოს კრედიტორს მის ადგილსამყოფელზე, ანუ მოვალე ატარებს მისი დაკარგვის რისკს. ამიტომაც გივიკოს საქმე იყო, ეზრუნა იმისათვის, რომ ფული რეალურად მოხვედრილიყო ვასოს ძალაუფლების სფეროში.

თუმცა საკითხავია, ხომ არ უნდა დაფუშვთ ამ შემთხვევაში კრედიტორი ვასოს თანხმობა იმასთან დაკავშირებით, რომ გივიკოს ფული კარის ღრიჭოში შეეკუჭა. ამის საპირისპიროდ მეტყველებს ის გარემოება, რომ კარების ღრიჭო ვერ ჩაითვლება ამ რაოდენობის ნაღდი ფული მოთავსებისათვის განკუთვნილ სათავსოდ. კარების ღრიჭო, ისევე, როგორც, მაგალითად, საფოსტო ყუთი, ფეხსანმენდი ქეჩა და ა.შ., მარტივად არის ხელმისაწვდომი სხვა პირებისათვის და, ამგვარად, საკმაოდ არასაიმედო ადგილია ფულის ჩასადებად. ამიტომაც შეუძლებელია კრედიტორის თანხმობის დაშვება იმასთან დაკავშირებით, რომ მოვალე ფულის კარების ღრიჭოში ჩადებით გათავისუფლებულიყო. კარების ღრიჭოში შეიძლება მხოლოდ წერილების, გაზეთების, სარეკლამო ბუკლეტებისა და ა. შ. მოთავსება (კრედიტორისათვის მისი მიწოდების მიზნით), მაგრამ არა ნაღდი ფულის მისაწოდებელ სათავსოდ გამოყენება.¹¹⁶ ამით არ დამდგარა შესრულების ეფექტი და გივიკო ჯერ კიდევ ვალდებულია, დააბრუნოს სესხის თანხის დარჩენილი ნაწილი.

შედეგი: ვასოს აქვს გივიკოსაგან დარჩენილი 500 ლარის მოთხოვნის უფლება 623 მუხლის მიხედვით.

ბ. ვარიანტი – ცოლი უარყოფს ფულის მიღებას

თუ ვასოს ცოლი უარყოფს გივიკოსაგან 500 ლარის მიღებას, გადამწყვეტია, თუ ვინ ატარებს აქ მტკიცების ტვირთს. გამომდინარე იქიდან, რომ შესრულება წარმოადგენს მოთხოვნის გაქარწყლების საფუძველს, რო-

¹¹⁶ *სენაძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ტანტურია (რედ.), 2019, მუხ. 427, 21-ე ველი.

მელიც მოვალის ინტერესებშია, ზოგადი პრინციპების მიხედვით, მისი მტკიცების ტვირთი მოვალეს ეკისრება.

ანუ ამ შემთხვევაში – გივიკოს. სწორედ ამიტომაც ანიჭებს 429 I მუხლი მოვალეს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის – ქვითრის – მოთხოვნის უფლებას. გივიკომ აქ დროულად არ მოითხოვა ქვითრის გადაცემა და თუ შემდგომ პროცესზე მისი და ვასოს ცოლის ჩვენებები ერთმანეთს დაუპირისპირდება, ის პროცესს წააგებს, თუ ვერ მოახერხებს ფულის გადაცემის ფაქტის სხვაგვარად დადასტურებას.

A. მოთხოვნა 623-ე მუხლის მიხედვით (+)
I. მოთხოვნის წარმოშობა (+)
II. მოთხოვნის გაქარწყლება
➤ თანხის პირველი ნაწილის დაბრუნება
○ შესრულება 373 I მუხლით (-)
○ შესრულება 373 II მუხლით (+)
B. ვარიანტი – ფულის დაბრუნების უარყოფა (+)
შესრულების მიღების მტკიცების ტვირთს ატარებს მოვალე.

სამახსოვრო!

- ჩვეულებრივ, არაგანქორწინებული და ერთად მცხოვრები მეუღლეების შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ კრედიტორი თანახმაა, გადახდა მისი მეუღლის წინაშე მოხდეს, თუ საქმე არ ეხება საქმიან ან უკიდურესად პირად მოთხოვნას.
- 361-ე და 427-ე და მათ მომდევნო მუხლებში ნახსენები შესრულება არის არა „შესრულების“ მოქმედების, არამედ მისი შედეგის – ვალის დაფარვის გამომხატველი, ამიტომაც აქ რეალურად საუბარია არა შესრულების მოქმედებაზე, არამედ მის „ეფექტზე“ და სასურველია, თუ „შესრულების ეფექტი“ დამკვიდრდება ამ შინაარსის გამომხატველ ტექნიკურ ტერმინად.
- შესრულება არის მოთხოვნის გაქარწყლების საფუძველი, რომელიც მოვალის ინტერესებშია და, ზოგადი პრინციპების მიხედვით, მტკიცების ტვირთს ატარებს მოვალე.

კაზუსი 26. გიგიშა და მარგო

(ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილ გარემოებებთან და ხელშეკრულებიდან გასვლა მისი შეუძლებლობის გამო; კონკურენცია მიზნის ჩაშლის კონდიქციასთან (977); მეუღლეთა შორის ჩუქება)

გიგიშა, რომელმაც, როგორც იქნა, ცოლად მოიყვანა მარგო, – ნათესავების აზრით, შეუფერებელი, „თუმცა ფულიანი“, – სიმამრისგან ქორწილამდე ორი დღით ადრე საჩუქრად მიიღებს „მერსედესის“ C კლასის 2019 წლის მოდელს. თუმცა ქორწინება დამთავრდება ორ კვირაში, მას შემდეგ, რაც თამაშის მოყვარული გიგიშა პირველ კვირაში სახლიდან მარგოს მთელ ოქროსულობას გაზიდავს, ხოლო მეორე კვირის ბოლოს, მძინარეს, ბალიშის ქვეშ შემალულ ლეპტოპს ანაპნის და გაუყიდის. მეუღლეთა ფაქტობრივი გაშორების შემდეგ სიმამრი გიგიშასაგან უკან ითხოვს ნაჩუქარ მანქანას.

შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა!

A. სიმამრის მოთხოვნა ხელშეკრულების საფუძვლის მოშლის გამო

სიმამრს შეიძლება ჰქონდეს გიგიშასაგან მანქანის მოთხოვნის უფლება 398 I, III, 352 I მუხლების შესაბამისად, თუ მოიშალა ჩუქების ხელშეკრულების საფუძველი და თუ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილ გარემოებებთან შეუძლებელია, ან მეორე მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს ამაზე დათანხმება.

შენიშვნა: განსხვავებით გერმანიისაგან, სადაც გარიგების მისადაგება შეცვლილ გარემოებებთან არის სასამართლო წესით განხორციელებადი უფლება, საქართველოში, 398 II მუხლის მიხედვით, მისადაგება მხარის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. თუ მეორე მხარე არ ეთანხმება მისადაგებას, მაშინ დაინტერესებულ მხარეს აქვს მხოლოდ გასვლის უფლება. გერმანიაში მისადაგებას შეუძლებელს არ ხდის ის გარემოება, რომ ერთი მხარე მასზე უარს ამბობს. ერთი მხარის უარი მისადაგებაზე მეორე მხარეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ანიჭებს უფლებას, უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ის ჯერ უნდა შეეცადოს, სასამართლო წესით განახორციელოს თავისი უფლება. ამისაგან განსხვავებით, საქართველოში მხარის უარი მისადაგებაზე საკმარისია პირდაპირ გასვლის „მოთხოვნაზე“ გადასასვლელად.

1. ჩუქების ხელშეკრულება და მისი საფუძვლის მოშლა (ობიექტური ელემენტი)

სიმამრსა და გიგიშას შორის დაიდო ნაჩუქრობის ხელშეკრულება, რომლის არანამდვილობის წინაპირობები არ არსებობს. თუმცა ამ ხელშეკრულების საფუძველი უდავოდ იყო გიგიშასა და მარგოს შორის თანაცხოვრების გაგრძელება, რომლის შეწყვეტასთან ერთად ხელშეკრულებას მოეშალა საფუძველი.

2. მხარეები არ დადებდნენ ხელშეკრულებას (ჰიპოთეზური ელემენტი)

სიმამრი და გიგიშა არ დადებდნენ ჩუქების ხელშეკრულებას, ოჯახური თანაცხოვრების ასე მოკლე პერიოდში დამთავრება რომ გაეთვალისწინებინათ.

3. ხელშეკრულების უცვლელად შენარჩუნების დაუშვებლობა (ნორმატიული ელემენტი)

სკ-ის 398-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებისა და 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მოთხოვნის წინაპირობაა ხელშეკრულების უცვლელად

ლად დაცვის შეუძლებლობა – ერთ-ერთ მხარეს მაინც არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების უცვლელი პირობებით შენარჩუნება.

ხელშეკრულება უნდა დარჩეს ძალაში და მეორე მხარეს შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების უცვლელი პირობებით შენარჩუნება, თუ ხელშეკრულების საფუძვლის მოშლიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების დაშვებით ყოფილ სიძეს ორმაგად მოუნევდა პასუხისგება ერთი და იმავე თანხის გამო, მაგალითად, 1164-ე მუხლის მიხედვით.

ამ მოთხოვნის ფარგლების განსაზღვრისათვის გადამწყვეტია, სიმამრის ნაჩუქარი მეუღლეთა საერთო ქონებას მიეკუთვნება თუ ინდივიდუალურს (1161 ბ). ამ უკანასკნელ შემთხვევაში ის გათვალისწინებული იქნებოდა მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის შედეგად წარმოშობილი მარგოს მოთხოვნის უფლების (1164) ოდენობის დაანგარიშებისას.

შენიშვნა: სპეციალური ქონებრივი რეჟიმის შეთანხმების გარეშე მეუღლეთა შორის წარმოიშობა კანონით დადგენილი ქონებრივი რეჟიმი (სსკ-ის 1158-ე და შემდგომი მუხლები), რომლის დროსაც, მეუღლეთა ინდივიდუალური ქონებისა (ქორწინებამდე კუთვნილი ქონება, ჩუქებით და მემკვიდრეობით მიღებული ქონება) და ინდივიდუალური სარგებლობის ნივთების გარდა, ყველა სხვა ქონება განეკუთვნება მეუღლეთა საერთო საკუთრებას.

მეუღლეთა შორის ჩუქება

ჩვეულებრივ, ნაჩუქრობა, 1161 ბ) მუხლის შესაბამისად, განეკუთვნება მეუღლეთა ინდივიდუალურ ქონებას, მაგრამ განსხვავებული წესი მოქმედებს ე.წ. „ქორწინებასთან დაკავშირებული ჩუქების შემთხვევაში“ (ehebedingte Zuwendungen). მეუღლეთა შორის ნაჩუქრობა, გერმანიის ფედერალური სასამართლოს მოსაზრების მიხედვით, არ წარმოადგენს ჩუქებას 524-ე მუხლის შესაბამისად, რადგან მას აკლია მთავარი სუბიექტური ელემენტი – უსასყიდლობა. მას უწოდებენ ე. წ. „უსახელო“ ან „ქორწინებიდან გამომდინარე“ ჩუქებას, რომელსაც მჩუქებელი მეუღლე თანაცხოვრების გაგრძელებას უკავშირებს და ასევე შესაძლებლობას – თანაცხოვრების განმავლობაში თვითონაც ისარგებლოს ნაჩუქარი ნივთით. ამ შემთხვევაში ნაჩუქარი ექცევა მეუღლეთა საერთო ქონებაში.

იმავე პრინციპს ავრცელებდა გერმანიის ფედერალური სასამართლო¹¹⁷ მეუღლეთა მშობლების მიერ ნაჩუქარ საგანზე, რადგანაც ისინიც მხოლოდ ზემოხსენებული მოსაზრებებიდან გამომდინარე ჩუქნიან შვილის მეუღლეს

¹¹⁷ შდრ. ამასთან დაკავშირებული დისკუსიისათვის: BGH NJW 2010, 2202; BGHZ 129, 263; BGH FamRZ 1998, 669.

საჩუქარს და არ გადასცემენ ამ საგანს თავისუფალი განკარგვის მიზნით. ეს წესი მოქმედებდა ქორწინებამდე გაკეთებული საჩუქრის მიმართაც, რის გამოც მეუღლეთა მშობლების საჩუქრები ემატებოდა არა ინდივიდუალურ, არამედ საერთო ქონებას და, ამრიგად, უნდა გავითვალისწინოთ გაყოფის მოთხოვნის გამოთვლისას. ამგვარი გამოთვლით მშობლების საჩუქარი ნებისმიერ შემთხვევაში წაადგება მათ შვილს, რადგან ზრდის მეორე მეუღლის მოთხოვნას 1164-ე მუხლის მიხედვით.

სიმამრის საჩუქრის საერთო ქონებაში გათვალისწინების გარდა, თუ დავუშვებდით ამ საჩუქრის უკან მოთხოვნის შესაძლებლობას ხელშეკრულების საფუძვლის მოშლიდან გამომდინარე, მაშინ გიგიმას ორჯერ მოუწევდა ერთი და იმავე საჩუქრისათვის პასუხისგება. ამიტომაც, წინარე სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მსგავსი ტიპის შემთხვევებში, საფუძვლის მოშლის გამო უკან მოთხოვნა მხოლოდ მაშინ იყო დასაშვები, როდესაც დასაჩუქრებულ მეუღლეს მეორე მეუღლის მხრიდან ნამატის გაყოფის მოთხოვნის წაყენება არ ემუქრებოდა. ყველა სხვა შემთხვევაში საფუძვლის მოშლიდან გამომდინარე მოთხოვნა გამოირიცხებოდა. მოცემულ შემთხვევაშიც ეს მოთხოვნა უნდა გამოირიცხულიყო, რადგან არ არსებობდა საოჯახოსამართლებრივი მოთხოვნის გამორიცხვის საფუძველი.

თუმცა დღესდღეობით ეს მოსაზრება უკუგდებულია იმ არგუმენტით, რომ, განსხვავებით მეუღლეთა შორის ნაჩუქრობისაგან, როდესაც მჩუქებელი მეუღლეს ნივთს ჩუქნის ამ ნივთის შემდგომი გამოყენების იმედით, მეუღლის მშობლები ნაჩუქარ ნივთს სამუდამოდ ემშვიდობებიან, რის გამოც ამ ორ შემთხვევას შორის პარალელი არადამაჯერებელია. მეუღლის მშობლის საჩუქარიც უნდა ჩაითვალოს საჩუქრად 524-ე მუხლის მიხედვით და უნდა მიემატოს მეუღლის საწყის ქონებას. ამგვარი გადაწყვეტის სასარგებლოდ მეტყველებს შემდეგი არგუმენტი – საჩუქრის უკან მოთხოვნის უფლება შეიძლება წარმოიშვას ქონების განაწილების მოთხოვნის ფარგლების დადგენამდეც, რაც შეამცირებდა დასაჩუქრებულის საერთო ქონებას და არაპირდაპირი გზით შეამცირებდა მეორე მეუღლის მოთხოვნის უფლებას. ამგვარად, სიმამრის საჩუქარი ისევ მის შვილს დაუბრუნდებოდა ცუდად. ამის გამო ეს ნაჩუქრობა უნდა მიემატოს მეუღლის საწყის და არასაბოლოო ქონებას. არ არსებობს რა ერთი და იმავე საჩუქრის გამო ორმაგად პასუხისგების საფრთხე, საოჯახოსამართლებრივი მოთხოვნის უფლება არ გამორიცხავს ხელშეკრულების საფუძვლის მოშლიდან წარმოშობილ მოთხოვნას.

ზემოთ მოყვანილი არგუმენტაციის გამო, უნდა მივიჩნიოთ რა სიმამრის საჩუქარი ჩუქებდად სსკ-ის 524-ე მუხლის შესაბამისად, ის წარმოად-

გენს დასაჩუქრებული მეუღლის ქონებას და არა საერთო საკუთრებას. მისი უკან მოთხოვნა შესაძლებელია, ასევე, ქართულ სამართალში, ხელშეკრულების საფუძვლის მოშლის გამო.

ხელშეკრულების საფუძვლის მოშლიდან გამომდინარე, სიმამრის მოთხოვნის უფლება გამორიცხული არ არის.

4. საფუძვლის მოშლიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგი

398 I, III ნაწილების შესაბამისად, თუ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილ გარემოებებთან შეუძლებელია, მაშინ მხარეებს ენიჭებათ ხელშეკრულების მოშლის ან ხელშეკრულებიდან გასვლისა და მიღებულის დაბრუნების მოთხოვნის უფლება 352 I ნაწილის შესაბამისად. სიმამრს არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების რაიმე ფორმით მაინც მისადაგება შეცვლილ გარემოებებთან და ყოფილი სიძისათვის სრული თანხის ან თანხის ნაწილის დატოვება. ჩუქება არ წარმოადგენს გრძელვადიან ურთიერთობას და, შესაბამისად, გამოიყენება ხელშეკრულებიდან გასვლა.

352 I მუხლის მიხედვით, გიგიშამ უნდა დააბრუნოს ნაჩუქარი და რეალურად მიღებული სარგებელი, როგორც „მიღებული“; ასევე მიუღებელი სარგებელი 353 I მუხლის შესაბამისად. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ, კანონისმიერი გასვლის უფლების შემთხვევაში, მიმღები ანაზღაურებს მხოლოდ სარგებელს, რომელიც მან არ მიიღო, არ გამოიჩინა რა მზრუნველობა, რომელსაც იგი ჩვეულებრივ იჩენს საკუთარ საქმეებში (352 IV გ) მუხლის ანალოგიით).

შედეგი: გიგიშამ უნდა დააბრუნოს ნაჩუქარი თანხა და მისგან მიღებული სარგებელი, ასევე მიუღებელი სარგებელი, რომელსაც ის მიიღებდა საკუთარ საქმეებში ჩვეული მზრუნველობის გამოჩენით.

B. სიმამრის მოთხოვნა 977-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით

სიმამრს შეიძლება ჰქონდეს გიგიშას მიმართ 10 000 დოლარის მოთხოვნის უფლება 977-ე მუხლის 1-ლი ნაწილის (condictio ob rem) შესაბამისად, თუ შესრულებით დასახული მიზანი არ განხორციელდა.

შენიშვნა: განსხვავებით მისი ადრინდელი სასამართლო პრაქტიკისაგან, გერმანიის ფედერალური სასამართლო ამ მოთხოვნის უფლებას არ გამო-რიცხავს იმაზე მითითებით, რომ საფუძვლის მოშლასთან დაკავშირებული დანაწესები უფრო მოქნილ ხასიათს ატარებს და კონკურენციისას გამოიც-ხავენ ამ კონდიქციის გამოყენებას. დღეს *condictio ob rem* გამოიყენება სა-ფუძვლის მოშლასთან ერთად, თუ სახეზეა მისი წინაპირობები.

მიზანი, რომელიც დასახული იყო სიმამრის მიერ, შეიძლება იყოს მისი შვილისა და დასაჩუქრებულის ოჯახური თანაცხოვრების გაგრძელება. თუმცა ამ კონდიქციური მოთხოვნისათვის აუცილებელია ამ მიზნის შე-თანხმება; მიმღებმა უნდა იცოდეს მიზნის შესახებ და, სულ მცირე, კონკლუდენტურად ეთანხმებო-დეს მას. საკმარისი არ არის მხო-ლოდ ცოდნის ვალდებულება. ამი-ტომაც ეს მიზანი მოცემულ შემ-თხვევაში ვერ ჩაითვლება ვერც გაცხადებულად და ვერც კონკლუ-დენტურად შეთანხმებულად.

ზემოთ ხსენებული მოთხოვნის უფლება არ არსებობს.

საბოლოო შედეგი: სიმამრს შეუძ-ლია, გიგიშას მოსთხოვოს მანქა-ნის დაბრუნება 398 I, III და 352 I მუხლების მიხედვით.

<p>A. მოთხოვნა 398 I, III, 352 I მუხლების მიხედვით (+)</p>
<p>I. ჩუქების საფუძვლის მოშლა (+)</p>
<p>II. მხარეები არ დადებდნენ ხელშეკრულებას (+)</p>
<p>III. შენარჩუნების დაუშვებლობა (+)</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ორმაგად პასუხისგების საფრთხე (-) ➤ სიმამრის ჩუქება = ჩუქება 524-ე მუხლის მიხედვით
<p>B. მოთხოვნა 977-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით (-)</p>
<p>საბოლოო შედეგი: მოთხოვნა 398 I, III, 352 I მუხლების მიხედვით (+)</p>

სამახსოვრო!

- 398 II მუხლის მიხედვით, მისადაგება მხარის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. თუ მეორე მხარე არ ეთანხმება მისადაგებას, მაშინ დაინტერესებული მხარეს აქვს მხოლოდ გასვლის უფლება.
- მეუღლის მშობლის საჩუქარი უნდა ჩაითვალოს საჩუქრად 524-ე მუხლის მიხედვით და უნდა მიემატოს მეუღლის საწყის ქონებას.
- მისადაგების შეუძლებლობისას გასვლის შემთხვევაში პირმა უნდა დააბრუნოს საჩუქარი და რეალურად მიღებული სარგებელი, ასევე მიუღებელი სარგებელი 353 I მუხლის შესაბამისად. გასვლის უფლების

შემთხვევაში, მიმღები ანაზღაურებს მხოლოდ სარგებელს, რომელიც მან არ მიიღო, არ გამოიჩინა რა მზრუნველობა, რომელსაც იგი, ჩვეულებრივ, იჩენს საკუთარ საქმეებში (352 IV გ) მუხლის ანალოგიით)

- მიზნის ჩაშლის კონდიქციის (*condictio ob rem*) შემთხვევაში აუცილებელია მიზნის შეთანხმება; მიმღებმა უნდა იცოდეს მიზნის შესახებ და, სულ მცირე, კონკლუდენტურად ეთანხმებოდეს მას. საკმარისი არ არის მხოლოდ ცოდნის ვალდებულება.

კაზუსი 27. „უნლოვანს ფულს ნუ ანდობ, იქნებ არასრულწლოვანიო“

(არასრულწლოვნის მიმართ ვალდებულების შესრულება; შესრულების თეორიები; დეპონირება)

17 წლის პაკო არის ბაბუის დანატოვარი შვეიცარიული საათის მესაკუთრე. იმის გამო, რომ ორ თვეში სასწავლებლად მიდის ინგლისში და ამისთვის 10 000 ლარი აკლდება, მშობლების თანხმობით მიჰყიდის ამ საათს კოლექციონერ მიშას, ზუსტად ამ თანხად. სამი დღის შემდეგ მიშა შეთანხმებისამებრ გამოუვლის პაკოს, რომელიც ამ მომენტში სახლში მარტოა, გადასცემს მას ნასყიდობის თანხას და გამოართმევს საათს. პაკო ამდენი ფულის ერთად ხილვით საკმაოდ შეძრულია და სასწრაფოდ გაუზიარებს თავის სიხარულს მეგობრებს, აკოსა და ვაკოს. მეგობრები შესთავაზებენ, რომ ამ შანსის ხელიდან გაშვება არ ღირს და სანამ მშობლები მთლიან თანხას წაართმევენ, შესაძლებელია მისი გაორმაგება. აგერ აკოს ხელში უჭირავს „უეჭველი“ ბილეთი, რომელიც, უბრალოდ, არ შეიძლება, რომ არ „ახდეს“. პაკო ასეც მოიქცევა. თუმცა არც ეს შემთხვევა ექცევა სტატისტიკური ცდომილების იმ 0,001 %-ში, რომლის იმედზეც იყვნენ მეგობრები და შინ დაბრუნებულ მშობლებს პაკო ხელცარიელი ხვდება. თუმცა მშობლები ვერ ეგუებიან იმას, რომ მომდევნო წლებიც სახლში მჯდომი პაკოს ყურება მოუწევთ და მამა ანზორი გაცოფებული ურეკავს მიშას ფულის თვიდან გადახდის მოთხოვნით – მისი მხრიდან, უბრალოდ, „უნამუსობა“ იყო ამხელა თანხის ბავშვისთვის ჩაბარება.

მოიძოვა თუ არა პაკომ გადაცემულ 10 000 ლარზე საკუთრება და შეუძლია თუ არა მისგან ამ თანხის გადახდის თავიდან მოთხოვნა?

ვარიანტი: რისი გაკეთება შეუძლია მიშას, თუ მას ნასყიდობის ფასის დაფარვა უნდა, მაგრამ მშობლები მრავალკვირიანი მივილინებით არიან უცხოეთში წასული და ის შიშობს, რომ ამის გამო ვალდებულების შესრულების ვადა გადაუცდება?

A. პაკოს მოთხოვნა მიშას მიმართ 477 I მუხლის მიხედვით

პაკოს შეიძლება ჰქონდეს მიშასაგან ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნა 477 II მუხლის მიხედვით.

I. მოთხოვნის წარმოშობა

ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნა 477 II მუხლის მიხედვით წარმოიშობა ნამდვილი ნასყიდობის დადებასთან ერთად. გამომდინარე იქიდან, რომ ეს ნასყიდობა არასრულწლოვანი პაკოსთვის არ იყო მხოლოდ (სამართლებრივი) სარგებლის მომტანი მე-15 მუხლის გაგებით, ამ გარიგების ნამდვილობისათვის აუცილებელი იყო მისი კანონისმიერი წარმომადგენლების თანხმობა (63 I). აქ ეს თანხმობა მისი მშობლების მხრიდან სახეზეა (1198 VI). ამით ნამდვილია მიშასა და პაკოს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება.

II. მოთხოვნის გაქარწყლება – შესრულების ეფექტი

ნასყიდობის ფასის მოთხოვნა შეიძლება გაქარწყლებულიყო 427-ე მუხლის მიხედვით მიშას მხრიდან პაკოსთვის ფულის გადახდით.

427-ე მუხლის მიხედვით მოთხოვნის გაქარწყლებისათვის აუცილებელია შეპირებული მოქმედების იმ ფორმით განხორციელება, რომ მას ჰქონდეს ე. წ. შესრულების ეფექტი (იხ. ამასთან დაკავშირებით წინა კაზუსი), ანუ, თუ ნაღდი ფულის გადახდა იყო შეთანხმებული – ფულის კუპირებზე საკუთრების გადაცემა 186-ე მუხლის მიხედვით. საკითხავია, არის თუ არა აქ სახეზე საკუთრების გადაცემა.

1. სანივთო შეთანხმება

პაკოს არასრულწლოვნებიდან გამომდინარე, პრობლემურია მასა და მიშას შორის ფულთან დაკავშირებით დადებული სანივთო გარიგების¹¹⁸ ნამდვილობა. ერთი მხრივ, სანივთო გარიგება, რომლის შინაარსიც პაკოს მიერ ფულზე საკუთრების მოპოვებით ამოიწურება, მისთვის მხოლოდ სამართლებრივი სარგებლის მომტანია (15) და ამიტომ ნამდვილობისათვის მშობლების თანხმობას (63 I), წესით, არ უნდა საჭიროებდეს.

¹¹⁸ რუსიაშვილი/სირდაძე/ვენატაშვილი, სანივთო სამართალი, თბილისი, 2019, 186-ე და მომდევნო გვერდები; სანივთო გარიგებასთან დაკავშირებით შდრ. რუსიაშვილი, შედარებითი სამართლის ჟურნალი, 1/2019, მე-20 და მომდევნო გვერდები.

შენიშვნა: ეს შემთხვევა გერმანულ სამართალში ასეც წყდება: გამიჯვნისა და აბსტრაქციის პრინციპების გამო – დამოუკიდებელია რა სანივთო და ვალდებულების ნამდვილობა ერთმანეთისაგან და სანივთო გარიგება იმისათვის, რომ ნამდვილი იყოს, არ უნდა ემსახურებოდეს რაიმე ვალდებულებითი გარიგების შესრულებას – არასრულწლოვანი მოიპოვებს საკუთრებას, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა შედეგი მოჰყვება ამას ვალდებულებითი სამართლის სიბრტყეში, რადგან ეს შედეგი სანივთოსამართლებრივი ხდომილებისაგან გამიჯნულია და შეიძლება ცალკე შეფასდეს.

თუმცა ქართულ სამართალში მოქმედი კაუზალობის პრინციპის გამო („ნამდვილი უფლება“ 186-ე მუხლის მიხედვით), სანივთო გარიგება ვერ იქნება ნამდვილი, თუ ის ვალდებულებითი გარიგების შესრულებას არ ემსახურება. ამიტომაც საკითხავია, არის თუ არა აქ სახეზე ნასყიდობის შესრულება მიშას მხრიდან.

2. 427-ე მუხლის დაუნერელი წინაპირობა – „შესრულების ეფექტის თეორიები“

მიშას მხრიდან არასრულწლოვანი პაკოსათვის ფულის გადაცემით შესრულების ეფექტის გამოწვევა პრობლემურია იმდენად, რამდენადაც ამ შემთხვევაში გაქარწყლებოდა პაკოს მოთხოვნა 477 I მუხლის მიხედვით, მოთხოვნის დაკარგვა კი მისთვის უკვე (სამართლებრივად) არასარგებლიანად აქცევდა ამ გარიგებას. საკითხავია, თუ როგორ შეიძლება ამ შედეგის დასაბუთება შესრულების სხვადასხვა თეორიის მიხედვით.

ცხარე კამათის საგანია შესრულების სამართლებრივი ბუნების საკითხი. კერძოდ, დგება თუ არა შესრულების შედეგი ავტომატურად, კანონის ძალით, მხოლოდ შეპირებული მოქმედების განხორციელების შედეგად, თუ, ამის გარდა, აუცილებელია სუბიექტური ელემენტი – მხარეთა ნების თანადამთხვევა (შესრულების ხელშეკრულება) ან, სულ მცირე, მოვალის მიერ შესრულების ნების (ვალის დაფარვის მიზნის) დაფიქსირება.¹¹⁹

ა. ხელშეკრულების თეორია

შესრულების ეფექტთან დაკავშირებით გამოთქმული ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, – ე.წ. „ხელშეკრულების თეორია“,¹²⁰ – 427-ე მუხლის გაგებით შესრულებისათვის აუცილებელია მხარეთა შორის დადებული

¹¹⁹ *Heinrichs*, in *Palandt*, § 362 Rn. 5.

¹²⁰ *Larenz*, *Lehrbuch des Schuldrechts AT*, § 18 I 1.

ხელშეკრულება შესრულებასთან დაკავშირებით, ანუ მხარეთა შორის არსებული ვალდებულების შეწყვეტასთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენს იმავდროულად შესაბამისი მოთხოვნის განკარგვას. თუ ამ ხელშეკრულებას არასრულწლოვანი დებს, მაშინ მასზე ვრცელდება 63-ე და მომდევნო მუხლები და, გამომდინარე იქიდან, რომ საკუთარი მოთხოვნის განკარგვა (მოთხოვნაზე უარის თქმა) მისთვის არასარგებლიანი გარიგებაა, აუცილებელია მშობლების თანხმობა ამ გარიგების ნამდვილობისათვის. პაკოს აქ ასეთი თანხმობა (ნებართვა ან მოწონება) არ ჰქონია, რის გამოც ეს შესრულების გარიგება აქ ნამდვილად ვერ ჩაითვლება და ფულის გადაცემას ვერ ექნება შესრულების ეფექტი.

საკითხის გაღრმავებისათვის: „ხელშეკრულების თეორია“ დღეს, ზოგადად, უკუგდებულია, რადგან ის მოითხოვს, შესრულების შედეგის გარდა, დამატებით ხელშეკრულებას, რითაც კრედიტორი მოვალეზე დამატებით ზენოლის ბერკეტს მოიპოვებს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე მიიღო, რაც ეკუთვნოდა.

ბ. შესრულების მიზნობრივი გამოწვევის თეორია

მეორე თეორიის თანახმად, – შესრულების მიზნობრივი გამოწვევის თეორია,¹²¹ – 427-ე მუხლის გაგებით შესრულების ეფექტის გამოწვევისათვის აუცილებელია ე.წ. ვალის დაფარვის მიზანი, სულ მცირე, ისეთ შემთხვევებში, როდესაც არაცალსახაა, თუ რომელი ვალდებულება სრულდება.

საკითხის გაღრმავებისათვის: ისევე, როგორც კრედიტორს შეუძლია, შეთავაზებული საგნის მიღება-არმიღებით განსაზღვროს, ექნება თუ არა მოვალის ქმედებას 427-ე მუხლით გათვალისწინებული ეფექტი, ასევე მოვალესაც აქვს უფლება, ვალის დაფარვის მიზნით მიაკუთვნოს შესრულება კონკრეტულ სამართლებრივ საფუძველს (მაგალითად, გადახდა წარმოადგენს არა ნასყიდობის ფასის დაფარვას 10 000 ლარის ოდენობით, არამედ სესხის დაფარვას იმავე ოდენობით (387 I, ვარ. 1).

ეს ვალის დაფარვის მიზანი კანონიდან მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში (მაგ., 372, 387) იკითხება, თუმცა ის რეალურად ყველა ნამდვილი შესრულების (შეუმჩნეველი) წინაპირობაა.

¹²¹ OLG Hamm, NJW-RR 1989, 700.

ვალის დაფარვის მიზანი არის ცალმხრივი, მიღებასავალდებულო¹²² ნების გამოხატვის დარი მოქმედება,¹²³ ¹²⁴ რომელზეც ნების გამოხატვის ნების ანალოგიით ვრცელდება, მათ შორის, ასევე 51-ე მუხლი. ეს ნიშნავს იმას, რომ ის ნამდვილი ხდება მხოლოდ მეორე მხარესთან მისვლის შემდეგ, ხოლო თუ არასრულწლოვნის წინაშე გაცხადებულ ვალის დაფარვის მიზანს ეხება საქმე – მის კანონიერ წარმომადგენლებთან მისვლის შემთხვევაში.

აქ პაკოს მშობლებს მიშას მიერ გაცხადებული ვალის დაფარვის მიზანი არ მისვლიათ, რადგან ამისათვის აუცილებელი იქნებოდა მათთვის ფულის მინოდება (არასრულწლოვანი პაკოს, როგორც შიკრიკის ხელით), რადგან ეს იყო ამ მიზნის გაცხადების ფორმა, რაც აქ არ მომხდარა და, შესაბამისად, ამ თეორიის თანახმადაც შესრულების ეფექტის დადგომა უნდა გამოირიცხოს.

კაზუსის დამუშავების ტექნიკისათვის: კაზუსში აზრთა სხვადასხვაობის წარმოჩენისას აუცილებელია, რომ თითოეული მოსაზრების აღწერის შემდეგ ცალსახად დადგინდეს, თუ რა შედეგებს იწვევს ის კონკრეტული შემთხვევისათვის.

გ. შესრულების შედეგის რეალურად გამოწვევის თეორია

მესამე და გაბატონებული მოსაზრების¹²⁵ თანახმად, რომელსაც შესრულების შედეგის რეალურად გამოწვევის თეორია ჰქვია, შესრულება წარმოადგენს რეალაქტს და არ გულისხმობს რაიმე სუბიექტურ ელემენტს: შესრულების შედეგი დგება როგორც ობიექტური თანმდევი შეპირებული სამართლებრივი სიკეთის მინიჭებისა.¹²⁶

შენიშვნა: ამ თეორიის ნაკლად ითვლება ის გარემოება, რომ ცოტათი გართულებულ შემთხვევებში, მაგალითად, რამდენიმე იდენტური შინაარსის შესრულებისას (იდენტურ ნივთებზე დადებული ორი დამოუკიდებელი ნასყიდობა), უძლურია, მიაკუთვნოს ისინი კონკრეტულ ვალდებულებას. იხ. ასევე ქვევით.

¹²² *Heinrichs*, in Palandt, § 366 Anm. 2a.

¹²³ შეჯამებისათვის იხ. *Heinrichs*, in Palandt BGB, § 362 Rn. 5 ff.

¹²⁴ მეორე მოსაზრების თანახმად, ის საერთოდ ჩვეულებრივი მიღებასავალდებულო ნების გამოხატვაა, შდრ. *Heinrichs*, in Palandt BGB, § 366 Anm. 2a.

¹²⁵ BGH NJW 1991, 1295; BGH NJW 1992, 2699.

¹²⁶ BGH NJW-RR 2008, 109.

მოცემულ შემთხვევაში ამ თეორიის გამოყენებით მანკიერი წრე იკვრება, თუ შესრულებად ითვლება შეპირებულის – აქ: საკუთრების – გადაცემა (ყოველგვარი დამატებითი სამართლებრივი მომენტის გარეშე), ხოლო საკუთრება 186 I მუხლით მხოლოდ მაშინ გადადის, თუ ის ვალდებულების შესრულებას წარმოადგენს, შეუძლებელი ხდება როგორც ერთის, ისე მეორის დადგენა: საკუთრება გადადის მხოლოდ მაშინ, თუ მის გადაცემას აქვს შესრულების ეფექტი, ხოლო გადაცემას შესრულების ეფექტი მხოლოდ მაშინ აქვს, თუ საკუთრება გადადის. ამ ლოგიკური აპორიის გადალახვა შეუძლებელია, შესაბამისად, ის უკუსაგდება როგორც არასრულწლოვანი კრედიტორის შემთხვევის გადასაწყვეტად, ისე ზოგადად, – რადგან კონკრეტული თეორიის ღირსება ფასდება არა იმით, თუ რამდენად ართმევს ის თავს უმარტივესი შემთხვევების გადაწყვეტას, არამედ სწორედ კომპლექსური პრობლემების დაძლევის პოტენციალით, რაც ამ თეორიას არ გააჩნია.

საკითხის გაღრმავებისათვის: გერმანიაში ეს თეორია ამგვარ წინააღმდეგობას არ აწყდება, რადგან, აბსტრაქციის პრინციპის პირობებში საკუთრების გადასვლა შესაძლებელია შესრულების ეფექტის გარეშეც, ამიტომაც დასაშვებია, რომ ჯერ დადგინდეს საკუთრების გადასვლა და მხოლოდ ამის შემდეგ ის ფაქტი, ჰქონდა თუ არა მას შესრულების ეფექტი.

თუმცა გერმანიაშიც მოცემულ შემთხვევაში ეს მესამე თეორია დანარჩენი ორი თეორიის იდენტურ შედეგებამდე მიდის. არასრულწლოვანს აკლია ე. წ. „შესრულების მიღების კომპეტენცია“ (რაც აქვთ მხოლოდ მის მშობლებს 1198 VI მუხლის მიხედვით) და რის გამოც არასრულწლოვნისათვის საკუთრების გადაცემით შესრულების ეფექტის გამონვევა შეუძლებელია.¹²⁷

ამგვარად, „რეალური შესრულების თეორია“ უკუსაგდება, დანარჩენი ორი თეორია კი მოცემული შემთხვევის გადაწყვეტისას იდენტურ შედეგებამდე მიდის, – არასრულწლოვნისათვის ფულის გადაცემით შესრულების ეფექტის გამონვევა შეუძლებელია, – ამიტომაც, ამ შემთხვევაში, კამათის გადაწყვეტა არასავალდებულოა.

შესრულების ეფექტის ჩაშლის გამო პაკოს მოთხოვნა 477 I მუხლიდან არ გაქარწყლებულა 427-ე მუხლის შესაბამისად და ის ვერც ფულზე მოიპოვებს საკუთრებას (186 I).

¹²⁷ Zeiss, in Soergel Kommentar zum BGB, 12. Aufl., 1987 Vor § 263 Rn. 8.

შედეგი: პაკოს კვლავაც აქვს მიშასაგან ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნა 477 | მუხლის მიხედვით.

საკითხის გაღრმავებისათვის: რაც შეეხება პაკოსათვის გადაცემულ და მის მიერ გაფლანგულ ფულს, ამ ფულის ღირებულება მიშამ უკან უნდა მოითხოვოს კონდიქციური მოთხოვნით, თუმცა ფულის გაფლანგვის გამო (სწორი მოსაზრების თანახმად) პაკოს ექნება განმდიდრების შესაგებელი, რომლის საფუძველზეც გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.¹²⁸

B. ვარიანტი – ფულის დეპონირება

I. დეპონირების წინაპირობები

გამომდინარე იქიდან, რომ მიშა ვერ ახერხებს პაკოს მშობლებთან დაკავშირებას და ამ ფულის არც არასრულწლოვანი პაკოსათვის დატოვება სურს (სრულებით მართებულად), ვალდებულებისაგან გათავისუფლების გზა შეიძლება იყოს დეპონირება 434-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით. 434 | მუხლის მიხედვით მოვალეს აქვს ფულის დეპონირების უფლება ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე, თუ კრედიტორი აცილებს მიღების ვადას (390), ან მოვალეს, სხვა, კრედიტორის, მიზეზით განპირობებული გარემოების გამო არ შეუძლია პირადად მის წინაშე შესრულება. ეს მიზეზი შეიძლება იყოს: კრედიტორის ადგილსამყოფლის დაუდგენლობა (434), დაკარგულად გამოცხადება ან მისი შეზღუდული ქმედუნარიანობა და კანონისმიერი წარმომადგენლის არარსებობა (მიუწვდომლობა).¹²⁹ აქ ზუსტად ეს შემთხვევაა სახეზე.

II. დეპონირების შედეგი

მართლზომიერი დეპონირებით, რომელიც აკმაყოფილებს 434-ე და მომდევნო მუხლებით გათვალისწინებულ წინაპირობებს, მოვალე თავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებისაგან (434 II) იმ მომენტიდან, როდესაც გამორიცხულია მის მიერ დეპონირებული შესრულების უკან მოთხოვნის უფლება 440-ე მუხლის მიხედვით. შესაბამისად, თუ მოცემულ

¹²⁸ რუსიაშვილი/ევნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი, 2016, 135-ე და მომდევნო გვერდები.

¹²⁹ Heinrichs, in Palandt, § 372 Rn. 5.

მომენტში მიშას ფასის გადახდის ვალდებულებისაგან დაუყოვნებლივი გათავისუფლება სურს, მან ფულის ნოტარიუსის ანგარიშზე განთავსებისთანავე უნდა თქვას უარი 440-ე მუხლით მინიჭებულ უკან გამოთხოვის უფლებაზე.

A. მოთხოვნა 477 | მუხლით (+)

I. მოთხოვნის წარმოშობა (+)

II. მოთხოვნის გაქარწყლება (-)

- შესრულების ეფექტი (-)
 - სანივთო გარიგება (-)
 - შესრულების თეორიები
 - ხელშეკრულების თეორია (-)
 - მიზნობრივი გამონწვევის თეორია (-)
 - რეალურად გამონწვევის თეორია (-)

B. ვარიანტი – ფულის დეპონირება (+)

I. დეპონირების წინაპირობები (+)

II. დეპონირების შედეგი = მოთხოვნის გაქარწყლება (+)

სამახსოვრო!

- 427-ე მუხლის გაგებით შესრულების ეფექტთან დაკავშირებით არსებობს სამი თეორია: „ხელშეკრულების თეორია“; „შესრულების მიზნობრივი გამონწვევის თეორია“; „შესრულების შედეგის რეალურად გამონწვევის თეორია“.
- პირველი თეორიის მიხედვით, შესრულების ეფექტი ემყარება მხარეთა შეთანხმებას მოთხოვნის გაუქმებასთან დაკავშირებით, მეორის მიხედვით – ამ ეფექტისათვის აუცილებელია შეპირებულის გადაცემა ვალის დაფარვის მიზნით, ხოლო მესამე თეორია შესრულებას მხოლოდ რეალაქტად მიიჩნევს.
- შესრულების ეფექტის გარეშე ქართულ სამართალში მოქმედი კაუზალობის პრინციპის გამო საკუთრების გადაცემა ნამდვილი ვერ იქნება.

კაზუსი 28. აჭარკარაქი

(მოთხოვნის დათმობა; მოთხოვნის ნასყიდობა და მოთხოვნის განკარგვის გარიგება; მოვალის შესაგებლები ცესიონერის წინააღმდეგ; მოთხოვნის დათმობის დაუშვებლობა; ხელშეკრულების დათმობა)

შპს „აჭარკარაქს“ დადებული აქვს კარაქის მიწოდების ხანგრძლივი ხელშეკრულება სახაჭაპურე „ბორეასთან“. ანგარიშსწორება ხდება ყოველი თვის ბოლოს. 2019 წლის მესამე კვარტალში აჭარკარაქს სერიოზული ფინანსური გარღვევა აქვს, რის გამოც ის მიჰყიდის „თავის ყველა მოთხოვნას“ ინკასოკომპანიას – „გიზო ამომლები და პარტნიორები“ (შემდეგში – გიზო ამომლები). გარდა ამისა, ხელს მოაწერს დათმობის დოკუმენტს, რომელსაც შემდეგი შინაარსი აქვს: „ამ დოკუმენტით ჩემს ყველა მოთხოვნას, მათ შორის სამომავლო მოთხოვნებს, ვუთმობ შპს „გიზო ამომლებსა და პარტნიორებს“. გიზო ამომლები ამ ორივე დოკუმენტს წინ უდებს ბორეასს და მისგან დაუყოვნებლივ გადახდას ითხოვს. ბორეასი უთითებს იმ გარემოებაზე, რომ აჭარკარაქმა მას ნასყიდობის ფასის გადახდა ორი თვით გადაუვადა. გარდა ამისა, ფასის დანარჩენი ნაწილების გადახდის მოთხოვნა არ წარმოშობილა, რადგან აჭარკარაქს კარაქის დარჩენილი ნაწილი ჯერ საერთოდ არ მიუწოდებია. თუ მაინც აღმოჩნდა, რომ გიზო ამომლებს მის მიმართ რაიმე მოთხოვნა აქვს, ბორეასი აცხადებს გაქვითვას აჭარკარაქის მიმართ არსებული 1000 ლარის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რომელიც მას წარმოეშვა ამ უკანასკნელის მიერ წინა წელს ვადის გადაცილების გამო. გიზო ამომლები მიიჩნევს, რომ აჭარკარაქის „გაფუჭებული“ მას არ მოეკითხება.

1. შეუძლია თუ არა გიზო ამომლებს, მოსთხოვოს ბორეასს გადახდა ასევე სამომავლო მისანოდებელი კარაქისათვისაც?

2. ბორეასს უნდა ხელშეკრულებიდან გასვლა, რადგან კარაქის ბოლო სამი პარტია ამძალებული აღმოჩნდა. ვის წინაშე უნდა განაცხადოს მან ეს გასვლა?

A. ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნა 477 II, 198 მუხლის მიხედვით

გიზო ამომღებს შეიძლება ჰქონდეს ბორეასისაგან ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნა 477 II, 198-ე მუხლების მიხედვით.

I. მოთხოვნის წარმოშობა

1. ნამდვილი დათმობა, 198

გიზო ამომღებს იმ შემთხვევაში წარმოეშობოდა ბორეასისაგან ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნა, თუ მას ნამდვილი დათმობის საფუძველზე გადასცემდა ამ მოთხოვნას აჭარკარაქი.

ა. დათმობის შეთანხმება

ნასყიდობის ფასის მოთხოვნის დათმობისათვის აუცილებელია ნამდვილი შეთანხმება აჭარკარაქსა (ცედენტს) და გიზო ამომღებს (ცესიონერს) შორის.

აა. შეთანხმება – განკარგვითი გარიგება, 199 II 1

198-ე და მომდევნო მუხლებით გათვალისწინებული შედეგის დადგომისათვის აუცილებელია შეთანხმება ცედენტსა და ცესიონერს შორის, მოთხოვნის გადაცემის შინაარსით (199 II 1). ეს შეთანხმება წარმოადგენს განკარგვის გარიგებას.

მოთხოვნის დათმობა – განკარგვის გარიგება

199 II 1 მუხლში საუბარია გარიგებაზე, რომლითაც უშუალოდ ხდება დათმობა, ანუ რეალური ტრანსაქცია. ამიტომაც ამ მუხლში ნახსენები გარიგება შეიძლება იყოს მხოლოდ მოთხოვნის დათმობის „სანივთო“¹³⁰ გარიგება, ანუ განკარგვითი გარიგება.¹³¹ ამაზე მიანიშნებს როგორც მისი სისტემური ადგილი – სანივთო სამართალი, – ისე მისი ფორმულირება.¹³²

მოთხოვნის დათმობის განკარგვითი გარიგებისაგან უნდა გამიჯნოს (გამიჯვნის პრინციპი) ვალდებულებითი გარიგება მოთხოვნის გადაცემასთან დაკავშირებით – მოთხოვნის ნასყიდობა, გაცვლა ან ჩუქება, რომელიც არის

¹³⁰ მოთხოვნის დათმობის განკარგვითი გარიგების, მიუხედავად არსობრივი იდენტურობისა, სანივთო გარიგებად მოხსენიება ტერმინოლოგიურად გაუმართავია, რადგან მოთხოვნა არ არის ნივთი.

¹³¹ *Honsell*, FS *Wiegand*, ზემოთ სქ. 13, 366-ე და მომდევნო გვერდები.

¹³² *რუსიაშვილი*, შედარებითი სამართლის ჟურნალი, 1/2019, 23.

ჩვეულებრივი ნასყიდობა (477), გაცვლა (521) ან ჩუქება (524), იმ განსხვავებით, რომ მისი საგანია არა ნივთი, არამედ არამატერიალური ქონებრივი სიკეთე – მოთხოვნა.

ქართულ სამოქალაქო სამართალში მოქმედი კაუზალობის პრინციპის მიხედვით, მოთხოვნის განკარგვითი გარიგება ვერ იქნება ნამდვილი კაუზალური, ანუ მოთხოვნასთან დაკავშირებით დადებული ვალდებულებითი გარიგების გარეშე. იხ. ქვევით.

აქ გიზო ამომღებმა წარმოადგინა მხოლოდ აჭარკარაქის მიერ ხელმოწერილი დათმობის დოკუმენტი, რომელიც შეიცავდა მხოლოდ ამ უკანასკნელის განცხადებას დათმობასთან დაკავშირებით. ამიტომაც შესაძლებელია, მხოლოდ აჭარკარაქის ცალმხრივი ნების გამოხატვა გვექონდეს სახეზე. თუმცა, მეორე მხრივ, ცედენტი-აჭარკარაქის ამ ოფერტის აქცეპტი გიზოს მხრიდან შეიძლება მომხდარიყო კონკლუდენტურად, გამომდინარე იქიდან, რომ დათმობისათვის 198-ე და მომდევნო მუხლებში ფორმა გათვალისწინებული არ არის. ყველაზე გვიან, აჭარკარაქის მიერ ხელმოწერილი დათმობის დოკუმენტის მიღებით გიზო ამომღებმა განაცხადა კონკლუდენტური აქცეპტი. ამით სახეზეა დათმობის ხელშეკრულება 199 II 1 მუხლის მიხედვით.

ბბ. შეთანხმების განსაზღვრულობა

დათმობის შეთანხმება არის არანამდვილი, თუ ის ძალზე განუსაზღვრელია. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დათმობის საგანი იყო არა მხოლოდ ნასყიდობიდან ფასის გადახდის აქტუალური მოთხოვნა, რომელიც ჰქონდა აჭარკარაქს ბორეასის წინააღმდეგ, არამედ ასევე – სამომავლო მოთხოვნები სამომავლო მიწოდებისათვის ნასყიდობის ფასის გადახდისა. მიუხედავად ამისა, აღიარებულია, რომ დასაშვებია ასევე სამომავლო მოთხოვნების დათმობა, თუ სამართლებრივი საფუძველი და მხარეები საკმარისად არის განსაზღვრული, რაც აქ სახეზეა.

საკითხის გაღრმავებისათვის: ის გარემოება, რომ ამ სამომავლო მოთხოვნის წარმოშობისათვის აუცილებელი წინაპირობები (კარაქის მიწოდება) ჯერ კიდევ ცედენტის განსახორციელებელია, არ წარმოადგენს პრობლემას, რადგან ხელშეკრულება ცედენტ-აჭარკარაქსა და მოვალე-ბორეასს შორის ძალაშია და გრძელდება და ეს მხარეები ინარჩუნებენ ერთმანეთის მიმართ

ყველა სხვა მოთხოვნას, გარდა დათმობილისა. მოთხოვნის დათმობა ეხება მხოლოდ კონკრეტულ მოთხოვნას/მოთხოვნებს.

მოთხოვნის დათმობისაგან უნდა განვასხვაოთ (მთლიანი) ხელშეკრულების დათმობა, როდესაც ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს სრულად ანაცვლებს სხვა პირი და ხდება ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა უფლება-მოვალეობის მატარებელი. ხელშეკრულების დათმობა სამოქალაქო კოდექსში მოწესრიგებული არ არის, თუმცა მისი კონსტრუირება უპრობლემოდ არის შესაძლებელი მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების კომბინაციით.

ფორმულირების – „ყველა მოთხოვნა“ – გამოყენება მხოლოდ ნათელყოფს იმ გარემოებას, რომ აქ გიზო ამომღებზე უნდა გადასულიყო აჭარკარაქის ყველა მოთხოვნა ბორეასთან საქმიანი ურთიერთობიდან, რაც საკმარისია განსაზღვრულობისათვის.

ბ. შეთანხმების ნამდვილობა

დათმობის (განკარგვითი) შეთანხმების ნამდვილობისათვის ზოგადი ნესები მოქმედებს. ამ შემთხვევაში კაზუსიდან არ იკითხება მისი არანამდვილობის საფუძველი, არც 54-ე მუხლის რომელიმე ვარიანტიდან და არც რომელიმე სხვა მუხლის საფუძველზე.

საკითხის გაღრმავებისათვის: მოთხოვნის დათმობა ბათილია 54, ვარ. 1 მუხლის მიხედვით, თუ ის, მაგალითად, არღვევს გაუმხელობის ვალდებულებას – ექიმი უთმობს თავის მოთხოვნას კერძო პაციენტის მიმართ სხვა პირს.

54, ვარ. 3 მუხლის მიხედვით დათმობის ხელშეკრულება ამორალურია, თუ ის იმდენად ზღუდავს მოვალის ეკონომიკურ თავისუფლებას, რომ ეს მისი სრული ეკონომიკური პარალიზების ტოლფასია (Knebelung), ან უბიძგებს პირს სხვასთან დადებული ხელშეკრულების დარღვევისაკენ.

გ. ცედენტის უფლებამოსილება

გამომდინარე იქიდან, რომ აჭარკარაქი ბორეასთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე იყო (აქტუალური) ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნის მფლობელი, მას, ზოგადად, ჰქონდა მისი დათმობის უფლებამოსილება. ამ დათმობის შეზღუდვა ან აკრძალვა 199 I, ვარ. 2 მუხლის მიხედვით სახეზე არ არის.

დ. მოთხოვნის ნასყიდობა

დათმობის განკარგვითი ხელშეკრულების გარდა (199 II 1), ქართულ სამოქალაქო სამართალში მოქმედი კაუზალობის პრინციპის მიხედვით, დათმობის ნამდვილობისათვის ასევე აუცილებელია, რომ ნამდვილი იყოს მის საფუძვლად მდებარე კაუზა – ის ვალდებულებითი გარიგება, რომლის ძალითაც ცედენტმა იკისრა მოთხოვნის დათმობის ვალდებულება. აქ ასეთ კაუზად გვევლინება მოთხოვნის ნასყიდობა 477-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით, რომელიც ნამდვილია.

2. დათმობის სამართლებრივი შედეგები

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, აქ სახეზეა ნამდვილი დათმობა აჭარკარაქსა და გიზო ამომლებს შორის, რის გამოც ყველა ამჟამინდელი ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნა, ფასის გადახდის სამომავლო მოთხოვნებთან ერთად, გადავიდა გიზო ამომლებზე, 198 I 2 მუხლი. ფასის გადახდის სამომავლო მოთხოვნებს რაც შეეხება, აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დათმობა, საბოლოო ჯამში, მხოლოდ მაშინ გამოიღებს შედეგს, როდესაც ეს მოთხოვნები რეალურად წარმოიშობა.

მოთხოვნის დათმობის წინაპირობები, 198-ე და მომდევნო მუხლები

1. ნამდვილი (განკარგვითი) შეთანხმება
 - ა) შეთანხმება ძველ კრედიტორსა (ცედენტსა) და ახალ კრედიტორს (ცესიონერს) შორის მოთხოვნის გადაცემასთან დაკავშირებით (განკარგვითი გარიგება)
 - ბ) შეთანხმების განსაზღვრულობა – დასაშვებია შეთანხმება ასევე სამომავლო და პირობადებულ მოთხოვნებზე.
 - გ) ფორმა:
 - ზოგადად ფორმა სავალდებულო არ არის
 - გამონაკლისი: 295-ე მუხლი
 - დ) ნამდვილობა – არ უნდა არსებობდეს ბათილობის საფუძველი 54-ე მუხლის მიხედვით.
2. ცედენტის უფლებამოსილება
 - ცედენტი უნდა იყოს დათმობილი მოთხოვნის მფლობელი და მისი განკარგვის უფლებამოსილების მქონე
 - თუ არაუფლებამოსილია: დათმობა ბათილია, რადგან მოთხოვნის კეთილსინდისიერად მოპოვება, ზოგადად, შეუძლებელია (გამონაკლისი: 297-ე მუხლი).

3. კაუზალობის პრინციპიდან გამომდინარე დათმობის ნამდვილობისათვის აუცილებელია მოთხოვნასთან დაკავშირებით დადებული ვალდებულებებით გარიგების (მაგ., მოთხოვნის ნასყიდობა) ნამდვილობაც.

II. მოთხოვნის გაქარწყლება გაქვითვის მეშვეობით, 442

გიზო ამომღების მოთხოვნა ბორეასის მიმართ შეიძლება გაქარწყლდეს 1000 ლარის ნაწილში ამ უკანასკნელის მხრიდან გაცხადებული გაქვითვის მეშვეობით.

1. გაქვითვის გაცხადება

ბორეასის მხრიდან გაქვითვის გაცხადება 442 II 2 მუხლის მიხედვით სახეზეა.

2. გაქვითვის შესაძლებლობა

442-ე მუხლის მიხედვით გაქვითვის წინაპირობაა ორი ურთიერთდაპირისპირებული და ერთგვარი მოთხოვნის არსებობა, ამათგან გამქვითავის მოთხოვნა უნდა იყოს ვადამოსული და განხორციელებადი, საპირისპირო მოთხოვნა კი შესრულებადი (ამ მომენტისათვის).

ა. ურთიერთდაპირისპირებული მოთხოვნები

მოცემულ შემთხვევაში ბორეასი ქვითავს გიზო ამომღების მიმართ იმ მოთხოვნით, რომელიც მას აქვს არა გიზოს, არამედ აჭარკარაქის წინააღმდეგ, რის გამოც აქ, ერთი შეხედვით, გაქვითვის ეს წინაპირობა – ურთიერთდაპირისპირებული მოთხოვნები – სახეზე არ არის. თუმცა საკითხავია, ხომ არ შეიძლება ამ წინაპირობის არარსებობის გადალახვა რაიმე სხვა, სპეციალური წესის შესაბამისად.

ბ. არაურთიერთდაპირისპირებული მოთხოვნების გაქვითვა 201 II მუხლის მიხედვით

სსკ, განსხვავებით გერმანიის სამოქალაქო კოდექსისაგან,¹³³ არ შეიცავს დანაწესს, რომელიც მოვალეს პირდაპირ მიანიჭებდა უფლებას, გაქვითა ძველი კრედიტორის მიმართ არსებული მოთხოვნით დათმობილი მოთხოვნა ახალი კრედიტორის წინაშე.

¹³³ იხ. გსკ-ის 406-ე მუხლი.

თუმცა აქ შესაძლებელია, 201 II მუხლის ანალოგიით გამოყენება იყოს დასაშვები. ეს დანაწესი მოვალეს ცესიონერის მიმართ უნარჩუნებს ყველა იმ შესაგებელს, რაც მას ჰქონდა ცედენტის წინაშე. გაქვითვა არ წარმოადგენს შესაგებელს, მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი კონტრპოზიციის გაგებით (ასეთია, მაგალითად, ხანდაზმულობა). თუმცა ქართული იურიდიული ლექსიკა ერთმანეთისაგან არ მიჯნავს მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელ და მოთხოვნის გამაქარწყლებელ შესაგებლებს (გასვლა, შეცილება, შესრულება და ა.შ.).¹³⁴ ამ უკანასკნელი ტიპის შესაგებლებს განეკუთვნება ასევე გაქვითვა. ამიტომაც დასაშვებია 201 II მუხლის იმგვარად განმარტება, რომ შესაგებლის ცნებამ მოიცვას ასევე გამაქარწყლებელი შესაგებლები და მათ შორის გაქვითვაც.¹³⁵

201 II მუხლის ამგვარი განმარტებისაგან დამოუკიდებლად ნათელია, რომ მოვალის მდგომარეობა – რომლის თანხმობაზე არ არის დამოკიდებული მოთხოვნის დათმობა (გამონაკლისი: 199 I, ვარ. 2) – ცესიის შედეგად არ უნდა გაუარესდეს. სწორედ ამ ზოგადი პრინციპის კონკრეტულ გამოვლინებას წარმოადგენს 201 II მუხლი, რომლის ანალოგიით გამოყენებაც, ყოველ მიზეზგარეშე, უნდა იყოს დასაშვები ისეთ შემთხვევაზე, როდესაც ეს გაუარესება (ცედენტის მიმართ არსებული თავდაპირველი) გაქვითვის შესაძლებლობის დაკარგვაში ვლინდება.

შენიშვნა: გამონაკლისის სახით ეს წესი არ უნდა გამოვიყენოთ იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალემ საკუთარი მოთხოვნის მოპოვების მომენტში უკვე იცოდა დათმობის შესახებ ან მისი მოთხოვნა მხოლოდ დათმობის შესახებ შეტყობის შემდეგ წარმოიშვა და ვადამოსული გახდა უფრო გვიან, ვიდრე დათმობილი მოთხოვნა. ამ ორივე შემთხვევაში მოვალე დასაცავი არ არის.

ამგვარად, აქ, მიუხედავად ურთიერთდაპირისპირებულობის არარსებობისა, ბორეასს შეუძლია, გაუქვითოს გიზო ამომღებს მოთხოვნა თავისი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მე-400, 404-ე მუხლების მიხედვით.

¹³⁴ ცალკე ტიპად გამოყოფენ უფლების წარმოშობის გამომრიცხავ შესაგებლებს (*rechtshindernde Einwendungen*), მაგალითად, 54-ე მუხლის ან 63-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით, გამორიცხავენ რა მოთხოვნის საერთოდ წარმოშობას.

¹³⁵ გსკ-ის 404-ე პარაგრაფში, საიდანაც არის გადმოღებული სსკ-ის 201 II მუხლი, გამოყენებულია ტერმინი (*Einwendungen*), რომელიც ორივე ტიპის შესაგებლებს მოიცავს.

გ. გაქვითვის სხვა წინაპირობები, 442

442-ე მუხლით გათვალისწინებული გაქვითვის სხვა, დანარჩენი წინაპირობები (ერთგვარობა, ძირითადი (გასაქვეთი) მოთხოვნის შესრულებადობა, ისევე, როგორც გამქვითავის მოთხოვნის ვადამოსულობა და განხორციელებადობა) აქ სახეზეა.

ამით გიზო ამომღების ფასის გადახდის მოთხოვნა ბორეასის წინააღმდეგ გაქარწყლდა გაქვითვის მეშვეობით 1000 ლარის ნაწილში (444).

III. ფასის დარჩენილი ნაწილის გადახდის გადავადება

გიზო ამომღების მოთხოვნა ფასის გადახდის დარჩენილი ნაწილის გადახდასთან დაკავშირებით განუხორციელებელი იქნებოდა, თუ ბორეასს მის წინააღმდეგ ექნებოდა გადავადების შესაგებელი.

1. გადავადების შეთანხმება აჭარკარაქსა და ბორეასს შორის

ფასის თავდაპირველმა კრედიტორმა აჭარკარაქმა ბორეასს გადაუვადდა ნასყიდობის ფასის გადახდა. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ტიპის ვალდებულებით შეთანხმებებს მხარეებს შორის მხოლოდ ფარდობითი ეფექტი აქვთ, ეს შესაგებელი არ მოქმედებს ახალი კრედიტორის მიმართ.

შენიშვნა: სანივთო გარიგებებს აქვთ აბსოლუტური მოქმედება, ანუ მოქმედება ყველა პირის წინაშე. ამის საპირისპიროდ ვალდებულებითი გარიგებების მოქმედება მხოლოდ ფარდობითია, ანუ მხოლოდ ხელშეკრულების მხარეთა შორის ეფექტით შემოიფარგლება, გამონაკლისია: 201 II, 899, 291 I.

2. შესაგებლის შენარჩუნება 201 II მუხლის მიხედვით

თუმცა მოვალეს დათმობით არანაირი ზიანი არ უნდა მიადგეს. ამიტომაც მოვალე ბორეასს 201 II მუხლის მიხედვით უფლება აქვს, წაუყენოს თავდაპირველი ურთიერთობიდან გამომდინარე შესაგებლები ასევე ახალ კრედიტორ გიზო ამომღებს.

ამიტომაც, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, გიზო ამომღების მოთხოვნა ნასყიდობის დარჩენილი (არაგაქვითული) ნაწილის გადახდასთან დაკავშირებით არ არის განხორციელებადი ბორეასის გადავადების შესაგებლის გამო.

B. ბორეასის მხრიდან გასვლის გაცხადება

საკითხავია, თუ ვის წინაშე უნდა განაცხადოს ბორეასმა გასვლა ნივთის ნაკლიდან გამომდინარე.

I. გასვლის უფლება

ნაკლოვანი შესრულების გამო ბორეასს აქვს გავლის უფლება 491 I, 352-ე მუხლების საფუძველზე.

II. გასვლის გაცხადების ადრესატი, 355

საკითხავია, თუ ვის წინაშე უნდა განაცხადოს ბორეასმა გასვლა – ცედენტი აჭარკარაქისა თუ ცესიონერი გიზო ამომღების. იქიდან გამომდინარე, რომ დათმობის შედეგად მხოლოდ ნასყიდობის ფასი გადავიდა აჭარკარაქიდან გიზო ამომღებზე, სახელშეკრულებო ურთიერთობა (ნასყიდობა) მთელი თავისი დარჩენილი უფლებებით და მოვალეობებით გრძელდება მხარეთა შორის, ანუ აქ აჭარკარაქსა და ბორეასს შორის (რაც განასხვავებს მოთხოვნის დათმობის მთლიანი ხელშეკრულების დათმობისაგან, იხ. ზემოთ).

გამომდინარე იქიდან, რომ ცედენტი აჭარკარაქი რჩება ბორეასთან დადებული ხელშეკრულების მხარედ, ბორეასმა გასვლა სწორედ მის წინაშე უნდა განაცხადოს.

<p>A. მოთხოვნა 477 I მუხლით (-)</p> <p>I. მოთხოვნის წარმოშობა (+)</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ნამდვილი დათმობა, 198 (+) <ul style="list-style-type: none"> ○ დათმობის შეთანხმება (+) <ul style="list-style-type: none"> ▪ შეთანხმება, 199 II 1 (+) ▪ განსაზღვრულობა (+) ○ შეთანხმების ნამდვილობა (+) ○ ცედენტის უფლებამოსილება (+) ○ მოთხოვნის ნასყიდობა (+) <p>II. გაქარწყლება გაქვითვის მეშვეობით, 442 (+)</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ გაქვითვის გაცხადება, 442 (+) ➤ გაქვითვის შესაძლებლობა <ul style="list-style-type: none"> ○ ურთიერთდაპირისპირებულობა (-) ○ არაურთიერთდაპირისპირებული მოთხოვნების გაქვითვა 201 II (+) ➤ გაქვითვის სხვა წინაპირობები (+) <p>შუალედური შედეგი: ფასის მოთხოვნა გაქვითული მოთხოვნის ნაწილში (-)</p> <p>III. ფასის დარჩენილი ნაწილის გადავადება (+)</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ გადავადების შეთანხმება (+) ➤ შესაგებლის შენარჩუნება, 201 II (+) <p>საბოლოო შედეგი: მოთხოვნა გაქვითულია და დანარჩენ ნაწილში განუხორციელებელი</p>
<p>B. ვარიანტი – გასვლის გაცხადება (+)</p> <p>I. გასვლის უფლება (+)</p> <p>II. გასვლის გაცხადების ადრესატი = ცედენტი(+)</p>

შენიშვნა: ამის საპირისპიროდ, თუ ცედენტს სურს ნასყიდობიდან გასვლა, ეს, გაბატონებული მოსაზრების თანახმად, მხოლოდ ცესიონერის თანხმობით არის შესაძლებელი, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცედენტი ცესიონერს ცალმხრივად გამოაცლიდა ხელიდან მოპოვებულ პოზიციას.¹³⁶

სამახსოვრო!

- 199 II 1 მუხლში საუბარია გარიგებაზე, რომლითაც უშუალოდ ხდება დათმობა, ანუ რეალური ტრანსაქცია. ამიტომაც ამ მუხლში ნახსენები გარიგება შეიძლება იყოს მხოლოდ მოთხოვნის დათმობის განკარგვითი გარიგება, რომლისგანაც უნდა გაიმიჯნოს მოთხოვნის ნასყიდობა.
- ქართულ სამოქალაქო სამართალში მოქმედი კაზუალობის პრინციპის მიხედვით, მოთხოვნის განკარგვითი გარიგება ვერ იქნება ნამდვილი კაზუალური, ანუ მოთხოვნასთან დაკავშირებით დადებული ვალდებულებითი გარიგების გარეშე.
- დასაშვებია ასევე სამომავლო მოთხოვნების დათმობა, თუ სამართლებრივი საფუძველი და მხარეები საკმარისად არის განსაზღვრული.
- მოთხოვნის დათმობისაგან უნდა განვასხვაოთ (მთლიანი) ხელშეკრულების დათმობა, როდესაც ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს სრულად ანაცვლებს სხვა პირი და ხდება ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა უფლება-მოვალეობის მატარებელი.
- მოთხოვნის დათმობის შემდეგაც თავდაპირველი ურთიერთობა დარჩენილი უფლება-მოვალეობებით გრძელდება თავდაპირველ მხარეებს შორის.
- 201 II მუხლის ანალოგიით, მოვალეს შეუძლია, გაუქვითოს ცესიონერს დათმობილი მოთხოვნა ცედენტის წინაშე არსებული სხვა მოთხოვნით, თუ არსებობს 442-ე და მომდევნო მუხლების (სხვა) წინაპირობები.
- მოთხოვნის დათმობის მიუხედავად ხელშეკრულებიდან გასვლა მოვალემ ცედენტის წინაშე უნდა განაცხადოს.

¹³⁶ *Heinrichs*, in *Palandt*, § 398 Rn. 18b.

კაზუსი 29. მარჯვი კოტი

(ნამდვილი და არანამდვილი სოლიდარული ვალდებულება; „ვალის დაფარვის ერთიანი ეფექტი“)

პიროტექნიკოსი კოტი, მეტსახელად „ხელმარჯვე ჯონი“, ისე მოიხიბლება საკუთარი ხელმარჯვეობით, რომ მსუბუქი გაუფრთხილებლობით მთლიანად გადანვავს ქუთაისის ერთ-ერთ საკონცერტო დარბაზს. ქუთაისის მუნიციპალიტეტი, რომლის დაქვემდებარებაშიც შედიოდა საკონცერტო დარბაზის მფლობელი ა(ა)იპი და რომელსაც საჯარო სამართლის საფუძველზე ეკისრებოდა დამწვარი დარბაზის აღდგენა, ამ აღდგენის შემდეგ კოტეს სთხოვს მთლიანი ხარჯების ანაზღაურებას.¹³⁷

შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა!

¹³⁷ შედგენილია რაიხის სასამართლოს მსგავსი გადაწყვეტილების საფუძველზე (RGZ 82, 206).

A. ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა 970-ე, 973-ე მუხლების მიხედვით

მუნიციპალიტეტს შეიძლება ჰქონდეს კოტესაგან დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნა 970-ე, 973-ე მუხლების მიხედვით, რისი წინაპირობაცაა დავალების გარეშე, სხვისი საქმის შესრულება შესაბამისი ნების საფუძველზე, ამ სხვა პირის ინტერესებისა და ნების შესაბამისად.

I. სხვისი საქმე და სხვისი საქმის შესრულების ნება

საკითხავია, არის თუ არა აქ სახეზე ობიექტურად სხვისი საქმე, რომლის შემთხვევაშიც სხვისი საქმის შესრულების ნება ივარაუდება.¹³⁸ ეს წინაპირობა იმიტომ არის პრობლემური, რომ მუნიციპალიტეტმა საკონცერტო დარბაზის აღდგენით შეასრულა საკუთარი საჯაროსამართლებრივი ვალდებულება, ამიტომაც აქ შეუძლებელია გადაჭრით იმის მტკიცება, რომ მან ობიექტურად (მხოლოდ) სხვისი ვალდებულება შეასრულა. თუმცა ე.წ. „ასევე სხვისი საქმის“-პრინციპების საფუძველზე შესაძლებელია დაუშვათ სხვისი საქმეების ნამდვილი და მართებული შესრულება.¹³⁹

II. კოტეს ინტერესები

გარდა ამისა, სხვისი საქმის შესრულება უნდა ყოფილიყო კოტეს ინტერესებში. ამის წინაპირობაა მისი ვალდებულებისაგან გათავისუფლება, რის გამოც შესამონმებელია, გათავისუფლდა თუ არა კოტე მუნიციპალიტეტის მიერ შენობის აღდგენით, თავის მხრივ, იმავეს გაკეთების ვალდებულებისაგან. ეს მაშინ იქნებოდა სახეზე, თუ მუნიციპალიტეტის შესრულებას ექნებოდა ასევე მისი ვალის დაფარვის ეფექტი 371 I, 427-ე მუხლების მიხედვით. თუმცა მუნიციპალიტეტმა შეასრულა არა როგორც მესამე პირმა 371-ე მუხლის გაგებით, არამედ მიზნად მხოლოდ საკუთარი საჯარო ვალდებულების შესაბამისად მოქმედებას ისახავდა, ამიტომაც მისი მოქმედება კოტეს არ ათავისუფლებს და, შესაბამისად, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება არ იყო კოტეს „ინტერესებში“.

მოთხოვნა 970-ე, 973-ე მუხლების მიხედვით გამორიცხულია.

¹³⁸ რუსიაშვილი/ევნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი, 2016, მე-18 და მომდევნო გვერდი.

¹³⁹ BGHZ 63, 167; BGHZ 110, 313.

B. კონდიქციური მოთხოვნა

მუნიციპალიტეტს შეიძლება ჰქონდეს კოტეს წინააღმდეგ კონდიქციური მოთხოვნა 976 I ა) მუხლის მიხედვით. თუმცა ამ შემთხვევაში საკითხავია, საერთოდ მოიპოვა თუ არა კოტემ „რაიმე“ – ქონებრივი – სარგებელი კონდიქციური სამართლის გაგებით. ეს რაიმე შეიძლება ყოფილიყო ვალდებულებისაგან გათავისუფლება. მაგრამ, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, საკუთარი ვალდებულების შესრულებას მუნიციპალიტეტის მხრიდან არ ჰქონია კოტეს მიმართ ვალდებულებისაგან გამათავისუფლებელი ეფექტი 371 I, 427-ე მუხლების მიხედვით. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტს კოტეს ქონება არ გაუზრდია მიზანმიმართულად – *solvendi causa* – კოტეს იმ ვალდებულებისაგან გათავისუფლების მიზნით, რომელიც მას ეკისრებოდა საკონცერტო დარბაზის მესაკუთრე ა(ა)იპ-ის წინაშე. დარჩა რა კოტეს ვალდებულება ძალაში, გამორიცხულია მისგან შესრულების კონდიქციით რაიმეს მოთხოვნა.¹⁴⁰

იგივე ითქმის რეგრესის კონდიქციაზე (986). გარდა ამისა, რეგრესის კონდიქცია ისედაც სუბსიდიარულია ყველა სხვა მოთხოვნასთან მიმართებით.¹⁴¹

C. მოთხოვნა 473 I მუხლის მიხედვით

მუნიციპალიტეტს შეიძლება ჰქონდეს კოტესაგან რეგრესული მოთხოვნა 473 I მუხლის მიხედვით. ამისათვის აუცილებელია, რომ 415 I მუხლის ანალოგიით – როგორც სხვა კანონისმიერი დანაწესის (473 I მუხლის გაგებით) – გამოყენებით შიდა ურთიერთობაში ზიანზე პასუხისმგებლობა მთლიანად კოტეს ეკისრებოდეს, რადგან მხოლოდ მას მიუძღვის წვლილი ამ ზიანის დადგომაში. ამისთვის უნდა არსებობდეს სოლიდარული ვალდებულება. თუმცა მუნიციპალიტეტი და კოტე პასუხს აგებენ მხოლოდ ერთმანეთის გვერდიგვერდ და არა სოლიდარულად, რადგან მათ შორის არ მოქმედებს ე. წ. „ვალის დაფარვის ერთიანი ეფექტი“ 467 1 მუხლის მიხედვით.

¹⁴⁰ RGZ 82, 206.

¹⁴¹ *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, Rn. 910.

შენიშვნა: „ვალის დაფარვის ერთიანი ეფექტი“ გულისხმობს 467 1 მუხლით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგს, რომლის მიხედვითაც ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალის დაფარვა ათავისუფლებს დანარჩენებსაც საკუთარი ვალდებულებისაგან კრედიტორის წინაშე.

რადგან, მართალია, კოტეს – რომელმაც უშუალოდ გამოიწვია ზიანი, ანუ უფრო ახლოს იდგა ამ ზიანთან – მიერ ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში მუნიციპალიტეტი გათავისუფლდებოდა დამწვარი შენობის აღდგენის ვალდებულებისაგან, ეს წესი პირიქით, ანუ კოტეს სასარგებლოდ, არ მოქმედებს. მუნიციპალიტეტის მიერ შენობის აღდგენა კოტეს არ ათავისუფლებს. „ვალის დაფარვის ერთიანი ეფექტი“ შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულთაგან ერთ-ერთი არ არის პირველადი მოვალე, ანუ მთლიანი ზიანი მხოლოდ მისი გამოსასწორებელი არაა; ანუ, ეს ერთიანი ეფექტი სახეზე ვერ გვექნება, როდესაც, მაგალითად, ერთ-ერთი მოვალის მხრიდან გადახდა – ძირითადად მზღვეველის – მხოლოდ დროებით გაღებული მსხვერპლია, რომელიც, საბოლოოდ, ზიანის უშუალო გამწვანისგან უნდა დაიბრუნოს.¹⁴² ამ შემთხვევაშიც ზუსტად ასეთი სიტუაცია გვაქვს სახეზე; მუნიციპალიტეტის მხრიდან აღდგენის ხარჯების დაფარვა იყო მხოლოდ გარდამავალი აქტი და საბოლოო ქონებრივი მსხვერპლის გაღებას ის არ აპირებდა, ამიტომაც ის და კოტე არ არიან ერთ საფეხურზე მდგომი მოვალეები (ე. წ. არანამდვილი სოლიდარული ვალდებულება).

გარდა ამისა, 415 I მუხლის საფუძველზე აწონ-დაწონის წინაპირობაა, რომ ყველა სოლიდარულ მოვალეს შეერაცხება გარკვეული წილი ზიანის დადგომაში, რაც აქ სახეზე არ არის.¹⁴³

ამგვარად, მოთხოვნა 473 I მუხლის მიხედვით უნდა გამოირიცხოს.

D. დათმობილი დელიქტური მოთხოვნა

მუნიციპალიტეტს შეიძლება ჰქონდეს კოტესაგან აღდგენის ხარჯების მიღების შესაძლებლობა ა(ა)იპის მიერ კოტეს მიმართ არსებული დელიქტური მოთხოვნის (992) დათმობის შემდეგ.

¹⁴² Larenz, Schuldrecht I, § 37 I, 64.

¹⁴³ Larenz, Schuldrecht I, § 32II, Anm. 20.

ამისათვის აუცილებელია, რომ, პირველ რიგში, თავად ა(ა)იპის ჰქონდეს კოტესაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 992-ე მუხლის შესაბამისად, რადგან ამ უკანასკნელმა ბრალეულად და მართლსაწინააღმდეგოდ ხელყო მისი საკუთრება. მართალია, ა(ა)იპის ამით ზიანი არ მიადგა, რადგან მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო, აღედგინა ხანძრის შედეგად დაზიანებული შენობა, თუმცა, ზიანის ნორმატიული ცნების მიხედვით, ეს კოტეს პასუხისმგებლობისაგან ვერ გაათავისუფლებს.

საკითხის გაღრმავებისათვის: ზიანის ნატურალური ცნება წარმოადგენს მხოლოდ ამოსავალ წერტილს ანაზღაურებადი ზიანის დადგენისათვის და ხშირ შემთხვევაში ხდება მისი მოდიფიცირება ზიანის ე.წ. ნორმატიული ცნებით. ხშირ შემთხვევაში მიყენებული დანაკლისი, ნორმატიული საფუძვლებიდან გამომდინარე, ვერ ჩაითვლება ანაზღაურებად ზიანად.¹⁴⁴ ასევე პირიქით, ზოგჯერ რეალური ქონებრივი სარგებელი, რაც ზიანის მიყენებით არის განპირობებული (მაგალითად, სადაზღვევო თანხა), იმავე ნორმატიული საფუძვლის გამო არ უნდა იქნეს გათვალისწინებული ზიანის მოცულობის დაანგარიშებისას.¹⁴⁵

შესაბამისად, ა(ა)იპის აქვს კოტესაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება 992-ე მუხლის მიხედვით.

თუმცა პრობლემურია, თუ რა სამართლებრივი კონსტრუქციის მეშვეობით არის შესაძლებელი ამ მოთხოვნის მუნიციპალიტეტზე გადასვლა. შედეგის მხრივ ცალსახაა, რომ კოტემ, რომელმაც უშუალოდ გამოიწვია ზიანი, არ უნდა დააღწიოს თავი პასუხისმგებლობას მუნიციპალიტეტის საჯაროსამართლებრივ ვალდებულებაზე მითითებით და თუ არ აგებს პასუხს ა(ა)იპის წინაშე, – რადგან ქალაქმა უკვე გამოასწორა ზიანი, – უნდა აგოს პასუხი მის წინაშე, ვისაც მოუწია შენობის აღდგენის ტვირთის კისრება.

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთი მოსაზრება¹⁴⁶ ამ კონტექსტში უთითებს გსკ-ის 255-ე მუხლის ანალოგიით გამოყენების შესაძლებლობას. თუმცა ამ ნორმის შესატყვისი ქართულ სამოქალაქო კოდექსში არ მოიპოვება, რის გამოც ა(ა)იპის დავალდებულება, რომ

¹⁴⁴ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, 412, მე-6 და მომდევნო ველები.

¹⁴⁵ შდრ. სარგებლის გაქვითვასთან დაკავშირებით: რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხ. 414, 26-ე ველი.

¹⁴⁶ *Selb, Mehrheit von Gläubigern und Schuldern*, 162.

დაუთმოს საკუთარი დელიქტური მოთხოვნა მუნიციპალიტეტს, მხოლოდ ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზეა (8 III) შესაძლებელი:¹⁴⁷ კოტემ არ უნდა ნახოს სარგებელი იქიდან, რომ გადაწვა არა რიგითი შენობა, არამედ ისეთი, რომლის აღდგენის ვალდებულებაც აწვა ქალაქის მუნიციპალიტეტს.

შედეგი: ქალაქს შეუძლია, მოსთხოვოს კოტეს ზიანის ანაზღაურება დათმობილი დელიქტური მოთხოვნიდან (992).

A. მოთხოვნა 970, 973 მუხლებით (-)
I. სხვისი საქმე და შესრულების ნება (-)
II. კოტეს ინტერესებში (-)
B. კონდიქციური მოთხოვნა (-)
C. მოთხოვნა 473 I მუხლის მიხედვით
➤ „ვალის დაფარვის ერთიანი ეფექტი“ (-)
D. დათმობილი დელიქტური მოთხოვნა (+)
➤ მოთხოვნის გადასვლა 8 III მუხლის მიხედვით (+)

სამახსოვრო!

- სოლიდარული ვალდებულების არსებობისათვის აუცილებელია ე. წ. „ვალის დაფარვის ერთიანი ეფექტი“ 467 1 მუხლის მიხედვით, როდესაც ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალის დაფარვა ათავისუფლებს დანარჩენებსაც საკუთარი ვალდებულებისაგან სოლიდარული მოვალის წინაშე.
- თუ ერთ-ერთი მოვალის მხრიდან გადახდა მხოლოდ დროებით გაღებული მსხვერპლია, რომელიც, საბოლოოდ, ზიანის უშუალო გამწვევისაგან უნდა დაიბრუნოს, ამ დროს ისინი არ არიან ერთ საფეხურზე მდგომი მოვალეები და მათ შორის მხოლოდ არანამდვილი სოლიდარული ვალდებულება არსებობს.
- ზიანის უშუალოდ გამომწვევს არ უნდა ჰქონდეს სხვა პირის პასუხისმგებლობაზე მითითებით, რომელიც რაიმე სხვა საფუძველით ვალდებულია გამოასწოროს ზიანი, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობა, რის გამოც ამ სხვა პირის მიერ ზიანის გამოსწორების შემდეგ 8 III მუხლის მიხედვით მასზე გადადის დაზარალებულის მოთხოვნა უშუალო დამზიანებლის მიმართ.

¹⁴⁷ Larenz, Schuldrecht I, § 32II, Anm. 21.

კაფუსი ვი. ვაჟიკო, რომელსაც სხვისი ბედი არასოდეს ანალვლებდა

(დელიქტით მიყენებული ზიანი; პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა; შეუსაბამო ხარჯების ანაზღაურება; არაქონებრივი ზიანი; სარგებლის გამოქვეყნება; ოთხსაფეხურიანი სქემა დაზიანებული ავტომანქანისათვის ზიანის ანაზღაურებისას; დაზოგილი ცვეთა)

ვაჟიკო, რომელსაც სხვისი ბედი არასოდეს ანალვლებდა, მიუხედავად იმისა, რომ საკმაო ფული აქვს, მაინც თავად შეეჭიდა ბინის რემონტს და თვითნაკეთი მზიდით ექაჩება აგურებს მერვე სართულზე. თუმცა მას მსუბუქი გაუფრთხილებლობით გამორჩება ის ფაქტი, რომ ხარიხა ამ წონის ტვირთზე არ არის გათვლილი, რის გამოც ის პირველსავე მცდელობაზე მოწყდება და აგურები მეშვიდე სართულის სიმაღლიდან დაიყრება ნუგზარის მანქანაზე, რაც მანქანას მნიშვნელოვნად დაზიანებს, ხოლო თავად ნუგზარი, რომელიც ამ მომენტში მანქანაში იჯდა, მიიღებს ტვინის შეწყვეტას და ერთი კვირა წოლითი რეჟიმი აქვს დაწესებული.

მანქანის შეკეთების ბრუტო ღირებულება არის 7000 ლარი (ნეტო – 6000) და 14 დღე სჭირდება. მანქანის ღირებულება დაზიანების მომენტი-სათვის იყო 18 000 ლარი, ხოლო დარჩენილი ღირებულება – 12 000 ლარი; შემცირებული საბაზრო ღირებულება – 6 %. გამოჯანმრთელების შემდეგ ნუგზარი ითხოვს ექიმის ხარჯებს – 1000 ლარს – და ასევე მანქანის შეკეთების ხარჯებს, რომლებიც მანამდე საკუთარი ჯიბიდან დაფარა. მან გამოჯანმრთელების შემდეგ დაუყოვნებლივ იქირავა მსგავსი მონაცემების მანქანა, რაც, ჯამში, 1235 ლარი დაუჯდა, რომლის ანაზღაურებას ასევე ითხოვს ვაჟიკოსაგან, შრომით განაცდურსა და ერთკვირიანი ტანჯვისთვის კომპენსაციასთან ერთად. დაზიანების მომენტისათვის არც თავად ნუგზარი და არც მისი მანქანა დაზღვეული არ ყოფილა.

შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა!

A. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 992-ე მუხლის მიხედვით

ნუგზარს შეიძლება ჰქონდეს ვაჟიკოსაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 992-ე მუხლის მიხედვით.

დელიქტური მოთხოვნის წინაპირობაა დამზიანებლის მიერ დაზარალებულისათვის ბრალეულად და მართლსაწინააღმდეგოდ ზიანის მიყენება.

I. დელიქტური ქმედება

მართალია, ვაჟიკოს შეგნებულად არ დაუყრია აგურები ნუგზარის მანქანაზე, არამედ ეს მისმა უმოქმედობამ გამოიწვია, – ხარიხის სიმტკიცის შეუმონმებლობამ, – თუმცა მას ეს უმოქმედობა შეიძლება შეერაცხებოდეს დელიქტურ ქმედებად, თუ მოცემულ სიტუაციაში ეკისრებოდა მოქმედების ვალდებულება. ვაჟიკოს მოქმედების ვალდებულება შეიძლება გამომდინარეობდეს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა დაზღვევის ზოგადი ვალდებულებიდან.¹⁴⁸ ამ პრინციპების თანახმად, ის, ვინც სამოქალაქო ბრუნვაში წარმოშობს საფრთხის წყაროს, ვალდებულია, დაზღვიოს ბრუნვის სხვა მონაწილეები ამ საფრთხისაგან. მერვე სართულის სიმაღლეზე მოთავსებულ მზიდზე აგურების დაკიდება ცალსახად ქმნიდა საფრთხის წყაროს და ხარიხის სიმტკიცისადმი სათანადო ყურადღების არდათმობით ვაჟიკომ დაარღვია სხვა პირების ამ საფრთხისაგან დაცვის ვალდებულება.

ამით სახეზეა დელიქტური ქმედება 992-ე მუხლის გაგებით.

II. მართლსაწინააღმდეგობა და ბრალი

როგორც კაზუსის ფაბულაშია აღნიშნული, ვაჟიკოს ბრალად შეერაცხება მსუბუქი გაუფრთხილებლობა, ხოლო აბსოლუტური სიკეთეების დაზიანებისას, როგორებიცაა ამ უკანასკნელის ჯანმრთელობა და საკუთრება, მართლსაწინააღმდეგობა ავტომატურად სახეზეა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გამომრიცხავი გარემოებებია სახეზე.

¹⁴⁸ რუსიაშვილი/ევნატაშვილი, კანონისმიერი ვალდებულებითი სამართალი, 202-ე და მომდევნო გვერდები.

საკითხის გაღრმავებისათვის: სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანების ერთმანეთისაგან ზუსტი გამიჯვნა საკმაოდ პრობლემურია, რადგან ზოგადი კრიტერიუმი, რომელიც გარეგან სიმრთელესა და შინაგან სასიცოცხლო პროცესებზე აკეთებს აქცენტს, საბოლოო ჯამში, არაფრისმომცემია და მხოლოდ მარტივი შემთხვევების ცალსახა სუბსუმციის საშუალებას იძლევა (ალიყური, ცემა ან საკბეჩი კბილის დაკარგვა, როგორც სხეულის დაზიანება), თუმცა ცალსახა მიჯნის გავლების აუცილებლობა არც არსებობს, რადგან ორივე დაზიანებაზე ერთი და იგივე სამართლებრივი რეჟიმი ვრცელდება.¹⁴⁹

ამ შემთხვევაში ეს გარემოებები სახეზე არ არის.

III. სამართლებრივი შედეგი: კაუზალური ზიანი

ვაჟიკოს ბრალეული და მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ნუგზარს უნდა მისდგომოდა ზიანი, რომელიც ანაზღაურებადია 408-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით.

408 I მუხლის მიხედვით, პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც (ამჟამად) იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების (ჯანმრთელობისა და საკუთრების ხელყოფა) მავალდებულებელი გარემოება.

1. ჯანმრთელობის ხელყოფით მიყენებული ზიანი

ჯანმრთელობის დაზიანება, ცალკე აღებული, არის არამატერიალური ზიანი, თუმცა მისით გამოწვეული სამედიცინო მომსახურების საფასური მას ქონებრივ ზიანად გარდაქმნის, რომლის ოდენობაც განისაზღვრება ამ მომსახურების ხარჯების მიხედვით, ანუ, აქ: 1000 ლარით.

ნუგზარს შეუძლია, მოითხოვოს ამ დანახარჯების ანაზღაურება 408 I, III მუხლის მიხედვით.

საკითხის გაღრმავებისათვის: მთელ რიგ შემთხვევებში დაზარალებულს უნდა ჰქონდეს უფლება, დამზიანებლისაგან მოითხოვოს ფულადი ანაზღაურება ნატურით, რესტიტუციის ნაცვლად, რათა ეს რესტიტუცია თავად განახორციელოს. სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში,

¹⁴⁹ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანჭურია (რედ.), 2019, მუხ. 413, სქ. 7.

რა თქმა უნდა, დამზიანებელმა პირადად არ უნდა ჩაუტაროს დაზარალებულს ოპერაცია, გინდ თავადაც შესაბამისი პროფილის ექიმი იყოს. ეს გადაწყვეტა თავად კანონიდან გამომდინარეობს – საუბრობს რა 408 III 1 მუხლი მკურნალობის ხარჯების წინასწარ მოთხოვნაზე, ცალსახაა, რომ დაზარალებულს უნდა ჰქონდეს მკურნალობის ნაცვლად სწორედ მკურნალობის ხარჯების მოთხოვნა.¹⁵⁰ მოთხოვნის საფუძველს ამ შემთხვევაში 408 I, III 1 მუხლი წარმოადგენს.

2. შრომითი განაცდური

ჯანმრთელობის დაზიანების გარეშე ნუგზარი, რომელიც იყო დასაქმებული, შეძლებდა თავისი საქმიანობის გაგრძელებას და შესაბამისი გასამრჯელოს გამოუმუშავებდას. ხელიდან გაშვებული შრომითი ანაზღაურება არის ეკვივალენტური და ადეკვატური შედეგი მისი ჯანმრთელობის დაზიანებისა.

ზიანი ასევე ექცევა ნორმის დაცვით სფეროში.

მიუხედავად ამისა, საკითხავია, დამსაქმებლის ვალდებულების გამო – დასაქმებულის დროებითი (ზედიზედ 40 დღემდე, შრომის კოდექსის 36 I, II ი) მუხლი)) შრომითი უუნარობის მიუხედავად, გადაუხადოს მას გასამრჯელო¹⁵¹ – ხომ არ უნდა გამოიქვითოს¹⁵² ეს გასამრჯელო ნუგზარის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნიდან, რის შედეგადაც მივიღებთ იმას, რომ, ნორმატიული თვალსაზრისით, ნუგზარს ზიანი საერთოდ არ მისდგომია.

თუმცა დამსაქმებლის ვალდებულება, დროებითი შრომისუუნარობის შემთხვევაშიც გააგრძელოს დასაქმებულისათვის გასამრჯელოს გადახდა, არ ემსახურება დამზიანებლის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან გათავისუფლების მიზანს, რაც გამომდინარეობს იმ გადაწყვეტიდან, რომ ამ გასამრჯელოს გადახდის შემთხვევაში, დაზარალებული დასაქმებულის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა – შრომითი განაცდურის ნაწილში – დამზიანებლის მიმართ დამსაქმებელზე გადადის, 473 I მუხლის ანალოგიით. ამის წინაპირობაა, რომ მოთხოვნა ზიანის არარსებობის

¹⁵⁰ *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხ. 408, ველი 20.

¹⁵¹ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 15 თებერვლის „დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბრძანების 5 I, 7 IV, V მუხლები.

¹⁵² სარგებლის გამოქვითვასთან დაკავშირებით იხ. *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხ. 414, მე-20 და მომდევნო ველები.

გამო არ იყოს გაუფასურებული. შესაბამისად, მართალია, დიფერენციაციის ჰიპოთეზის მიხედვით, ზიანი დამსაქმებლის შესრულების შედეგად გამოსწორდა, ამ ზიანის ნორმატიული პერსპექტივიდან შეფასებისას ის მაინც სახეზეა. ამიტომაც დამსაქმებლის მხრიდან გასამრჯელოს გადახდის გაგრძელება არ უნდა გამოიქვეითოს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებიდან.

საკითხის გაღრმავებისათვის: ზიანის მომტანი მოქმედება დაზარალებულისათვის შესაძლებელია იმავდროულად გარკვეულ სარგებელთანაც იყოს დაკავშირებული. მისი ანაზღაურებადი ზიანიდან გამოქვეითვის პრობლემა-საც 414-ე მუხლის ფარგლებში უნდა მოეძებნოს ადგილი, რადგან ეს სარგებელი ამცირებს დაზარალებულის რეალურ ზიანს და, საბოლოო ჯამში, მის ინტერესს ამ სიკეთის არდაზიანების მიმართ, რის გამოც შესაძლებელია, დამზიანებელი ამ მუხლში დაფიქსირებული ინტერესის კრიტერიუმზე მითითებით გათავისუფლდეს (სრულად ან ნაწილობრივ) ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან. მაგალითად, თუ პირის ჯანმრთელობის დაზიანების შემდეგ მას მიყენებულ ზიანს სრულად უნაზღაურებს მზღვეველი, აქ, ერთი მხრივ, დაზარალებულის გამდიდრების აკრძალვიდან გამომდინარე, დაუშვებელია, რომ მან ორი წყაროდან მიიღოს ზიანის ანაზღაურება და ამგვარად გამდიდრდეს; თუმცა, მეორე მხრივ, ასევე დაუშვებელია, რომ დამზიანებლის მიერ ასანაზღაურებელი ზიანიდან გამოიქვეითოს ნებისმიერი სარგებელი, რასაც დაზარალებული ზიანთან დაკავშირებით იღებს და რაშიც დამზიანებელს არანაირი წვლილი არ შეუტანია.¹⁵³ აქედან გამომდინარე, გერმანული სამართლის დოქტრინამ გამოკვეთა ასანაზღაურებელი ზიანისათვის მიღებული სარგებლის გამოკლების ორი კრიტერიუმი: პირველ რიგში, მხოლოდ იმ სარგებლის გამოქვეითვაა შესაძლებელი, რომელიც კაუზალურად გამომდინარეობს ზიანის მომტანი ქმედებიდან, რის დადგენისას გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო¹⁵⁴ ადეკვატურობის კრიტერიუმით ხელმძღვანელობს. სარგებელი, რომელიც მხოლოდ შემთხვევითად უკავშირდება ზიანს, ამ კონტექსტში არ გაითვალისწინება – პირისათვის არასწორად შეხორცებული ფეხის მოტეხა, რამაც, საბოლოოდ, ძვლის სწორად შეხორცება გამოიწვია, ვერ ჩაითვლება სარგებლად. გარდა ამისა, სარგებლის გათვალისწინება და გამოქვეითვა უნდა შეესატყვისებოდეს ზიანის ანაზღაურების მიზანს.¹⁵⁵ სარგებელი არ უნდა გამოიქვეითოს

¹⁵³ *Looschelders, Schuldrecht AT*⁹, 318

¹⁵⁴ BGHZ 49, 61; ენიჭება თუ არა ადეკვატურობას ნორმის მიზნისაგან დამოუკიდებელი მნიშვნელობა, ამ კონტექსტშიც პრობლემურია (*Looschelders, Schuldrecht AT*⁹, 318).

¹⁵⁵ BGHZ 91, 206.

ზიანიდან, თუ კანონის დანაწესებიდან გამომდინარეობს, რომ დამზიანებელი არ იმსახურებს პრივილეგირებულად (ნაკლები მოცულობით) პასუხისგებას, ან მისგან საერთოდ გათავისუფლებას. ამგვარ ნორმად ჩაითვლება, მაგალითად, 832-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მზღვეველზე გადადის, მას შემდეგ, რაც ის დაზღვეულს ზიანს აუნაზღაურებს. აქ ცალსახაა, რომ კანონის მიზანი დამზიანებლის სრული მოცულობით პასუხისგებაა.¹⁵⁶

3. არაქონებრივი ზიანი

აგურების ჩამოცვენით ნუგზარისათვის მიყენებული ტვინის შერყევა და ამასთან დაკავშირებული ტკივილი, თავის მხრივ, არის არაქონებრივი ზიანი. 413 II მუხლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ვრცელდება ასევე არაქონებრივ ზიანზე, რომელიც გამონვეულია სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებით. ამ დროს დამზიანებელმა დაზარალებულს უნდა გადაუხადოს გონივრული და სამართლიანი კომპენსაცია მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილისათვის.¹⁵⁷

აქ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშვა ნუგზარის ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად. შესაბამისად, მას შეუძლია, მოითხოვოს კომპენსაცია არაქონებრივი ზიანისათვის.

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისათვის გადამწყვეტია მისი ფუნქციები, კერძოდ, გამოსწორებისა და მორალური დაკმაყოფილების ფუნქცია.¹⁵⁸

კომპენსაციის გადახდით დამზიანებელმა დაზარალებულს უნდა შეუმსუბუქოს ის ტვირთი, რომელიც ამ დაზიანებამ გამოიწვია და მისცეს შესაძლებლობა, ისარგებლოს იმ სიკეთეებით, რომლებითაც სარგებლობა შეეზღუდა მას დაზიანების შედეგად. გარდა ამისა, დამზიანებლის მიერ ზიანის ანაზღაურებამ ამ უკანასკნელს უნდა მიანიჭოს (მორალური) დაკმაყოფილება იმ ტკივილისათვის, რომელიც დამზიანებელმა მას მიაყენა.

მოსამართლემ ამ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ფარგლების განსაზღვრისას კრიტერიუმებად უნდა გამოიყენოს დაზარალებულის გაუარესებული ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა (მაგ.: ტკივილის

¹⁵⁶ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხ. 414, ველი 36.

¹⁵⁷ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხ. 413, ველი 8.

¹⁵⁸ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხ. 413, ველი მე-9 და მომდევნო ველები.

სიძლიერე, შიშები, სხეულის დამახინჯებით გამონვეული სტრესი, ცხოვრების სიხარულის დაკარგვა და ა. შ.).

4. ზიანის ანაზღაურება საკუთრების ხელყოფისათვის

ა. შეკეთების ხარჯები

ნუგზარის საკუთრებაში მყოფი მანქანის დაზიანების გარეშე მას არ მოუწევდა 1235 ლარის, როგორც მისი აღდგენის ხარჯების, გაღება. ეს აღდგენის ხარჯები არის საკუთრების ხელყოფის ეკვივალენტური და კაზუსალური შედეგი. ზიანი ასევე ექცევა ნორმის დაცვით მიზანში.

საკითხის გაღრმავებისათვის: დაზიანებული ავტომანქანისათვის ზიანის ანაზღაურების სახით გადასახდელი თანხის გამოსათვლელად სპეციალური წესებია შემუშავებული, რომელთაც ეკონომიურობის მოსაზრებები უდევს საფუძვლად – ზიანის გამოსწორება უნდა მოხდეს ყველაზე ნაკლებდანახარჯიანი ფორმით, თუმცა ეს არ უნდა მოხდეს დაზარალებულის ინტეგრირების (ქონებრივი სიკეთეების შენარჩუნების) ხარჯზე. ამ ორი ინტერესის მოსარიგებლად შემუშავებულია ოთხსაფეხუროვანი სქემა.¹⁵⁹ მის ფარგლებში გამოყოფენ:

- *შოვნის ღირებულება*: მსგავსი ავტომანქანის შოვნისათვის აუცილებელ დანახარჯებს;
- *ნარჩენ ღირებულება*: იმ ფასს, რასაც მიიღებს დაზარალებული დაზიანებული ავტომანქანის მეორეული მანქანების მოვაჭრესთან ჩაბარებით;
- *შოვნის დანახარჯებს*: შოვნის ღირებულებას გამოკლებულ ნარჩენ ღირებულებას;
- *შეკეთების დანახარჯებს*: შეკეთების ხარჯებს, შეკეთების შედეგად საბაზრო ღირებულების შემცირების¹⁶⁰ გათვალისწინებით.

ოთხსაფეხურიანი სქემა:

1. შეკეთების ხარჯები აჭარბებს შოვნის ხარჯებს:

ანაზღაურდება ფიქტიური ან კონკრეტული შეკეთების დანახარჯები. თუ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე ეხება სრულებით ახალი მანქანის (1000

¹⁵⁹ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხ. 409 და მომდევნო ველი; Grüneberg, in Palandt, 68. Aufl. 2009, § 249 BGB Rn. 11 ff.

¹⁶⁰ საბაზრო ღირებულების შემცირება სახეზეა, როდესაც პოტენციური მყიდველი შეკეთებული ნივთის დაფარული ნაკლის არსებობის საფრთხისა თუ შეკეთებიდან გამომდინარე რისკების გამო ფასის შემცირებას მოითხოვს, OLG Saarbrücken, 06.1994, Az: 4 W 174/94-12.

კილომეტრზე ნაკლები განარბენით) დაზიანებას, შეკეთების ხარჯებს უნდა დაემატოს გამოუსწორებლად დაკარგული ღირებულების კომპენსაცია;

2. შოვნის დანახარჯები ნაკლებია შეკეთების დანახარჯებზე, რაც, თავის მხრივ, ნაკლებია შოვნის ღირებულებაზე:

ა) შეკეთების ხარჯები ანაზღაურდება შოვნის ღირებულების ოდენობით, თუ შეკეთება რეალურად ხდება.

ბ) ანაზღაურდება ფიქტიური ნეტო შეკეთების ხარჯები შოვნის ღირებულების ოდენობით, თუ ავტომანქანა ექსპლუატაციისათვის გამოსადეგ მდგომარეობაშია და დაზიანებიდან ექვსი თვის განმავლობაში ხდება მისი გამოყენება.

გ) ყველა სხვა შემთხვევაში ანაზღაურდება მხოლოდ შოვნის დანახარჯები;

3. შოვნის ღირებულება ჩამოეკარდება შეკეთების დანახარჯებს, თუმცა, თავის მხრივ, შეკეთება შოვნის ღირებულების 130%-ზე (ინტეგრირების დანამატი)¹⁶¹ ნაკლები ღირს.

შეკეთების ხარჯები ანაზღაურდება შოვნის ღირებულების 130%-ის ფარგლებში, თუ მანქანა რეალურად შეკეთდა (ექსპერტის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში) + მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში გამოყენება;

4. შეკეთების ხარჯები უფრო მეტია, ვიდრე შოვნის ღირებულების 130 %.

– ამ შემთხვევას ეწოდება „ტოტალური ეკონომიკური ზიანი“ და, შესაბამისად, გამოიყენება 409-ე მუხლი.

– ანაზღაურების ვალდებულება შემოსაზღვრულია შოვნის დანახარჯებით.

ამ შემთხვევაში შეკეთების ხარჯები აღწევს 8440 ლარს და ამით აღემატება შოვნის დანახარჯებს, რომელიც 6000 ლარია.

შენიშვნა: შეკეთების ხარჯები = 7000 ლ + შემცირებული საბაზრო ღირებულება [(18 000 ლ – (შოვნის ღირებულება) + 6000 ლ (შეკეთების ნეტო ღირებულება)-ის 6 % = 1440 ლ].

შოვნის დანახარჯები = 18 000 ლ (შოვნის ღირებულებას) – ნარჩენი ღირებულება (12 000 ლ).

¹⁶¹ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხ. 409, მე-8 მომდევნო ველი.

ნუგზარმა მანქანა რეალურად შეაკეთა შესაბამის ხელოსანთან. რის გამოც, ნატურით რესტიტუციის მაგივრად, 408 I, III მუხლის ანლოგიით უნდა ანაზღაურდეს შეკეთებისათვის აუცილებელი თანხა, დღგ-ის ჩათვლით, ანუ 7000 ლარი.

შენიშვნა: როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში დამზიანებლისაგან ნატურით რესტიტუციის ნაცვლად რესტიტუციისათვის აუცილებელი თანხის მოთხოვნის შესაძლებლობა თავად კანონიდან გამომდინარეობს – საუბრობს რა 408 III 1 მუხლი მკურნალობის ხარჯების წინასწარ მოთხოვნაზე, დაზარალებულს უნდა ჰქონდეს მკურნალობის ნაცვლად სწორედ მკურნალობის ხარჯების მოთხოვნა. მიუხედავად შესაბამისი ცალსახა ნორმატიული ხელმოსაჭიდის არარსებობისა, იგივე წესი უნდა გავრცელდეს ნივთის დაზიანების შემთხვევაზეც. აქაც დაზარალებულს უნდა შეეძლოს, ნატურით რესტიტუციის ნაცვლად ამისათვის აუცილებელი ფულადი კომპენსაციის მოთხოვნა, 408 I, III 1 მუხლის ანალოგიით.¹⁶²

ბ. ავტომანქანის ღირებულების შემცირება

მაშინაც კი, როდესაც მძიმე დაზიანების შემდეგ ავტომობილის სრული ტექნიკური აღდგენა ხდება, ჩვეულებრივ, მაინც სახეზეა ე.წ. საბაზრო ღირებულების შემცირება. ეს გამონკვეულია იმ შემცირებული გასაყიდი ფასით მხოლოდ, რომელსაც მიიღებს გამყიდველი ავტომანქანის, როგორც „ნაავარიევის“, გაყიდვისას, მაშინ, როდესაც იმავე მდგომარეობაში მყოფი, „არანაავარიევი“ ავტომანქანისათვის გაცილებით მეტს მიიღებდა. ზოგადად, აღიარებულია, რომ ეს საბაზრო ფასის შემცირება წარმოადგენს დაზიანებიდან გამდინარე ეკვივალენტურ და ადეკვატურ ზიანს, რომელიც დაუყოვნებლივ ანაზღაურდება, დამოუკიდებლად იმისა, აპირებს თუ არა დაზარალებული ოდესმე ავტომანქანის გაყიდვას.

საკითხის გაღრმავებისათვის: საბაზრო ღირებულების შემცირება გამორიცხულია წერილმანი ზიანის შემთხვევაში (როდესაც შეკეთების ხარჯები შოვნის ღირებულების 10 %-ზე ნაკლებია), ძველი ავტომანქანების შემთხვევაში მაღალი განარბენით (5 წელზე ძველი და 100 000 კმ.-ზე მეტი განარბენით) და გადაყვანა-გადაზიდვისათვის გამიზნული ავტოსატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში.¹⁶³

¹⁶² რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხ. 408, მე-20 ველი.

¹⁶³ Oetker, in Münchener Kommentar zum BGB, § 249 Rn. 54 f.

გამომდინარე იქიდან, რომ აქ (სრული) ნატურით რესტიტუცია შეუძლებელია, ვაჟიკომ 409, ვარ. 1 მუხლის მიხედვით ეს ზიანი ფულით უნდა აანაზღაუროს. ამ ფულადი თანხის გამოთვლის კრიტერიუმებია: შეკეთების ხარჯების ოდენობა, ავტომანქანის ღირებულება, მისი ასაკი (გამოშვების წელი).¹⁶⁴ მოცემულ შემთხვევაში, საბაზრო ღირებულება ფასდება შოენის ღირებულების (ნეტო-შეკეთების ხარჯების ჩათვლით) 6 %-ით, ანუ 1440 ლარით.

გ. შემცველი ავტომანქანის ქირავნობის ხარჯები

ავტომანქანაზე საკუთრების ხელყოფის გარეშე მისი შეკეთება არ გახდებოდა აუცილებელი და ნუგზარს მისი გამოჯანმრთელების შემდეგ არ დასჭირდებოდა სხვა, შემცველი ავტომანქანის ქირაობა. შესაბამისად, შემცველი ავტომანქანის ერთი კვირით ქირაობის ხარჯები – 1235 ლარი – არის ეკვივალენტურად და კაუზალურად გამონვეული ზიანი და ამგვარად ანაზღაურებადია.

თუმცა ნუგზარმა, სარგებლის გამოქვითვის სახით, ამ თანხას უნდა გამოაკლოს დაზოგილი ცვეთის ღირებულება – ცვეთა, რომელსაც განიცდიდა საკუთარი ავტომანქანა ამ პერიოდის განმავლობაში მისით სარგებლობით. გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, ეს დაზოგილი ცვეთის ღირებულება განისაზღვრება შემცველი ავტომანქანის ქირავნობის ხარჯების 10 %-ით.¹⁶⁵ ამგვარად, მოცემულ შემთხვევაში 1235 ლარს უნდა გამოაკლეს მისი 10 %.

შემცველი მანქანის ქირავნობის ხარჯებიდან ნუგზარს აუნაზღაურდება მხოლოდ 1111 ლარი.

შენიშვნა: ნუგზარს ამ დანაზოგის გამოქვითვა არ დასჭირდებოდა, თუ პირდაპირ 10 %-ით ნაკლები ღირებულების ავტომანქანას იქირავებდა.

დ. დაკარგული სარგებლის აბსტრაქტული კომპენსაცია

ავტომანქანის დაზიანების გარეშე, ნუგზარს შეეძლებოდა მისი გამოყენება. გამოყენებით მიღებული ამ აბსტრაქტული სარგებლის დაკარგვა აუცილებელი შეკეთების გამო არის 409, ვარ. 1 მუხლით ასანაზღაურებელი ზიანი.

თუმცა ეს წესი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც დაზარალებული შემცველი ავტომანქანის ქირავნობის ხარჯებს არ ითხოვს. შესაბამისად,

¹⁶⁴ *Sahm/Ruhkopf*, VersR 1962, 593 ff.

¹⁶⁵ BGH VersR 2010, 545.

სად, წესით, სარგებლის აბსტრაქტული ღირებულება ანაზღაურდება მხოლოდ პირველი შვიდი დღისათვის, მაგრამ ეს დრო ნუგზარმა დაზიანების გამო ლოგინში გაატარა და არ ჰქონია არც მანქანის გამოყენების სურვილი და არც ამის ჰიპოთეზური შესაძლებლობა.¹⁶⁶

დაკარგული აბსტრაქტული სარგებელი ნუგზარს არ აუნაზღაურდება.

შედეგი: ზიანის ანაზღაურების სახით, 992-ე მუხლის საფუძველზე, ნუგზარს შეუძლია, მოითხოვოს ვაჟიკოსაგან ექიმის ხარჯების (1000 ლ), მანქანის შეკეთების ხარჯები (7000 ლ), შემცირებული საბაზრო ღირებულება (1440 ლ) და შემცველი მანქანის ქირავნობის ხარჯები (1111 ლ), გარდა ამისა, არაქონებრივი ზიანი სამართლიანი კომპენსაციის ოდენობით.

A. მოთხოვნა 992-ე მუხლით (+)
I. დელიქტური ქმედება (+)
II. მართლსაწინააღმდეგობა და ბრალი (+)
III. კაუზალური ზიანი:
➤ ჯანმრთელობის ხელყოფით მიყენებული ზიანი (+)
➤ შრომითი განაცდური (+)
➤ ანაზღაურება საკუთრების ხელყოფისათვის (+)
○ შეკეთების ხარჯები = 7000 ლ
○ ავტომანქანის შემცირებული ღირებულება = 1440 ლ
○ შემცველი ავტომანქანის ქირავნობის ხარჯები = 1111 ლ
○ დაკარგული სარგებლის აბსტრაქტული კომპენსაცია (-)
შედეგი: ვაჟიკომ უნდა აანაზღაუროს ექიმის, შეკეთების, შემცირებული საბაზრო ღირებულების, შემცველი მანქანის ქირავნობის ხარჯები და არაქონებრივი ზიანი.

სამახსოვრო!

- ხშირ შემთხვევაში დაზარალებულს უნდა ჰქონდეს უფლება, დაზიანებლისაგან მოითხოვოს ფულადი ანაზღაურება ნატურით რესტიტუციის ნაცვლად, რათა ეს რესტიტუცია თავად განახორციელოს. ეს ეხება სხეულის, ჯანმრთელობისა და ნივთის დაზიანებების შემთხვევებს (408 I, III).
- ზიანის მომტანი მოქმედება დაზარალებულისათვის შესაძლებელია იმავდროულად გარკვეულ სარგებელთანაც იყოს დაკავშირებული. მისი ანაზღაურებადი ზიანიდან გამოქვითვის პრობლემასაც 414-ე მუხლის ფარგლებში უნდა მოექცნოს ადგილი, რადგან ეს სარგებელი ამცირებს დაზარალებულის რეალურ ზიანს და, საბოლოო ჯამში, მის ინტერესს ამ

¹⁶⁶ კაზუსი არ იძლევა იმაზე მითითებას, რომ მანქანის გამოყენების შესაძლებლობა და სურვილი ჰქონდათ მისი ოჯახის წევრებს.

სიკეთის არდაზიანების მიმართ, რის გამოც შესაძლებელია, დამზიანებული ამ მუხლში დაფიქსირებული ინტერესის კრიტიკრიუმზე მითითებით გათავისუფლდეს (სრულად ან ნაწილობრივ) ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

- გამოიქვითება ის სარგებელი, რომელიც კაუზალურად გამომდინარეობს ზიანის მომტანი ქმედებიდან, რის დადგენისას გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო ადეკვატურობის კრიტიკრიუმით ხელმძღვანელობს. სარგებელი, რომელიც მხოლოდ შემთხვევითად უკავშირდება ზიანს, ამ კონტექსტში არ გაითვალისწინება – პირისათვის არასწორად შეხორცებული ფეხის მოტეხა, რამაც, საბოლოოდ, ძვლის სწორად შეხორცება გამოიწვია, ვერ ჩაითვლება სარგებლად. გარდა ამისა, სარგებლის გათვალისწინება და გამოქვითვა უნდა შეესატყვისებოდეს ზიანის ანაზღაურების მიზანს.
- არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებამ დაზარალებულს უნდა შეუმსუბუქოს ის ტვირთი, რაც ამ დაზიანებამ გამოიწვია და მისცეს შესაძლებლობა, ისარგებლოს იმ სიკეთეებით, რომლებითაც სარგებლობა შეეზღუდა მას დაზიანების შედეგად. გარდა ამისა, დამზიანებლის მიერ ზიანის ანაზღაურებამ ამ უკანასკნელს უნდა მიანიჭოს (მორალური) დაკმაყოფილება იმ ტკივილისათვის, რომელიც დამზიანებელმა მას მიაყენა.
- დაზიანებული ავტომანქანისათვის ზიანის ანაზღაურების სახით გადასახდელი თანხის გამოსათვლელად სპეციალური წესებია შემუშავებული, რომელთაც ეკონომიურობის მოსაზრებები უდევს საფუძვლად – ზიანის გამოსწორება უნდა მოხდეს ყველაზე ნაკლებდანახარჯიანი ფორმით, თუმცა ეს არ უნდა მოხდეს დაზარალებულის ინტეგრირების (ქონებრივი სიკეთეების შენარჩუნების) ხარჯზე. ამ ორი ინტერესის მოსარიგებლად შემუშავებულია ოთხსაფეხუროვანი სქემა (იხ. ზევით).

ბიბლიოგრაფია

- ბიოლინგი, ჰაინ/ლუტრინგჰაუსი, პეტერ,** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბილისი 2009
- ვაშაკიძე, გიორგი,** სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულება-თა სისტემა, თბილისი 2010
- კროპჰოლერი, იან,** გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, თბილისი 2014
- რუსიაშვილი, გიორგი/ვენატაშვილი დემეტრე,** კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016
- რუსიაშვილი, გიორგი,** კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა, თბილისი 2015
- ჭანტურია, ლადო (რედ.),** სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III: ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი 2019
- Ady, Johannes,** Schadensersatz statt der Leistung bei Vermögens- und Nichtvermögensschäden, ZGS 2003, 12
- Arnold, Arnd,** Die Abgrenzung der Schadensarten nach § 280 BGB, ZJS 7/2009, 22
- Bamberger, Heinz Georg/Roth, Herbert/Hau, Wolfgang/Poseck, Roman,** Beck'scher Online-Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, 41. Edit. 2016
- Brox, Hans/Walker, Wolf-Dietrich,** Allgemeines Schuldrecht, 32. Aufl., München 2007
- Canaris, Claus-Wilhelm,** Begriff und Tatbestand des Verzögerungsschadens im neuen Leistungsstörungenrecht, ZIP 2003, 321
- Dauner-Lieb, Barbara/Dötsch, Wolfgang,** Schuldrechtsreform: Haftungsgefahren für Zwischenhändler nach neuem Recht?, DB 2001, 2535
- Grunewald, Barbara,** Kaufrecht, Tübingen 2006
- Emmerich, Volker,** BGB-Schuldrecht Besonderer Teil, 13. Aufl., Heibelberg 2012
- Hemmer, Karl Edmund, Wüst Achim, Tyroller Michael,** Schuldrecht AT – Das Prüfungswissen, 12. Auflage 2019
- Köhler, Helmut/Lorenz, Stephan,** Prüfe dein Wissen, Schuldrecht II, 19. Aufl., München 2011
- Kötz, Heinz/Wagner, Gerhard,** Deliktsrecht, 13. Aufl., München 2016

- Larenz, Karl**, Lehrbuch des Schuldrechts I, 9. Aufl., München 1968
- Larenz, Karl**, Lehrbuch des Schuldrechts, Band I: Allgemeiner Teil, 11. Auflage, München 1976
- Looschelders, Dirk**, Schuldrecht Allgemeiner Teil, 9. Aufl., München 2011
- Looschelders, Dirk**, Schuldrecht Allgemeiner Teil, 16. Aufl., München 2016
- Kannowski, Bernd/Zeller, Christian**, Sekundäransprüche beim Vertrag zugunsten Dritter, JuS 2006, 983
- Medicus, Dieter**, Bürgerliches Recht, 21. Aufl., München 2007
- Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, BGB, Band 2: Schuldrecht Allgemeiner Teil: §§ 241-432, 6. Aufl., München 2012
- Muscheler, Karlheinz, Buer, Catharina, Huh, Yun, Olejnik, Jan, Roth, Dominik, Schewe, Anke**, Fälle und Lösungen zum Bürgerlichen Recht Band I: BGB Allgemeiner Teil, Schuldrecht Allgemeiner Teil, Tübingen 2013
- Palandt, Otto**, Bürgerliches Gesetzbuch: BGB, 76. Aufl., München 2017
- Schulze, Reiner/Dörner, Heinrich/Ebert, Ina/Hoeren, Thomas/Kemper, Rainer/Saenger, Ingo/ Schulte-Nölke, Hans/Staudinger, Ansgar**, BGB, Handkommentar, 9. Aufl., München 2018
- Soergel, Hans Theodor**, Bürgerliches Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen: BGB Band 3/2: Schuldrecht 1/2 (§§ 243-304), 13. Aufl., Stuttgart (u. a.) 2014
- Staudinger, Julius v.**, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch: mit Einführungsgesetz und Nebengesetzen: Staudinger BGB – Buch 2: Recht der Schuldverhältnisse §§ 346 – 361: (Rücktritt und Widerruf), Neubearbeitung (16. Aufl.), Berlin 2012
- Selb, Walter**, Handbuch des Schuldrechts in Einzeldarstellungen, Tübingen 1984
- Wagner, Gerhard**, Mortus Redhibetur im neuen Schuldrecht, in: Festschrift für Ulrich Huber zum 70. Geburtstag, Tübingen 2006, 591.
- Wertheimer, Frank**, Der Gläubigerverzug im System der Leistungsstörungen, JuS 1993, 646
- Wirth, Gernot**, Annahmeverzug bricht Schuldnerverzug, JuS 2002, 764
- Wolf, Manfred**, Sachenrecht, 23. Aufl., München 2007